143/2
1931
№ 3

143/1931/2
126.
№3. 4-5.
143/2
№3.
57

ეროვნებათა ძმობა

საქართველოს ეროვნებათა ძმობის ასოციაციის

1931

შინაარსი № 3 მარტი

1. ვ. მაიაკოვსკი — სიფილისი 3
2. ს. თალაკვაძე — ახალი აზვირთება . . 8
3. ბ. კაჭახიძე — მანქანამ უნდა მოგვცეს მანქანა 26
4. დ. შენგელაია — ხალხი და ჯამაათი . 31
5. ალ. გომიაშვილი — იქ, სადაც ხეირიან კიდოგანა ქვას 43
6. ბ. მაისურაძე — დამკვრელის სიტყვა . 47
7. ს. ერთაწმინდელი — შვებული 49
8. ბ. შატბერაშვილი — 38.000 [ნავთის ხუთწლედის დამკვრელებს] 63

ქრონიკა და მეთოდოლოგია

1. ე. იაროსლავსკი — პროლეტარული მწერლის გზა 67
2. ვ. ლუარსამიძე — პოეტი რევოლუციონერი 72
3. ბ. რადიანი — იდეიურობის საკითხი მხატვრულ ლიტერატურაში 77
4. ბ. ნატროშვილი — მატერიალისტური დიალექტიკა და ხელოვნების თეორია 82
5. ს. ხუნდაძე — ლიტერატურულ - მეთოდოლოგიურ საკითხებზე . 117

ბიბლიოგრაფია

1. ბ. ნატროშვილი — ფილიპე მახარაძე — „ეგნატე ნინოშვილი“.
2. ბ. ნ. — პანტელეიმონ ჩხიკვაძე — „სართულები“.
3. ა. ხ. — ბ. ბიბინეიშვილი — „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“.
4. კ. მელაძე — ფ. ნაროუშვილი — „პოემები“.

ქრონიკა

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს პროლეტარულ
მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური ორგანო

პროლეტარული მწერლობა

599

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და სამხატვრო-ლიტერატურო
ჟურნალი

1931 წელიწადი მეხუთე
სახელგამი-ტფილისი

№ 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ფ ი ლ ი ს ი

ვ ლ ა დ ი მ ი რ მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი

ნაპირთან მივიდა გემი,
და დაიგრიალა,
დაიგუგუნა,
იყო გაჯაჭვული,
როგორც კატორღელი.
არის პალუბაზე
შვიდასი კაცი — ადამიანი,
დანარჩენები — კი
მხოლოდ ზანგებია.
ჩუმად მოსრიალდა
გვერდიდან ნავი.
რქის სათვალეებით
ექიმი ამოვიდა
მთრთოლვარე კიბეზე:
„ვისა აქვს ტრახომა?“
გაპუდრულ მუწუკებით,
გარეცხილ სახით
კეკლუცად მოლასლასებს
პირველი კლასი,
და კოხტად ჩაივლის
მოლიმარ ექიმის წინ.
თითებზე ძვირფასი ბეჭდებით
მოდის წინამძღოლი
პირველი კლასის.
ეს არის ლორების მფლობელი —
მდიდარი სვივტი.
და ის ორ-ლულიან
ღრმა ნესტოებიდან
უშვებს დიდ რგოლებად
მტრედისფერ კვამლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გრძელი ჩიბუხით
აფრქვევს სურნელებას.
ვერავინ გაბედავს
იმასთან მისვლას!
პერანგის, კალსონების,
თხელ აბრეშუმის ქვეშ
აბა, გაარჩიე,
შენ ავადმყოფობა!
„კუნძულო! დადევი პირობა,
რომ თავს შეიკავებ!
უბრძანეთ შეაჩერონ!“
მაგრამ კაპიტანმა
პატივით სალამი მისცა:
ნავში ჩაბოუშვეს
სვივტ — სიფილიტიკი.
პირველ კლასს მოჰყვა
მეორე კლასი.
ექიმს აოცებდა
ხვრელნი ნესტოების,
ათვალიერებდა
ყურებს და თვალებს.
ექიმი სინჯავდა
ზიზღიან ტუჩებით,
დამანჭული სახით.
ექიმმა სამი კაცი
მეორე კლასიდან
გაგზავნა კარანტინში.
შემდეგ კი დაიძრა
მესამე კლასი —
მთლად ჩაღამებული
ზანგებისაგან.
ექიმი ხედავს:
მეოთხე საათია —
კოკტეილის სმის დრო.
— გარეკეთ ყველანი
უკან ტრიუმში,
ისედაც ეტყობათ
რომ სნეულებია,
ჭუჭყიანებია...
და ყვავილი არა აქვთ აცრილი...
ზანგი აქვითინდა,
სახე აუთრთოლდა,
აგდია ტრიუმში ტომი.
ყვავილს აუცრიან,

შემდეგ დაბრუნდება
საკუთარ სახლში.
იქ, სადღაც ნაპირზე
ცხოვრობს ტომის ცოლი,
რომელსაც ნავთივით
სქელი თმა აქვს.
კანი აქვს ვაქსივით
შავი და ბრწყინვალე,
სხეული — კვრივი.
სანამ სამუშაოს
დაეძებს ტომი,
კუბა — ავაზაკი
არ იშლის თავისას.
გააგდეს ტომის ცოლი
პლანტაციიდან,
რადგან არ დანებდა უფროსს.
მთვარემ ოკეანეში
ჩაყარა მონეტები,
თუ გსურს — გადავარდი
პირდაპირ ჯებირიდან.
არც პური, არც ხორცი
არა აქვს ტომის ცოლს,
და ანანასებით
იგი იკვებება.
ისევ დგას ხომალდი.
სხვა გემი სად არის?
მან როგორ იცადოს
მშიერი კუჭით?
— ალბათ დავავიწყდი,
თეთრ ქალთან ატარებს
ღამეებს ტომი!
ცოლი მშიერია,
არა აქვს სამუშაო,
ჭურდობაც ძნელია...
სასტიკ პოლისმენებს
განა გაექცევი?
ზანგი — ვენერასი
უცხო ეკზოტიკამ
მეტად გააჩაღა
დამქრალი ვნებები
მისტერი სვივტის.
და თეთრ საცვლების ქვეშ
ოფლით იმოსება
შავად მოელვარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალისა ხორცი.
დოლარებს ატენის
სახეში, ხელებში.
მშიერი კუჭი და
მისტერი შეებმენ.
ქალმა გადასწყვიტა
მკაფიოდ — № 0!"
და ყრუდ დაიძახა — „Ves!".
კარებს აწვებოდა
დამპალი სვივტი.
იმას და ზანგის ქალს
ლიფტი მიაქანებს
სულ ზევით, ოთახში.
გავიდა ორი დღე,
ტომი გამოცხადდა,
შვიდი დღე ზედიზედ
მკვდარივით ეძინა.
ტომს მეტად უხარის,
რომ არის საყოფად
პური და ფული,
და რომ არ შეხვდებათ
ყვავილი მათ.
მაგრამ დღე მოვიდა
და კანი ზანგების
საოცარ წინწკლებმა
მთლიანად დაფარა.
და დედის მუცელში
ბედშავი ბავშები
ხდებოდენ მუნჯები, ბრმები.
იმსხვრევა სახსრები,
და თანდათანობით
წლები წაიშალა.
რაღაც უცნობ ძალამ
სხეულნი დაარბია,
გაჭიმა ხელები
მოწყალებისათვის.
მეტი ყურადღებით
უცქერდენ ტომს.
და როგორც უზნეობის
საშინელ მაგალითს
ჰკიცხავდა პასტორი
ცოლსა და ქმარს.
„სჯის ღმერთი ტომსა და
მის ცოდვილ მეუღლეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც სტუმრები
მოყავდა ბინაზე“.

არ მინდა შევტოპო
მე პოლიტიკაში,
მხოლოდ გადავიღე
პატარა სურათი.
ამბობს ზოგიერთი; —
„ცივილიზაცია“,
და სხვები —
„კოლონიალური პოლიტიკა“.

თარგმანი: ვ. გაფრინდაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი აზვირთება*

სევასტი თალაკვაძე

პარტიული ძალები გაძლიერდენ უკანასკნელ დროს ქალაქად.

ტფილისში აღწევენ გადასახლების ადგილებიდან გამოპარული რევოლუციონერები და ებმიან არალეგალურ მუშაობაში.

დაბრუნდა მენშევიკების პრაქტიკოსი ბელადი-სილიბისტროც.

ამ გამოპარულ და დაბრუნებულთა რიცხვში არიან ბოლშევიკებიც, მხოლოდ არა ბელადები.

სოფო გამახვილებული თვალებით და ყურებით ელის პართენის გამოჩენასაც, მაგრამ ამაოდ.

მან არც ახლა იცის, რომ პართენი ცენტრში, პეტერბურგში, ეწევა გატაცებულ პარტიულ-რევოლუციონურ მუშაობას სხვისი გვარით, და არ ფიქრობს საქართველოში დაბრუნებას.

არც სპირიდონი წამოსულა. იგი ცოლთან ერთად გადასახლების ადგილზე კრასნოიარსკში — იმყოფება კიდევ. განძრახვა აქვს კი, გეგმებს იმუშავებს საქართველოსაკენ გამოსაწევად. თავის რუს ცოლს — ტანიას — მაინც საშინლად უნდა საქართველოსაკენ პირის ქნა.

ტფილისშია კარგახანია დაბრუნებული გალიკვიდატორებული მენშევიკი ვისისი, ერთ დროს სოფოს ახლო მეგობარი, მაგრამ სოფო მას ვერ შეხვდა, მან იგი ვერ ინახულა.

ბოლშევიკ-მენშევიკებს შორის ორგანიზაციული კავშირი ფაქტიურად გაწყვეტილია. ისინი ცალკ-ცალკე, დამოუკიდებლად მართავენ კრებებს. არაფერს არ ეკითხებიან ერთიმეორეს, პარტიული ხაზით არაფერში არ ეზიარებიან ერთმანეთს.

კიდეც ეს შეიქნა მიზეზი, რომ გადასახლების ადგილიდან ახლად დაბრუნებულმა ვისისის ქმარმა — ბენომ — არ იქნა, ვერ გაიგო სოფოს მისამართი; ვერც სადმე ქუჩაში, ან კრებაზე ვერ გადაეყარა, რომ ცოტა რამ საინტერესო ამბავი გადაეცა მისთვის...

ბენო ხომ სარატოვიდან არის წამოსული. სარატოვში დასტოვა მან სოფოს ახალი მეგობარი — ნადეჟდა, რომელსაც ჰქონდა მიწერ-მოწერა პართენთან

* ნაწყვეტი რომანიდან — „ახალი აზვირთება" — რედ.

პეტერბურგში და იცოდა ბევრი ისეთი რამ პართენის ცხოვრების შესახებ, რაც სოფოსათვის ახალი იყო; მაგალითად, პართენის გამოცვლილი გვარი, მისი საიდუმლო მისამართი და სხვა. ეს ყველაფერი ნადეჟდამ აცნობა საქართველოში გამოსამგზავრებლად მომზადებულ ბენოს, რომ უკანასკნელს ეს ცნობა მიეტანა სოფოს ყურებამდე... ნადეჟდა ეჭვობდა, სოფოს სცოდნოდა პართენის გამოცვლილი გვარი და საიდუმლო მისამართი.

გაზაფხულის თბილი დღეებია.

არალეგალურად მომუშავე ამხანაგები კრებებს ახლა მართავენ არა იატაკქვეშ, არა დახურულ კარებში — ამა თუ იმ პარტმუშაკის სანდო ბინაზე, არამედ ქალაქის განაპირა უბნებში, ცის ქვეშ — მამადავითის მთაზე, ხუდადოვის ტყეში, ბოტანიკურ ბაღში, კრწანისის ველზე და სხვაგან. და ესეც არა ღამით, — დღისით, მაგრამ კვირაობით, საერთოდ უქმე დღეებში.

ასეთი კრებები იმართება ხან „პიკნიკის“ მოწყობის სახით, როცა ამხანაგები ყიდულობენ პურს, ძეხვს, ყველს, კიტრს, ღვინოსაც და თან მიაქვთ, ხან კი პირდაპირ „სადღესასწაულოდ მორთულნი“, ბუნების წიაღში გასეირნების „მიზნით“.

კვირა დილაა...

ტფილისის ქუჩებში ფილაქანის კიდურებიდან ობლად გამომყურე ხეების უკვე მოსულ ყლორტებში ფურცლები გაშლილა, ნორჩობის „ასაკიდან“ ამოსულა, დამწიფებულა, ფართედ დაფარებია ძირს მიწას. ბაღებში და ზოგიერთი მდიდრული სახლის ეზოებში ბუნებას თავისი კალთები კიდევ უფრო შემოუხვევია დედამიწისათვის და ჩრდილში დაუყენებია ყველაფერი, წარმტაცი სურათი დაუხატავს არე-მარის... მაგრამ ადამიანის გაუმაძღარ გულს და ხარბ თვალებს ეს სურათი ქალაქში თითქო ვერ აკმაყოფილებს, და ისინი შორს, ქალაქის განაპირა ადგილებში, სადაც არა მარტო მწვანით შემოსილი ხეებია, არამედ ბალახ-მცენარეებით აცისფრებული მიწაც არის, — ეშურებიან დასაამებლად, სამხიარულოდ.

ამათ შორის, თუმცა გამონაკლისები, მაგრამ მაინც არიან ისეთები, რომლებიც დროის გატარებისა და მხიარულებისათვის არ არიან მოცლილნი; ისინი უფრო რთული ამოცანებით, პოლიტიკურ-რევოლუციონური ამოცანებით დატვირთულან და მიაჩქარებენ ფეხებს.

ესენი არიან სოფოს ბოლშევიკი ამხანაგები: ალიოშა, თომა, გიორგი, ლევანი, არუსიაკი, არუთინა, ლუბა, ფედია და სხვები.

მაგრამ ესენი მიდიან ცალკ-ცალკე, ერთმანეთზე დაშორებულნი მიაპობენ სივრცეს; ხანგამოშვებით უკანაც შემობრუნდებიან, მიმოიხედავენ ფრთხილად და განაგრძობენ მანძილის ტეხას.

ქალაქის რომელი მხრით მიიმართებიან?

არა ნაჩვევი და ნაცადი ადგილებით. ამჟამად სულ ახალი კუთხე აურჩევიათ მათ, — მაღლა ბოტანიკური ბაღისა და კოჯრის გზის გასაყრელ წერტილს მიუზიდავს ისინი, სადაც ხშირი ტროპიკული მცენარეებით დაიფარებიან და მტრების თვალებს დაეკარგებიან, სადაც წყაროს ცივი და გემრიელი წყალიც მიწიკწიკებს პატარა მილიდან და მოწყურებულთ, ხახა გამშრალ ყელებს გაუსველებს, გახურებულ გულებს დაუგრილებს.

აი, მოგროვდენ უკვე ამხანაგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტს თითქო აღარავის ელიან.

კრება უნდა გაიხსნას და მოხერხებულ ჩამოსაჯდომებს ეძებენ ყველანი. უსწორ-მასწორი, ფერდობი ადგილია და ყველგან არ ხერხდება მუხლის მოკეცა. იქ, სადაც ეს ხერხდება, ადგილი გაშლილია, უხეოა, ხის ფურცლები არ იფარავს მაღლიდან დამყურე ცხელი მზის სხივებისაგან მიწას...

ნახეს, როგორც იყო ჩრდილი და მოხერხებული ადგილი კრებისთვის. ყველანი მოეწყვენ, მოიკეცეს მუხლები; ზოგი ამწვანებულ ფერდობზე გაწვა თეძოთი, ზოგმა კი მიწაზე გაზეთი თუ ცხვირსახოცი დაიგო და მუხლებზე იდაყვების დაყრდნობით დაჯდა. ასე მოიქცენ განსაკუთრებით ის ამხანაგები, რომელთაც ტილოს ტანისამოსი ეცვათ და ბალახით შემოსილ მიწაზე დაჯდომა ლაქებს დააჩენდათ.

— ... აბა, ამხანაგებო, ახლა კი შეგვიძლია გავხსნათ კრება, — სთქვა კრების ერთმა წევრმა, რომელიც, ეტყობოდა, კრების მოწვევის ინიციატორი და ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

— კი, მაგრამ, რომ გვაკლია ამხანაგები? — მიუგო მეორე ამხანაგმა.

— ბევრი გვაკლია? — იკითხა მესამემ.

— ბევრი არა, მაგრამ ზოგიერთი ძალიან საჭირო ამხანაგი კი გვაკლია, — სთქვა მეოთხემ.

— მოცდა, მე მგონი, მაინც არ ღირს: არც ისე უშიშარ პირობებში ვართ. კრება უნდა გავხსნათ, ამხანაგებო.

— რატომ, ამხანაგო? დაცდა საჭიროა, თუ უშედეგო არ იქნება...

— უშედეგო? არ მესმის, რათ უნდა იქნას უშედეგო, კაცო?

— იმიტომ იქნება უშედეგო, რომ ამხანაგებს, რომელთაც დაიგვიანეს, ალბათ გზა აებნათ და, სულ ერთია, ისინი ველარ მოგვაკვლევენ.

— არა, არა, ცოტა უნდა დავუცადოთ ამხანაგებს! ჩვენ გვაკლია მეტად აქტიური მუშაკნი — სოფო და ვალო. ამათ კი მაინც შეუძლებელი იყო აბნეოდათ გზა; ისინი აუცილებლად მოვლენ თუ დაჭერილები არ არიან...

შეებენ ამხანაგები ერთმანეთს ლაპარაკში.

მათ არ შეუწყვეტიათ ეს უწესრიგო დავა კრების გახსნის წინ.

მოისმის ერთად ალაპარაკებული კრების წევრების: „ნუ ღელავთ, ამხანაგებო“; „ეშინიათ და იმიტომ ჰკარგავენ მოთმინებას“; „დამშვიდებით იჯექი, აბა, აქ, და ელოდე, როდის დაგადგებიან თავზე ჟანდარმები“; „ხომ გითხარი, — ზოგიერთ ამხანაგს სიმხდალე ართმევს სიმშვიდეს“; „ასაღელვებელია, რომ ამხანაგები საშიშარ პირობებში გვალოდინებენ“; „რა მოხდა, ცოტა კიდევ დავიცადოთ“; „ავიწყდებათ, რომ ჩვენ ოფიციალურად არ ვართ შეკრებილნი. ათასი მტრის თვალი დაგვეძებს“; „თუ თავს დაგვესხენ, — ჩამოგვახრჩობენ აუცილებლად“; „ამხანაგს მასხრობის გუნებაზე აყენებს ეს გარემოება“; „მაინც, ამოდენა ხალხი რომ მოგროვილა, ყველა ამხანაგია, ნეტავი?“ „შეიძლება მოსასვლელ ამხანაგებს გზაში ჩაჰკიდეს ხელი და ჟანდარმთა სამმართველოში წაასხეს“... „გაძლიერდა რევოლუციონური მოძრაობა, გაიზარდა ჩვენი ძალები“; „ვერ უთხრეს მერე, რომ კრებაზე მიდიოდენ. კრებაზე დაუგვიანდებათ?“; „შენ კიდევ არ ანებებ თავს მასხრობას?“; „მართლაც, შესაძლებელია, რომ გზაში დაეპატიმრებიათ“; „სოფოსა და ვალოს მდგომარეობა არ იყო ასეთი“. „რატომ? აგენტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინიც ეყოლებოდენ აღრიცხული". „აღრიცხული კი, მაგრამ არ სდევნიდენ, ისინი შემჩნეული არ ყოფილან".

— ვინ სოფოა, კაცო, ეს? პართენის ცოლი ხომ არა? — ჰკითხა გვერდით მჯდომ ამხანაგს დაბალი ხმით, ჩუმათ ერთმა.

ეს ამხანაგი ახალ მოსული იყო ტფილისში და კრებას დღეს პირველად ესწრებოდა.

— ჰო, ამხანაგ პართენის ცოლი, სოფო... იცნობდით?

— როგორ არა, როგორ არა... ორივეს კარგად... პართენი ჩემი პოლიტიკური მასწავლებელი იყო, სოფო — ახლობელი ამხანაგი და მეგობარიც... ცხრაას ხუთი წლის აღმართს ერთად ვადექით და ვეზიდებოდით რევოლუციის მძიმე ტვირთს...

— ჰოო... მე სოფოს ვიცნობ, პართენს არა. პართენის შესახებ ამხანაგებისაგან გამიგონია მხოლოდ. სოფოს ტფილისში გავეცანი ამ ორი წლის წინად. კარგი მუშაკი ქალია... პართენსაც კარგად იხსენებენ ძველი ამხანაგები...

— სად არის ახლა? ხომ ცოცხალია?

— კი, ცოცხალია, ჯანზეც კარგადაა და ძველებური რევოლუციონური გატაცებაც თურმე უცვლელი აქვს. მხოლოდ ეს ერთი ხანია ცნობები არ აქვს მისგან სოფოს...

— ... ეეხ, მეც ისე წავხდი, რომ მიწერ-მოწერა ველარ ვიქონიე მათთან; კავშირი ვერ აღვადგინე; ვერ ვამცნე, რომ ცოცხალი ვარ.. ჰმ! ულმობელი ცხოვრების ზღვა... პართენი და სოფო კი ჩემთვის უძვირფასესი ადამიანები იყვნენ...

— რა შეგეძლო გექნა, ილო... საზღვარგარეთიდან ძნელი იყო რუსეთის უდაბურ კუთხეებში გადასახლებულ ამხანაგებთან კავშირის დაჭერა, თუმცა ის კი უნდა გეღონა, რომ ამხანაგების ყურამდე როგორმე მიგეტანა შენი ცოცხლების რიცხვში ყოფნა.

— მეც თვითონ მიკვირს, პავლე, — ისე როგორ მოეწყო ჩემთვის გარემოება, რომ ჩემი არსებობა არა თუ ამხანაგებისთვის, წლების განმავლობაში ვერ შევსძელი მეცნობებია თვით ჩემი მოხუცებული დედისათვის... ახლა არა და სხვა დროს როდისმე გიამბობთ ამხანაგებს — როგორ გადავრჩი სიკვდილს, როგორ მოხდა, რომ დახოცილთა შორის ჩაეერიცხე და ეს აქამდე არ გამომჟღავნებულა.

— ... შენს ძველ ამხანაგებს ძალიან განაცვიფრებს, რომ შენ ცოცხალი ყოფილხარ. კიდევ უფრო შეურიგებელი სინამდვილე იქნება, თუ მოულოდნელად წარუდექი მათ... სოფოსთვისაც ალბათ ძნელი დასაჯერებელი იქნება ეს.

— ამიტომ მინდა გთხოვო, — თუ სოფო დღეს აქ არ მოვიდა და პირდაპირ არ შევხვდი, შენ გააგებინო ჩემი არსებობა... რომ მე ცოცხალი ვარ და აქა ვარ, ტფილისში.

— კი, კი. მაგისთვის, რა თქმა უნდა, შენს ნაცნობებს მოვამზადებ...

ილო და პავლე აქ მორჩენ კერძო ლაპარაკს და ამხანაგებს მიაპყრეს ყურთასმენა.

ილო...

მგონი, მკითხველს აგონდება სტრიქონები, მოკლედ რომ მოგვითხრობდა, თუ ვინ იყო ილო და რა ურთიერთდამოკიდებულებაში იყო წინად, ცხრაას ხუთის რევოლუციის დროს ქალიშვილ სოფოსთან და პართენთან, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფო უყვარდა, თუ როგორ სთვლიდენ სოფო-პართენი და სხვა ამხანაგები ილოს დალუპულად, ცოცხლებთა რიცხვიდან ამოშლილად.

მკითხველები ილოს იცნობენ, მასზე შეჩერება ჩვენ აღარ დაგვჭირდება. მაგრამ პავლე ვინღაა? იგი საიდან გაჩნდა?

პავლე ცხრაას ხუთის შემდგომი ხანის ახალგაზრდა რევოლუციონერია, იგი ბავშობიდანვე სოფლიდან ტფილისში წამოსულიყო, მკერაობა ესწავლა, მკერაობა ეწყო და ასე ჩაბმოდა რევოლუციონურ მოძრაობას, გაბოლშევიკებულიყო...

ილოს როგორღა გაეცნო?

პავლესთან სახელოსნოში შეგირდად მოხვედრილიყო ილოს ახლობელი ნათესავი. ამ ნათესავთან ჩამოსულიყო ილო თავშესაფარებლად, და სწორედ ამან შექმნა ის გარემოება, რომელმაც მოიტანა პავლესა და ილოს გაცნობა, ერთმანეთთან დაახლოვება რევოლუციონური მუშაობის ნიადაგზე.

— ვილაც, ეგერ, წერტილის ოდენა, ჩვენსკენ მოდის! — სთქვა კრების ერთმა წევრმა თითის გაშვერით და ზეზე წამოდგა, უფრო დაჟინებით დაუწყო ცქერა მომავალ წერტილს, რომელიც თანდათან იზრდებოდა.

ამ თქმაზე სხვებიც წამოიშალენ ადგილიდან და მიაპყრეს თვალი იქითკენ, საითაც ამხანაგი მიუთითებდა.

პირველად ვერ გაარჩიეს ამხანაგებმა — ვაჟი იყო თუ ქალი. მაგრამ ჩქარა ესეც ცხადი გახდა, — ქალი აღმოჩნდა.

— სოფოა!

— ჰო, კი... აი, სოფოც მოდის.

— ვალო რაღა იქნა?

— ... მოცდა კმარა! ახლა კი გავხსნათ კრება.

შეიქნა ლაპარაკი ამხანაგებში.

სოფოს ხსენებამ, სოფოს გამოჩენამ ილო შეაჟრჟოლა ტანში, ძლიერმა ელექტრონაკადებმა დაურბინა სახსრებში. ეს ნაკადები კიდეც ეცივა, კიდეც ეცხელა. ამ ნაკადებმა მოაგონა ილოს წარსული, კარგა ხსნის წარსული.

8 — 9 წლის „ამბავი“ იყო ეს...

ცხრაას ხუთის რევოლუციის მოვარდნილი ტალღების დროს, რევოლუციონერთათვის საიდუმლოდ გამოგზავნილი საომარი იარაღების გემიდან გადმოტვირთვის მომენტში თავზე დამსხმელი ჟანდარმები რომ დასჭრა სასიკვდილოდ ილომ და თითონაც დაჭრილი გამოიქცა.ა.

ამხანაგებმა ჭრილობა შეუხვიეს, დამალეს, მოუარეს, მოარჩინეს...

ჭრილობის ამ შეხვევაში, დამალვაში და მოვლაში აქტიური და უმხურვალესი მონაწილეობა პართენის საცოლემ სოფომ რომ მიიღო...

რომ დაუმეგობრდა სოფოს ამის შემდეგ ილო და ჩაეჭრა მას გულში იგი, როგორც ქალი...

უშიშარი, თავდადებული რევოლუციონერი სოფოც რომ არ იყო აქ მისი გრძნობის მიმართ ცივი, უტყვი...

მაგრამ ყველაფერ ამას გვერდი რომ აუხვია, შეებრძოლა, ჩაიკლა გულში... ანგარიში გაუწია სოფოს არჩევანს და აგრეთვე ძვირფასი და საყვარელი ამხანაგის — პართენის — ადრინდელ სიყვარულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი, როგორი მძიმე იყო ეს „დათმობა“ და მწვავე ბრძოლა ამ „დათმობისთვის“!

— რატომ დაიგვიანე, სოფო?

რატომ გვაცდეევინე, კაცო?

— ვალოს არ შეხვედრიხარ, ვალო არ მოვა, თუ იცი?

მიაყარეს ამხანაგებმა სოფოს ეს კითხვა-საყვედურები, როცა უკვე მოაღწია მან და სალამი მისცა ყველას, ჩამოჯდა მათთან აბურთულ ფერდობზე.

— ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, მაგრამ... რუსეთიდან დაბრუნებული ნაცნობი მენშევიკის მოსაძებნად წავედი ადრე დილით ერთ გადაკარგულ ქუჩაზე და იმან დამაგვიანა...

— ვინ, ვინ მენშევიკი, სოფო?

ჰკითხა მოუთმენლად ერთმა ამხანაგმა და შეაწყვეტინა ლაპარაკი.

სოფოს უნდოდა ვალოს შესახებ მოცემულ პირველ კითხვაზეც ეპასუხა ამხანაგებისათვის, ეთქვა მაზე დამატებითაც ცოტა რამ, მაგრამ არ დასცალდა.

— ... ძველი, დიპლომიანი მენშევიკი ბენო, რომელიც სარატოვში დავტოვე... იგი, მართალია, მენშევიკია, მაგრამ ლიკვიდატორი არაა; ჩვენ, პარტიულებს, გვემხრობა...

— გამიგონია, ვისის ქმარი...

— ვიცნობდი. თეორეტიკოსობა უყვარდა...

— თუ მენშევიკია, ვერაფერი შვილი პარტიული იქნება...

უთხრეს ამხანაგებმა და კიდევ გააწყვეტინეს სიტყვა.

— ცოლი კი ლიკვიდატორი ჰყვავს, — განაგრძო სოფომ სიტყვა. — ამ ნიადაგზე მათ უკმაყოფილოებაც მოსდიოდათ. და ეს გახდა რამოდენიმედ იმის მიზეზი, რომ მან ქმარს არ დაუცადა და დაასწრო საქართველოში დაბრუნება.

— ახლა იგი ვითომ ჩვენთან იმუშავებს ორგანიზაციაში?

— შენც იმიტომ წადი მასთან?

ჰკითხეს სოფოს სიტყვის დასასრულ ამხანაგებმა.

— ... მე არ ვიცი იმუშავებს თუ არა ჩვენთან. მაგრამ მე ამისთვის მაინც არ ვყოფილვარ მასთან. მე გადმომცეს, რომ დამეძებს, ამბავი აქვს ჩემთან სათქმელი — და ამიტომ შევეცადე ნახვას, — მიუგო მათ სოფომ.

— ნახე, მერე?

— მართლა, გეტყოდა პართენის ამბავს.

— მას სხვაც ბევრი რამ ეცოდინება ჩვენების შესახებ ციმბირში...

— საკვირველია, რატომ ამხანაგებმა ვერ დააძვრინეს ციმბირს თავი და ვერ ჩამობრუნდენ საქართველოში, თუ კი სხვები ახერხებენ ამას!

— არ იყო ბენო, არც მისი ცოლი... ჩემი მისამართი დავუტოვე და ალბათ თვითონ მნახავს...

— მაშ, აბა, სოფო, პართენის ამბავი და მისამართი ბენოს ეცოდინება! — უთხრა პავლემ კმაყოფილებით.

— მეც იმიტომ დავეშურე დილაადრიანად მის ნახვას, — პართენის შესახებ მეტყვის რამეს მეთქი... როგორც ეტყობა, ბენო და ვისისი მთელი ღამე არ უნდა ყოფილიყვნენ...

— კარგი, მოვრჩეთ ახლა კერძო ლაპარაკს, ამხანაგებო, და კრება გავხსნათ, — სთქვა კრების ხელმძღვანელმა ამხანაგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავხსნათ!

— გავხსნათ, რაღას უცდით!?

— დასაცდელი ამხანაგი კი გვყავს, მაგრამ რაღაი, აღარ მოვიდა და.

— ვინღა დარჩა კიდევ ისეთი, რომ უიმისოდ არ შეგვიძლია კრების გახსნა?!

— ვალო, ვალოს დასწრება მეტად საჭირო იყო...

შეიქნა ამხანაგებში კვლავ უწესო, საერთო ლაპარაკი.

— ეს თქვენი ვალო მე საშინლად არ მომწონს, ეჭვსაც მიღვიძებს, მეტად უცნაური კაცი შეიქნა, — უთხრა ჩუმად ყურში თავის გვერდით მჯდომ პავლეს, შენიშვნის სახით, სოფომ.

— რატომ, სოფო, ვალო ჩვენი ერთი უაქტიურესი ორგანიზატორთაგანია, — წყენით მიუგო პავლემ.

— ... რატომ და არაფერს ისე არ აკეთებს, როგორც საჭიროა... ჩვენმიერ ამასწინად სიმწრით დაბეჭდილი პროკლამაციები, რომლებიც მას ნაძალადევის მუშათა რაიონში უნდა გაევრცელებია, — საქონლის სადგურზე გადასასვლელი დიდი ხიდიდან გადაუყრია... ჯერ შეეცადა ეს „რევოლუციონურ საქმედ" გაესაღებინა, მაგრამ როცა არ „მოვუწონე" და, პირიქით აღვშფოთდი, მაშინ სთქვა. — ჩხრეკა იყო, საფრთხე მომელოდა და ამიტომ გადავყარეო.

ასე, დამშვიდებულნი, დაბალი ხმით ეფურჩულენ ერთმანეთს სოფო და პავლე.

პავლესთვის მაინც დამაჯერებელი არ იყო სოფოს ეჭვები...

მათ ამ ფურჩულ-მასლაათში კრებაც გაიხსნა და დღის წესრიგში დასმულ კითხვებზე მსჯელობა გაჩაღდა.

პირველი კითხვა იყო ინფორმაციული მოხსენება ევროპისა და რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის შესახებ; მოხსენებას ილო აკეთებდა.

ილოსთვის ძალიან მძიმე შეიქნა ხმის ამოღება, დალაპარაკება.

რაც სოფო მოვიდა კრებაზე, მას ენა არ დაუძრავს.

ილო ახლო იჯდა პავლესთან და მას არ გამოპარვია სოფოს ჩუმი ლაპარაკიდან ბევრი რამ ვალოს შესახებ. მან რამდენჯერმე ვერ შესძლო მოთმენა კიდეც, გააღო პირი და შეეცადა ეკითხა — ვინ ვალოა ესო, მაგრამ ცივმა გონებამ ყოველთვის სძლია და დახურა პირი, აღარ სთქვა სიტყვა...

სოფო ლაპარაკის დროს გამოიცნობდა ილოს.

ილო კი სოფოს, როგორც ძველ ამხანაგს და მეგობარს, არ წარსდგომია; თავისი გაშვებული, სახის შემცვლელი გძელი წვერ-ულვაშით არ გაუცვნია მისთვის თავი.

აშინებდა ილოს, რომ სოფოზე იმოქმედებდა მისი უეცარი გაცოცხლება... ამ შიშს და რიდს რომ არ შეეშალა ხელი, ილო იკითხავდა ვალოს ვინაობას, სოფო და პავლე მას გააცნობდენ, და ილოსაც ძველი ახლობელი და ამხანაგი გამოუჩნდებოდა... აქ შემდეგ სოფოს ეჭვს ილო კიდევ უფრო გააღრმავებდა, და პავლეშიც რამდენიმედ რყევას შეიტანდა...

სოფო განსაკუთრებით სიხარულით შეხვდა დღის წესრიგის პირველ კითხვას.

„ევროპისა და რუსეთის მუშათა რევოლუციონური მოძრაობის შესახებ ინფორმაციას გვიკეთებენ... ალბათ იქიდან მოსული კაცია აქ... ოჰო, რა ბედნიერებაა, როგორ გვჭირდებოდა იგი ჩვენ!“ — სთქვა აღფრთოვანებით გულში თავისთვის სოფომ.

— ვინ, ვინ აკეთებს ამ მოხსენებას? — ჩუმად ჰკითხა სოფომ პავლეს.

— აი, ეს ამხანაგი... — მიუგო ასევე ჩუმად პავლემ და ანიშნა ილოზე.

სახელი არ გაუმხილა პავლემ სოფოს, რადგან ეს სახელი ძველი იყო; ილო ახლა ახალი სახელით, გამოცვლილი სახელით იყო მოვლენილი, და არ იცოდა პავლემ, რომელი ეწოდებია; არ იცოდა, ილო ნამდვილი სახელით გამოვიდოდა აქ, თუ მოგონილით. ამას გარდა, ისიც აგდებდა მას უხერხულ მდგომარეობაში, რომ ილო კრებაზე სოფოს არ გაეცნო, არ აუხადა ფარდა თავისი გმირული წარსულის.

მაგრამ პავლემ სწორედ შესაფერად იცნო თავისი მოქცევა სოფოსთან, როცა თავმჯდომარემ დღის წესრიგში დასმული პირველი კითხვის შესახებ მომხსენებელი ილოდ კი არ გამოაცხადა, არამედ ბესარიონად...

და „ბესო“ განაგრძობს თავის ინფორმაციულ მოხსენებას.

იგი უამბობს კრებას საკუთარ ნანახს და განცდებს...

... ევროპის მაღალი კულტურა. მსხვილი ინდუსტრია. მრეწველობაში ჩაბმული მილიონი მუშები. პროფკავშირებში შეკოკრებილი, კლასობრივი ხაზით დაკავშირებული, კაპიტალისთვის მრისხანე მტრად მოვლენილი პროლეტარიატი.

„ბესო“ შემდეგ გადადის ევროპის ეკონომიურ კრიზისზე, შრომისა და კაპიტალის ანარქიულ მდგომარეობაზე. ურთიერთ მწვავე დამოკიდებულებაზე.

... კაპიტალის ზღაპრული კონცენტრაცია. ფინანსიური კაპიტალის გაძლიერება და მბრძანებლობა. დამზადებული საქონლისათვის ბაზარის ნაკლებობა. ძლიერი იმპერიალისტური მიდრეკილებები სახელმწიფოებისა და მზადებანი, დიპლომატიური ინტრიგები. მუშათა საშიშარი სიჩუმე პოლიტიკური მეხის გავარდნის წინ და სხვა.

მომხსენებლის ამ ლაპარაკში, მის მიმიკაში, დიქციასა და ბგერაში სოფოს თანდათან იპყრობს ნაცნობი ადამიანის სითბო, ახლობელი მეგობრის სიცხოველე. ტანში ჟრუანტელი უვლის, რაღაც ძლიერად აწვება შიგნით.

ბორგავს, ღელავს სოფო...

„ბესოს“ ლაპარაკით მას უცოცხლდება ილო.

ილო მკვდრეთით დგება...

მაგრამ ილო ხომ დაიღუპა?! ალარ არის ქვეყნად ილო, სოფოს მეგობარი და ახლობელი ადამიანი ილო! ეს შემაძრწუნებელი საბწუხარო ამბავი იცნეს ფაქტად ამხანაგებმა, მიიღო ცნობად ყველამ, და რა ხანია ისინი უკვე შეურიგდენ ამ ფაქტს, რამოდენიმედ დავიწყებასაც მისცეს მათ იგი, გაატანეს სამწუხარო წარსულს... ალბა, ძმა ხომ არ იქნება? მაგრამ ძმა რომ არა ჰყავდა ილოს? ერთადერთი შვილი იყო იგი მშობლების... ეგებ ბიძაშვილია, ახლო ხათესავია მისი? ასე შეიძლება, მერე, დაემსგავსონ ბიძაშვილები ერთმანეთს? ყველაფერში დაემსგავსონ?

აძლევს კითხვებს თავის თავს სოფო.

— რა გვარია? სადაურია? — მიმართა მან ჩუმად ბოლოს პავლეს.

— ... გურიიდანაა, გურულია... გვარი? გვარი კი... კახიძე, — ასევე ჩუმად მაგრამ გაუბედავად, დაფანტულად მიუგო პავლემ.

— ... ხომ არ გეცნობა? რატომ ასე ჰკითხულობ გვარს? — პატარა პაუზის შემდეგ დაუმატა პავლემ თავის ნათქვამს.

პავლე, რა თქმა უნდა, მიუხვდა სოფოს, რომ მან გამოიცნო „ბესოს“ ამოფარებული ილო, მხოლოდ ეს ფაქტი არ მიიღო, ვერ შეურიგდა მას, როგორც სინამდვილეს.

პავლეს კი აქ შემთხვევა მიეცა და მოისურვა — მოემზადებინა სოფო ამ ფაქტისთვის, ამ სინამდვილისთვის.

და ამ მიზნით იყო, რომ მისცა კითხვები სოფოს.

— არა, მაგონებს მხოლოდ ერთ ახლო ნაცნობს... მაგრამ სახელმა და გვარმა დამარწმუნა, რომ სულ სხვა ვინმე ყოფილა, — მიუგო სოფომ ჩაფიქრებით, სევდით.

— ვინ იცის, სოფო, შეიძლება მართლაც ის ნაცნობია... სხვა გვარი და სახელი რომ აქვს, ეს არაფერს არ ნიშნავს... ამ საშინელ მეფურ რეჟიმში ჩვენი ძმების სახელ-გვარების გამოცვლა ხომ ხშირი მოვლენაა?!...

— არა, პავლე, ეს შეუძლებელი იქნება... იგი ცოცხალი არ არის... იგი იმსხვერპლა ცხრაასხუთის რევოლუციის დამარცხებამ...

— მერე, ნამდვილია ეს ცნობა? ნახა ვინმემ მკვდარი იგი? იყო შემოწმებული და დადასტურებული? შეიძლება ტყუილი გამოდგა მერე?

— როგორ არა... თავის ტანისამოსში ნახეს... მხოლოდ ნაწვალები, დასახიჩრებული, სახეზე კარგად ვერ იცნეს...

„ბესოს“ ამოფარებული ილო კი ისევ განაგრძობდა მოხსენებას.

იგი ახლა ევროპის ცივილიზაციური ქვეყნებიდან ბარბაროსულ მეფურ რუსეთზე გადმოსულიყო. ახასიათებდა რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას; ხაზგასმით ეხებოდა რევოლუციისათვის დარაზმულ პროლეტარიატს სამრეწველო ქალაქებში, მის უაღრეს აქტიურობას, ხშირად ქუჩებშიც გამოფენას პოლიტიკური მიზნით...

და ბოლოს საქართველოზეც შეჩერდა; მოიხსენია გურიაც — მან ხომ მოასწრო სტუმრობა გურიაში...

ორი თუ სამი დღე გაატარა „ბესომ“ თავის სოფელში მოხუც დედასთან ჩუმად, ღრმა საიდუმლოებით.

საზღვარგარეთის გემიდან ბათომში გადმობარგებულს, მას არ ეთქვა უარი გურიაში გავლაზე, რადგან ამით ტფილისისაკენ მიმავალი გზაც არ ეღუნებოდა ისე ძალიან...

როცა გურიაზე დაიწყო „ბესომ“ ლაპარაკი, მას აქ უნებურად წარმოუდგა თვალწინ წარსული მუშაობა, ამ მუშაობის შემსრულებელი ამხანაგები და მათ შორის სოფოც, ღელვა და ბორგვა დაეტყო; აქ მან ვეღარ შეირჩინა სიმშვიდე ლაპარაკში, აქ მისი სიტყვები ვეღარ იყო დამოუკიდებელი, თავისუფალი.

„ბესომ“ იგრძნო, რომ მის წინ მჯდომი და დაჟინებით თვალებში შემყურე სოფო გამოიცნობდა...

და სოფოსაც ახლა კიდევ უფრო გაუმახვილდა ყურთასმენა, კიდევ უფრო აიტანა იგი ტორტმანმა და ბორგვამ.

პავლეს კითხვამ მაინც — „იყო შემოწმებული?“ მეტად გაუძლიერა ეჭვი — ეს „ბესო“ ილო უნდა იყოსო.

„კი, მაგრამ ილო ხომ სოფლის ახალგაზრდა იყო! მართალია, ნიჭიერი, მოხერხებული, მაგრამ უსწავლელი, განათლებამიუღებელი, მიწის მუშა, და როგორ მოერთო ასე ინტელიგენტურად და შეიფერია კიდეც ეს ტანისამოსი? არაფერი არ მესმის! ეს ამბავი ზღაპარია! მაგრამ ყველაფერში რომ ჰგავს ილოს!?— ელვის სისწრაფით დაფრინავდენ სოფოს თავში ეს აზრები, ეს კითხვები.

— პავლე, შენ იცი რაღაც და მიმალავ! ეს ილოა, ილო... ილო... — ერეოლით, კანკალით, ძლივსღა რომ იკავებდა თავს ხმამაღალი შეყვირებისაგან, ჩუმად უთხრა სოფომ და მოდუნდა, მოეშვა; მისუსტებული, ის მთელი ტანით დაეწვა მიწას; რაღაც უჩვეულო სიცივემ და სიცხელემ დაუწყეს რბენა ტანში.

— ჰო, ილოა, სოფო! მაგრამ ნუ აღელდები. ფრთხილად. საჭირო არაა ყველამ იცოდეს ეს აქ... — მიუგო პავლემ და ყურადღებით, მზრუნველი თვალით შეაცქერდა სახეზე მას.

ამ ხანში „ბესოც“ უკვე მორჩა მოხსენებას და პავლესა და სოფოს შორის ჩაჯდა.

— ... ილო! ილო, მკვდრეთით აღდგენილო! ხომ მიცანი?!. — უთხრა სოფომ გვერდით მჯდომ „ბესოს“ ჩურჩულით, მაგრამ რაღაც უცნაური, არა ადამიანური ხმით, და ხელი ხელში ჩასჭიდა, თრთოლვით თვალებში შეაშტერდა.

და აქ შეიქმნა მათ შორის ჩუმი გულმხურვალე ჩურჩული.

— ... ახლა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, სოფო, და როცა კრება გათავდება, გზაში ყველაფერს გიამბობ, — ჩაუჩურჩულა ყურში „ბესომ“ და კრებისაკენ მიაპყრო თვალები.

პატარა შენიშვნა:

თუმცა მკითხველისათვის ,პსევდონიმი „ბესო“ ახსნილია, მაგრამ ილოს ახალი მუშაობა ამ „ბესოზე“ ამოფარებით რწყება და ჩვენც ამ სახელს ვიხმართ, ვიხმართ უბრჭყალებოდ.

ბესოს მოხსენების შემდეგ კიდევ იდგა დღის წესრიგში მიმდინარე პრაქტიკული საკითხები, რაც ჩქარა ამოიწურა, და კრებაც დაიშალა.

ბესომ დაპირება ვერ შეუსრულა სოფოს: გზაში მარტოდ წასვლა არ მოუხდა მასთან და ვერ უამბო თავისი თავგადასავალი.

მაგრამ აი, ახლა ზის იგი სოფოსთან ბინაზე და უამბობს ამ თავგადასავალს.

— რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 906 წელს, ოზურგეთის ციხიდან გამოქცეულ ბესოს დადევნებულმა ყაზახ-პლასტუნებმა მდინარე ბჟუძის საცალფეხო ხიდზე დააწიეს ტყვიის წვიმა.

ბესო დაიჭრა, მაგრამ მსუბუქად, და თავის შველის მიზნით მდინარეში გადაეშვა... ცურვა მან არც ისე კარგად იცოდა, მაგრამ ამ მხრით ხიფათს არ შეუშინდა. იგი გაჰყვა წყლის მიმდინარეობას. კარგა დიდი მანძილი გაიარა ასე, წყალში დაფარულმა, ცურვით. შემდეგ კი იწყო ნაპირისკენ მიახლოვება, წყლის კალაპოტზე ხელ-ფეხის შეხება, შესვენება; მაგრამ ამ დროს შეამჩნია, რომ ერთი პლასტუნი, რევოლვერითა და ხმლით შეიარაღებული, თვალს ადევნებდა მას და ნაპირზე მოსდევდა...

599

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესომ თავი მოიკატუნა, მოიმკვდარუნა და ასე, ოზურგეთიდან შორს, დასავლეთით, მდინარის ნაპირზე გაირიყა.

მდევარი პლასტუნი ჩქარა თავს დაადგა „დამხრჩვალს„ და „აზიური“ ლამაზი მაღალყელიანი ფეხსაცმლის გახდა მოუნდომა. აქ კი ბესომ იშოვნა მოხერხებული მომენტი, ამოაცალა ხმალი და გვერდში, ჭაჭების მხრივ ჩასცა... მოუსპო პლასტუნს სიცოცხლე ისე, რომ ხმის ამოღება, პატარა შეყვირებაც კი ვერ მოასწრო მან. შემდეგ იმისი ტანისამოსი ბესომ ჩაიცვა, თავისი მას ჩააცვა და ასე გაუდგა გზას, ქვეითად ბათომისაკენ...

თავპირი პლასტუნს აუხეხა, დაუსახიჩრა და ისე დატოვა თავის ტანისამოსში.

— უუხ, რა შეუბრალებელი, რა ბარბაროსი ყოფილხარ! მოჰკალი ხომ და პირისახეს რაღას ემართლებოდი? უთხრა სოფომ ბესოს, მოთხრობის, შინაარსით შეძრწუნებულმა, მაგრამ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით.

— ... რომ ასე არ მექნა, გამოიცნობდენ პლასტუნს და ჩემი არსებობაც დაფარული აღარ იქნებოდა. ამით ჩემს კვალსაც მოაკვლევდენ და დავიღუპებოდი; ეს რევოლუციის დანაკლისი იქნებოდა... ეეხ, სოფო, მიზანმა საშუალების გარჩევა არ იცის. რევოლუციონერობა არ ითმენს სიბრალულს და სანტიმენტალობას, — მიუგო ბესომ და განაგრძო მოთხრობა.

ბესომ უამბო სოფოს — როგორ შეძვრა ბათომის ნავთსადგურზე მოყენებულ ინგლისის სავაჭრო გემში უბილეთოდ, როგორი პროცედურებით გასცილდა საქართველო-რუსეთის საზღვრებს, როგორ იმგზავრა ინგლისამდე და მიადგა ლონდონს, რომელი ევროპული ქვეყნების დიდ ქალაქებს „ესტუმრა“ კიდევ შემდეგ და სხვა.

სოფო განაცვიფრა ბესოს გამოვლილმა ხიფათებმა, ბესოს გაბედულობამ და მოხერხებამ.

... გემის ძირში ჩაპარვა. რამდენიმე დღე ბნელ და უჰაერო საქონლის საწყობ კუნჭულებში გატარება, სადაც გათავხედებული თაგვები და ვირთაგვები განუწყვეტლივ დარბიან იატაკზე, არ ერიდებიან ადამიანს, წრიპინითა და ხრიალით იკლებენ ყველაფერს... ოფლში მოხარშულ, ქვანახშირით გამურულ ცეცხლფარეშთა გაცნობა, მათთან კავშირის გაბმა მუნჯური საშუალებით — თითების კეთებით, ტანის მიხვრა-მოხვრით. ინგლისური ენის შესწავლის ცდა, ყურადღების ცენტრის დაჭიმვა რამდენიმე მიუცილებელი სიტყვების გასაგებად, როგორიც იყო — პური, წყალი, ადამიანი, ძილი, სიცივე და სხვა... ცეცხლფარეშად დადგომა. კვირეები ასე ზღვით მგზავრობა. გულის გამწვრილებელი, სისხლის გამშრობი მოლოდინი როდის მოისურვებენ და გადაისვრიან უძირო ზღვის ტალღებში, როგორც „უპატრონოს“, გემზე ზედმეტს, „აღრიცხვაში“ შეუტანელს, კაპიტნისთვის უცხოს...

— რა საშინელი, რა მძიმე დღეებში ყოფილხარ, ილო! შენ ერთი კი არა, მრავალი სიკვდილი გამოგივლია! შესძახა სოფომ ალერსით და ხელზე წაატანა ხელი, მოუჭირა, თვალებში და სახეზე შეაშტერდა, ანთებული გრძნობით გაათბო.

სოფოს სავსებით დაუბრუნდა ამ მომენტში ძველი ილო, გაუცოცხლდა ძველი, მომკვდარი გრძნობები...

სოფოს სრულიად დაავიწყდა ამ წუთს თავისი მდგომარეობა, თავისი განვლილი წლები, ქმარი და შვილები, შექმნილი ოჯახი და ამ ოჯახის ტყვეობა!

იგი ერთთავად გადაიჭრა დაუბრუნებელ წარსულში, — დამოუკიდებელ, თავისუფალ ახალგაზრდობაში, ცელქი და დაუდეგარი ქალიშვილის ასაკში.

ასეთივე შინაგანი მდგომარეობა შეექმნა ბესოსაც.

სოფოს ხელის შეხებამ მას განუახლა წარსული, ბრძოლით დავიწყებული და გმირულად გადატანილი წარსული.

— ჰო, სოფო, ბევრი სიკვდილი გამოვიარე, ბევრჯერ მეჭირა სიცოცხლე კბილით, მაგრამ იმის შემდეგ, რაც იმ საშინელ ჯალათურ სიკვდილს ოზურგეთში ხელიდან დავუსხლტი, არაფერი აღარ მაშინებდა, ყოველგვარი ხიფათი არარად მეჩვენებოდა... — მიუგო ბესომ და მანაც მოუჭირა ხელი ხელზე, მიიზიდა, ათრთოლდა.

— ილო, ჩემო კარგო, საწყალო ილო!

— სოფო, ძვირფასო ადამიანო... შენ ისევ ისე კარგი და მშვენიერი ხარ, როგორიც იყავი...

უთხრეს პატარა პაუზის შემდეგ ერთმანეთს და შეუმჩნევლად სკამი სკამს მოუახლოვეს.

... ვერ მოითმინეს და მოჰპარეს კიდეც ერთმანეთს კოცნა.

მაგრამ სოფოს სწორედ ახლა მოაგონდა ქმარი — პართენი, შვილები — ლეო და კარლო — და გატაცების წამი, თავდავიწყების წამი შეეცვალა.

ხელი გაინთავისუფლა მან ბესოს შემოჭერილი ხელიდან, დააშორა ცოტათი თავისი სკამი მის სკამს და სხვა თემაზე ლაპარაკით შეეცადა ამ დაჭიმული ვნებიანი მდგომარეობიდან გამოსვლას.

— იცი, ბესო (მეც სხვებსავით ბესოს დაგიძახებ აქედან), რომ მე ახლა „დიდი" ბიჭები მყავს... მხოლოდ პართენისაგან კი არაფერი მესმის ეს უკანასკნელი ხანია. წერილს არ იწერება, მისამართი არ მაქვს მისი; არ ვიცი, სად იმყოფება, რას შვრება, — უთხრა სოფომ და ჩაფიქრდა, დაღონდა.

— სოფო, მე ყველაფერი ვიცი, პავლემ მიამბო. სამწუხაროა, რომ პართენისაგან არაფერი ისმის. მაგრამ საშიშარი აქ არაფერია და ნუ დაგაღონებს ეს... პართენი ალბათ გვარს და ბინას გამოიცვლიდა და ეს იქნება მიზეზი, — მიუგო დამშვიდებით, სერიოზულად, ამხანაგური მზრუნველობით ბესომ.

აქ ცოტა ხანს კიდევ იმასლაათეს, შეეხენ შინა ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს და შემდეგ ბესო გამოეთხოვა სოფოს, აჩქარებით გამოვიდა ოთახიდან და სადღაც გაქრა.

საღამო იყო. მზე დასავლეთით იწურებოდა. გრილი ნიავი მატულობდა. ქუჩაში გავლა საამო იყო. და სოფოც წამოდგა, რაღაც მონახა, ჩაიგდო უბეში და კარს მიადგა.

— სოფო, სად ეპირები? მე კი შენთან მოვედი! — შესძახა კარზე მომდგარმა სტუმარმა ქალმა ოთახიდან გამომავალ სოფოს და შეაჩერა, ხელი ჩამოართვა.

— ააა, ვისისი, შენა? როგორ დაგემართა, რომ გამოჩნდი, ჩემთან მოსვლა ინებე, ძველი მეგობრობა მოიგონე? შევიდეთ ოთახში, — მიაყარა გახარებულმა სოფომ და გადაეხვია, სასწრაფოდ ოთახში შებრუნდა სტუმართან ერთად.

მკითხველს ალბათ არ დავიწყნია ბენოს ცოლი — ვისისი.

— ... ნუ მოცდები, სოფო! შენ, მგონი, პარტიულ საქმეზე მიიჩქაროდი სადღაც. წავიდეთ, მეც შენი მიმართულებით წამოვალ, მიგაცილებ. ნუღარ ვსხდებით. რის თქმაც მინდოდა, გზაში გეტყვი, — უთხრა ვისისიმ და აღარ დაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ვისისი, პარტიული საქმე არაფერი მაქვს ამ საღამოთი. თავისუფალი ვარ და ამიტომ სწორედ შენთან და ბენოსთან მოვდიოდი.

— ჰო, შენ ყოფილხარ ამ დილით ჩვენსას. ჩვენ კი წუხელის შინ არ ვიყავით, ერთ ნათესავ ოჯახში მოგვიხდა ღამე დარჩენა...

— ოო, როგორ მინდოდა შენი და ბენოს ნახვა, როგორ ვეძებდი ბენოს, როცა გავიგე მისი სარატოვიდან დაბრუნება და როგორ მაამე, რომ მოხველ ჩემთან!

— მეც და ბენოც აქამდისაც გინახულებდით, მისამართი რომ გვცოდნოდა შენი, შენი კვალისთვის რომ მიგვეგნო. ბენოს მაინც ჰქონდა რაღაც გადმოსაცემი ამბავი სარატოვიდან შენთვის...

— და რატომ ბენოც არ წამოვიდა შენთან ერთად? რატომ არ მიამბობს? ალბათ ეს ამბავი პართენსაც შეეხება, და ხომ იცის, როგორ მწყურია მე იგი!

— ბენოს დღეს ამხანაგები ესტუმრენ და ველარ წამოვიდა. მაგრამ მე გადმომცა ეს „ამბები“ და მე გიამბობ ყველაფერს... თუ, რა თქმა უნდა, ახალია ეს „ამბავი“ შენთვის...

— რა ამბებია? სთქვი, ვისისი! რამდენი ხანია, არაგითარი წერილი რუსეთიდან არ მომსვლია. არ ვიცი, პართენი სად იმყოფება, რა პირობებშია... ამიტომ ვიყავი აღრიანად დილით თქვენთან ბინაზე...

ასე შეექცენ ლაპარაკს საკმაოდ დიდი ხნის უნახავი ყოფილი მეგობრები.

სოფოს ცოტა შიშიც აღეძრა, შეუმჩნეველი ცახცახიც დააწყებია, გული აუტოკდა.

„რა ამბავი მომიტანა, ნეტავი? ცუდი, საშინელი არაფერი მითხრას“ — უელავს თავში სოფოს.

ვისისსაც ეძნელა, ცოტა არ იყოს, ერთბაშად დაწყება.

ამბავი, რომელიც მას უნდა გადმოეცა, არასასიამოვნო იყო სოფოსთვის...

ამას გრძნობს კარგად ვისისიც და ენა ებმის, ხმას ვერ იღებს, იბნევა, შტერდება.

— ჰო, სთქვი, რატომ სდუმხარ? — იცი პართენის შესახებ რამე? ხომ არაფერი უბედურება შემთხვევია? ცოცხალია? შეშინებული, აკანკალებული ხმით შესძახა სოფომ ვისისის და თვალებში ჩააცქერდა.

— კი, ვიცი. რა თქმა უნდა, ცოცხალიცაა და კარგადაც არის; პეტერბურგში იმყოფება თურმე ახლა, იქ ეწევა დიდ პარტიულ მუშაობას, მაგრამ რუსის გვარზე... აი, მისი ახალი ფსევდონიმი და მისამართიც — მიუგო ვისისიმ სასწრაფოდ სოფოს და მიაწოდა რედიკულიდან ამოღებული ქაღალდის ნაგლეჯი წარწერით.

— ოო, ჩემო ვისისი, რა კარგი ამბავი მომიტანე და როგორ გამახარე ამით... პართენის მისამართი, პართენის გამოცვლილი ახალი გვარი... პართენი ცოცხალია და კარგად არის, — ეს ჩემთვის მთავარია! — უთხრა აღფრთოვანებით სოფომ მას და როცა მისამართი და პართენის გვარი წაიკითხა უზომოდ ნასიამოვნებმა, მადლობის ნიშნად კიდევ მოეხვია, აკოცა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

ვისისიმ, რომელიც აქამდე ფეხზე იდგა, ახლა ქუდი მოიხადა და სოფოს გვერდით ტახტზე ჩამოჯდა.

ვისისის მთავარი ჯერ სათქმელი აქვს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საიდან დაიწყოს და როგორ უთხრას? ამით ხომ წაუშლის „ამბისა“ პირველი ნაწილით მოგვრილ სიამოვნებას!? ხომ დასტანჯავს, მოსტეხს და დაუმძიმებს მდგომარეობას! მაინც ყველაფერი ეს ახალი იქნება სოფოსთვის? დაიჯეროს ვისისიმ, რომ სრულებით არაფერი ამის შესახებ არ იცის სოფომ? არა. ვერ დაიჯერებს ამას ვისისი... პართენისა და ნადეჟდას მუშაობა რედაქციაში, სულ მუდამ ერთად ყოფნა და მეგობრული ურთიერთობა არ შეიძლებოდა არ დაენახა სოფოს, არ შეიძლებოდა ამას არ აღეძრა ეჭვი, არ მოემზადებია იგი ამ „ამბისათვის“... მაგრამ რომ არც ეს არის დამაჯერებელი?

ასეთი კითხვები ებადება ვისისის, ასეთი აზრები ჰბოჭავს მას ახლა და ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია „ამბის“ გაგრძელება სოფოსთან.

— ... თუმცა ხანგამოშვებით, იშვიათად, მაგრამ სპირდონისა და ტანიასაგან წერილი მაინც მომდის, დაარღვია სიჩუმე ისევ სოფომ. — გუშინწინაც მივიღე მათგან ბარათი — მთხოვენ პართენის მისამართს... მართლა, ნადეჟდა გოლუბევას შესახებ ხომ არაფერი უთქვამს ბენოს? რას შვრება, ნეტავი? ისევ სარატოვშია?.. წინად მომდიოდა მისგან წერილები, მაგრამ ეს ერთი ხანია მანაც შემიწყვიტა, — უთხრა სოფომ ვისისის და ჩაფიქრდა.

ვისისის ახლა მიეცა შემთხვევა — დაეწყო ამბავი, რომელიც მას პართენის მისამართთან ერთად უნდოდა ეთქვა სოფოსთვის.

იგი ამ წუთში არჩევს მხოლოდ — საიდან მიუდგეს.

— ნადეჟდა... ნადეჟდა ბენოს წამოსვლის მომენტში სარატოვში იყო თურმე ჯერ კიდევ... ჰქონდა პართენთან მიწერ-მოწერა... და ბოლოს იგი პეტერბურგში გაპარვას ეპირებოდა... პართენის ეს მისამართი და გამოცვლილი გვარი, რომელიც ახლა გადმოგეცი, იმის გამოგზავნილია... — მიუგო გაუბედავად, მიკიბ-მოკიბულად ვისისიმ სოფოს და განაგრძო. — ნადეჟდა დიდ პატივს გცემს თურმე. ძალიან მოსწონხარ, ხშირად გიგონებს ამხანაგებთან, სულ შენს ქებაშია. მაგრამ, ჰმ... რუსის ქალი...

— მერე რა, რომ „რუსის ქალი“? რუსის ქალები არ ვარგან თუ? და, პირიქით, არ გეჯობიან ჩვენ? — გაკვირვებით შენიშნა სოფომ და უფრო მეტი ყურადღებით მიაჩერდა.

— ... ჩვენ გვჯობიან? მაგის რა მოგახსენო... ჰო, ჩვენზე ყოჩაღები კი არიან მამაკაცებთან სქესობრივ დამოკიდებულებაში, ქმრების წართმევაში... და რუსის ქალის ეს „ყოჩაღობა“ ჩვენს ზოგიერთ „ქმრებსაც“ მოსწონთ...

ვისისის სარკასტიული სიტყვები ლოდივით დაეცა გულზე სოფოს და მთელის არსებით შეანჯღრია.

რუსის ქალების ასე დახასიათება... სოფომ გაიხსენა უმაგალითო გმირი რევოლუციონერი ქალები — ფიგნერი, პეროვსკაია, ბრეშკოვსკაია და სხვები და მეტად აღშფოთდა, მაგრამ მეორე მხრივ მოაგონდა პართენის მიერ რუსისა და ქართველი ქალების დახასიათება, და პართენის გულწრფელობაში შეეჭვდა.

ვისისის სიტყვებში მან იგრძნო თავისთვის რაღაც მოულოდნელი და საშინელი.

მაგრამ მან შემოიკრიბა გამძლეობა და არ შეიმჩნია ეს.

— არ მესმის, ნადეჟდა მაინც რა შუაშია? მას ვისთვის უნდა წაერთმია ქმარი? სთქვი, ჩქარა, ქალო! — შეშფოთებული ხმით, მაგრამ დამშვიდებული პოზის მიღების ცდით შესძახა სოფომ ვისისის და კვლავ თვალებში ჩააცქერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ... სარატოვში შენი ყოფნის უკანასკნელ მომენტებში ეს ნადეჟდა პართენთან ცხოვრობდა თურმე... ახლა მას შვილიც ჰყოლია პართენისაგან... — მიუგო ვისისიმ.

— ოო, რა სასტიკი ყოფილხარ, ვისისი! ნუთუ მართლა! რა მითხარი ეს! ეს მიყო პართენმა!? — აღმოხდა სოფოს და მოეშვა, მოდუნდა, ღონემიხდილი მიეყრდნო კედელს ზურგით, თავი წინ, გულზე გადმოჰკიდა და ღრმა სევდას მიეცა.

— ... თუმცა ამბობენ თურმე იმასაც, რომ ნადეჟდა ცდილობს თავი შეიკავოს პართენთან შემდგომი დამოკიდებულებიდან, — სთქვა ვისისიმ და თვითონაც ჩაფიქრდა, შეწუხდა სოფოს მდგომარეობით.

ვისისის უნდოდა ახლო მიეწია სოფოსაკენ და მიეალერსნა, ენუგეშებინა, მაგრამ ვერ გაბედა.

ვისისიმ იცოდა სოფოს ხასიათი, რომ მას ამისთანა შემთხვევაში არ უყვარდა სენტიმენტალობა, თანაგრძნობა; არ მიიღებდა ნუგეშს სხვისაგან...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ... მაშ, თუ ასე იყო „საქმე", რაღას მოგქონდა მისი მისამართი ჩემთან! ჩემი მიწერ-მოწერა და დამოკიდებულება არც ისე საჭირო ყოფილა პართენისათვის და ან ნადეჟდა რას „იწუხებდა" თავს მისი გამოგზავნით!? დაარღვია სიჩუმე სოფომ.

სოფომ ამ სიტყვებით თავი ასწია და წამოდგა.

სოფოს მოაგონდა ბავშები, თავისი პარტიული საყვარელი სამუშაოები, ამ მუშაობასთან დაკავშირებით მოულოდნელად „გაცოცხლებული" მეგობარი ბესო, ბესოს ძველებური თბილი დამოკიდებულება; სოფომ ამ მოგონებათა შთაბეჭდილებით იგრძნო, რომ მარტო არ იყო, და სევდა მოეშვა გულიდან, მწუხარების ბურუსიდან გამოერკვა; შეუმსუბუქდა მდგომარეობა. აღელვებული, შეშფოთებული არსების დაუფლება იწყო სიმშვიდემ.

— ... ბენო არ ფიქრობდა ამ ამბის თქმას შენთან, მე კი ვერ მოვითმინე და გითხარი... ნუ გამამხელ ბენოსთან — გამიჯავრდება, — უთხრა ბოლოს ვისისიმ სოფოს და წამოდგა.

ვისისი გამოეთხოვა სოფოს.

— კარგი... მე თვითონ არ ვხედავ საჭიროდ ეს ამბავი „ქვეყანას მოვდვა"... შენც არ შეცდები, თუ ასევე მოიქცევი და ჩვენს საკუთარ „საქმეებს" სხვების „საზიაროდ" არ გახდი, — მიუგო სოფომ და მიჰყვა კარებამდე.

— ... მე შენი ისე მადლობელი ვარ, ვისისი, რომ არ დამიფარე ეს „ამბავი"... რაც გინდა საშინელი იყოს ამბავი, მაინც მისი თქმა სჯობია უთქმელობას... ადამიანის გონება და ყური უნდა შეურიგდეს, უნდა შეეჩვიოს მწარე სინამდვილეს, უნდა შეხვდეს მას პირდაპირ და გაუსწოროს თვალი. არ უნდა გაექცეს და არ ეძებოს ლაჩრის თავშესაფარი...—დაუმატა სოფომ თავის ნათქვამს და შემობრუნდა ოთახისაკენ.

„როგორ ისევ უცვლელი, ფანატიკოსი რევოლუციონერია კიდევ... არაფერი გულს არ უტეხს, საკვირველი ქალია!" — სთქვა გულში ვისისიმ და დაშორდა სოფოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფომ არ მისწერა არაფერი პართენს, მაგრამ თვითონ პართენმა, როგორც კი ნახა შესაძლებლობა, არ დააყოვნა და გაუგზავნა წერილი სოფოს.

წერილი სოფომ ნადეჟდასაგანც მიიღო.

ამ წერილებიდან შეიტყო სოფომ, რომ პართენი და ნადეჟდა ცოლ-ქმრულ ცხოვრებას არ ეწევიან, ერთად არ იმყოფებიან.

ნადეჟდა სარატოვიდან გაპარულა, მაგრამ პეტერბურგში არ მოსულა, საცა მას პართენი მიელოდა, არამედ მოსკოვში ამოეყო თავი; დამოუკიდებელი, მარტო ცხოვრება ერჩია, ჩვეულებრივ.

არაფერს თავიანთ გამოგზავნილ წერილებში ერთმანეთის შესახებ ნადეჟდა და პართენი არ იწერებოდენ.

ასე დუმილი ერთიმეორის მიმართ არაბუნებრივად და დაუშვებლადაც ეჩვენებოდა სოფოს.

„როგორ! იმასაც მიმალავენ, რომ ახლო ნაცნობები და პარტიული ამხანაგები არიან ერთმანეთის? რატომ, არ მესმის, რატომ წერილში არ იხსენიებენ ერთიმეორის სახელს, არ სწერენ ერთიმეორის შესახებ და არ მიზიარებენ აზრს?.. პართენმა შეიძლება არც კი იცის რომ სარატოვიდან მისი გადასახლების შემდეგ გავეცანი და დავუმეგობრდი ნადეჟდას, მაგრამ ნადეჟდას რაღა მოუვიდა? მან იმაზე თუ შეიწუხა თავი, რომ პართენის მისამართი და ახალი ფსევდონიმი გამომიგზავნა, რატომ ახლა წერილში არ ჰკითხულობს — ვიცი რამე თუ არა პართენის შესახებ, მაქვს თუ არა მასთან მიწერ-მოწერა“? — სთქვა სოფომ თავისთვის გულში და განავითარა ფიქრი ამ მიმართულებით.

პართენისა და ნადეჟდას წერილებში, თუმცა უმისამართოდ, მაინც იყო გაკვრით ადგილები, რომელიც მათ ურთიერთ დამოკიდებულებას ფარდას ხდიდა ნაწილობრივად.

აი, ეს ადგილები:

„... მე, სოფო, ძალიან დაგიგვიანე წერილი. ვერ გამოვიჩინე საჭირო მონდომება, ვერ მოგაწვდინე ამბავი... ეს სწორედ ჩემი სისუსტე იყო... ბოლო ხანს ვერ ვიყავი შენთან ჩვეული გულშემატკივარი ქმარი და მეგობარი... ახლა ძალიან კარგად ვხედავ ჩემ მიერ გამოჩენილ ამ სისუსტეს... რომ იცოდე, სოფო, როგორ მენატრებიან ბავშვები და მინდა, მოუთმენლად მინდა თქვენი ნახვა, თქვენი ჩაკცნა, რა მძიმე ყოფილა უთქვენობა... ამხანაგებს და მეგობრებს, რაც გინდა ძვირფასები იყვნენ ისინი, არ შესძლებიათ თქვენი შეცვლა... თუმცა ამ მეგობართა შორისაც ყველაზე ახლობელმა ხელი ამაღო, არ ვიცი რა მიზეზით— აღარ მეხმაურება წერილებით“.

სწერდა პართენი.

სოფოსთვის აშკარა იყო, რომ ეს მეგობარი ნადეჟდას გარდა სხვა არავინ იქნებოდა. და გასაგები იყო ახლა, თუ, რატომ „ისუსტა“ პართენმა სოფოს მისამართის მოძებნაში, თავისი ამბის „მიწვდენაში“ და სხვა.

რომანის „ლოლიკამ“ პართენს თავისი დამართა.

ეს არ ეპარებოდა მხედველობიდან სოფოს.

ამიტომ მას პართენის საქციელი კარგად აეხსნა და გაეგო.

„... ძვირფას მეგობრისა და ამხანაგს გარდა, შენ, სოფო, ისეთი იშვიათი ადამიანიც ხარ კიდევ, საზოგადოდ, რომ ჩემს მახსოვრობაში მუდამ ტკბილი მოსაგონებელი დარჩები! მე მხოლოდ ვნანობ, რომ უფრო ადრე ვერ გაგიცანი,

ვერ დაგიახლოვდი. ამის შესაძლებლობა იყო. ეს მხოლოდ ჩემზე არ შეიქნა დამოკიდებული. მე შენი არსებობა ვიცოდი, შორიდან გიცნობდი ადრევე... ვნანობ, იმიტომ რომ იმ გარემოებამ, რომ შენ უფრო ადრე არ გაგიცანი, შეიძლება მოიტანა არასასიამოვნო „ამბავი“.

სწერდა ნადეჟდა.

სოფომ ამის შემდეგაც აღარ იცნო საჭიროდ და მოხერხებულად ბარათის მიწერა პართენისათვის.

ბარათის უბრალო სავალდებულო პასუხიც დაიშურა მან...

ან კი როგორ უნდა მიეწერა?

კარგ ამბავს ვერ მოუტანდა პართენს ეს ბარათი.

სოფოს ბარათში პართენს უნდა ამოეკითხა საამო, თბილი და გრძნობიერი რამეები...

მაგრამ სოფოს ხომ ახლა ასე წერა აღარ შეეძლო!

პართენი ახლა აღარ იყო სოფოსთვის ის, რაც წინად.

პართენი ბესოთი შეეცვალა სოფოს.

ამ „შეცვლის“ ფორმალური მხარე სოფოს არ შეესრულებია, „ჯვარი“ არ დაეწერა, ქორწილი არ „გადაეხადა“ და არც ამხანაგების ფართო წრისათვის არ ემცნო ეს „ამბავი“; ბესო უბრალოდ თავის ბინაზე გადაეყვანა მას და შეუმჩნეველი ცოლქმრული ცხოვრება ეწყოთ ერთ ჭერ ქვეშ. აი სულ მათი საცოლქმრო ცერემონიები.

სოფოს ეს კავშირი ბესოსთან იცოდა მხოლოდ ორიოდე ახლობელმა ამხანაგმა... მაგრამ როგორღაც ეს „ამბავი“ მიწვდენოდა პართენის დას — ლანჩხუთშიც.

დას ამ „საშინელი ამბის“ ირგვლივ კორიანტელი აეყენებია; ჯერ კიდევ გუშინ საყვარელი, ზედმიწევნით პატიოსანი და სათნო რძალი სოფო ახლა უპატიოსნო, ზნედაცემული გარყვნილი და ქმრის მოღალატე გამხდარიყო მისთვის.

ეს მშვიდი, მუდამ თანამგრძნობი და ტკბილი მული ლანძღავს, არ ინდობს, მიწასთან ასწორებს ახლა სოფოს.

„აშარი“, „კახპა“, „უსირცხვილო“, „ოჯახის მომჯაყავი“ — ამ სიტყვებით ამკობს მული რძალს ახლა ყოველ მოგონებაზე. და ამ „მოგონების“ ობიექტი ხდებიან ხშირად შემოსტუმრებული მეზობლის ქალები, როცა ისინი ტკბილად მოეღურტულე — მოთამაშე ლამაზ ლეოსა და კარლოს თვალს შეასწრებენ და დედას იკითხავენ.

მაგრამ არც ამ ეპიტეტებით კმაყოფილდება მული...

მან გაუგზავნა ბარათი პეტერბურგში ძმას და ამცნო სოფოს შესახებ ყველაფერი, დაასმინა „ქმარს“ „ცოლი“.

გაკიცხვისა და ლანძღვის ბარათი მან არ დააკლო თვით სოფოსაც ტფილისში.

ამიტომ იყო, რომ სოფომ დიდი ხანი იწუხა, იწრიალა ბავშებზე და ბოლოს, როგორც იყო, მოახერხა მათი ტფილისში გადმოყვანა.

კარგა მოზრდილი ლეო და კარლო ახლა სოფოს თავის ბინაზე ჰყავს და ის და ბესო უვლიან მათ...

როცა სოფოს და ბესოს ერთად მოუხდებათ კრებაზე, ან სხვა მოვალეობის შესასრულებლად წასვლა, მეზობლის ქალს უტოვებენ ბავშებს თვალყურის სადევნებლად, მოსავლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... დაიგვიანა პართენისა და ნადეჟდას წერილებმა.

უფრო ადრე რომ მოსულიყო წერილები, შეიძლება ასეთი შედეგი არ მოჰყოლოდა სოფოსა და ბესოს ძველ მეგობრულ დამოკიდებულებას...

და სოფო ახლა, იმის გარდა, რომ ბესოსთან ცხოვრობს, გრძნობს თან ახლა კიდევ, რომ ფეხმძიმედ არის, ბესოს შვილის დედა ხდება.

მაგრამ სოფოს არც ის ეპარება მხედველობიდან, რომ პართენიც ასეთსავე მდგომარეობაშია ნადეჟდას შვილის მიმართ.

... სოფოსთვის ისე მძიმე შეიქნა ცნობა — პართენი ნადეჟდას შვილის მამა გახდაო, რომ სულ დაჰკარგა მან წონასწორობა და რაღაც უჩვეულო და შეუცნობელი შურისძიებით აივსო პართენისადმი.

ამ გარემოებამ აფიქრებინა სოფოს სქესობრივი დამოკიდებულება ბესოსთან, და დააჩქარა იგი.

სოფოს წინად ასეთი დამოკიდებულების დაჭერა ბესოსთან არა თუ ვერ გადაეწყვიტა, წარმოდგენაშიც კი გაურბოდა მის გატარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბესოსადმი პატივისცემა და თანაგრძნობა სოფოში დიდი და უჩვეულო იყო, იგი მაინც გადაჭრით ეურჩებოდა ამ დამოკიდებულებას...

რა გრძნობა იყო, ბოლოს, ეს? ცოლის სიყვარული ქმართან და ვალი, თუ ქალისთვის ჩვეული მეშჩანური ანგარიში და რაღაც მოკრძალება?

ძნელია თქმა, ცალკე რომელიმეზე შეჩერება.

ერთიც და მეორეც...

ყოველ შემთხვევაში, სოფოს არ შეეძლო გარკვევით ეთქვა — რომელი გრძნობა იყო ეს.

პართენის აჩრდილი აქ ყოველთვის ელობებოდა მას და თვითონაც იგი ამ „აჩრდილთან“ სრული თანხმობით იბორკავდა ხელ-ფეხს!

სევასტი თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანამ უნდა მოგვცეს მანქანა

გ ი ო რ გ ი კ ა ჭ ა ხ ი ძ ე

1.

ჰე, შეაჩერეთ!
ვინ ოხერია.
რას ღვარძლიანობს აზრით ცბიერი!
თითქოს მართლაც და ვერ გვილხენია,
თითქოს მართლაც და ვიყოთ მშიერი.
როგორც ქვემძრომი
ხალხში დაძვრება,
მავნებელივით ყველგან გამოდის...
აზროვნებაში უდევს საზღვრებად
მხოლოდ ჩითი და განძი კამოდის.
აი, გუშინაც
შუბლზე მან უფრო
კუშტი, საეჭვო ხაზი გაიკრა...
იგი ნიადაგ იჭვით საუბრობს,
დადის ქუჩებში, როგორც პანიკა.
თითქოს საკუთარ აზრს იმუშავებს, —
განსაზღვრულია მაინც კამოდით.
ანერვიულებს პურის სიშავე
და წიგნაკების ზუსტი კანონი.

[redacted]

გადაშლის ბლოკნოტს;
შიგ უწერია:
— დღეს ვერ ვიშოვე ხორცი ბაზარზე,
ღვინო გაჭირდა,
ვერვინ მწვევია
სახლში ხალისი ველარ გავზარდე.
პალტო გამიცვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი მიყვირის;
„მოვცდით სეზონში ცირკს და ოპერას“.
ნუ გაიფიქრებთ — ახალს ვიყიდი:
დრომ სილატაკით ხალხი მოთელა.
ვერ ამიხსნია!
ალბად დაგვღუპა,
ტემპმა,
რომელიც გვიმზერს მუქარით.
როგორ ვცხოვრობდით!
გვქონდა ულუფა,
გვქონდა ცხოვრება სადა, მსუქანი!

[redacted]

აგრძელებს ასე, ჩითს დანატრული,
ასკვნის, თუ ტემპში როგორ „ვდენილვართ“,
და ამ საქმისთვის „ულტიმატუმი“
როგორ მოსწერა სტალინს ლენინმა.

[redacted]

ჰე, შეაჩერეთ!
ვის რად სჭირდება,
რას ღვარძლიანობს, ვინ ოხერია!
თითქოს მართლაც და გვაქვს ყელჭირვება,
თითქოს მართლაც და ვერ გვილხენია!

2.

ცუდია, როცა
ბორკილივით დაგაქვს ნაბიჯი,
ხარ ზერელე და
წინაპართა რკალში ეტევი,
ემიგრანტივით ცხოვრებაში გახლავს ბრმა ნიჭი
და გეკარგება ძალოვანი ძარღვი ტემპების.

ჩვენ [შესაძლოა]
შავი პურის ხარჯზე ვმაგრდებით
და წიგნაკებით
ნაწილდება რიგი საგნების, —

მაგრამ ბრიყვია,
ვინც იყვირებს უარყოფითად.
უმეცარია, გასაკიცხი, როგორც სამიწე.
ჩვენს მსვლელობაში გზის გარღვევა ჯერ არ ყოფილა,
არც ნიშანია სამარცხვინო ცეცხლში დავიწვეთ.

ზოგს თუ გვაბრკოლებს
სადმე საქმის დამახინჯება, —
ეს მარცხს არ ნიშნავს.
მთავარი გზა ხომ კი სწორია.
დავკრათ,
ვიბრძოლოთ,
ვიშრომოთ და ჩვენ გავიმარჯვებთ,
როგორც ყოველთვის,
სადაც გულით კი გვიბრძოლია.

ხომ ვიცით — ხშირად
დაკაცებას მოსდევს ტკივილი,
რომ დაიმკვიდროს სავაკაცო ჯანი სხეულმა.
სიცოცხლე მუდამ იბადება მწვავე კივილით,
რის შემდეგ
მოზარდ სიხარულში ამაღლებულა.
ასეა დროც და
საჭიროა ვიყოთ გრიგალებრ;
ნება, ძალლონე რესპუბლიკას უნდა ულევი:
იმ ფართობებზე
სართულებად რომ ვდგავთ გიგანტებს,
ვაკაცებივით ტრიალებენ მილიონები.
აიღეთ ალღო,
დამკვრელობის ძალა ინატრეთ,
განჭვრიტეთ დღენი მიმდინარე საღი გონებით.
ახლად ნაგები ფაბრიკები მალე ინათებს,
როგორც ქალაქში ელმაშუქთა ლეგიონები.
ჩქარია ტემპი, —
მტრის მოწოლას ტემპი აჩერებს.
ჩქარია ტემპი, —
ინდუსტრიის რგოლებს მივყვებით.
აი, იქედან,
სადაც ვანთხევთ ოფლის ჩანჩქერებს,
მძიმე მანქანებს მიიღებენ კოლექტივები.

უნდა გავუსწროთ.
ასეთია გზები ამხანად.
უნდა გარდვიქმნეთ.
ასეთია ტემპის ლოზუნგი.
მანქანამ უნდა წინსვლისათვის მოგვცეს მანქანა,
უკანასკნელმა, გეგმიანად, — ყველა პროდუქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის სხვა გზა.
დაცემაა შენელებულ სვლით.
თვითმდინარება
სასიკვდილო დარტყმას გვაგონებს.
გადაუდებელ კომუნიზმის მშენებლობისთვის
გამოვიყენებთ წიგნაკების ციფრს და კანონებს.
და ნურვინ იტყვის:
— რად ამჟღავნებს ტემპი სიმკაცრეს?
ნურც მას:
— ხორაგი წიგნაკებზე რად დაყოფილა?
მილიონები ჩვენს შრომასთან ჯერ დავაჟკაცდენ,
შემდეგ გავიგებთ ეს ტემპები თუ რა ყოფილა.

3.

ნეპის ფინიავ!
რას წუწუნებ, გული რად გტკივა?
რომ, იქნებ შენს ფიქრს
გამდიდრების რკალში უვლია?
მოგვაქვს შეტევა.
უნდა იცნო ხვედრი მარტივად,
ახლა ხორაგის განრიგებაც კლასიურია.

რას იჯღაბნები,
მეცნიერო მიმავალისავ.
ქალიშვილისთვის ვერ ყიდულობ ოქროს საყურეს?!
შენი თემაა
გაანჩხლება ცირკის ქალისა,
დღეს, უორდერო,
დამკვრელების ჯერს რომ დაჰყურებს.

ჩვენ არ ვკითხულობთ —
რა მოაკლდა სათუთ გოგონას,
ლამით ბალეტში
ტაშს რომ უკრავს ვიღაც ჯამბაზებს.
ვკითხულობთ: მასებს,
მშრომელ მასებს ჯანი როგორ აქვთ
და ეს დღეები ამ ხალხისთვის თუ რას ამზადებს.
გამარჯვებები არ კეთდება ნელი, ტკბილი ხმით,
ტკბილად მთქმელს ბევრჯელ
მომაკვდავის მყრალი ლეში აქვს.
დაე, ტემპების სიმაღლეში გვქონდეს ტკივილი,
ამ ტკივილების დოსტაქრობა ისევ ჩვენშია.
როგორ გაიგებს
ჭამა-სმაზე ფიქრით სნეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის სითეთრე,
რომ ცხოვრების ერთი წილია.
ყოველი გეგმა, კვარტალურად დასრულებული,
მთელი ძარღვი და
ჩვენი ყოფის მთელი ლხინია.

დავთმობთ ოთახებს,
ყოველნაირ საგნით ავსებულს.
მოვსპობთ ძველ გრძნობას,
თუ ასეთი გამოგვერევა...
რომ გამარჯვების თანრიგებით გავცდეთ არსებულს,
რომ ქვეყანაზე ქუხდეს შრომის ბედნიერება.

მანქანათა ზრდით
ლითონივით გახდეს ცა რუხი,
დამკვრელების ხმას
მილწევები მოყვეს თანწყებით...
ვისაც ამ დღეთა მშენებლობა ჩირად არ ულირს,
დე, იწუწუნოს,
იყოს ნაწყენი.

ჩვენია საქე,
და ისევ ჩვენ მასავ მშრომელო,
ფრონტების გასწვრივ
მკერდები რომ ჯავშანს მიგვიგავს.
ჩვენია საქე,
და ისევ ჩვენ არ შევანელოთ
ტემპი,
რომელიც უძლეველად ხდის რესპუბლიკას.
ჩვენ გავიმარჯვებთ, —
ასეთია გზები ამხანად
ჩვენ გავიმარჯვებთ, —
ასეთია ფაქტის ლოზუნგი.
მანქანამ უნდა წინსვლისათვის მოგვცეს მანქანა,
უკანასკნელმა, გეგმიანად, — ყველა პროდუქტი:

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი და ჯამაათი

დემნა შენგელაია

I.

მერე წავიდა და წავიდა ეს გლეხური ცხოვრება დატრიალებულ წისქვილივით.

მიწას ხვნა უნდოდა, — ვხნავდით, სიმინდს თოხნა, — ვთოხნიდით, ტყეს მოჭრა, — ვჭრიდით, ცოლს ჩხუბი და წოლა, — ვეჩხუბებოდით და უწვებოდით; შვილებს ვპატრონობდით და მტერ-მოყვარეს, როგორც შეეფერებოდა, ისე უხვდებოდით. ჯოგი ზაფხულში მთაში გვყავდა საძოვარზე, ზამთარში, — რიონის ეწრებში; თევზს ვიჭერდით, ღვინოს ვსვამდით და ასე, ამ ჯახირსა და წვალებაში, ისე მოგვადგა სთველი, რომ არაფერი გაგვიგია.

ან რას გავიგებდით, როცა ეს ოხერი რუს-იაპონიის ომი მეხივით დაგვატყდა და ჩვენი შვილები სადღაც, დასაკარგავ აღმოსავლეთში, აკლავდენ თავს ისეთ ხალხს, რომლის, მტრობა კი არა, არსებობაც არ ვიცოდით აქამდე, და ჩვენ რომ აქ, ამ მინდორ-ველებში, წვითა და დაგვით ვზარდეთ ისინი, პირში სული ჩაუდგით და რის ვაი-ვაგლახით მათ ვაჟკაცობას მოვესწარით, ახლა იქ, იმ შორეულ ქვეყანაში, ლევდენ ამ სულს, სისხლს ღვრიდენ და ეს მათი ალალი სისხლი გულზე ცხელი ღვარივით გვევლებოდა და სიმწრითა და ბრაზით გონებადაბნელებულნი სულ დედ-მამის სულს ვაგინებდით იმ სულძაღლ რუსხემწიფეს ამ ჩვენი დამლუპავი ომის დაწყებისათვის.

უფროსი შვილიც იქ მყავდა და, როცა ჯავრით გულდათუთქული ჩემი ცოლი ოჯახში თავს მარტო დაინადარებდა, მოსთქვამდა გულსაწვავად, ტიროდა ცხრა მთას იქით ცეცხლსა და ტყვიაში შესულ შვილისა და თავისი უბედური დღის გაჩენასა და მოსწრებას. თუ მე სადმე შორს არ ვიყავ წასული, ეს მოთქმა გულში ლახვარივით მხვდებოდა, და მეც ვოხრავდი, ვკვნესოდი და, ბოლოს, ამ მოთქმა-ტირილს დასასრული რომ არ ექნებოდა, მოთმინებიდან გამოსული მივრბოდი შინ, რომ ამ ყრანტალა დედაკაცისათვის კნაპი ჩამეგდო და გამეჩუმებინა. შინ რომ მივიჭრებოდი, იყო მერე ჩემი ჩხუბი და ყვირილი. სხვა რა უნდა მექნა, ან რა გზა მქონდა? აბა სად გაგონილა ცოცხლის მოთქმა-ტირილი? შვილებიც მხარს დამიჭერდენ და საწყალი ჩემი ბეხრეკი ცოლი ჩუმდებოდა დამნაშავესავით და ასე, ფაცხის ბნელ კუთხეში ხმის ამოუღებლად, გმინვით რალა-

ცას ფუსფუსებდა. მაინცდამაინც მაშინ გამოუჩნდებოდა ქვეყნის საქმეები და ფაცურობდა, საქმიანობდა თავაუღებლად. მე უცქერდი მის საქმიან ფუსფუსს და მეცოდებოდა, იმიტომ რომ ის გულზე მოწოლილ ჯავრსა და დარდს საქმეში აქარვებდა. მაგრამ ბოლოს, ილაჯი რომ გაუწყდებოდა და მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, აკაპასდებოდა და ისევ მე (უფრო დაბალ ღობედ ვეგულებოდი) შემომენთებოდა გაცოფებული:

— აბა, რა ვქნა, რა, შე მიწაგასახეთქო! შვილია ჩემი, ძაღლი ხომ არაა? ცხრა თვეს მუცლით მიტარებია, ძუძუ მიქმევია! ქვა დავიკიდე კისერზე და ისე გავზარდე. მისთვის ათასი სიმწარე და უბედურება გავიარე და რას მემართლები, შე ქვეყნის აჯამო, შენ! — და მე, მის ათრთოლებულ ნიკაპსა და დაცრემლილ თვალებს რომ შევხედავდი, ვფიქრობდი ჩემთვის:

— მართალი ხარ, სალომე, მართალი, მაგრამ ერთი მეც მკითხე, — რა ვქნა? განა მე მამა არა ვარ და გულ-ღვიძლი არ მეწვის? ვის შევჩივლო, ვის შეუტიო და ვისზე მოვიოხო ეს ჯავრიანი გული? ეეხ, ჩემო სალომე, ჩემო სალომე, რას იზამ, ხემწიფე შორსაა და სხვას ვის ვეყაყანოთ, თუ არა ისევ ერთიმეორეს? შორსაც რომ არ იყოს, მათრახი იმას უჭირავს ხელში და სახარება და ჩვენ რა ძალა გვაქვს? მაგრამ ერთი თუ ავიწყვიტეთ, მაშინ უყურე, რა დღე გაუთენოთ! ახლა? ახლა რას იზამ? უნდა ვითმინოთ და მოთმინებაში ამოგვხდეს ეს გაძაღლებული სული.

ასეთ დღეში რომ ვიყავ, მარტო მე კი არა, ყველა, ჩვენ, დიდიანპატარიანად ისე ვიცოდით სახალინის, მანჯურიისა და პორტ-არტურის ამბები, როგორც ჩვენი საკუთარი ყანები, და სტესელს, კუროპატკინს, ნოგის, ტოგოსა და სხვებს ისე ვიცნობდით, როგორც ჩვენი ყურის მეზობლებს და, გულს დარდი რომ შემოგვაწვებოდა, ვმღეროდით სიმწრით:

ტოგომ უთხრა მაკაროვსა:
— ვეღარ შესჭამ მაკარონსა;
შენი ჩინი და მენდალი
ზღვაში თევზმა ატაროსა.

ეს ცხოვრებაც თადათან გაჭირდა. ბაზარში ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა, მემამულეები და მათი ყუბაჭი დარაჯი მამასახლისი და ჩაფრები ზურგზე ტყავს გვხდიდენ და ეს წუპაკი ხუცესიც სულთან ერთად ხორცად შეჭმასაც გვემუქრებოდა.

იმ ურჯულო რუსხემწიფემ ესეც არ გვაკმარა, — შვილებს გვირუსებდა და ასე გვთიშავდა და გვაშორებდა ჩვენს ღვიძლ ძმებს.

მისი დანიშნული მასწავლებლები ჩვენს ენას ძაღლის ენას ეძახდენ, ზნესა და ადათს გვიბიაბრუებდენ და ნამუსს გვირცხვენდენ, და, ასე გაბახებულნი და მიწასთან გასწორებულნი, თუ სიტყვას საყვედურით შევუბრუნებდით, — მაშინვე ბუნტის თავად გვაცხადებდენ და სარჩობელაზე თივით გატენილ ტომარივით გვკიდებდენ, იმიტომ რომ ველურები ვიყავით, გაუნათლებელნი, ჩვენი სიკეთე ჩვენვე არ გვესმოდა და ჭკუას გვასწავლიდენ. რა უყოთ რომ რჯულით ჩვენც ქრისტიანები ვიყავით? — მაინც ურჯულოებს გვეძახდენ, და არ იყო ჩვენი საშველი. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი, — ასე იყო ჩვენი საქმეც. ჩვენ ერთ დიდ საცეხველში ვეყარეთ ღომის ჩხოსავით და რუსხემწიფე დაგვარტყამდა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურჯულო ვიყავით თათარი დაგვეცემოდა, — მაინც ურჯულო ვიყავით. ერთი გიაურს გვეძახდა, მეორე ურჯულოს, და ჩვენ, საწყლებმა, არ ვიცოდით, რა რჯულის ვიყავით. ცოტა ხნის შემდეგ მივხვდით, თუ რა რჯულისაც ვიყავით ჩვენ და, ახალთაობის დროს რომ ავდექით, მაშინ გავიგეთ რომ ჩვენი რჯული ერთობაა. მე მაშინ მივხვდი, რომ ყველა კაცი, რომელსაც ეშვი გრძელი არა აქვს და ქონი ბლომად ადევს მუცელზე, — ურჯულოა. ჩვენი ცხოვრება კი ისე იყო მოწყობილი, რომ ქონი ჩვენ გვქონდა და კბილი იმათ, — არ ვიცოდით, რომ კბილი ჩვენც გვქონდა. როცა ვისწავლეთ, იცოცხლეთ, ჩვენ მაშინ ეს კბილები დავახრჭიალეთ.

ვმღეროდით და როცა ჩვენ ბატონებს ეს არ მოსწონდათ, ტირილს ვიწყებდით, — მაგრამ ისინი მიზეზზე იყვნენ, მათ არც ეს მოსწონდათ და, რომ გავმწარდით, მივხვდით, — ჩვენი საშველი არაა, თუ ჩვენსავით დაჩაგრულებს არ გავუწოდეთ ხელი, დავიღუპებით სისხლიან-ხორციანად შეგვჭამენ ეს მამასულ-ძაღლები.

მათ არაფერი მოსწონდათ ჩვენი, გარდა ჩვენი ოფლისა, ჭირნახულისა და იმ მიწისა, სადაც ვცხოვრობდით და ბინა გვქონდა დადებული. ან ჩვენ უნდა ავყრილიყავით და თვალები დაგვეთხარა, ანდა ისინი უნდა გადაგვეყარა. ჩვენც ჩვენს აყრასა და თვალების დათხრას ისევ მათი გადაყრა ვარჩიეთ. როცა მოთმინება დავკარგეთ, ავდექით და მთელი ამ არემარის სოფლებმა ერთ ენკენისთვის დღეს სოფელ ნაესაკოვოში ნამალავად თავი მოვიყარეთ და, როცა მაღალზე შემდგარმა ახალთაობის კაცმა დაიძახა:

— ძირს ნიკოლოზ, მისი ეკლესია და ყაზარმები!

ჩვენ, ჩვენით კი არა, თავისით აღმოგვხდა:

— ძირს! ძირს! ძირს! — და ჩვენ ასე „ძირს"-ო რომ ვიძახდით, ფილთა თოფები, კაჟიანი დამბაჩები, წალდები და თოხები მაღლა გვქონდა ტყესავით აწეული და ეს ჯერ უნახავი ტყე რისხვით ირწყოდა, გუგუნებდა და გუგუნი იგი მიდიოდა ამ ხელის-გულივით გაშლილ მინდორ-ველებში, თაღარაში, მერეებში, ეწრებში, მთებში, ღარდა-ღრეებში და ჩვენ სიხარულით უსმენდით, როგორ გვეხმაურებოდენ ეს მთები, ეს მინდორ-ველები გამოძახილებად და კიდევ იქით, მინდვრებს გადაღმა, ქალაქები იყო და ქალაქებში ქარხნები ზანზარებდენ, მათ საყვირები ცად გაეყარათ და ისინიც გუგუნებდენ, ჰკიოდენ ჩვენსავით ამბოხებულნი:

— ძირს! ძირს! ძირს!

და ჩვენთან ერთად ამდგარი ცა და ქვეყნის ხმა რომ მოგვესმა, მთლად გადავირიეთ, ოჯახი და კერია დედაბრებს შევატოვეთ ხელში და ამ დღიდან ჩვენი სახლი ცისქვეშეთი იყო და საქმე ყაყანი. მთელი დღეები ეკლესიის ეზოში ვეყარეთ. მის გვერდით, გალავანს გადაღმა, სოფლის კანცელარია იდგა, მიგრამ ჩვენ ამას არაფრად ვაგდებდით და ასე, ამ ორ ცეცხლს შუა, — აქეთ ეკლესია, იქით კანცელარია, — ვდავობდით, თუ როგორი წესწყობილება მოგვიხდებოდა: ისეთი, როგორიც ფრანცუცებს აქვთ, თუ სხვანაირი, ჩვენებური?

ერთობის კაცები სოფლიდან სოფელში დადიოდენ და ხალხს ატყობინებდენ:

— ხალხნო, ამხანაკებო, მეზობლებო! ამა და ამ ადგილას დიდი თავყრილობაა და, იცოდეთ, არავინ დააკლდეს, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს! ვინც დააკლდება, იმას ბოიკოტი არ აცდება.

და ჩვენ, ბოიკოტის შიშით კი არა, ისე, ჩვენთვის, დავდიოდით ყრილობიდან ყრილობაზე ტყეებში, ეწრებში, ჯერ ჩუმად, ბოლოს თავს ისე გაგვივიდა, რომ სააშკაროზე გამოველით და ყურს უგდებდით ახალთაობის კომიტეტის კაცებს, და ისინი, ის ყელკურთხეულნი, რომ ლაპარაკობდენ, გვეგონა, გულში გვისხდენ და მათი პირით ჩვენ ვლაპარაკობდით.

ჩემი მურზაც ახალთაობის კაცი იყო და ყველგან, — ყანაში, ქორწილში, წირვაზე, ტირილში, სადაც ორ კაცს ერთად თავმოყრილს წაეწეოდა, — ქადაგობდა, ლაპარაკობდა (როგორი მამის შვილი იყო?), გვიხსნიდა, გვირჩევდა, რომ ყველაფერს რესპუბლიკა გვირჩევნია და ჩვენ, მართალია, კარგად არც ვიცოდით რა იყო ეს რესპუბლიკა, მაგრამ ვიცოდით, რაც იყო, — კარგი იყო, და ჩვენც ეს კარგი ძალიან გვინდოდა. და ის რომ გვიხსნიდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით, რომ ეს წუპაკი მემამულეები, ხუცები და პრისტავ-მამასახლისები თავიდან მოგვეშორებინა, ჩვენ, ყველა, ერთ დიდ ანგარში ჩაყრილი მგლების ხროვას ვგავდით და, ამ სივიწროვეში რომ ვერ ვეტეოდით, ვიღრინებოდით, ვყმუოდით და მომავალი ბრძოლების მოლოდინში კბილებს ვილესავდით, რისხვით ვაელვებდით, მაგრამ მეორე დღეს მაინც იმ რჯულძაღლ ხუცესთან მივრბოდით ჩუმად, ერთიმეორის ნამალავად და მამასახლისთან საჩივარი მიგვქონდა. იმიტომ რომ, თქმა ადვილია და შესრულება ძნელი, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და, რომ ვთქვა, — ყველამ უცებ შევიგენით ახალთაობის აზრებიო, ტყუილი იქნება. ეს ჩვეულება არც ისე ადვილი ამოსაღები იყო გულიდან, მაგრამ მალე ამასაც მივეჩვიეთ და, თავისუფლებას გემო რომ გაუცანით, მაშინ მივხვდით, რომ ლაღად ვართ და ერთი ფრთის გაქნევაა საჭირო, რომ გავფრინდეთ. რა ვუყოთ მერე, ფრთა რომ არა გაგვაჩნია, — სამაგიეროდ იმედები ხომ ბლომად გვაქვს, რწმენაც, და ეს რწმენა თუ დავარხიეთ, — გავფრინდებით კი არა, ცად ავალთ, იმიტომ რომ რწმენა ხეს ახმობს, ქვას ჰხეთქს და დედამიწას ადუღებს. ამ რწმენამ ჰქნა ის, რომ ჩვენ ერთიანად ავზავდით და ასე ხუილით, გრგვინვითა და ელვა-ჭექით მოვედეთ მთელ ოდიშს: სენაკში, ზუგდიდში, აბაშაში, კორცხელში, ობუჯში, ჭაქვინჯში, გულეკარში კახათში, დარჩელში, განაჯიაში, მუხურში, ილორში, მარანში, ნაესაკოვოში, და ვინ იცის კიდევ სად, — ყველგან გამოველით ჩვენ, და აზავთებულნი, რისხვით გულავსებულნი, ვიქნევდით ცაში მჯიღებს და ზურგს უკან დატენილი ფილთები, ძველებური შტუცერები, დამბაჩები, წალდები და თოხები გვქონდა ამომალული, რათა მტერს უფრო მოულოდნელად დავსხმოდით და ეს ცა თავზე რისხვად ჩამოგვენგრია.

ხემწიფის კაცებს ბოიკოტი გამოუცხადეთ და ჩვენი ასისთავები და ათისთავები ავირჩიეთ.

მე ასისთავად დამნიშნეს და, ერთი რომ დამეძახა, მთელი სოფელი ფეხზე ადგებოდა, ქუდზე კაცი გამოვიდოდა და ისე მოვარბევდით და მოვატრამალებდით ჩვენი სისხლის მსმელებს, რომ სახლში ამბის წამღებს არ დავტოვებდით. ეს ოხერი, იმ წუთიდან, რაც მე ასისთავობა მივიღე, ვიგრძენ, რომ დიდი ძალა მაქვს, ჭკუაც მომემატა, გავლენაც და სულ სხვა ვიყავ. მე მაშინ დავრწმუნდი, რომ ძალა-უფლება ზოგჯერ აფუჭებს კაცშვილს და, თუ საკუთარ ჭკუაზე მაგრად არა ხარ, უხეიროდ გაყოყოჩდები და ასეთი კაცის სიახლოვესა და ხელის ჩამორთმევას, ძაღლს რომ მოკიდო ხელი კუდში, ის გერჩიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ჯერ წყნარად დავიწყეთ, მემამულეების მიწებში ჩვენის ოფლით მოწეული ჰინახული ბატონის დაუკითხავად შინ წავიღეთ და წილის მაგიერ შავი ქვა და ცხელი ნაცარი გავატანეთ მათ მოურავებს. დედიმისის შვილი იყო და კრინტს დასძრავდა! ჩვენ მიზეზზე ვიყავით და, თუ რამეს გაბედავდა, თივასაც აუცელავდით; თუ ჭკუას კიდევ არ ისწავლიდა და ბოქაულს საჩივრით მიმართავდა, სახლსა და ნალიას გადავწვავდით თავზე.

იმათ ბოქაულ-ჩაფრების იმედი ჰქონდათ, ჩვენ ჩვენი მკლავისა და ღონის, — ჩვენც ავდექით და წაველით ჯიქურ.

როცა ვერაფერი მოგვიხერხეს, მაშინ გაბრიყვება დაგვიპირეს, რომ ეს ჩვენ კი არა ვართ, ქვეყანა რომ თავუკულმა ამოვაბრუნეთ, ეს ის ხემწიფის ფიცის გამტეხი გურულებია, სულ იმათი ბრალია ეს სიავე, მაგრამ ჩვენ არც ისე ბრიყვები ვიყავით, რომ მათი სიტყვისთვის ყური გვეგდო, მათ უნდოდათ ძმების წინააღმდეგ ავემხედრებინეთ, ძმა ძმაზე ავმდგარიყავით და მერე, წყალი რომ აიმღვრეოდა, თევზის ჭერა უფრო იოლი იქნებოდა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ის თევზი, მათ რომ დაჭერა უნდოდათ, ჩვენ ვიყავით და ამიტომ არც წყალი ავამღვრიეთ, გურულები კიდევ უფრო შევიყვარეთ. ან რა გვქონდა მათთან საამტრო და გასაყოფი? ისინი ჩვენთან იყვნენ, ჭირს ჩვენსას იზიარებდენ და, თუ ლხინი გვექნებოდა, არც ლხინში გამოვიწყვეტდით. ჩვენ მათი ჭირიც არ გვემეტებოდა მიწაზე დასაგდებათ და ძმას მტრად რატომ მოვიკიდებდით? მართალია, ჩვენ ნაბატონარებს სულელი და ბრიყვები ვგონივართ, მაგრამ ჩვენ არც ისე ბრიყვები ვართ, წყალს რომ დავლევთ, ჭურჭელს მერე გაუსინჯოთ ძირი. ჩვენ კარგა ვიცოდით, რომ ჭურჭელს ძრო წყლის დალევამდე უნდა უნახო, ისიც ვიცოდით რომ ეს ძრო საიმედო იყო და ჩვენს გამაბრიყვებლებს თავმოსაგვულნი ვეუბნებოდით:

— გაგვაბრიყვონ, ბაბა, იმ გურულებმა, მოგვალორონ, თქვენ რა გენაღვლებათ მერე? ჩვენ ძმები ვართ, ერთი სისხლი და ხორცი და ჩვენი ამბავი ჩვენ უკეთ ვიცით. ერთიმეორის ტკივილი გვესმის და ჩვენ ჩვენში გამოვრიგდებით. მარცხენა ხელი რომ ამტკივდება, მარჯვენა მალამოს დამადებს და ტკივანს მომისალბუნებს. ასე ვართ ჩვენ და ჩამოგვეხსენით, მოგვშორდით, თუ სიცოცხლე არ მოგძულებიათ! იმათ ჩვენ ძმად ვეგულვით, თქვენ მოდიხართ და გვირჩევთ ეს ძმა მტრად მოვიკიდოთ. თქვენ, ბაბა, ძაღლის შეჭნილს გვეძახით და გინდათ მაინც ძმათ მიგიჩნიოთ და ნამდვილ ძმას გულში ხელი ვკრათ? არა, არა, ბაბაია, ჩვენ არც ისე სულელები ვართ, რომ ამდენი ანგარიში ვერ გავსწიოთ და ძმა მტერში ვერ გამოვარჩიოთ. რა ღუოთ, მერე, ვიყოთ ჩვენ ძაღლის შეჭნილ-შობილები და კუბაკები, არ გედავებით, მაგრამ ერთი მაინც იცოდეთ,— ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს. ამიტომაა, ჩვენ რომ ასე ტკბილად ვართ და, თუ ვისიმე ტყავის დახევა გვენატრება, ისევ თქვენი, იმიტომ რომ ამ ტყავქვეშ თქვენ ჩვენგან წანაგლეჯი ქონი გაქვთ ამოდებული და თქვე დალოცვილებო, ჩვენ რას გვიმტყუნებთ, როცა თქვენ ჩვენი ქონი ასე გიყვართ, ჩვენ როგორ არ გვიყვარდეს, როცა ის ასე გემრიელია, ასე სულივით ტკბილი, მსუყე და თბილი? მით უფრო, როცი ქონი, როგორც ამბობენ, კაცს კარგ გუნებაზე აყენებს. იმასაც ამბობენ, მსუქანი კაცი გულკეთილიაო და თქვენ, თქვე ურჯულოებო, ასე რომ გასუქებულხართ ამ ჩვენი ქონით, თქვენ რამ გაგამწარათ, რომ სულიანხორციანად შესაქმელად არ გვინდობთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ შეგვჭამდეთ, — ძაღლივით ხართ, რომ შეგვჭამთ, — სუქდებით, და, რომ გასუქდებით, მერე გეცოდებით და შავის ცრემლით დასტირით ჩვენს გახრულ ძვლებს, სულს შესანდობარს უთვლით და, რადგან ხორცი უფრო ძვირფასია შესანდობარზე, გახრულ ძვლებს ისევ მოუბრუნდებით და სტირით, სტირით, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ საბრალონი ვართ, — არა, სტირით, იმიტომ რომ ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაქვს და არა ათი, რომ ათჯერ იტიროთ, ათჯერ დალიოთ ჩვენი სულის შესანდობარი და ათჯერ შეგვჭამოთ. ასე გულკეთილი ხართ და გვაპატიეთ, რომ მიგიხვდით გულის სიკეთეს და მოყვასისადმი ესოდენ უანგარო სიყვარულს! ახლა, ბაბა, საქმე სულ სხვანაირადაა, ახლა სხვა ანგარიშია, და ქენდურ თქვენ საქმეს! ერთი, თუ კაცი ხართ, მაჩვენეთ ის მამასულძაღლი, რომელმა სთქვა, რომ ორჯერ ორი სულ მუდამ ოთხიაო? ხან ხუთია, ბაბა, და ხან სამი. თუ ძალა გაქვს, — ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც შენ გინდა. ახლა ძალა ჩვენ ხელშია და ჩვენც სხვანაირად ვანგარიშობთ. ის მათი ანგარიში იყო, ახლა ჩვენ ჩვენი ანგარიში გვაქვს. აქამდის ხომ თქვენ გვჭამდით? ახლა ჩვენც გვინდა ვჭამოთ. და მე რომ ახლა ვანგარიშობ, მომავალ სიამოვნებათა და ჯავრის ყრის მოლოდინში, ხელებს ვიშმუშნი, თავში ფიქრები ბუზივით ირევა და ითვლი მებატონეების, ბოქაულის, მამასახლისისა და ჩარჩ-ვაჭრების ოდებს,- ვდუქნებს, კანცელარიებს, ნალიებს, ხულებს, მარნებსა და ჩალისა და თივის ზვინებს, თუ როგორ წამოვაქცევთ მათ ეზოებში ხარებს, ძროხებს, გოჭებს, ინდაურებსა და ქათმებს და, რასაც ვერ შევჭამთ, დავირეკთ წინ და სახლებში მოვლალავთ. დავლევთ მათ ღვინოებს, დავარბევთ მათ ოჯახებს, დავაწიოკებთ ფურნის თეთრი პურივით გაფუებულს მათ ცოლშვილს და შემოუტევთ:

— ჰაიტ, თქვე წუპაკებო, თქვენ, გეყოთ, რაც სისხლი გვწოვეთ! ახლა ჩვენ გვიყურეთ, თუ როგორ ვიცით სამაგიეროს გადახდა!

ჰაუუ, რამდენი მრგვალად შემწვარი უშობელი უნდა შევჭამოთ ჩვენ, რამდენი ძროხის ბეჭი, წინ რომ დაიდებ და, ათლისას, მისი ორთქლი და სუნი საამოდ გხვდება პირში. რა სჯობია ახლა კელამიდებზე შემწვარ ჭანიწყლის კალმახებს, ნიგვზის ფურცელში გახვეულს რომ მოგართმევენ ნივრის, ქინძისა და ძმრის საწებელით, საკუთარ ტყავში გახვეულსა და ლადარში შემწვარ ჩვილ ბატკანს ფლავითა და კუჭმაჭით გატენილს, ჩახხბილ ქათმებსა და ძიგურის ხოხბებს, ცხელ-ცხელად მორთმეულ სუკისა და კელავერის მწვადებს, შაშხს, ღორსა და პილპილითა და ქონდრით ნაკაზმ ბურაკის კუპატებს, კვერცხწაცხებულ შემწვარ გოჭებს, მის ნაწლავებსა და კუჭმაჭს ცალკე მოხრაკულს, ქარვასავით ყვითელ ჩიხირთმას, სუნელითა და პილპილით შეზავებულ მწიფე დედლის ხარშოს და ჩასაციებულ ინდოურებსა და ბატებს. ტყემალში ჩაწყობილ ვარიებს, ჩვენებურ რიონისა და ცენიწყლის ზუთხსა და კობრებს, მეავე წაწს, ტყემლის წვენსა და ნიგვზის ბაქეს, პიტნაში ნაკაზმ ნადულსა და სულგუნს! გურული მძაღე, ალაყურტი, ერბო-კვერცხი ნიგვზით, წითელი ლობიო, წითელი მხალი, ეკალა და მეავე კიტრები? ეეხ!.. ეეხ!.. და ყველაფერი ეს შეზავებული და ნაკმაზი ტყლაპით, ქინძით, ჟაშკულავით, კამით, ომბალოთი, პიტხით, პილპილით, უცხო სუნელით, ნიახურით, ოხრახუშით, ნიგვზით ან თხილით და ზედ მორთმეული მეავე ლახანა და ჩასაცივებული პატრიჯანი პირის გასახალისებლად და ყველიფერ ამაზე ღომი, ქარვასავით ყვითელი მჭადები, ხაჭაპურები, ელარჯი და ზედ სანთლისა და ბეოლის არაყი და, ჰაუუ, რამდენნაირი ღვინო გველის ჩვენ იქ, იმაზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნებში! გვიცდიან, როდის მივალთ მათთან და ჭურებს თავს გადავაგლეჯთ. თქვენთან რა მაქვს დასამალი და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნამეტანი მიყვარს ქვევრებში ასე უხვად ჩამდგარი მზის ფუცხუნა სინათლე და სული მიმდის, გული არ მითმენს, რომ ეს ღვინოები იქ დგას, ქვევრებში, და არა ჩემში. ღვინო მე ნაირ-ნაირი მიყვარს, ქალებიც, კაცმა რომ სთქვას, მაგრამ ეს უკანასკნელნი მე ახლა ჩემ შვილებს შევატოვე და გადავწყვიტე ცოლსაც გავეყარო, მარანში გადავსახლდე და ცოლის მაგიერ ჭურებთან ვიძინო. ყოველ საჭმელს თავისი შესაფერისი ღვინო უნდა, თადარიგი და წესი, რომ ღვინოების მორთმევის რიგი არ დაირღვას. ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, კაპისტონი, ცოლიკოური, იზაბელა... ყველას თავ-თავისი ადგილი აქვს, ყველა ერთნაირ საჭმელთან არ დაილევა. ამდენ ხორაგსა და ღვინოს თამადაც სჭირია, მერიქიფენი, მხარეულები, მოქეიფენი, სიმღერები, ოხუნჯობა, ზმები და შაირები. და ახლა, ყველაფერ ამას რომ წარმოვიდგენ, კუჭში, გულის კოვზთან მწოვს რაღაც, პირს ნერწყვი მადგება, მკლავებში ღონე მერჩის და თავს სინანულით ვაკანჩურებ. ეეხ, ეეხ, ძნელია, ძნელი, ბაბა, როცა ეს ამოდენა ხორაგი და ღვინო მხოლოდ ფიქრებშია ასე უხვად მორთმეული და არა სუფრაზე. მათ გახსენებაზე მოთმინება მეკარგება, მზად ვარ ავიდე მაღალ ხეზე და იქიდან გადავძახო ამ სოფელსა და მთელ ქვეყანას:

— ჰაუუ, ჯიმალეფი, მივშვათ, მივშვათ მალას! ავაოხროთ ეგ ღდინ-ძაღლები, თვარა, ხომ ხედავთ, შეჭამეს ამ ბალაგარებმა მთელი ქვეყანა და ჩვენ არაფერს გვიტოვებენ!

მე რომ ასე ვარ და თავს თხასავით ვაკანჩურებ, თან ვფიქრობ ჩემთვის: ცოდვა ორნაირია, ბაბა: ერთი ის, ხორცს ნებაზე რომ მიუშვებ და გულის თქმას ხორცს ააყოლებ, თუმცა ეს არც თუ ისე დიდი ცოდვაა. მთავარი ცოდვა იმას მიქვია, როცა არაფერი გაქვს, გულისთქმას აჰყვები და მადას ფუჭად აღიზიანებ. ეს არც ხორცს არგებს რამეს და არც სულს. თუ სჭამ და არ ლაპარაკობ,— ეს კარგია: თუ სული არა, ხორცი მაინც მადლიერი დაგრჩება და ეს დალოცვილი სული განა ხორცში არა დგას? — მაშინ ისიც დალხინებულია. თუ არ სჭამ, — ეს კიდევ უარესი! საჭმელი რომ არა გაქვს და ნაირ-ნაირზე ლაპარაკობ, ეს არაფრის მაქნისია, — ხორცს ტყუილ-უბრალოდ ამწარებს და სულს აღონებს. ამას გარდა, თუ შენი თავი არ გეცოდება, სხვა მაინც უნდა შეიბრალო! მშიერი უნდა მღეროდეს, რომ სიმშილი დაავიწყდეს, მაძღარიც უნდა მღეროდეს, რომ საჭმელი მოინელოს, სიმღერაში ჰაერი სტომაქიდან ამოუშვას და ხორაგს მეტი ადგილი დაუტოვოს. ასე რომ, ჩვენ რომ ვმღერით, ვიცინით და ვხუმრობთ, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ჩვენ მაძღრები ვართ. არა, ბაბა, ჩვენ სიმშილი გვინდა დავივიწყოთ და მომავალში გაძღომის იმედები გვამღერებს ასე. ჩვენი ხორცის მჭამელებს ეგონათ, რომ ჩვენ სიმსუქნით ვმღეროდით ასე ტკბილად. რას იზამ, მაძღარს ყველა მაძღარი ჰგონია. და ჩვენ ასე რომ ვმღეროდით, უეცრად სოფელში ხმა მოვიდა, რომ მთელი საქართველო და ქვეყნიერება ადგა და ჩვენც სიხარულით ფრთა შეგვესხა, კიდევ უფრო გავდიდგულდით და ისე გავაამპარტავანდით, რომ ბუზის დაჯდომასაც ვთაკილობდით. ხომ გაგიგონიათ, ჭიანჭველას ფრთა რომ ამოუვა, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო? ჩვენც გაგვიწყრა ეს ღმერთი, მაგრამ ჩვენ ეს აინუნშიაც არ ჩაგვიგდია. ავდექით და ჩვენც შემოვწყერით მას და ღარი ვთქვით მის რწმენაზე. ჩვენ ასე ვიანგარიშეთ:

ღმერთი იმიტომ გააჩინა კაცმა, რომ მას გამოსდგომოდა და, როცა მან კეხი შეაბრუნა და ჩვენი გამოყენება დაიწყო, ავდექით და ჩვენც ზურგი შევაქციეთ მას. მე რომ ხეს ვრგავ ეზოში, ეს ხე ან ფიცრად უნდა გამომადგეს, ან ხილად და ან საჩრდილოდ. თუ არცერთისთვის არ ვარგა, მაშინ ამ ხეს ძირში ვჭრი, ისე კი არა, ზედ რომ ვიჯდე, ჯერ ძირს ჩამოვდივარ და მერე ვცემ ნაჯახს. ასე მოვექეცით ჩვენ ღმერთსაც, მაგრამ, ეს ოხერი, გულში მისი შიში მაინც მქონდა და მას რომ ვქირდავდი, ეშმაკს მაინც ვადიდებდი და მისი იმედით ვიყავი. ქვეყანაზე ორი ძალაა, მესამე არ არსებობს. როცა ერთს ჰქირდავ, მეორე კალთას გაფარებს და მეც რაც შეიძლება თბილად ვგრძნობდი თავს ამ კალთებ ქვეშ. განა სულ ერთი არ არის, თუ ვისი კალთაა იგი? ხომ გვათბობს და ჩვენც სხვა არაფერი გვინდა. ამ ორ გზაზე ვკუნტრუშობდი და თან ვანგარიშობდი: ღმერთი თუ შემოგვწყრა, ეშმაკი ხომ ნაღდია და, ეშმაკი თუ თან გახლავს, ღმერთი რას დაგვაკლებს? გავძვრებით, გამოვძვრებით და, წინა კარში რომ ძებნას დაგვიწყებს, უკანა კარიდან სამოთხეში შევეპარებით.

და ასე, ჩვენ რომ ქვეყნის არევის ამბავი მოგვივიდა, მთლად ავიშვით თავი, მაგრამ ჯერ ცოტას კიდევ ვითმენდით: ყურძენი გვქონდა დასაწურავი, სიმინდი მოსატეხი, კვახები დასაბინავებელი, თხილი მოსაკრეფი, ნიგოზი დასაბერტყი, შეშა მოსამარაგებელი, სახლის ბურული შესაბურავი და, ვინ იცის, რამდენი რამ არის კიდევ ოჯახში ზამთრისთვის საჯახირო და საშვალებელი. რომ მოვისაქმებდით, ხელებს გავიცლიდით, მერე თუნდაც ცა ჩამოგვნგრეოდა თავზე, აღარ ვჩიოდით, რადგან ჩვენი საკუთარი ცა უფრო საიმედოდ გვქონდა გამაგრებული და ვინ გვყავდა, მერე, დამკავებელი? ქუდს ცაში ავისროდით და, თუ ისე მოხდებოდა, რომ ღმერთს ჩვენი დაკონკილი ქუდიც შეეხარბებოდა და ძირს არ ჩამოგვიგდებდა, — მაშინ ჩვენ თვითონ აუვარდებოდით ცაში და იმ ჩვენი ქუდიანად ჩამოვათრევდით ძირს.

ჩემი ქვეყანა ბაღია, დიდი ბაღი, სადაც ყოველი ხის ძირას ეს კახპა ვენახია აშლილი და, ფესვები მიწაში რომ აქვს გაყრილი, ლერწები ცად შეუშვერია და სვამს ორივეს, სწოვს ბარაქას ცასა და მიწას, ეხუტება ამ ბჟოლებს, კოპიტებს, ნიგვზებს, თხმელებსა და ხურმებს, მიფორთხავს მაღლა და მიაქვს ცის კენწეროში, მზის გულზე, ეს სავსე მტევნები. და ის რომ ასე მიდის მაღლა, ჩვენც ფეხდაფეხ მივყვებით მას და წუთით არ ვაშორებთ მის მტევნებს ხარბსა და მზრუნველ თვალებს, — დამწიფდება თუ არა, მოვკრიფოთ იგი და მას, სულელს, ასე რომ იმალება ბარდში და სიხშოში, ჰგონია ვერ მივაგნებთ! ჩვენ არც ისე სულელები ვართ, რომ ჩვენ ეზოში მოსული ბარაქა ასე ღვთის ანაბარად დავტოვოთ და, გიდელს რომ ავავსებთ, ჩავძახით ძირს მოდარაჯებულ მზიდავს:

— ე, ბიჭო გიდელი!

და მიდის ძირს ეს დოვლათით სავსე კალათა, ვყრით გოდრებში და, გოდრებს რომ პირამდე ავავსებთ, ზურგზე შევიგდებთ და მივაქანებთ მარანში, სადაც ნაკურთხი წყლით ფეხდაბანილი ბიჭები გვიცდიან პირგაროფილ საწნახელში კისრამდე ჩამალულნი და, ყურძენს რომ ჩავყრით, ეს ბიჭები ფეხით დგებიან ზედ, სრესენ და მღერიან რთველის სიმღერებს, და ამ დახვავებულ სიმღერებთან ერთად მიდის სიმღერასავით ლალისფერი მღვრია ტკბილი ღარებით

ქვევრებში და, რაც ქვევრებში არ ეტევა, ჩაფებში, როფებში, საარაყე და ტყემ-
ლის სახარშ ქვაბებში, დუღდება იქ, ირევა, ქაფდება და ბოლოს შოშმინდება
დაღვინებული.

იქვე, მარანთან, რთველის შესაწირავი დასაკლავი თხა როა მიბმული, უზარ-
მაზარ სპილენძის ქვაბში სდუღს ფელამუში და ბაწარზე გაკიდებული ჩურჩხე-
ლები შრება და ედავება ბიჭებს მამაკაცურ ძლიერებაში. ჩემი ბიჭი ბახულია
ძირს შესდგომია ამ ჩურჩხელებს, ერთი მტკაველი ენა წინ გადმოუგდია და პი-
რით იჭერს ჩურჩხელებიდან ჩამოღვენთილ ფელამუშის წვეთებს და, რომ დაი-
ჭერს, უხარია, იცინის და კუნტრუშობს ვაცივით.

ეს ჩემი ქვეყანაა ისეთი და აბა ერთი მითხარით, სად მოდის ამდენი ყურ-
ძენი, სად არის ამდენი ჯიშის ვენახი? ვარდისფერი ფუცხუნა ოჯალეში, ბაცი
მარახოში, ჩხავერი, თეთრი საკრახუნო კაბისტონი, შავი და ტკბილი ალადას-
ტური, თეთრი ათინორი, მსხვილკაკლიანი შავი ხარდანი, საფელამუშე იზაბელა,
წვრილკაკლიანი მოწითანო პუმპულა, კოლოში და, ვინ იცის, კიდევ რა რჯუ-
ლის და რა ჯიშის ყურძენი არ ხარობს აქ, ამ ჩემს ქვეყანაში! ეს ხეებიც ისეა
დაფანჩული ამ კამურით, კრახუნით, ტოლურით, რქაწითელით, ცოლიკოურით
და ათასნაირი ჯიშის ყურძნით, რომ მე არ ვიცი სად წავიღო ეს ამდენი ღვინო
და, ამ დღეში რომ ვარ, ისევ ის ოხერი ოქროს გუდა მახსენდება, ბერძნებმა
რომ სიმსიმად აგვაცალეს და ბრაზით გულში სულ მჯიღს ვიცემ.

ეეჰ, თხაო, თხაო! ნეტამც არ მყოლოდი მაინც, გულს ასე არ დამაკლდე-
ბოდი! ნეტავ, შენი ტკბილი კიკინი მაინც არ გამეგონა და რა უნდოდა იმ
ოხერ ღმერთს!

და ასე რომ ვიყავ ხეზე გასული და ყურძენს ვკრეფდი, უეცრად შორიდან
ცხენის ფეხის ხმა შემომესმა, გზას გავხედე და ვხედავ — სოფლის ბოლოში, დიდ
გზაზე, ვილაც ცხენს ოთხით მოაგელვებს, ხელში რაღაც ქაღალდს მოაფრია-
ლებს და რამდენ მოსახლეს ჩაუარს, რაღაცას გადასძახებს და ამ დაძახებაზე
ხალხი სტოვებს ყველაფერს და, როგორც არიან, ისე, მოსდევენ მას ფეხდაფეხ.

გულმა ფარსაგი არ მიაზრა, შემოვბრუნდი და ნადს გადავძახე.

— არიქა მეზობლებო, რაცხა კაი ამბავი არ უნდა იყოს ჩვენს თავს! — და
ხიდან თრითინასავით ისეთი ძალით ჩამოვსრიალდი, რომ თავი ვერ შევიკავე
და მიწაზე სნეყვა მოვადინე. რომ ვდგებოდი, სწორედ ამ დროს ჩამოიქროლა
ჩემი ეზოს წინ იმ ცხენოსანმა და მხოლოდ ახლა ვიცან იგი, ეს ჩვენი მამასახ-
ლისის ჩაფარი იყო, ჯოჯოხეთის ანგელოზივით მოფრიალობდა ეს მამასულძაღლი
და თან ფერდაკარგული გადარეულივით მოყვიროდა:

— მალიფესტია, ხემწიფის მალიფესტი!

— ფუი, დასწყევლა ეშმაკმა მაგ შენი ხემწიფის სახსენებელი! ეს რაცხა მა-
ლაფესტია, ახალი გადასახადი იქნება და ახლა უყურე შენ ჩვენს დაწიოკებას! —
გავიფიქრე მე, ფიცხლავ ფეხზე წამოვიჭერ და მეც დავედევნე, მაგრამ სად გაგო-
ნილა ცხენოსანს ფეხდაფეხ რომ დასწეოდენ? კანცელარიასთან რომ მიველ, ქა-
ღალდი უკვე აივანზე გამოეკრათ და ხუთიოდე გლეხი, კედელს გულმკერდით
მიყრდნობილი, კითხულობდა. მე რომ დამინახეს, შემომაცვივდენ და შემეხვეწენ:

— ერთი, თუ კაცი ხარ, შენ კაი ლაზღორი იცი და წაგვიკითხე, რა წე-
რია ამ ქაღალში!

მე მიველ და, ქაღალდს რომ დავხედე, ერთ ადგილას გავშეშდი, თვალები მივიშმუშნე, ჯერ გლეხებს გადავხედე და ვხედავ, — ისინიც მე მიცქერიან გაფოცებულნი, მერე ისევ ქაღალდს დავხედე და აღმომხდა:

— ყვეი!

— რაია, შეკაცო, ნუ დაგვხოცე ეს ხალხი! გვითხარი, რაშია საქმე? — მომმართა საყვედურით ნატიემ.

მე ისევ მოვიშმუშნე თვალები, ისევ დავხედე და ვხედავ, რომ ქვეყანა მართლაც თავუკუღმა გადაბრუნებულა და ჩვენ ჭურში ვყოფილვართ გამომწყვდეულნი.

ქაღალდში ეწერა:

უმაღლესი მანიფესტი

წყალობითა ღვთისა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი, ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ:

შფოთმა და არეულობამ, რომელმაც თავი იჩინა სატახტო ქალაქებსა და იმპერიის ბევრ ადგილას, დიდის მწუხარებით აღავსო ჩვენი გული. რუსეთის იმპერატორის კეთილდღეობა შეკავშირებულია ხალხის კეთილდღეობასთან, ხალხის მწუხარება — მწუხარებაა ხელმწიფისა. არეულობამ, რომელმაც ესოდენ იჩინა თავი, შეიძლება გამოიწვიოს დიდი უბედურება და საშიში გახდეს ჩვენის სახელმწიფოს სისრულისა და ერთიანობისათვის. დიდი აღთქმა ხელმწიფობის მსახურობისა ვალად გვდებს ჩვენის გონებისა და უფლების ყოვლის ძალღონით ვისწრაფოდეთ, რაც შეიძლება ჩქარა მოისპოს სახელმწიფოსთვის ესოდენ საშიშნი არეულობანი. ვუბრძანებთ რა სათანადო მოხელეთ და უფლების მქონეთ იხმარონ ღონისძიებანი, რომ პირდაპირ არ იჩინოს თავი უწესოებამა, ამბოხებამა და ძალმომრეობამ და ამით დაცულ იქნას მშვიდობიანი ხალხი, მოწადინებული თავისის მოვალეობის წესიერად აღსრულებას, — ჩვენ საჭიროდ ვსცანით გავაერთიანოთ მოღვაწეობა უმაღლესის მთავრობისა, რომ ამით წარმატებით იქმნას ასრულებული ჩვენ მიერ სახელმწიფო ცხოვრების დასამშვიდებლად განსაზღვრულნი ღონისძიებანი, მოვალეობად ვაკისრებთ მთავრობას აღასრულოს ესე ჩვენი შეურყეველი ნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიენიჭოს ხალხს მოქალაქეობრივი თავისუფლების შეურყეველნი საფუძველნი, ისე რომ ჭეშმარიტად ხელშეუხებელი იყოს პიროვნება, თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირისა.

2. არ შეჩერდეს მომავალი არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ახლავე, რამდენადაც შესაძლებელია იმ ცოტა ხანში, რომელიც დარჩა არჩევნებამდის, მოწოდებულ იქნას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მცხოვრებთა კლასები, ახლა მოკლებულნი საარჩევნო უფლებას, მხოლოდ სრული დაწესება საერთო საარჩევნო უფლებისა დაევალოს ახლად დადგენილ საკანონმდებლო დაწესებულებას.

და 3. დადგენილ იქნას შეურყეველ წესად, რომ არცერთი კანონი არ შევიდეს ძალაში სახელმწიფო სათათბიროს დაუდასტურებლად; ხალხისაგან ამორჩეულთ ნება ჰქონდესთ და უზრუნველ იყვნენ, — ჭეშმარიტი ზედამხედველობა გაუწიონ, რომ ჩვენ მიერ დანიშნული მოხელენი კანონიერად მოქმედებდენ.

მოგიწოდებთ რუსეთის ყველა ერთგულ შვილთ გაიხსენონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, დახმარება გაგვიწიონ, რათა მოისპოს დაუჯერებელი არეულობა, და ჩვენთან ერთად მოიკრიბონ ყველა ძალა სამშობლო ქვეყანაში მყუდროებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ბოძებულია პეტერგოფს ოქტომბრის 17-ს, 1905 წელს ქრისტეს შობიდან და 11 წელს ჩვენის ხელმწიფობისას. ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნ ი კ ო ლ ო ზ“.

კითხვას რომ მოვრჩი, შემოვბრუნდი და ვხედავ — კანცელარიის აივანი და ეზო სავსეა მილეთის ხალხით და სკასავით ზუზუნებს. ისე მოზღვავებულა ეს ხალხი რომ მე, კითხვაში გართულს, არაფერი შემიტყვია.

ერთხანს ჩვენ ასე ვიყავით გარინდებულნი, არ გვჯეროდა ხემწიფის წყალობა. იქნებ, ხაფანგი იყო ეს ქაღალდი? მაგრამ, რომ დავრწმუნდით და გული დავაჯერეთ, ჩავფიქრდი და ვიანგარიშე, თუ რას გვაძლევდა ეს ქაღალდი? მოქალაქეობრივი თავისუფლება ჩვენ უკვე გვქონდა მოპოვებული; კარგახანია, რაც ბოქაულსა და მის მამასახლისს პირში ლაგამი ამოვდეთ, სიტყვასაც პირდაპირ ვამბობდით, კრებებსაც ვაწყობდით და მაშინ მივხვდი, რომ ეს ქაღალდი მართლაც ხაფანგი იყო და იქვე, ჩემ წინ მდგომ ნატიეს მოუბრუნდი:

— ხედავ, ნატიე, რა ღვთისნიერი ხემწიფე გვყოლია და ჩვენ კი აქამდე არ ვიცოდით! დაილოცა მისი სახელი, — გვაძლევს იმას, რაც უკვე კარგა ხანია წავიღეთ და, თუ ძალით ვერ მოგვერია, ნებით არ დავანებებთ. ეეხ, რა კე-

ეროვნული

თილი ხარ შენ, უფალო ამა მიწისა! — ალმომხდა მე და ასე ხელაპყრობილი რომ ვიდექ, ვხედავ — სამამასახლისო კანცელარიის ალაგეზე ჩემი ყურძნის მწნეხავთა ნადი გადმოვიდა, მაჭარში სისხლისფრად შეღებილი ფეხები მუხლის თავებამდე აუკარწახებიათ და ისე მოსულან ქვეყნის ამბის შესატყობად. მათი დანახვა და დაყვირება ერთი ვქენ:

— აჰაიტ, თქვე ზანტაკებო, თქვენ! თქვენ აქ რა ჩემმა ცოდვამ მოგიყვანათ? მღუაპვთ კაცს, ოჯახს მიქცევთ? თუ დანა გინდათ ყელში გამომისვათ, მითხარით და ჩემით გამოვისვამ, თქვენ რაღას ირჯებოდით, ვის ანაბრად დამიტოვეთ ის ყურძენი, ა? აჰაიტ, თქვე ბალაგარებო, თქვენ! თქვენ რომ აქეთ გამოიქეცით, მე ვიღასთან გავიქცე ახლა? ვის ვახარო ახლა ეს ამბავი, როცა ცა და ქვეყანას აქ მოგიყრიათ თავი? აბა სახლში, ჩემო საყვარელო ნადო, სახლში! ერთიც წავიმუშაოთ და მერე იმ კიკინა თხამ შეგვაქცევინოს თავი ვახშამზე, წელან, რომ დავკალი! დავძახე მათ, ნადი წინ დავირეკე და მივდიოდით ნელა, დაფიქრებულნი, თუ რა გზას უნდა დავდგომოდით ამ მალიფესტის შემდეგ. და ასე დაფიქრებული რომ მივდიოდი, გზაში ხუცესი წამომეწია და თვალებგანათებულმა ყურში ჩამჩურჩულა:

— უნდა აღვდგეთ! — და ცალი ხელი მოსე წინასწარმეტყველივით ზევით ასწია.

— კი, საბალია, კი, ჩვენ უნდა ავდგეთ და თქვენ დაწვეთ, მაგრამ დაწვეთ ისე, რომ მეორედ მოსვლის დროსაც ველარ მოახერხოთ ადგომა! — უპასუხე და გზა განვაგრძე.

დ ე მ ნ ა შ ე ნ გ ე ლ ა ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც სჭრიან კიდობანა ქვას

ალექსანდრე გომიაშვილი

1.

ოცდათერთმეტის ოცდაერთი იანვარია.
ზამთარს აერეოლებს ერუანტელი უმხურვალესი.
ხევში შევედით ტრამალების მღვრიე ქარიდან
და გზაზე გვხვდება გრიგალისგან მოხრილი ვერსი.
აქ, სადაც მხოლოდ მოხეევთა მხნე მონადირე,
გასდევნებია მედგარ ჯიხვებს მარტო ორბივით,
სადაც მეჯოგე გულის ჯავრზე ლერწამს ატირებს, —
კლდეებს მიბღავის ანდეზიტის ავტომობილი.
სადაც ქარები ზამთარშივე ქარებს გასწივის,
შიბნ-კლდეებიდან მოდიოდენ ღამით ქისტები.
ციხის წვერებზე აფრენილი, როგორც არწივი,
წამოვიდოდა სიკვდილი და ტყვია ქვის მტეხი.
რაც იყო, იყო...
უნდა დავწვათ წარსულის წიგნი,
როცა ის ჩვენთვის სულ ამაოდ მოსაგონია,
როცა ცხოვრება გამძაფრებულ ტემპებით მიქრის
და პოეტებიც გაჰყოლიან ტემპის გორიალს!
აი თუნდ ეხლა, იანვარში, თერგის გადაღმა
კლდეებს რომ ებრძვის მუშები და ინჟენერია,
„ბებერი მთები განახლებულ მთებში გადახმა“ —
მე ვღრიალებ, და მოხეევნიც გაიმღერიან.

2.

სადაც გორს მისდევს გზაწვრილი,
მუშები კლდეებს შებმიან.
მთები, შუბებად აწვდილი,
მადანის ქარქაშებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინად თუ ლერწმის ღეროდან
მამა-პაპანი მღეროდენ:
„ტიალი დარიალაო,
კლდენი ხართ ცარიალაო“,
დღეს ლაღუმები გასძახის:
„რომ მტერი გავატიალოთ,
მთიდან მადანი დასძარი
საბჭოთა ინდუსტრიაო“.
სადაც გორს მისდევს გზაწვრილი,
მუშები კლდეებს შებმიან.
მთები, შუბებად აწვდილი,
მადანის ქარქაშებია.

3.

ინჟენერებმა აფეთქების გეგმა მოხაზეს
[მოხრილმა მთებმა მოლოდინის სუნთქვა დალია]
და მძიმე ღამით ხმაჩახლეჩილ ხევის ოხვრაზე
მთები გაისვრის პირველ ლაღუმს ამონალიანს.
ამონალს ზიდვენ კომკავშირის ბრიგადელები,
სადაც თვალები ღამის ჭრაში ჩირაღდნდებიან.
მშიერ მგელივით თუ გალმუის შორს რიგი მტრების,
რიგი ამაოდ კბილგალესილთ აგდევნებია!
ამბობენ:
— ქუსლით ჩაგვიქციეს შვილებმა მკერდი,
ეხლა ლაღუმით კიდობანა კლდეებს რომ ხევენ...
— იცით, იქ, სადაც თქვენ დაჭკარით წერაქვი, კედი,
ადრევ სამარე გაუთხარეთ მოძმე მოხევეს!
და ეხლა მთაში გაიყვანეთ ოთხი გვირაბი —
გინდათ იქიდან ააფეთქოთ კლდეების ბუდე.
ნალმმა გახლიჩოს ქვემეხივით გვირაბის ზღუდე,
და ხევში ცოცხლად ალარ დარჩეს კაცი დილამდე...
მაგრამ ვინ არის ჭორის მიმყოლი?
ერთის არ იყოს:
„კაცმა დაიწყო გულზე ხელები“...
„ამბავი“, ქარის მოტანილი, ქარმავ წაიღოს,
ქარმავ წაიღოს, როგორც გამხმარ ჩალის ღერები.

4.

გზად ურმები მიჭრიალებს
მოხევეთა ხიზნებით.
მათ თერგ-გალმა დღე და ღამე
უნდა დაჭყონ ფხიზელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიდიან... თითო ურემს
თითო გლეხის კომლი უზის.
ძმებო, ასე არის, თურმე.
როცა ვსუნთქავთ კომუნიზმით.
როცი მთაში რკინა ქშინავს
და ლაღუმში ჭიდილია, —
მთები სტოვებს თავისთავად
ყრუ სოფელის იდილიას.
როცა ცეცხლი ღვივის, ღვივის
და კლდეები ცეცხლში ტირის, —
ყოველ დარტმით ვაძლიერებთ
ტემპს საბჭოთა ინდუსტრიის!

5.

მთებმა მოზიდა გვირაბები სანალმე გულში,
ბრიგადელები მთების იქით გავიფანტენით
— ორი სოფელი თუ გადვიდა გადალმა გუშინ...
და გზაზე დადო ამინდებმა თოვლის ფანტელი;
სადღაც ხმაგაბმით ბნელ ღამეში ძაღლი გალმუის...
[ალბათ სოფელში მოხევეებს დაბმული დარჩათ]
ღამე მიცქერის თეთრი მთებით შუბლგადახრული,
თითქოს ნათდება მთვარის სხივით... მთვარე კი არ ჩანს!
შეგუბდა სუნთქვა...
ისევ ბრუნავს თერგის მორევი.
და ქუსლით ვტკეპნით ჩამოთოვილ თერგის კალაპოტს,
მდინარის პირად აფეთქების ნიშანს მოველით —
ძლიერმა ნალმმა გაბზარული კლდე რომ გააპოს!
ვხედავ: კლდის თავზე ფარნის ჩრდილში ვიღაცა დადის.
— გვირაბს ამოწმებს, ანდეზიტის ინჟენერია.
— მას სულაც არ აქვს იმ გვირაბის შიში და დარდი.
— დაბორიალობს მაინც კლდეზე...
— საშინელია!

6.

მოვიდა ღამე—
და ამ ღამეში მხოლოდ ფეხქვეშ თოვლი შრიალებს.
არ შევხვედრივარ დარიალში მე სულაც ხამებს
და განსაცდელის მოლოდინით ლაჩრებს, მშიშარებს.
მაგრამ რატომღაც თითქოს ყველას ენა დაება,
ყველას თვალები რკალებიდან კლდეს გასცქერიან.
არის დუმილი და სიტყვების გულშივ ტარება,
როცა ჩვენს ირგვლივ სხვა ჭიდილი და ნამქერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არშის[1] პირდაპირ შუქს იძლევა ავტომობილი,
თავზე დაგვყურებს ეს გვირაბიც მე და არეშის[2].
— პირველი ნალმი!
ავტო მორბის მარტო ორბივით
და სამის შემდეგ შორს გაისმა გრგვინვა ღამეში!

7.

მყინვარებიდან სხეულს სუსხავს ქარ-ყინვა ეხლა.
დათოვლილი მთა ელავს, როგორც ქისტის ხანჯალი.
წუთიცდა ვხედავ: მთებმა ნალმი გადმოახველა,
და თოვლზე შავად ჩაიკეცა ლოდების ჯარი!
ნალმმა, ვით ვხედავ, ანდეზიტის კლდე გაანგრია.
ხევში მუხლები მოეკვეთა მტრების მოლოდინს
[როცა გულებზე ხანჯალივით დაესო ლოდი],
და ზათქი გააქვს მაღალ მთების ხლეჩას და გრიალს!
პირველი ნალმის აფეთქება ასე დასრულდა:
მოხრილმა მთებმა მოლოდინის სუნთქვა დალია. —
და ჩვენი მტრებიც მიფორთხავენ მთებზე მასუკან,
სადაც ახალი მთების ფიქრი — ამონალია!
— ეს მოხდა ღამით, ცხრაას ოცდაათის გადმოლმა,
როცა მთებს კიდევ დააბოდებს შიშველი ხმალი,
მაგრამ თან მიაქვს ხანას ამის დარდი და ბოლმა
და გულს აღვივებს უფრო მეტად დღეები ხვალის!
... გაივლის ხანი დღეზე უფრო უმხურვალესი,
ფეხს დავაბიჯებ სახეშეცვლილ ახალ დარიალს.
— ჩვენ დავჭაბუკდით! მომახარებს ნალმი და ვერსი.
ოცდათერთმეტის ოცდაერთი იანვარიდან!

ალექსანდრე გომიაშვილი

[1] არშა — სოფელია ხევში.
[2] არეში — მთაა იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკვრელის სიტყვა

გიორგი მაისურაძე

ჩემში ხალისი შრომისადმი უფრო იღვიძებს,
უფრო ვეკვრები წარმოების ტემპს და დიდებას,
აღებულ გეგმებს სიხარულით ვინ დაივიწყებს,
ვინ გაექცევა ნაყოფიერ სოცშეჯიბრებას!

სავსე მაქვს გული წარმოების ენტუზიაზმით,
როცა ვუყურებ საამქროში ხელგამრჯე გმირებს,
ბრიგადირების თავდადება არის დიადი:
შრომის ნაყოფი და გეგმები აჭარბებს მიზნებს.

ვიბრძვით, ვმუშაობთ, საკონტროლო ციფრებს ვასრულებთ,
გადაჭარბებაც გეგმებისა ძალზე კარგია,
ყოველი საქმის შესრულებით მტერს ვანადგურებთ,
და პროდუქციის ხარისხი კი ნაღდზე ნაღდია.

— დამკვრელებს ჯილდო, სოცშეჯიბრში გამარჯვებულებს!
მათ ენიჭებათ შრომის გმირის სახელწოდება,
ამის შედეგად აძალუმებს დამკვრელი კუნთებს,
და ჩვენ ვღებულობთ მთელ ხუთწლედის შემოქმედებას.

ასე, ამრიგად ჩვენი შრომა ტემპით მიიწევს,
ტემპით სრულდება ეს გეგმები გენერალური,
ამაყობს გული, როს შეტევა გვაძლევს მიღწევებს,
და ეს ხუთწლედიც საქმე არის ჯერ არ ნახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ამ პროცესებს საკუთარი თვალით ვუყურებ,
თვითვე განვიცდი წარმოების გეგმების ძალას,
ირგვლივ შრომაა, აღარ ვაცდენთ უბრალოდ წუთებს:
სოცშეჯიბრი გვაქვს, დამკვრელობა, — არ არის დაღლა.

მე ვიმუშავებ, საგუშაგოდ ამაყად მდგარი,
მზის სინათლეზე გამოვიტან ყველა იარას!
არ შეჩერდება ბრძოლებისთვის საჭე მედგარი
და შეტევის დროს მოვიმარჯვებთ რიტმს და იარაღს.

წარმოებაში ვაძლიერებ ბრძოლას ტემპისთვის,
შევებრძოლები: გამცდენს, მიმომმფრენს და ცრუ დამკვრელებს,
მოვაწყობთ უჯრედს მძლე ტექნიკის დაუფლებისთვის,
გავანადგურებთ ახალ ქვეყნის ყველა მავნებელს!

[პრ. მწერლ. გაწვეული დამკვრელი მუშა]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲔᲖᲛᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ

1.

— ა? მაშ ასე მიხა?

— დიახ, ამხ. ვანო... ჩვენი გლეხი ჯიუტია, მაგრამ, თუ შეაგნებინე, დაგიჯერებს, გამოგყვება... მე ჩემი მაგალითით მინდა ავიყოლიო და თუ არტელის საქმე კარგად წავიდა, რომლის ჩამოყალიბებაზე რამდენიმე მეზობელი უკვე დავითანხმე, მაშინ...

გაიღიმა, ხარები შეაბა.

ამ საუბარში, დაბის კოოპერატივს თავისი მიწისა და ვენახის მოსავალი რომ ჩააბარა, ოჯახისათვის იქ ნაყიდი საჭირო საქონელი დაუდო ურემს.

საღამო აიფაფრა...

ქარმა იალქნები აუშვა...

გაცრეცილ ცაზე ლეგა ღრუბელთა ქარავანები გაება.

— ჩემი დახმარების იმდენი გქონდეს. კერძო ვაჭრობას—დარტყმა, კოოპერაციას, როგორც სოციალიზმისაკენ გზას, ზრდა,—მიახალა ძმურად, ვანომ, კოოპერატივის ნოქარმა, რა მიხამ წაბლას და ღვინიას იფნის სახრე გადააწნა, ურემი აჭრიალდა და კოფოდან გადმოსძახა:

— აბა, ნახვამდე, ვანო! ქალაქი თუ წინ მიდის, ეს სოფელი რად უნდა ჩამორჩეს? ხვალ ჩამოვალ აქ ისევ, აღმასკომში მაინც საქმე მაქვს და გნახავ. მოვილაპარაკოთ ჩვენში კოოპერატივის დუქნის გახსნაზე...

ალბათ გაუსაპნავია ღერძი, რომ ურემი მიჭრიალობს სოფლის შარაზე... ან იქნებ ეს ურმის ტირილია თავის უკანასკნელ დღეებზე, თუ გრძნობს, რომ მალე ადგილი უნდა დაუთმოს თავისზე მძლავრს, გრიგალივით რომ უტევს.

— ა? ტრაქტორი? ავტო? რა ვქნა, უნდა გამოგეთხოვო, ჩემო ნაამაგარო ურემო!..—ურმის ჭრიალში აზიდული ფიქრებით სწყდება მიხას იმედიანი თქმა.

მიხას „ურმული“ ეთერს აპობს...

2.

— ჰო და... ინდუსტრიალური ქალაქის ყივილს სოფელმა უნდა მისცეს მხარი წინსვლად... აქედან მიწვდილი ნედლეულის ნიაღვარმა უნდა ააგუგუნოს ფაბრიკა-ქარხნები, რომ იქედან მივიღოთ ჩვენთვის საჭირო საქონელი. ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმისაკენ სვლა უნდა დაეყრდნოს ქალაქის მრეწველობის აღორძინებას, სოფლის კოლექტივიზაციის აყვავებას და...

— დამანებეთ, შვილო, თავი, თქვენი არც მოტანილი გვინდა და არც წაღებული,—შეაწყვეტინა სიტყვა ორატორს კაკოლას წამოძახილმა.

— შენ არ გინდა, მაგრამ ჩვენ გვინდა! — შეუტია მიხამ.

— მიხა! შენ ზევით ნუ ხტი, თორემ...

— თორემ რა?!

— ქაა, რა ამბავში ხართ? ყური დაუგდეთ!..—ჩაერია ღარიბი ქვრივი მაგდანა.

— სიჩუმე-მეთქი, აპხანაგებო! — თავმჯდომარის ხელში ზარი ელავს.

— არაფერია, ძმებო, დებო! მაგ კაცის უკმაყოფილებაში კლასიური მტერი ლაპარაკობს. მომაკვდავი წარსულის ნაშთია, კულაკი, და ამიტომ უნდა შევავიწროვოთ... მერე კი კულაკობა, როგორც კლასი, უნდა მოვსპოთ. — განაგრძობს ორატორი, კომუჯრედის მდივანი.

— ბიჭო და, ამ კლასს რაღას ერჩით? ძლივს ავაშენეთ ახალი სკოლა და...— განცვიფრებით წარმოსთქვა მაგდანამ.

— არა, დიდედო, სკოლის კლასზე კი არა, წოდებაზე, აი, კულაკობაზე ამბობს!.. — მიუგო მიხამ ღიმილით.

— ჰოო, აგრე თქვი, რაღა!.. — ვითომ ძალიან გაიგო, გაიღიმა.

— ამიტომ უნდა შეკავშირდეთ ღარიბი, საშუალო გლეხობა, მოჯამაგირეობა და აქტიური მშრომელი ქალები კომპარტიისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ირგვლივ. პროლეტარიატის დიქტატურას განმტკიცება უნდა. სამხედრო კომუნიზმის დრო წავიდა, მას მიყვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანა და ახლა ამ აღდგენის პერიოდში უფრო მჭიდროდ უნდა დავუკავშირდეთ ქალაქის მუშებს, მივაწოდოთ პური და...

— ჰმ! პური?!—ეშმაკურად ჩაიცინა ვილაცამ.

— გეცინება, განა, კაკოლი?! იმიტომ ჩამალე ორმოში პური?!

— ბიჭოს! რას გადამეკიდე?!

— აახ!..

კრება ჰქუხს...

3.

— სიტყვა ჩვენს აგრონომს ეკუთვნის.

— მე, ამხანაგებო, არა ერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ, თუ ახალი წესებით არ დავამუშავეთ მიწა, ისე ნუ ველით სიკეთეს...

— განაგრძეთ!..

— ა?!—ვილაც აიმრიზა

— ჰო, და... როგორც აქ ითქვა, ამ ინდუსტრიის სესხს ხელის შეწყობა უნდა, რათა ის ფული აქვე მოხმარდეს ქარხნების აშენებას, მანქანა-იარაღების დამზადებას, რომ ის ოქროები აქავე დარჩეს, რომელსაც მანქანების შეძენაზე ვხარჯავთ საზღვარგარეთ...

— ჰე და, ძთავრობას უჭირდეს და არ დავეხმაროთ?!—სთქვა რომელიღამაც.

— რა ვიცი, ამ ტრაქტორის შეძენის ნებას კი არ მაძლევთ და! — არ იშლის კაკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ იმიტომ, რომ შენ გინდა კაპიტალისტური მეურნეობის გაშლა და ჩვენ კი სოციალისტურის! — ესროლა სიტყვა კომკავშირელმა ლელამ.

— შენლა აკლდი, გომბიო! — არ დააცალა ძველი საბჭოდან გაძევებულმა ნიკამ.

— შავსიელების მფარველო!..— არ დაუთმო ლელამ.

— ჰო და, ან რა საქმე აქვთ აქ შავსიელებს, კულაკებს, მათ დამქაშებს? — წამოიძახა მიხამ.

— დასტოვეთ კრება!

— ბიჭოს! რათა, შვილოსა, თუ არტელს აარსებთ, მეც შემოვალ და ისაა!..

— შემოხვიდე, რომ „ციხე შიგნიდან გასტეხო?!“ ჰაიდა!..

— რათა, შემოვიდეს, გამოცდილი მეურნეა, უნდა მივცეთ საშუალება... ჩვენს იქით სად წავა?!

— აი, მემარჯვენეებს რომ ეძახიან, ისინიც აგრე მსჯელობენ, ლექსო, უნდა გავრიყოთ სოფლიდან, შევბოჭოთ.

— არც აგრე ვარგა, ტატო, მაგას მოითხოვენ „მემარცხენეები“ და ჩვენ კი პარტიის გენერალური ხაზი უნდა გავატაროთ. — მიუგო კომუჯრედის მდივანმა და ხელი მხარზე დაადო მეგობრული ღიმილით.

— ვინ ღენერალი უნდა გავატაროთ?! კიდევ არიან?! — გაიკვირვა მაგდანამ.

— არც არავინ. გენერალური ხაზი — უმთავრესი სურვილი პარტიისა, — აუხსნა ლელამ.

— ჰო, ალბათ იქნება ვინმე, არა?!

— მაგდანო!

— სიჩუმე!

ზარი აწკარუნდა.

— ვისაც სიტყვა გინდათ, აიღეთ და ისაა!.. გთხოვთ, ამხ. გიორგი.

— და ამიტომ, — განაგრძო აგრონომმა, — მიწა უნდა დამუშავდეს კულტურულად, ახალი გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით, უნდა დაითესოს ტრიერზე გადარჩეული და ფორმალინით შეწამლული თესლი, მანქანით, მწკრივად; უნდა შემოვიღოთ თესლთაბრუნვა: წელს რომ პურს, სიმინდს დავთესთ, რომელიც მიწის ზედაფენებში იღებს საზრდოს, მეორე წელს უნდა დაითესოს კარტოფილი, ჭარხალი, მიწავაშლა და სხვა, რომელიც ღრმად იდგამს ფესვებს, იღებს იქ დარჩენილ მარაგს. ნიადაგს ადრევე უნდა მოხვნა, რათა მიწამ სინესტე მოიმარაგოს და გაფხვიერებული იქნეს. მელიორაცია, მორწყვა თავის დროზე უნდა. ნიადაგში სასუქი უნდა შეიტანოთ, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური. თუ როგორი და რა დროს, — ეს არა ერთხელ მითქვამს...

— ყველაფერი ეს კი უნდა ჩატარდეს არა ასე დაქუცმაცებულ მიწაზე, არამედ შეერთებულზე, კოლექტიურზე, — ზოლსავით გაავლო მიხამ მოხერხებულად.

— რასაკვირველია! საუკუნოებრივი კერძო მიჯნები უნდა გადაითელოს და მაშინ...

— მაშინ კი კოლექტივი მოამარაგებს სახელმწიფოს პურით, არა?

— დიახ, მაშინ არც კულაკია საჭირო...

— ჰმ, ისევ მე? — დაიკვნესა, ჯავრით, კაკოლამ, რომელიც შორს იდგა, საბძელთან, და მედუქნე გუცას რაღაცაზე ეტუტუნებოდა.

— აგერა, ჩვენი მღვდელიც, ჭირიანი ქათამივით რომ დასთრევს გახუნებული ანაფორის ბოლო! — იხუმრა ვიღაცამ, რა გზის აქცევით მიმავალი შენიშნა „მამაო ლუკა“, და ასტყდა სიცილი.

— ჰმ! თავისიანები იცნო? ისიც მათთან მივიდა საბძელთან.

— ნათავადარი იორამი და მკითხავი საბედაკლია, თორემ რა თაიგულია?! ასტყდა გულიანი სიცილი.

— ჰო და ახლა მღვდელიც არ მოასვენოთ, თქვე გადარეულო კონცომოლებო! — თითქოს იჯავრა მაგდანამ, მარა მერე თვითონვე გაეღიმა.

— ის კი არა და, ამხანაგო მიხა, თუ ამაღამ მაინც არ შევკრიბიეთ თავდაცვა-ავიაქიმის წრის წევრები, ის წარმოდგენაც იგვიანებს; ინსტრუქტორი ამოვა ბარემ და... — უთხრა ლელამ.

— კარგი... აი, ბარემ ჯერ ეს კრება ჩავატაროთ და...

— რაო, შვილო, მიხა? ვინ ავი იაკიმე? ლაბაანთი? ვინ არ იცის, რომ ავია? იმის წრეში რა გინდა, ა? — შეეკითხა კითხვითი ნიშანივით წელში მოხრილი ანდრია.

— არა, ანდრო... ავი იაკიმე კი არა, ავიაქიმი, თავდაცვა... ესაა საზოგადოება, რომელიც გუშაგად დგას სოციალისტური რესპუბლიკების სადარაჯოზე და მეურნეობის აყვავებას უწყობს ხელს, მინდვრის მავნებლებთან აწარმოებს ბრძოლას, — ღიმილის შემდეგ დაუწყო ახსნა მიხამ.

— ჰე! — გაკვირვების ნიშანს მიბაძა მოხუცმა, რა გასწორდა და სთხოვა — ერთი პრიჭკა მომიკიდე, შვილო, თორემ ეს ტიალი ჩიბუხი ჩამიქრა.

— აი...

ისევ ხუმრობა, ისევ სიცილი...

— აი, შე გასაწყვეტო, როგორ თვალს არ აშორებ მიხას! — გაეხუმრა დარიკო, ნიდაყვის კვრით, თინას, რომელიც ღიმილით შესცქეროდა სოფლის წინსვლით გახარებულ მიხას.

— ო, რა არის, გოგო! — მორცხვად ჩაღუნა თინამ თავი.

4.

— არა, ნამოჯამაგირალი მიხაც მე უნდა მწიხლავდეს?! — ვერ ინელეძდ კაკოლა.

— რაო? ეს საყდარი კლუბად გადავაკეთოთო? აი, ღმერთმა შეაჩვენა ეგ სატანის კერძი! — გააწყვეტინა მღვდელმა.

— მაშა, მაშა, მამაოჯან!.. აგერა, მეც ეგე რამე, ბრიაბრუს არ მიშვრება?! შენაო აქაო ხალხს ატყავებო, უნდა აგიკრათ გუდანაბადიო!.. კაცო, ძმაოჯან, ამ ტეტიების ტყავი საქალამნედ გამომადგება თუ რად?! ახლა აუღიათ, გადაუწყვეტიათ რომაო, რაღა, აქ კაპირატია გავხსნათო... ცხვირზე მეჭეჭივით უნდა წამომადონ, რაღა!.. ჰამა, სუ... დუქანში... ნახეთ, რა ღვინო ამოვიტანე გუშინ, ჭაშნიკი...

— ვნახოთ... იორამი მაინც იყოს აქ... გარეთ ნავალი კაცია, ჩვენზე მეტი იცის და... — შესდგა კაკოლა. — თუმცა იმ კრებაზე ჩვენი მომხრენი რომ დავრაზმოთ.

— ბაშ უსტა!.. ჩემმა სიყმის მზემ, დავაძახებინებ, ა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილებო, კი არ მოგვკრან თვალი და!

— შენ ხათრიჯამად იყავი! აგერა, ჩვენი წისქვილის სარეკელა საბედაც.

— აქეთ, საბედო!—მოიხმო კაკოლამ.

— რაო? ქსენონსა ხსნიან? ექიმი უნდა მოიწვიონ? აი, მეხი კი დავაყარე მაგათ, აჰაანდე!.. – მოსვლისთანავე გაკაპასდა საბედა, აქაური მკითხავ-ექიმბაში.— რა, მე ისა მჯობიან?!

— არა, აბა შენ როგორ გაჯობებს, საბედო, მარა...—გაულიმა მღვდელმა და წვერებზე ხელი ჩამოისვა.

— იჰ, მამაო, შენც! რაღა დროს ჩემი ეგენია?! ამ ხალხის გადარევას რომ ვუყურებ...

— ხალხმა რა ქნას, ცხვარივითაა, როცა ერთი კაცი ამტუტებს ყველას! – ჩაურტყა კაკოლამ.

— ვინა? მიხა?! აი, შავმა მიწამ უყოს პირი!

— თუ გინდა მართლაც აგრე იყოს, ამიტომ... შენ ამ დედაკაცებში ენა არ დააყენო...

— ეგ მე ვიცი! — და ამაყი პოზა მიიღო საბედომ, ბურნუთის კოლოფი გახსნა...

— ამიტომ სწავლა და სწავლა! — თითქოს ამათ გასაჯავრებლად გაისმა ქოხ-სამკითხველოს დერეფნიდან რადიორუპორის ხმა, მიხამ რომ შეაერთა.

— რაო, ი რადიონმა?—დაიღრიჯა საბედა.

— რადიონი კი არა, საბედო, რადიო... — გაუსწორა მღვდელმა.

— სულ ერთი არაა? აგრემც ჭირსაც წაუღია მაგის გამომგონი! დაუსხამთ ეშმაკები საღღაც ჰაერში და აყბედებენ!

— ეხ, რას არ გამოიგონებენ ეს კომუნისტები!

— ძაან მუშა ხალხი კია და... აი, თუ ვინიცობაა, ბედმა გაგვიღიმა და ესენი აიბარგენ, მაგათგან უნდა ვისწავლოთ სახელმწიფოს შენება... — ჩაურთო იორამმა, რა შემოვიდა.

— ქა, ნეტა ე მიხაც კომუნიჭტია თუ ბალშენიკი?

— ეგ სულ ერთია, საბედო, მაგრამ... ერთი შენ წადი იქ, კრებაში იტ-რიალე, ნახე, რას იტყვიან კიდევა, თორემ ჩვენ ვერ გამოვჩნდებით და... მეც გამოვიღი... — გააფრთხილა კაკოლამ.

საბედა აძუნძულდა იქით.

— ეს იორამი კი ამბობს, ესენი აიბარგებიანო, მარა მე რაღაცა მეეჭვება, ისე მოიმაგრეს ფეხი! — ნერვიულობს კაკოლა.

— როგორ არა, შვილო, აგერა ყოველდღე არაა გაზეთებში: ომი მზად-დებაო? აი პოლშა, საფრანგეთი, ინგლისი.

დაიღუპოს ის ვიღაცა პოლშაა, ფრანცუცია, ანგლია თუ ანგალი! ფახი-ფუხობენ, თორემ იმათი დახმარება ვერა ვნახე! მაგ ლათაიებით აი გაბუას თუ-ღა მოატყუებ ახლა! — შეიგინა გუცა.

— ახლა იმასაც ვერ აჯერებ და... ვერა ხედავ, წერა-კითხვის უცოდინა-რობის სალიკვიდაციო სკოლა რომ გახსნეს, ისიც კი იქ არ დადის? მოტყუება მხოლოდ უსწავლელი კაცისა თუ შეიძლება.

— ის კრტაის ღენერალი ჩან-კი-შოვი კი არ ფახიფუხობდა, რომ ამათმა წითელმა არმიამ თხებივით იფრინა იმისი ჯარი!—არ ისვენებდა გუცა.

— ჩან-კაი-ში?!

— მაშა! აბა ერთი დაილოცე, მამაო... ჩვენ აქედან, შიგნიდან თუ არ... ჰო, რაო? მიხა?

— ეგ თუ თავიდან არ... — ავარდა მუქარა.

— არა, იმ დღეს ნახეთ, ამ ერთმეტროიანი ცხვირით რომ დაეხატე კედლის გაზეთში?!

— ჰმ! გლეხკორიცაა?!

— აბა ეგაა და მამალი!

— ეჰ, რაც იმ წითელ არმიაში იყო!..

— სუ, თორემ, ხომ იცი, ამ ეშმაკის გამოჩეკილ ჩეკას ყური არ...

— გე-პე-უ, მამაო?

— ეგ რაა, ჩინური გვარია? უ-პეი-ფუს მოგვარე ხომ არაა? — ჩაიხითხითა მღვდელმა.

— ასე... — შემოკლებით აუხსნა იორამმა სიბერით გამოჩერჩეტებულ მღვდელს.

შავი ზრახვებით აზიდული ნისლი წვებოდა სადღაც...

ამას ამჩნევდა ვიღაცის თვალი...

5.

— რასაკვირველია, საქონლის საკვებზედაც უნდა ვიფიქროთ, რათა მომრავლდეს, ჯიშიანი, თორემ ხომ ხედავთ, როგორ დალასლასებს ფერედებშეწეული...—და აგრონომმა ხელი გაიშვირა ნახირზე, რომელიც სოფლის ბოლოდან შემოლაგდა ბღავილით.

— ჰო, აგერ ეს სასილისო ორმოები აკი ამოვთხარეთ... — ჩაერია ლექსო.

— დიაღ... სილოსი უებარი საკვებია... მაგრამ არ უნდა აუშვათ ხელი მწვანე საკვებსაც და უნდა ვთესოთ იონჯა, კოინდარი, სამყურა, ესპარცეტი, მიწა-ვაშლა, ჭარხალი და სხვა... ამაზე მექნება კიდევ საუბარი...

ჩვენი გაზრდილი ბაზარი თხოულობს გემრიელ, მსუქან ხორცს, რძეს, ყველს, კარაქს, ტყავის მრეწველობა ელის კარგ ნედლეულს, საფეიქრო ფაბრიკები მატყლს, და თუ არა კულტურულად დაყენებული მესაქონლეობა, ისე ვერ ავუვალთ მოთხოვნილებას... ესეც, როგორც სხვა დარგებიც, კოლექტიურად უნდა მოეწყოს.

— მართალია! — წამოიძახა ანდრიამ და ჩიბუხი ქალამნის ჭვინტზე დაბერტყა.

— რაა მართალი? გამოყრუებულხარ სიბერით და არ გესმის რას... — საიდგანღაც აეტუზა კაკოლა და შხამიანად ჩაურთო.

— რა და არ გესმის?! აბა ჩვენი მთავრობის კაცი ცუდს ინდომებს ჩვენთვის?

— ჰო, მაგრამ შენ ხომ ისეთი სიძე გყავს, რომ...

— შენ რა სულ ის გეჩხირება თვალში?!

— რათა, შვილოსან, პირიქით არ უნდა მიხაროდეს? ჩემთან გაიზარდა, ამაგი მაქვს ზედ...

— ჰმ! ამაგი! დღე და ღამე საქონელში ატარებდი ტიტლიკანას, მშიერს და...

— ეჰ, რა უნდა გელაპარაკო, მე არ მიჯერი და სხვას კი... ასეა, შვილოსა... აღარც მეზობლობაა, აღარც გატანა... იმიტომ გიწყობდი ხელს?! სხვა არა იყოს რა, ნათელ-მირონებად მოვხვდებით... საცოდავმა პაპიშენის პაპამ... ღმერთმა აცხონა... მესამე ცოლი რომ მოიყვანა თურმე და იმას გერი მოყვა, ჩვენებიანთ სოსოს დიდედას არ მოენათლა?!

— ეგ რა, კაკოლი, მერამდენე ქედზეა ჩვენი მოკეთეობა?! ესე იგი, თქვენი ციცა და ჩვენი ხვადი მარტში სადღაც ერთ ბანზე ჩხაოდენ, არა?!

— ეჰ, შენ ხუმრობაზე ხარ და...

— იჰ, ნეტა შენცა! რას ელაპარაკები? აი ახლა რომ შერეკავენ არტელში, ყველაფერს რომ წაართმევენ და პურს გირვანქობით მისცემენ, მაშინ... — ჩაერია საბედა.

— რა, ანდრო, მართლა შედიხარ?

— ვითომა და რითვინ არა?! ყველა დახმარება იმას ექნება მთავრობიდან და... მე რად უნდა დავრჩე გარეთ? ყველა ღარიბი იქ...

— არა... კი არაფერს გეუბნები, მაგრამ... ეს ხარები მაინც რად უნდა შეიყვანო? შენ, როგორც ღარიბს, ისეც მიგიღებენ... გაყიდე და სახლში მოიხმარე ფული... აჰა, ბე, თუ გინდა... ჩემზე მაინც უპრიანია და...

— რა, ხელცარიელი შევიდე?! ჰაი დედასა!

— არა და...

ველარ დაათავა კაკოლამ, ხელი ლოყას იტაცა, ვილაცის სილა ემწვავა... შეიქნა ჩოჩქოლი. კაკოლასაც გამოუჩნდენ მომხრეები.

— რად გაარტყი? — შეეკითხა თინა ტატოს.

— აბა რა, იცი, რას ეუბნებოდა მამაშენს?!

— გამიშვით! — იწევა კაკოლა, ალბათ იმიტომ თუ, რომ იცოდა ხალხი არ გაუშვებდა და იხტიბარს არ იტეხდა. — როგორ გაბედა მაგ ლაწირაკმა?!

— გაუშვით, ვნახოთ რას იზამს! კულაკ! ბითურ!.. — ემუქრებოდა ტატო.

— არა, ტატო. აგრე კი არ უნდა შეტევა კულაკობაზე, არამედ შეგნებით, ღარიბ გლეხთა დარაზმვით, საშუალოებთან კავშირში... — დაუწყო დარიგება მიხამ.

— ჰო, ახლა თავზე ქონსაც მოვუსვამ!.. — არ იშლიდა ტატო.

— რატომ ხელი არ გაუხმება, მაგ სამიწეს, როგორ შეჰკადრა?! — იჩეჩებოდა საბედა.

— ჰმ, ეგეც ალბათ მიხამ შეაგულიანა! — დაატანა კულაკთა და შავსიელთა მაჩანჩალა ნიკამ.

— ნიკა!!!

— ჰო, რაო?!

— კარგი, რა, გენაცვალე! — ეხვევა თინა, ამშვიდებს მოთმინებიდან გამოსულ მიხას.

6.

— ამხანაგებო! ხალხო! — ძლივს ამშვიდებს თავმჯდომარე, ზარს მაგიდაზე სცემს.

— სიჩუმე!.. დავათავებინოთ აგრონომს! — დაეხმარა კომუჯრედის მდივანი.

— ჩვენი ქვეყანა, როგორც გითხარით, ამხანაგებო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ნიადაგით და ჰავით ისეთი მხარეა, რომ კარგად ხეირობს სამრეწველო მცენარეულობა და სხვა... ჩვენმა ხილმა და ღვინომ თუ ბაზარი დაიპყრო, ჩვენმა ქვანახშირმა, მარგანეცმა და ტყემ, რომელსაც უნდა დაცვა, მსოფლიო ბურჟუაზიის მსუნაგი თვალები თუ ააბრიალა, თუ კი არამც თუ საქართველოშია

ნავთი, არამედ საქართველოა ნავთში, როგორც ჩვენი სპეციალისტები ამბობენ, რატომ ამ კულტურულმა სუბტროპიკულმა, თბილი ქვეყნის მცენარეულობამ არ უნდა მოჰფინოს ეს ველები?! ეს მდინარეები, რომელიც თეთრ ნახშირს, ანუ ელექტროს იძლევა, რატომ ყველაფერში არ უნდა გამოვიყენოთ? ელექტრო გუთნებმა განა ამ მთებსაც არ უნდა შეუტიოს?! შავი ზღვის სანაპიროზე კოლხეთის ჭაობებს რომ ვაშრობთ, განა ის კულტურული მცენარეულობით არ მოიფინება?!

ალმოსავლეთ საქართველო ხომ შაქრის ქარხანაა თავისი ჭარხალით, დასავლეთი საქართველო ხომ საბჭოთა ცეილონია ქოჩორა ჩაით?! და, აი...

— ჰო და, მართალია. როდემდე უნდა ვთესოთ მარტო დიკა, თავთუხი, სიმინდი და შვრია?! — არ ი'ზლის მიხა.

— აბა რა უნდა ვჭამოთ? — უკვირს მაგდანას.

— პურეული მცენარეული დაითესება იმ რაიონებში და შემოვა იმ რესპუბლიკებიდან, სადაც ჩაი, ბამბა და სხვა კულტურული მცენარეული არ ხეირობს.

— ჰო და... თუმცა რა, მართლაც როდემდე უნდა შევაკვდეთ ამ სიმინდს? აგერ თურმე ის რალაცა სენი რომ გაჩენილა ძველი სიმინდისაგან, პელაგიაა თუ რალაცა, მუსრს ავლებს თურმე ხალხს! — ეთანხმება მაგდანა.

— პელაგია კი არა, ძალუა მაგდანო, პელაგრა ჰქვია...—გაუსწორა ლელამ.

— იჰ, რა ვიცი, სულ ერთი არაა? იმაზე ნაკლებ მავნეა და სენიანი ჩვენებიანთ პელაგო? იმ დღეს იმის ღორი შესულიყო ჩემს ბოსტანში, აეოხრებია და როცა ეს ვუთხარი, პირიქით მე გამლანძღა.

— და, აი, ამ ბოსტნის გახსენებაზე... ამასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან კარგად მოყვანილ მწვანილს, ბოსტნეულს ბევრჯელ შეუძლია ხორცის მაგიერობა გასწიოს, რადგან ბოსტნეულში არა ნაკლებია ცხიმი... — განაგრძობს აგრონომი.

— ჰაი დედასა! გახსოვს, საბედო, ჩვენი ჯეელობა?! მე გეტორღიალებოდი და სვიმონამ კი წამართვა შენი თავი?! — სიცილით წაკრა ნიდაყვი ანდრიამ, რა საბედა მივიდა და უთხრა:

— ა? შენც აჭყე ამათ?!

7.

— ჰმ! შენ დასცინი შენს ნამოჯამაგირალს, მარა, ნახე, საბჭოში ვერ აირჩიეს? — მიუგო რომელიღაცამ, რა კაკოლამ ჩაიცინა თქმით:

— ხა! ხა! ხა!.. მაგისი აშენებული ქვეყანა კი რა ვთქვა!

— ვინ იყო მიხა? — ალბათ იკითხა ვიღამაც.

— ვინა და ობოლი ბიჭი, ტანადი, თვალადი, ღონიერი გამოხედვით, შრომისმოყვარე და რად უნდა დაეწუნა ანდრიას სიძედ? ამას ხომ თინას გარდა არავინ გააჩნდა და რად არ შეიყვანდა ზედსიძედ?! და აკი სიამითაც მიათხოვა, რა ჯარიდან დაბრუნდა, აკი ახლა შვილიშვილს, პატარა რეოსს, ათამაშებს პაპა ხელში.

— როდის შეხვდენ ერთმანეთს პირველად მიხა და თინა?

— აბა რა ვიცი, ან ვისი რა საქმეა? მარა ვგონებ ეს იყო ერთ ზაფხულის საღამოს, როცა მიხამ, ფანდურზე ღიღინით, ავაზანზე ხარები მირეკა წყლის სმად;

თინა ხომ მაშინ გამოჩნდა, კოკით მხარზე, ნერგ ქვეშ, წყაროს თავზე. და ამ დროს არ იყო, რომ თითქოს თონიდან ამოგორდა, ნაზოქივით, მთვარე, ყბა-მოღრეცით გადმოიხედა და ელნათურად გადმოეკიდა კამარაზე?

— რომელს გაეღიმა პირველად: მთვარეს, მიხას თუ თინას — აღარ მახსოვს და...

— ო, კინაღამ მეც გამიტაცა ამ სურათმა...

რას გრძნობდენ ისინი ამ დროს ცალკე და ერთად, აბა რა ჩვენი საქმეა?

— ე მიხა დროზე მომეშველა, ეგაა ჩემი იმედი! — სიამით იტყოდა ხოლმე ანდრია მეზობლებში.

— მართლაც რომ ძაან ბიჭია!

— რა გინდა, რომ მისი ხელიდან არ გამოვიდეს!

— შნო აქვს და!

არა ერთს მიუგია ნატვრით.

— ა, შვილო, თინა, მართალს არ ვამბობ? ხომ ძაან ბიჭია?! — შეეკითხა ერთხელ ანდრია ღიმილით.

— იჰ, აბა რა ვიცი?! — ამის მეტი ვერა მიუგო რა თინამ და მორცხვად თავი ჩაღუნა, თვალები დანაბა, ტუჩებს ღიმილი მოსწყდა, რაიც მისი უხმო, სიყვარულით აღსავსე გულის დასტური იყო და ქურდულად შეაპარა გადახედვა მიხას, რომელიც დერეფანში კალათს სწნავდა.

— ჰაი დედასა! აბა ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი დაბრუნდებოდა ჯარიდან? ანაბანაც კი არ იცოდა, მარა აბა ახლა გადაუდგეს წინ ვინმე!

— გახსოვს, ვიდრე იქ წავიდოდა, ცინგლიანს რომ ეძახდენ?!

— ასე იცის წითელმა ყაზარმამ და!.. ის ხომ უფრო წითელი სკოლაა, სადაც იზრდება მხედარი — მოქალაქე.

— არა და ის ვერანა მეფის დროის ყაზარმაა, რომელიც უფრო ციხესა ჰგავდა და ზრდიდენ საზარბაზნე ლუკმად, ჯარისკაც — მონად. ვიხ იცის, რამდენჯერ გაუწკაპუნებიათ ჩემთვის თითი ცხვირზე მწვავედ, უბრალო დანაშაულისათვის!..

— არა, ის მორცხვი თინაც რომ გამოიყვანა ასპარეზზე, აქტიური ქალი გახადა? ვერა ხედავთ, მეაბრეშუმე ქალთა ამხანაგობას როგორ უძღვის?!

— ეგ აიყვანს სოფელს კულტურულ სიმაღლეზე!

აი რა სიტყვებს ისროდენ სოფელში, რა მიხას შენიშნავდენ გზად ბიმავალს, სამუშაოზე, ან ყრილობაზე მოლაპარაკეს...

ურემი მიჭრიალებს; ხარები პატრონის ღიღინს აყოლებენ სვლას; მინდვრის ჭრიჭინებს გაუბამთ ბაიათი. ჩალის და ყვავილთა სუნი ათრობს ყნოსვას, გზის პირას ქოჩორავარცხნით მჭუხარე მდინარე კი ლოთიანად მიექანება; ალვის ხეთა ჩრდილები გზად გაწოლილან ფოთოლთ შარიშურში.

8.

— აბა, ამხანაგებო, თქვენ მიდიხართ ახლა უვადო შვებულებაში, ყველაფრით მომზადებულნი; ეს ცოდნა მოახმარეთ სოფელს და ვინძლო არ დაივიწყოთ თქვენი აღმზრდელი ყაზარმა, კავშირი არ გასწყვიტოთ წითელ არმიასთან; სოფლის გასამხედროებას შეუწყვეთ ხელი, მოამზადეთ აქ გამოსაგზავნად თქვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემცველნი და თუ საჭიროება მოითხოვს, ლეგიონის განგაშზე უმალ აქ გაჩნ-
დით! — ეუბნება ლეგიონის უფროსი.

— ომის საფრთხე?! მზად ვართ, ამხანაგო ლეგთავო! — გრიალებს ათასე-
ული ხმა.

— კულტურა. საბჭოთა ორგანოების აწევა. ავიაქიმი. რემედასი. უღმერ-
თოთა წრე. კლუბი. კედლის გაზეთი. რადიო. ელექტროფიკაცია. სკოლა. ქოხ-
სამკითხველო. რევკანონის დაცვა და სხვა,—ვისი საქმეა, თუ არა მათი, ვინცაა
პარტიისა და ხელისუფლების ფხიზელი გუშაგები სოფლად? — ისმის იმედიანი
თქმა სამხედრო კომისრისა.

— ჩვენი, ამხანაგო სამხკომო! – გრიალებს გრძელვადიან შვებულებაში მი-
მავალთა პასუხი.

— მაშ, წინ, ძვირფასო ამხანაგებო!..

— იარ!!!

გრიალებს მუსიკა ლეგიონის წითელფუნჯება დროშის რხევაში, რომელ-
საც კალთებზე უელავს ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ბევრს წყდება გული აბობოქრებულ ქალაქის დატოვებით, ბევრს ვერ და-
უთმია მშობლიური ყაზარმა და ვიზე ხაკლებია მიხა?!

ორთქლმავალმა კი უკვე შეჰკივლა, აითრია რონოდებიანი წელი, გასცდა
სადგურს, და ქუდმოგლეჯილივით მიქრის მატარებელი მინდვრად გველივით გა-
შოლტილ ლიანდაგზე...

— ვაშაა!!! — ჯერ კიდევ დიდხანს ისმის, და მხედრული სიმღერა ატორტ-
მანებს არეს...

— მალე აგაჩირაღდნებს ელექტრობა, ჩემო სოფელო! — აი რა წამოიძახა
მიხამ მაშინ, რა გორაკზე ორბის ბუდესავით გადმომდგარ სოფლის აღმართს
შეუდგა და აქა-იქ ბინდში აბჟუტდა სანათები.

ო, ვინ ელის იქ? რა არ უნდა გააკეთოს?..

9.

— სდექ!!!

— შეაყე ხარები!!!

მიხამ ფიქრთა არეკვა ვერ მოასწრო, რომ შენიშნა აქეთ-იქეთა ღობიდან
ორი ლანდის გადმოხტომა, სახეყაბალახაკრული, ხელში ხანჯლის ელვით; ერთი
ხარებს გადაუდგა, მეორე ურემზე აუხტა, ზურგით, ხანჯლით შეუტია...

— აჰ!!! — არ დაიბნა მიხა, შემოტრიალდა და ისე მაგრად სდრუზა სახრე
დამცემს ჯერ სახეში და მერე მაჯაზე, რომ ის შეტორტმანდა და ჯერ კიდევ
არ იყო გონს მოსული, სახრემ რომ მეორედ გაადინა ტყლაშანი...

ურემზე ამხტარმა იგრძნო ხანჯლიან მკლავზე ძარღვიანი თითების შემოჭ-
დომა, უნებურ გაუშვა ხელი იარაღს და, რა დაიღუნა ასაღებად, მიხას უკვე
ფეხი ედგა ზე. ხელდახელ ეცნენ და დაბღუჯეს...

მიხამ ღონიერი მოქნევით ქვეშ ამოიდო, მარა უკანიდან ჯერ ბარძაყში,
მერე ზურგში და თავში იგრძნო მოშველებული მეორის დარტყმა, დაბარბაცდა,
თვალთ დაუბნელდა, ჭალს მოჰკიდა ხელი, მარა ძირს გადმოვარდა...

მის წინ თითქოს სიბნელეში აიტუზა აღმოუცნობი პოზა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვგონებ მოკვდა!

— ასე!

— სუ, ხმაზე არავინ...

— აბა, წამოავლე ხელი, რასაც მოერევი.

— ჰმ!

ვგონებ ეს სიტყვებიღა ჩასწვდა მიხას ყურში, მარა ხმა ვერ გაარჩია. მიხამ იგრძნო რომელიღაცის წიხლის დაზელა, დაცინვა...

იქვე ახლოს კი ბოგირთან წაბლა-რუ ღარში ეშვება ყირაზე, წისქვილის ბორბალი ტრიალებს, სარეკელა დახტის ქვაზე...

ვინ რა იცის, რა მოხდა აქ?!

დამფრთხალი ხარები კი ურემს მიახრიგინებენ ალმა...

ხარები შესდგენ სახლის წინ, საბძელთან...

10.

— რა ვქნა, რა იქნა მიხა?! — გაიკვირვა თინამ, რა გამოეგება და მიხას ვერ მოჰკრა თვალი.

— ა?! — ვერ მიხვდა ანდრია და ჩიბუხი გააბოლა.

— სისხლი?! — შეჰკივლა თინამ, რა მთავრის შუქზე ურემს დახედა და მამას მოხვია ხელები, აცახცახდა...

— დამშვიდდი, შვილო... შედი, ბავშს მიხედე და... — აუტირდა ანდრიას გული.

ურემზე საქონელიც მოსალოდნელზე ნაკლები?

შეწრიალდა სოფელი...

დაიწყო ძებნა...

— აგერ! — იყვირა რომელიღამაც, რა დაბის გზას გაყვენ და წისქვილის დაბლა წააწყდა მიხას, რომელიც კეფას იბანდა, უნდოდა დაწაფებოდა წყალს მწყურვალე, მარა გაახსენდა, რომ დაჭრილს წყალი აწყენს, იქვე კაკლის ხეს მიეყრდნო; მეწისქვილე კი ჭრილობას უხვევდა...

აი ამ დროს წააწყდენ მძებრები...

— მაშ არა იცი რა, გიგა? — ეკითხება ლელა მეწისქვილეს.

— ხმა, კრინტი მაინც გამეგოს... დაეყვირა მაინც. ღარიდან წყლის გადასაგდებად რომ გამოვედი, კვნესა მომესმა აგერა იქედან. შევხედე ვიღაც მობობღავს და აგერა...

— მიხა! მიხა! — ჰკივის თინა.

— არაფერია, თინა... ალბათ ასე უნდა... მომხდარიყო... — მეტი ველარა თქვა რა მიხამ და ტატოს მკლავზე გადაესვენა გულწასული.

— აბაიმე, ნეტა რომელი ღდინძაღლის საქმეა?! — გააკრაჭუნა კბილები ტატომ.

— ჰმ! წითელარმიელის ქუდს დაუფარავს თავი, თორემ... — დაატანა გიგამ.

— მაშ არ გახსოვს, ამხანაგო მიხა, ვინ იყვნენ? ვერ იცანი?! — ეკითხებოდა ალმასკომის თავმჯდომარე მეორე დილას ლოგინში მწოლარე მიხას, რა ის გონს მოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ შევნიშნე... ბნელოდა... ვგონებ ორნი... ერთ მათგანს ჩემი ნაცემი ატყვია ალბათ... — მიუგო მიხამ სუსტი ხმით.

— საშიში არაა, ჩემო დაო, თუ ისე მოუვლით, როგორც დაგარიგეთ. ორი კვირის შემდეგ ფეხზე ადგება... — დააიმედა თინა რაიონში ახლად დანიშნულმა ექიმმა.

— უმეტესი საქონელი წაღებულია? მაშ ყაჩაღები?! მაგრამ აქეთ მხარეს რომ ჭაჭანებაც არ ყოფილა მათი ოდესმე?! ნუთუ გაძარცვის მიზნით?! — უკვირდა მილიციის უფროსს.

სოფელი დააფიქრა ამ ამბავმა...

მილიცია ეძებს ბანდიტებს...

კომკავშირი ყალყზე ადგა...

II.

— ეგ რა მოგსვლია, კაკოლი? თვალი რაზე შეგიხვევია?! — შეეკითხა თავმჯდომარე, რა გზად შეხვდა, მილუფროსთან ერთად, დაეჭვებით...

— არაფერია, ილიკო. გუშინ შეშასა ვჭრიდი და ის ვერანა ნაფოტი მეცა! — მიუგო კაკოლამ ნაძალადევი სიცილით და კამეჩებს შეუტია წყაროსაკენ.

— ჰმ! აქ რაღაც... ა? — შეფიქრიანდა მილუფროსი.

— ეგ კაცი გველივით არ დაინდობა.

— აბა, წამო აქ! — მიაძახა უფროსმა.

— რა გინდა, სანდრო? — ხმაში კანკალი დაეტყო კაკოლას.

— არა, ისე...

— მაგ თვალში ნაფოტი გეცა, მარა ამ ტანზე რაღა?! — თვალი თვალში გაუყარა ილიკომ, რა ტანთ გაახდევინეს, ექიმს რომ მოუხმეს და მან მრავალი ნაცემი სილურჯე დაადასტურა.

— ეს კიდევ... — ეცადა რაღაცის თქმას კაკოლა, მარა ენა აერია, დაიბნა, გაება...

მდივანი ოქმს შეუდგა.

— ა?! — საერთო გაკვირვება.

— მაპატიეთ... შევცდი... ეს ისე... — უშედეგოდ-ღა ღმუის კაკოლა. თავი ჩაუკიდია ძირს.

— ჰმ! შეცდი?!

— ვინ იყო კიდევ შენთან?

— არავინ...

— რაო?!

— მედუქნე გუცა...

— ვა! მე?! ფიე! ხათაა?! არა, ძმაო! მიხა? ჩემმა სიყმის მზემა, რომ ეგ ბიჭი ამ სოფლის თვალია და მე რა მიქარვა მომივიდოდა, რომ... ა? — ხაფანგში გაბმულ თაგვივით ცდილობდა გამოძრომას გუცა, მარა...

— კარგი... ჩანს... მაშ ღელე-ღელე რად მიიპარებოდა ახლა? სად დაგიჭირეს ამ ბიჭებმა?

— ა? კაკოლი?! ეს სულ შენი ბრალია, რაღა!

— კარგი, გუცა, აბა მე რა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ?

— არავინ.

— არც იცოდა ვინმემ?

— ცოდნით კი, მარა მონაწილეობა არ მიუღია თავდასხმაში.

— მაინც?

— იორამი.

მილიციელი აიტუზა მის კარზე.

— რა? — შეშფოთდა ის.

— არ ვიცი... იქ გაიგებთ... — ცივად მიუგო მილიციელმა.

— რად გაძარცვეთ, თუ კი მხოლოდ მოკვლა გსურდათ?

— ნამდვილი მიზეზი რომ მიგვეჩქმალა.

— საქონელი რა უყავით?

— მღვდელ ლუკას მივაბარეთ.

— აბა, რა ვიცოდით, შვილო, კაკოლას მოეტანა და ტახტ ქვეშ შეედო, და, აბა მეც რა... ალბათ ჩემი მტრობა თუ ჰქონდათ ამ სატანის კერძებს! — უიმედო ღა იყო მღვდლის უარი, რა მასაც სტაცეს ხელი.

მთელი სოფელი მიაწყდა ქოხ-სამკითხველოს შენობას.

— რა საკვირველია, აბა მღვდელი მაგას იკადრებდა? უშვით ხელი! — ჩაერია საბედა, მარა ისიც ამათ მოუყენეს.

— ჰე, ტა, ტა! განა არა, გუშინ მარილზე რომ შევედი ამ მუზმუზელას დუქანში, ესენი იქ სვამდენ, ალბათ რაღაცას აწყობდენ, ა? არა, ღვინოც რომ გამომიწოდეს?! — აღმოხდა გაბოს და კომბალი მოიმარჯვა.

— არა, ამხანაგებო, ამათ რევკანონი გაასამართლებს! — ამშვიდებს ილიკო აღელვებულ ხალხს, რა ისინი იწევენ დასარტყმელად:

— სიკვდილი მაგათ!

— ჩავქოლოთ!..

და გაუყენეს საოლქო გამსახლისაკენ...

12.

— მიხა?

— ჰმ! მიხა?! შეხეთ კოლექტივის მიწებს, ფოლადის ლეგიონები რომ შეესევიან და ბულრავენ, ვინა ზის წინა ტრაქტორზე?!

შეხეთ იმ იერიშს!..

ის, რაც ზემოდ გადაითვალა მძივად, მოგონებათა ყაითანზე, იყო აღდგენით პერიოდში.

— ახლა?

— რეკონსტრუქციის ხანა!

რას ამბობს ახალი, საბჭოთა კოლექტიური თქმა?

— ბრიგადა!

— დამკვრელობა!

— სოცშეჯიბრი!

— ბუქსირი!

ინდუსტრიალურ ქალაქს ღონიერ ხელს ართმევს კოლექტივიზაციაქმნილი სოფელი და აი სადაა მიხა!

და განა ერთია ასეთი მიხა?!

აი რა კადრებს იძლევა წითელი ყაზარმა...

— როგორ?

— როგორ და... ეს კითხეთ საქართველოს გასაბჭოების და წითელი არმიის ქართულ ნაწილების ათი წლის თავს!

— რა იციან?

— ბრძოლა! შრომა! ზეიმი!

ახლა აღარაა სიტყვა: გლეხი. არის: დამკვრელი, კოლმეურნე, ენტუზიასტი. დიახ!..

სოციალიზმის მშენებლები!..

ხეზმან ერთაწმინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

38.000

[ნავთის ხუთწლედის დამკვრელებს]

გიორგი შატბერაშვილი

I.

შენ აღრიალდი
შმაგი ხროტინით,
აზარმაცებად ზიდავდი ხელებს, —
38.000 ტონა
შადრევანივით ამოახველე!

38.000 ტონა —
ნავთი ნაჟანგი და სისხლნარევი.
ქუხდენ ღარებში მღვრიე ღვარები
და ჩაჟანგებულ მილებს მისდევდენ.
გაჰყვა მასების ენტუზიაზმი
ლიანდაგებზე მბორგავ ცისტერნებს...

აახმიანე მტკიცე ციფრები
და შეაჯახე რამზინის ხელებს, —
38.000 ტონა
ერთ დღე-ღამეში ამოახველე!

იყო მოლხენის და ჟრუანტელის
ამთაგორება პირველ აპრილთან.
შავი ქალაქის გამურულ კოშკებს
მოსტაცეთ ნავთი სისხლად ნადენი
და მიესალმეთ გაშლილ დროშებით
მეორე ხუთწლედს მზისფერ აფრიანს!

38.000 — ნავთის ხუთწლედის დამკვრელებს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორგავდა შავი ყარაჩი ხური —
შავი ქალაქი და სურახანა.
განგაში...
სისხლი...
ტემპი ჩქარული...
დამკვრელ მასების შრომის ხმაური...

თქვენ კომუნიზმის ცეცხლი გიტაცებსთ
და ჭაბურღილებს არყევთ ღრიალით;
თქვენ ამოღვარეთ ნავთი მიწაზე
და შადრევნები ნიაღვრიანი.
თქვენ შეეჭიდეთ მეორე ხუთწლედს,
შავი ქალაქის ლეგიონებო!!

სად ნავთის ჭავლი იდგა ტბორებად,
ქუხდენ ღარები და მილნარები, —
კუნთებზე: რიტმი და გამხნევება,
სახე — ნაღარი და ღიმნარევი...
გქონდათ სხეული შავად ნამური
და ატარებდით თვალებს აფერილს,
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე
განიერდება გადასარბენი!!

II.

მოდი და ეხლა უმღერე მთვარეს,
ან ქარი როგორ აბოდებს ბინდებს,
აქ იდილიის გადიმტვრა თარი,
ვინ მოიგონებს განცდას გუშინდელ-?!

მე სხვა მიზიდავს,
მე სხვა მიტაცებს,
მე არ ვუმღერი დარხეულ ტირიფს,
მე არ მოვათრევ გლოვას მიწაზე,
და არ დავდივარ, როგორც აჩრდილი...

სიხარულია!
ეს გაზაფხული
მილიონების გაზაფხულია!
მოაქვთ დროშების ტევრი შრიალა,
ქართა ქალაქის ქუჩებს უვლიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საჭიროა ვუმღერო მთვარეს,
რა საჭიროა ვუმღერო ჭალას, —
დღეს საზეიმოდ მოედნებს რთავენ
და მოშრიალე დროშები ჩანან!!.

— მეორე ხუთწლედი!!
— მეორე ხუთწლედი!!
არბევს ევროპას ეს მოძახილი.
— ეს კოშმარია!
ბებერ კართაგენს უიმედობის ჩრდილი აცვია,
მის სხეულს იპყრობს ყრუ აგონია,
ჩნდება კივილი და სენსაცია!

... და გიგანტები კვლავ ხროტინებენ,
ქუხს შადრევნები ნიაღვრიანი!
ნავთის კოშკებო!
ჭაბურღილებო!
დაიღრიალეთ!
დაიღრიალეთ!!

გიორგი შატბერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და მეთოდოლოგია

პროლეტარული მწერლის გზა

ემელიან იაროსლავსკი

„ნურაფრის გეშინიათ! არ არსებობს იმაზე მწარე სატანჯველი, რომელსაც თქვენ მთელი სიცოცხლის გინმავლობაში განიცდით“...

„სისხლის მორევით არ ჩაიხშობა სიმართლე“.

მ. გორკი. „დედა“.

იმ დროს, როდესაც მუშათა მოძრაობის პატარა ნაკადულები ერთ მძლავრ მდინარედ ერთიანდებოდა, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს ცოტა ჰყავდა თავისი პოეტები, მხატვრები, მწერლები. თანამგზავრები ბურჟუაზიული ბანაკიდან ხშირად სტოვებდენ მუშათა კლასს გაჭირვების წუთებში,—მათი უმრავლესობა კი ჩამოშორდა მას ორ რევოლუციათა შუა პერიოდში. თვით მუშათა მასებიდან გამოსული დიდი მხატვრები, მწერლები, რომლებიც ამავე მასის ინტერესებით ცხოვრობდენ, მასთან ერთად იბრძოდენ მერმისისათვის, რომლებმაც მთელ მუშათა კლასთან ერთად გამოსჭედეს თავისი კლასიური სიმართლე — ასეთი მწერლები თითებზე იყო ჩამოსათვლელი. და ყველაზე უფრო ნათელი ფიგურა მათ შორის იყო და დღემდე რჩება ალექსეი მაქსიმეს ძე გორკი.

მუშა კაცის ცხოვრებამ მალე შეახვედრა მ. გორკი ისეთ გამოჩენილ მარქსისტს, როგორიც იყო ფედოსეევი. შემდგომ, „ჩემს უნივერსიტეტებში“ მ. გორკიმ ნათლად ასახა კამათი მუშათა წრეებში, სადაც მარქსის რევოლუციონური მოძღვრება გზას იკაფავდა, უკუაგდებდა და ამხობდა უტოპიური ნაროდნიკობის ავტორიტეტებს; ეს მოძღვრება იპყრობდა მოწინავე მუშებს და მათი საშუალებით მთელ მუშათა მასას. გორკიმ ამ მოწინავე მუშებთან და მთელ მუშათა მასასთან ერთად მოიმარჯვა რევოლუციონური მსოფლმხედველობა, მან გაიარა კლასობრივი ბრძოლის გზა პირველი საფეხურებიდან, დაქსაქსული წრეებიდან — მასიურ მუშათა მოძრაობამდე, პირველი, თავის შემადგენლობით ვიწრო პარ-

ტიულ წრეებიდან — მასსიურ პროლეტარულ ბოლშევიკ-კომუნისტების პარტიამდე, პირველი დემონსტრაციებიდან და გაფიცვებიდან — სოციალიზმისათვის უდიდეს კლასობრივ ბრძოლამდე.

ჩვენი ქვეყნის რევოლუციონური მოძრაობის ისტორიკოსმა აუცილებლად უნდა აღნიშნოს ის უდიდესი გავლენა, რომელიც იქონია გორკის ადრინდელმა თხუზულებებმა რევოლუციონურ, მუშურ და სტუდენტურ ახალგაზრდობაზე პირველ რევოლუციაში. ზოგიერთი მათგანი ერთგვარ რევოლუციონურ მანიფესტს წარმოადგენდა, როგორც, მაგალითად — „სიმღერა შევარდენზე".

მაქსიმ გორკიმ თავისი ბედი, თავისი ცხოვრება მტკიცედ და საბოლოოდ დაუკავშირა მუშათა კლასის საქმეს. მას ჰქონდა თავის დაეჭვება, თავის მერყეობა, ისე როგორც ბევრ მუშა ხალხს ათეული წლების მანძილზე; მაგრამ ყოველთვის, თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ის არკვევს და საბოლოოდ სძლევს ამ დაეჭვებას, კვლავ სდგება მუშათა კლასის ორგანიზაციის რიგებში, კიდევ უფრო დაჯერებული ჩვენი საქმის სიმართლეში. ასეთ სიმართლეს გორკისათვის პირველი რევოლუციის დღეებში კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი სიმართლე წარმოადგენდა. „ჩვენ ვუპირდაპირდებით საზოგადოებას — ამბობს გორკი პავლეს პირით ერთ-ერთ თავის საუკეთესო ნაწარმოებში — „დედა", — რომლის ინტერესების დაცვაც თქვენ ნაბრძანები გაქვთ, ჩვენ ვუპირდაპირდებით ამ საზოგადოებას, როგორც შეურიგებელი მტერი მისი და თქვენი, და ჩვენს შორის შერიგება შეუძლებელია მანამდე, სანამ არ გავიმარჯვებთ. გავიმარჯვებთ ჩვენ, მუშები!"

„შეხედეთ — ეუბნებოდა ის კლასობრივ მტრებს ჯერ კიდევ მაშინ, პირველი რევოლუციის პერიოდში, მეოთხედი საუკუნის წინად, — თქვენ უკვე აღარ გყავთ ხალხი, რომელნიც შესძლებენ იდეურ ბრძოლას თქვენი ხელისუფლებისათვის, თქვენ უკვე დახარჯეთ ყველა არგუმენტი, რომელსაც შეეძლო თქვენი დაცვა ისტორიული სამართლიანობის შემოტევისაგან; თქვენ უკვე არაფერი ახალის შექმნა არ შეგიძლიათ იდეათა სფეროში, თქვენ სულიერად უნაყოფონი ხართ. ჩვენი იდეები იზრდება, ისინი სულ უფრო და უფრო ნათელ სახეს ღებულობს, ისინი ეუფლება ხალხთა მასებს და რაზმავს მათ თავისუფლების მოპოებისათვის. მუშის დიადი როლის შეგნება ერთსულოვნად ხდის ყველა ქვეყნის მუშებს, — თქვენ არაფრით არ შეგიძლიათ შეაჩეროთ ცხოვრების განახლების ეს პროცესი სიმკაცრისა და ცინიზმის გარეშე... თქვენი ენერგია ოქროს ზრდის მექანიკური ენერგიაა, ის აერთიანებს თქვენს ჯგუფებს, რომელთაც უნდა შთანთქას ერთმანეთი. ჩვენი ენერგია მოზარდი შეგნებისა და მუშათა სოლიდარობის ცოცხალი ძალაა. ყველივე რასაც თქვენ აკეთებთ — დანაშაულია, ვინაიდან ის მიმართულია ხალხთა დამონებისაკენ. ჩვენი მუშაობა ანთავისუფლებს ქვეყანას მოჩვენებათა და ჯადოებისაგან, რომელნიც შობილან თქვენი სიცრუით, ბოროტებით გაუმაძღრობით — საშინელებისაგან, რომელიც აშინებს ხალხს. თქვენ ჩამოაშორეთ ადამიანი ცხოვრებას და გაანადგურეთ ის. სოციალიზმი აერთიანებს თქვენ მიერ დანგრეულ ქვეყანას ერთ დიად მთლიან ერთეულად. და ეს — მოხდება!"

გორკის „დედა" თარგმნილია თითქმის ყველა უცხო ენაზე, მრავალმა მილიონმა და ათეულმა მილიონებმა წაიკითხეს ეს, თავის ძლიერებით ჭეშმარიტად გასაოცარი ნაწარმოები და გორკის მილიონ მკითხველმა-მეგობრებმა შეითვისეს პავლეს ეს კლასობრივი სიმართლე. სწორედ ამიტომ გორკის უკვე მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა განეცადა თავის თავზე კლასობრივი მტრის მთელი ღვარძლი, ცარიზმისა და მისი მსახურების სიძულვილი მისადმი. კლასობრივი მტერი ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მ. გორკის მუშაობას. და თუ მას ეჩვენებოდა, რომ გორკის შემოქმედებაში გაისმის დაეჭვების ხმა, კლასობრივ მტერს ეს უხაროდა.

მაგრამ ამაო იყო მისი სიხარული! სწორედ ამჟამად, სოციალისტური მშენებლობის გაშლის წლებში, როდესაც უმაღლეს წერტილს აღწევს მთელი ქვეყნის იმპერიალისტების კლასობრივი ღვარძლი საბჭოთა ქვეყნის მიმართ, გორკის ხმა განსაკუთრებით მახვილი და დამაჯერებელი ხდება. გორკი ნახულობს სათანადო სიტყვებსა და სახეებს კლასობრივი მტრის დასამარცხებლად. დასავლეთ ევროპაში ცხოვრებამ ამ წლების განმავლობაში მაქსიმ გორკის განსაკუთრებით ძვირფასი გამოცდილება მისცა კლასობრივი საზოგადოების ყველა წინააღმდეგობის შეცნობისათვის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის პერიოდში. ამ წლეების განმავლობაში ის ბევრჯერ არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ის ყოველთვის ჩვენთან არის. მაქსიმ გორკის კავშირი ჩვენი ქვეყნის ფართო მშრომელ მასებთან არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ამ უკანასკნელ წლებში. მისმა უკანასკნელმა მოგზაურობამ საბჭოთა კავშირში მის წინაშე გადაშალა ახალი ქვეყანა, ქვეყანა ახალი ადამიანების. მან ნახა ხუთწლედის მხოლოდ პირველი წლის შედეგები. მაგრამ ამ შედეგებმა გორკი განაცვიფრა. ჩვენი ქვენის მუშათა კლასის საოცარმა ენერგიამ, რევოლუციის მიერ გაღვიძებულმა და ჩვენი პარტიის მიერ დარაზმულმა შემოქმედებითმა ძალებმა სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი საქმისათვის, მოკლე ხნის განმავლობაში იმდენი რამ გააკეთეს, რის გაკეთებასაც ვერ შესძლებდა ჩვეულებრივი ბრძოლის ათეული წლები. ჩვენს წინაშე გაიშალა ახალი ქვეყანა, ახალი ადამიანები, ახალი ურთიერთობა ადამიანთა შორის. ცხოვრების ყველა დარგში იშლება და ვითარდება ახალი ცხოვრების ყლორტები. ინერგება სოციალისტური შრომის და სოციალისტური ურთიერთობის ახალი წესები. ძველი დახავსებული ცხოვრების დათრგუნვით, ჩვენი ჩამორჩენილობის, უკულტურობის და სიღარიბის ძლევით, მილიონიან წვრილ ინდივიდუალურ მეურნეთა ჩვეულების საშინელი ძალის დათრგუნვით, გზას იკაფავს სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში. და აი შეეხო რა ამ ახალ მიწას მ. გორკი, იგი იძენს ახალ ძალას, ახალ სინათლეს. მაგრამ ის მარტო აღტაცებული არ არის მიღწეული შედეგებით; არა, მას სურს რომ მისი აღტაცება გადაეცეს ყველას, ვინც კიდევ დაეჭვებულია ჩვენი საქმის წარმატებაში. მას სურს დააჯეროს ჩვენს დიად სიმართლეში ის მრავალი მილიონი, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუგნიათ ეს. მას ეკუთვნის ჟურნალების გამოცემის ინიციატივა. („Наши Достижения", „На Стройке СССР"), და „სამოქალაქო ომის ისტორიის" გამოცემის გეგმა.

გორკიმ იცის, რომ ჩვენ ნამდვილად გვაქვს უდიდესი მიღწევები, გასაოცარი, როგორც მას უყვარს თქმა. მაგრამ გორკის სურს, რომ ამ მიღწევებმა დაარწმუნოს სხვები, ჩაუნერგოს მათ რწმენა გამარჯვებისადმი, აღძრას მათში სურვილი კიდევ უფრო დიადი მიღწევებისათვის ბრძოლისა, კიდევ უფრო მეტი გასაქანი მისცეს შემოქმედებით ძალებს, კიდევ უფრო დააჩქაროს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ტემპები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკიმ იცის, ვინ არის ჩვენი მტერი. მან შეისწავლა ის თავის ცხოვრებისა და ბრძოლის ათეული წლების მანძილზე. ის იცნობს ამ მტრის ხრიკებსა და ოინებს. გორკი დაუღალავად ამხელს და ამათრახებს მრავალსახოვან ობივატელს, მეშჩანინს, ინდივიდუალისტს, რომელსაც ეშინია ხვალინდელი დღის, რომელიც დამფრთხალი იცქირება უკან და კვნესის და ჰგოდებს წარსულზე, მეშჩანურ ტკბილ ცხოვრებაზე. გორკი უდიდესი მტერია ამ მრავალსახოვანი მეშჩანინის, ინდივიდუალისტის, წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიისა. ეს მრავალსახოვანი მეშჩანინი, ფილისტერი, რომელსაც ყველაზე უფრო ეშინია პროლეტარულ რევოლუციის, ხომ ბურჟუაზიის უკანასკნელ საყრდენს წარმოადგენს. ამ მეშჩანინს რაზმავს საერთაშორისო ბურჟუაზია, მისთვის იბრძვიან ბურჟუაზიული კლასები. ეს მეშჩანინი იფარავს თავის უსუსურობას, თავის იდეურ სიღატაკეს, თავის უძლურებას, პაციფიზმისა და ჰუმანიზმის გაცვეთილი სამოსელით, ებღაუჭება რელიგიას, მისტიციზმს, იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური სამყაროს ნამდვილი ბატონ-პატრონი — ბანკირი, მსხვილ სამრეწველო საწარმოთა და დიდი ლატიფუნდიების მფლობელი, მონათმფლობელი და იმპერიალისტური მტაცებელი — ახალ გამანადგურებელ ომისათვის ემზადება. და გორკი ხედავს, როგორ ახლოვდება „ძველი ქვეყნის გამანადგურებელი გრიგალი". მაგრამ მან იცის, რომ ძველი ქვეყანა არ დასტოვებს ასპარეზს უბრძოლველად, ის კიდევ შეეცდება მახჩობელა შხამიან გაზებით ჩაახშოს მშრომელი კაცობრიობა, ის შეეცდება არტილერიის ყუმბარების ცეცხლით დაანგრიოს სოციალიზმის მშენებელ მუშებისა და გლეხების შრომა. ჩვენ ყველამ უნდა ვიგულისხმოთ ჩვენი თავი, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის წითელი არმია, ამბობს მ. გორკი, — ყველამ, მინდვრებში და ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავემ, ყველამ, შაშხანითა და საწერ კალმით შეიარაღებულმა. ჩვენ უკვე 13 წელიწადია ვცხოვრობთ ბრძოლაში, ეს თქვენი დიადი ყოველდღიური, მაგრამ უდიადესი ბრძოლაა უფორმო ლითონთან, რომლისგანაც თქვენ ჰქმნით გონივრულ მანქანებს, მიწასთან, რომელსაც აიძულებთ მოგცეთ კარგი მოსავალი, ბრძოლა მიწის ქვეშ, საიდანაც თქვენ ამოგაქვთ ქვა-ნახშირი, ბრძოლა ტრანსპორტზე ზამთრის სუსხიან ღამეებში თოვლისა და ქარბუქის წინააღმდეგ, — ყველგან ეწევით თქვენ ბრძოლას სიტყვით და საქმით.

და თუ თქვენ მოგიხდებათ იარაღით შებრძოლება ძველ ქვეყანასთან, — ამ უკანასკნელ ბრძოლაში გამოვა მსოფლიოში პირველი არმია, რომლის თვითეულ მებრძოლს ნათლად და მკაფიოდ ექნება შეგნებული თუ რისთვის იბრძვის, ვინ არის მისი ნამდვილი მტერი, მას ეცოდინება რომ ეს მტერი ისტორიისაგან განწირულია და რომ მისი დაღუპვა მთელი დედამიწის მშრომელთა ბედნიერების დასაწყისი იქნება" („პრავდა" № 51).

რომ თვითეულ მებრძოლს ნათლად და მკაფიოდ ექნება შეგნებული ის, თუ რისთვისაც იბრძვის და ვინ არის მისი მტერი, — ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის თვით მაქსიმ გორკის. მან ბევრი რამ გააკეთა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, იმისათვის, რომ ყოველ მშრომელს ნათლად დაენახა ეს მტერი. გორკი ხედავს რომ „სევდა და სასოწარკვეთა იპყრობს მეშჩანებს უძლურების შეგნება სტანჯავს მათ: და მათ წრეში სულ უფრო მრავლდება ისეთი ხალხი, რომელიც სცხოვრობს ლოზუნგით: „Хоть день, да Наш". ის ხედავს რომ ყველაზე უფრო შავბნელი რეაქცია მოიცავს კაპიტალისტურ სამყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლიერესი ეკონომიური რყევისა და ულრმესი კრიზისისაგან გამოსავლის ძიებაში, ბურჟუაზია ებღაუჭება და ხელთ იმარჯვებს ყველაზე უფრო რეაქციონურ საშუალებებს. ომისათვის გააფთრებული მზადება მიმდინარეობს, დაცემულობის ფილოსოფიისა და სასოწარკვეთილი განწყობილების განვითარების გვერდით ბურჟუაზიულ ინტელიგენციისა და დასავლეთ ევროპის მეშჩანურ ფენებს შორის. გორკი ხედავს „ბურჟუაზიის გაველურების აშკარა ნიშნებს, — გაველურების დაღუპვის შიშით... პანიკური ძველი საეკლესიო აზრები მკვდრეთით სდგებიან, ვრცელდება როგორც ხავსი, და, რა თქმა უნდა, არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს მეშჩანთა მასებზე, რაც ხელს უწყობს მის „გახრწნას თავიდან“ და აჩქარებს ამ პროცესს“. (მ. გორკის წერილი სერპუნოვის მუშფაკელებისადმი).

ასეთ პირობებში გორკის ხმა გაისმის მხნედ და დაჯერებით. ის მოუწოდებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუშებსა და მშრომელთ პროლეტარული რევოლუციისადმი დახმარებისაკენ. 63 წლის გორკის ხმას ყურს უგდებს მთელი ქვეყნის მრავალი მილიონი მშრომელი ხალხი. ყველა ჯურის ხუცები სცდილობენ მშრომელთა მოტყუებას ზღაპრებით საერთო საკაცობრიო სიმართლის შესახებ, ისინი ცდილობენ მიჩქმალონ კლასობრივი სიმართლე, გორკი ამჟღავნებს ორ სიმართლეს. ის უამბობს მშრომელთ ამ ორი სიმართლის შესახებ, რომელთაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ ერთმანეთს შორის.

„ერთი მათგანი თქვენია — ძველი, დაფლეთილი, მარცხენა თვალით ელამი და უკბილო, რომელიც იმავე სიდამპლით საზრდოობს, რომელიც თვით მან შექმნა.

მეორეა — ახალგაზრდა, ფხიზელი, დაუშრეტელი ენერგიით; ის მიისწრაფის წინ. თავის უმაღლესი მიზნისაკენ, უკან არ იხედება და ხშირად იმ ორმოშიც უსხლტება ფეხი, რომელიც გათხრილია ძველი სიმართლის მონათა მტრული ხელის მიერ მის ეკლიან გზაზე.

ერთი ამ სიმართლეთაგანია — საბჭოთა კავშირში შრომის ხალხი, ბოლშევიკების პარტიისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხელმძღვანელობათ, მუშაობს მძიმე პირობებში, წარმატებით აშენებს თავის ახალ, თანასწორთა სახელმწიფოს და ეს გრანდიოზული, მამაცური მუშაობა წარმოადგენს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის აღორძინების დასაწყისს, მსოფლიო რენესანსის დასაწყისს.

მეორეა — ბრიყვი, სულელი, წვრილმანი, ბოროტი სიმართლე, რაიც უყვართ დეკადენტებს, რომლებიც სცხოვრობენ საბჭოთა კავშირის შიგნით და გარეთ. ის გაბოროტებით მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის (162) მილიონი მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის მორთული აბრეშუმებითა და ხავერდებით, რომ მუშათა კლასის დიქტატურის 13 წლის მანძილზე მან 25 მილიონი მესაკუთრე — ინდივიდუალისტი ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა სოციალისტებათ“.

სხვათა შორის საბჭოთა კავშირის გარეთ მცხოვრებ დეკადენტების ამ ხმას შეუერთა თავისი ხმა ლ. ტროცკიმაც; ერთ-ერთ თავის „ბიულეტენში“ ის ჭიცხავს გორკის იმისათვის, რომ ის ყოველგვარი შენიშვნის გარეშე იცავს საბჭოთა კავშირს და პირველ რიგში აყენებს მ. გორკის ძველ მერყეობას. 63 წლის მ. გორკი ახალგაზრდული აღტკინებით იბრძვის ამ ჩვენი პროლეტარული სიმართლისათვის, რომელიც ანთავისუფლებს მშრომელ კაცობრიობას, ამსხვრევს უთანასწორობისა და კლასობრივი ჩაგვრის ძველ სამყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწრო და მჭიდრო იყო პროლეტარული ლიტერატურის წრე, როცა ჩვენი პარტია გამოვიდა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ლაშქრობაში, მაგრამ გორკი ახლა უკვე ერთი არ არის მწერალთა გარემოში. მის გარშემო აღიზარდა ახალი, ახალგაზრდა პროლეტარულ და გლეხურ მწერალთა ძლიერი მოდგმა, რომელმაც გაიარა მძიმე შრომის სკოლა — კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი აღზრდის სკოლა. ეს მოდგმა სწავლობს გორკისაგან თუ როგორ უნდა იქნას განადგურებული მტერი გამახვილებული კალმით. მათ უყვართ მაქსიმ გორკი, ისე როგორც ის უყვარს მთელს ჩვენს ქვეყანას.

გორკის აძაგებს ბურჟუაზიული, ფაშისტური და სოციალ-ფაშისტური პრესა, მათ სძაგთ გორკი სწორედ იმიტომ, რომ ის ნიჭიერად და მკაფიოდ იცავს ჩვენს კლასობრივ სიმართლეს, კომუნიზმის სიმართლეს, რომელიც შეიქმნა ჩვენში რუსეთის რევოლუციის 30 წლის მანძილზე, —სიმართლეს, რომლისათვისაც საბყროგბილეებში, სახრჩობელაზე და გადასახლებაში დაიღუპა მრავალი ათასი და ათი ათასი საუკეთესო ადამიანი. მაგრამ, რაც უფრო მატულობს ჩვენი მტრების ღვარძლი, მით უფრო მეტად ვიბრძოლებთ ჩვენ გორკისთან ერთად, სიტყვით და საქმით, სოციალიზმის საკეთილდღეოდ, ჩვენი საქმის გამარჯვებისათვის, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ჩვენ ველით გორკის, როგორც ჩვენი მებრძოლი ამხანაგის ჩამოსვლას. მასთან ერთად, ჩვენ არა თუ დავასრულებთ ჩვენს პირველ ხუთწლედს, ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავშლით არნახულ ენტუზიაზმს, დავრაზმავთ ჯერ კიდევ დაურაზმავ ძალებს სოციალისტური გარდაქმნის დიადი გეგმის, მომავალი ხუთწლედის გასამარჯვებლად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გორკი დღითი-დღე, მით უფრო და უფრო უახლოვდება ევროპისა და მთელი ქვეყნის მუშებსა და მშრომელებს, რამდენადაც უფრო ახლობელი და მშობლიური ხდება მათთვის საბჭოთა კავშირი.

ემელიან იაროსლავსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი რევოლუციონერი

ვალერიან ლუარსამიძე

წელიწადი სრულდება, რაც მსოფლიო რევოლუციონურმა პოეზიამ დაკარგა უდიდესი რევოლუციონური პათოსის, რიტმის და სოციალიზმის საუკეთესო პრაქტიკოსი — ვლადიმირ მაიაკოვსკი; პროლეტარული მწერლობის მშენებელთა მებრძოლი რიგებიდან გამოვიდა დიდი ნოვატორი და მეშჩანური „კეთილდღეობისა“ და გერანის იდოლოგიის კანონიზაციის უსასტიკესი მტერი; რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ დაკარგა სოციალისტურ პრაქტიკაში ორგანიულად შეზრდილი მოწინავე პოეტი, მუშათა კლასის ბევრი პოეტის მასწავლებელი. მაიაკოვსკი ბოჰემურ წარსულთან დამაკავშირებელი ბოგირების დაშლით მოვიდა პროლეტარულ მწერლობაში, საკუთარი თავის ფსიქო-იდეოლოგიური გადამუშავებით, იდეოლოგიური ბრძოლებით დაუკავშირდა პროლეტარიატის კლასიურ მწერლობას, თუმცა მას ყვითელი კოფტის ბოჰემური, ინდივიდუალისტური ფსიქო-იდეოლოგია საესებით არ ჰქონდა დაძლეული. მაიაკოვსკის ორგანიულად სძულდა წვრილი ბურჟუა, „ქალის თმების“ ლირიკა, რასიული რომანტიზმი, მეშჩანური კომფორტი, რესტორანული რომანსები და, უკაცრავად პასუხია, ის „პროლეტარული“ ბულბულები, რომელნიც თანამედროვე მეშჩანობის ტრუბადურებად და „ტრუბოდურაკებად“ გადაიქცენ.

მაიაკოვსკი თანამედროვე ქალაქის პოეტია; ბურჟუაზიული საზოგადოება და საზოგადოებრივი ურთიერთობანი მისთვის კლასიურად უცხოა, წვრილი ბურჟუაზია ეზიზღება, მუშურ საზოგადოებრიობას ნაკლებად იცნობდა წარსულში. აქედან — ინტელიგენტური ლუმპენ-პროლეტარიატის, ე. ი. ბოჰემის ლიტერატურული წარმომადგენელი მაიაკოვსკი წარსულში ისტერიულია და სოციალურად „გამოკიდული“, არ ჰქონდა დასაყრდენი, სოციალური ბაზა. მიუხედავად ამისა, ლუმპენ-პროლეტარი პოეტი მტრულად იყო განწყობილი იმ მწერლებისადმი, რომელნიც «рифмами пиликая выкипячивают из любвей и соловьев какое то варево», მტრულად იყო განწყობილი წვრილი ბურჟუასადმი, ეროტიული მისტიკისადმი, მერეჟკოვსკების ფსიქო-ცრუობისა და „პოზიტიური ესთეტიკის“ ავტორებისადმი. ოფიციალური მწერლობის „ნორმალური“ იდიოტები მაიაკოვსკის რადიკალიზმს შარლატნობად სთვლიდენ და პოეტს კი მეძავე-

ბისა და სიფილისიანების იდეოლოგად. ბურჟუაზიული წარსულის ნაშთებისა და ტრადიციებისადმი მაიაკოვსკის სტიქიური ზიზღი ისევ ბოჰემიდან მომდინარეობს, რამაც, ერთის მხრივ, მისი პოეტური პრაქტიკის ნაწილობრივი სქემატიურობა და რაციონალიზმი განსაზღვრა.

1909 წელს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვიდმეტი წლის მოზარდი მაიაკოვსკი, მთელი არსებით ამხედრებული ბურჟუაზიული საზოგადოების საყრდენების წინააღმდეგ. მაგრამ ეს იყო ანარქისტული ამხედრება, და დადებითი იდეალების უქონლობის გამო პოეტი საზოგადოებრივად მოუწყობელი დეკლასიური ელემენტების, უკეთ — ინტელიგენტური ლუმპენ-პროლეტარიატის განწყობილება-მიდრეკილებათა მხატვრული გამნივთებელი ხდება. მეამბოხე პოეტი არსებითად დაშორებული იყო დეკადენტური სალიტერატურო პერიოდის შემოქმედებითს „პრობლემებს“: სქესი, სამშობლო და მისტიკა. მაიაკოვსკის პირველი პოეტური ფაქტები ინდივიდუალისტური ამბოხია არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობა წინააღმდეგ, რაც საზოგადოების დეკლასიურ ჯგუფებს ახასიათებს. მიუხედავად მაიაკოვსკის საზოგადოებრივი და იდეოლოგიური დეკლასიურობისა, მისი პირველი პოეტური გამოსვლები ობიექტურად „მაძღრების“ წინააღმდეგაა მიმართული; პოემაში «Облако в штанах» მოცემულია ოქტომბრის ისტორიული აუცილებლობის და მოახლოვების განცდა; 1915 წელს ვლადიმირ მაიაკოვსკიმ იმპერიალისტური ომის და „სამშობლოს დაცვის“ თვალთმაქცური ლოზუნგის წინააღმდეგ აიმაღლა ხმა:

Вам ли, любящим баб да блюда,
Жизнь отдавать в угоду!?

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პოეტის შემოქმედებიდან თანდათანობით იდევნება მისი შემოქმედების პირველი პერიოდის დამახასიათებელი პესიმისტური და პირადული მოტივები. მაიაკოვსკი მტკიცედ დადგა პროლეტარული რევოლუციის პოზიციაზე, თუმცა, პირველ ხანებში, ოქტომბერში უმთავრესად დამრღვევ სტიქიას ხედავდა, ვიდრე ახალის შემოქმედ ძალას. მაიაკოვსკის შემოქმედებითი გზა პროლეტარულ პოეზიასთან ორგანიულად შეზრდის გზა იყო, მაგრამ... ფიზიკურმა სიკვდილმა ხელი შეუშალა აღნიშნული პროცესის დასრულებას. პროლეტარული პოეზია კი ემოციონალურ — სახეობით — სიტყვიერი ფორმაა, მოცემული საზოგადოების ეკონომიური და კლასიური შინაარსის გამოსავლენად.

წარსულში მაიაკოვსკის სუბიექტივიზმი, ინდივიდუალიზმი, ცალმხრივობა და ბოჰემური ფსიქოლოგია ახასიათებდა, ე. ი. იდეალიზმის გნოსეოლოგიური ძირები, რასაც წლების განმავლობაში საკუთარ ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობაზე მუშაობის გზით თანდათანობით სძლევდა. წარსულში მაიაკოვსკი თეორიას გულგრილად ეკიდებოდა, როგორც ზოგიერთი თანამედროვე მწერალი, როდესაც სინამდვილის თეორიული შეცნობა მასში კანონზომიერების გახსნას ნიშნავს და მის გაგებას ისტორიულ განვითარებაში. თეორიული მოუმზადებლობა ახასიათებდა მაიაკოვსკის წარსულში: ობიექტიურად მისი მეთოდოლოგიური პრინციპი ვულგარული ემპირიზმი იყო; უსიტყვოდ ემორჩილებოდა „შიშველ ფაქტს“ და შიშველი ფაქტების თეორიულ დამუშავებას და განზოგადოებას გაურბოდა. მართალია, ლიტერატურულ დღევანდელობაში რევოლუციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი მაიაკოვსკი დიალექტიკოს-მატერიალისტი არაა, ნაწილობრივ მექანისტი მატერიალისტია, მაგრამ უკანასკნელ წლებში პოეტი ენერგიულად მუშაობდა მარქისტულ-ლენინური მსოფლმხედველობითა და დიალექტიურ-მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდით შეიარაღებისათვის; ამ მხრივ მაიაკოვსკის სათანადო მიღწევები აქვს.

სოციალ-ფაშისტურმა „ფორვერტს"-მა მაიაკოვსკი „საბჭოთა მთავრობის ოფიციალ პოეტად" ჩასთვალა, რომელიც „ოფიციალური შაბლონის ჩარჩოებიდან ვერ გამოვიდა" და რომელმაც „საკუთარი მსოფლმხედველობის კლასიურ წინააღმდეგობათა დაძლევა" ვერ შესძლო. სწორედ „ფორვერტსებიდან" მომდინარეობს ტროცკის ობივატელური ვერსია პროლეტარულ რევოლუციასთან პოეტის შემოქმედებითი „კონფლიქტის" შესახებ. ფეხებში ნუ გვეჩხირებით სწავლულო რენეგატებო! მაიაკოვსკი სოციალისტური აღმშენებლობის ენტუზიასტია და ტრიბუნი, რომელიც გრგვინავდა და გრგვინავს:

Ненавижу
всякую мертвечину,
обожаю
всяческую жизнь!

მაიაკოვსკის „პარტიული წიგნები" არა მარტო მსოფლიო რევოლიუციონური ლიტერატურის ისტორიაში შევა, არამედ პროლეტარიატის ისტორიული ბრძოლის რკინის არსენალშიც. გესმოდესთ, ლიბერალიზმის ჰანიბალებო!

Всю свою
Звонкую силу поэта
Тебе отдаю,
Атакующий класс!

ლენინმა სრულიად რუსეთის მელითონეთა კონფერენციაზე, 1923 წელს, თავის სიტყვაში მაიაკოვსკის ლექსს — «Прозаседавшиеся» — გაუსვა ხაზი: „დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი კმაყოფილება პოლიტიკური და ადმინისტრატიული თვალსაზრისით. თავის ლექსში ის სხდომებს დასცინის... რომ სულ სხდომობიობენ... პოლიტიკის მხრივ სწორეა". მაიაკოვსკის მებრძოლი პოეზია სოციალიზმის მშენებელთა გონების და ემოციების კლასიურ-ბოლშევიკური დარაზმვისაკენაა მიმართული, რაც მოფილისტერო სწავლულებისათვის პოეზიის პროფანაციას უდრის. მაიაკოვსკის შემოქმედება კლასიურ ბრძოლადაა გაჭრილი, განსაკუთრებით კი პატარა, საცოდავი ინდივიდუალისტური გრძნობების უბადრუკი სამყაროს წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგაა მებრძოლი. მაიაკოვსკიმ შექმნა პოეზიის ახალი პუბლიცისტური ჟანრი და მისმა პოლიტიკურად გამახვილებულმა სატირამ მხატვრული რევოლუცია მოახდინა; ამაშია დიდი პოეტის რევოლუციონურ-შემოქმედებითი გამძლეობა. მწერლობის ფუნქციონალურ დანიშნულებაზე მაიაკოვსკის შეხედულებათა სისტემა რეკონსტრუქციის პერიოდში პროლეტარული პოეზიის სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს, ვინაიდან პროლეტარული მწერლების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ შიშველ ესთეტობაშია ჩაძირული. საკუთარი „სულის“ ლირიკული არსების ძიებაში ლიტერატურა მთავარს ჩამოწყდა, ლირიკული სასიყვარულო თემები ჯერ კიდევ თავს მძლავრად ამჟღავნებენ, საგრძნობია გადასული პოეტური ფორმების სტილიზაცია და რესტავრაცია. მაიაკოვსკი პოეტი-ჟურნალისტია, რომელსაც არა ერთხელ განუცხადებია, რომ დაუშვებელია მხატვრული მწერლობის სპეციალ სალიტერატურო ფურცელში გამომწყვდევა: ლიტერატურამ თავისი ადგილი მთელ გაზეთში უნდა მონახოს, ლიტერატურა საგაზეთო უნდა იყოს, გაზეთი კი — ლიტერატურული. მაიაკოვსკი არა ასეთ ლიტერატურას დესერტად და ლირიკულ ნამწვავებად სთვლიდა.

სასაუბრო ენის, რიტმის და დინამიური სინტაქსის ოსტატი მაიაკოვსკი ფაქტების პოეტია, ხოლო არა მცოცავი ემპირიკოსი, წინაალმდეგია ე. წ. ფაქტის ლიტერატურის, მებრძოლია და პრაქტიკოსი კლასიურად ტენდენციური მხატვრული მწერლობის, რაც, პოეტის სწორი განსაზღვრით, სოციალისტური ალმშენებლობის, ყოფის სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმდინარე ამოცანების მხატვრული გამნივთებელია. სასტიკად სძულდა მაიაკოვსკის „წმინდა“ პოეზიის „ბალალაეჩნიკები“, ვერსიფიკატორები, გელერტერ შარლატანები და „სქელი საჯდომიანი“ აკადემიკოსები, რომელნიც მხატვრული ლიტერატურის დეიდეოლოგიზაციას „აკანონებენ“.

მაიაკოვსკის პოეტურ პრაქტიკას მოწინავე ადგილი უკავია პროლეტარული პოეზიის საბრძოლო არსენალში.

მაიაკოვსკი დიდი კვალიფიკაციის, მხატვრული კულტურის მესიტყვეა; ის ხარატივით მუშაობდა ახალი პოეტური თქმის გამოჭედვისათვის, ახალი მხატვრული აზოვნებისათვის, სასტიკი მტერი იყო ძველი პოეტური ფორმების კანონიზაციის, რესტავრაციის, სტილიზაციისა და შენგელებისა—მაიაკოვსკი ახალი ეპოქის პოეტური მეტყველების ნოვატორია და ინჟენერი. ლიტერატურული ნაწარმოები სიტყვიერი კონსტრუქციაა; პოეტური ლექსიკა, სინტაქსი, სიტყვიერი მასალის ბგერითი შერჩევა და პოეტური სტრიქონის ბგერითი ორგანიზაცია — პოეტური სტილისტიკის საფუძველია. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მხატვრული ნაწარმოების ბუნება ცალკეულ გამოთქმათა ხარისხში კი არაა, არამედ მათი მოცემის ერთიანობაში, სიტყვიერი მასალის იდეოლოგიურ ჩამოქნაში და მხატვრულ კონსტრუქციაში, სიტყვიერი მასალის დიალექტიურ ორგანიზაციაში. მართალია, მაიაკოვსკი გაბედულად იბრძოდა „ცალკეულ გამოთქმათა“ ფინაჩების, იპოხონდრიული ეპიგონების, „მაღალფარდოვანი“ ეკლექტიკოსების და საგიტარო პოეზიის წინაალმდეგ, მაგრამ, ახალი ფორმების გამომუშავების სირთულის გამო, მაიაკოვსკი ზოგჯერ მხატვრული ტაქტის გრძნობას ჰკარგავდა და ბრტყელ პროზაიზმში იძირებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიაკოვსკი ლიტერატურული „მემკვიდრეობა“ როდია, არამედ მ ო ქ მ ე დ ი პ ო ე ტ ი ა, რომელიც ჩვენთან ერთად განაგრძობს შრომასა და ბრძოლას სოციალიზმისათვის. მაიაკოვსკი რევოლუციონერი პოეტია, პოეტი რეფორმატორი და დიდი ნოვატორი. მაიაკოვსკისაგან პროლეტარულ პოეზიას ბევრის სწავლა შეუძლია, განსაკუთრებით თემატიური აქტუალობის და ლექსის ტექნოლოგიის. მთავარია კრიტიკული, დიალექტიური მიდგომა მაიაკოვსკისადმი და ნორმატიული პოეტიკის თვალსაზრისი: უნდა მოხდეს მაიაკოვსკის ლექსის სტრუქტურის საგნობრივი ანალიზი, ლიტფაქტის შენების საშუალებათა და ხერხების შეფასება და ამათუიმ ხერხის გამორკვევა, როგორც ე რ თ ა დ ე რ თ ი კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ი ს. პროლეტარულმა პოეზიამ უნდა გაანაღდოს მაიაკოვსკის მიმართვა პროლეტარული პოეტებისადმი:

Давайте работать
до седьмого пота
Над поднятием количества,
над улучшением качества.

„პოეტი ის კი არაა, რომელიც ხუჭუჭა ბატკანივით დაიარება და გადავარდნილია ლირიკულ სასიყვარულო თემებში, არამედ ის, რომელიც გამძაფრებულ კლასიურ ბრძოლაში თავის კალამს პროლეტარიატის შეიარაღების არსენალს გადასცემს, რომელიც არავითარ შავ სამუშაოს, არავითარ თემას რევოლუციაზე, სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე არ თაკილობს და ყოველ სამეურნეო საკითხზე აგიტკებს წერს. ჩვენთვის გასაგებია დღევანდელობის მწვავე და საგულისხმიერო პრობლემები, ხოლო სადაა პოეტი? სად ეშმაკებში დაიკარგენ ეს პოეტები? არცერთ გაზეთში არ მუშაობენ. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ლიტერატურა... ესთეტობაში ჩაიძირა; საკუთარი სულის ლირიკული არსების ძებნაში ლიტერატურა მთავარს ჩამოწყდა — რომ ის სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტის აქტიური მებრძოლი და მუშაკი იყოს. დროა ჩვენი ლიტერატურა ხმათა ვარჯიშობის ნაცვლად დიადი ბრძოლისა და მშენებლობის ძლიერი იარაღი გახდეს. საჭიროა ზოგიერთი პროლეტარული მწერლის წინააღმდეგაც ბრძოლის წარმოება, რომელნიც დღეს თანამედროვე მეშჩანობის ტრუბადურები და ზოგიერთ შემთხვევაში „ტრუბადურაკები“ ხდებიან“.

ვლ. მაიაკოვსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეიურობის საკითხი მხატვრულ ლიტერატურაში

შალვა რადიანი

ჩერნიშევსკი სწერდა: „საკითხი პოეტის პათოსის, იდეების შესახებ, რომელიც აძლევს მის ნაწარმოებს ცხოვრებას, — პირველხარისხოვან მნიშვნელობის საკითხია“. ეს უსათუოდ სწორი და არსებითი მოსაზრებაა.

და მართლაც, საკითხი მწერლის იდეების შესახებ მის პათოსთან ერთად, რომელიც აძლევს ნაწარმოებს ცხოვრებას, საკითხი მხატვრული მწერლობის იდეიურობის შესახებ ყოველ დროს იდგა ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ძირითადი პრობლემა. ჩვენს დროშიაც ეს პრობლემა მკვეთრად დაისვა. ამას თავისი სრული ბუნებრივი და გასამართლებელი საბუთები აქვს. თანამედროვეობა წარმოადგენს იდეათა, იდეოლოგიათა მკვეთრი შეჯახების ხანას. ერთ მხარეზე სდგას მიმავალი, მომაკვდავი ბურჟუაზიული კლასის იდეა, იდეოლოგია, ხოლო მეორეზე კი — ამომავალი პროლეტარული კლასის იდეა, იდეოლოგია. მათ შორის შეურიგებელი კლასიური ბრძოლაა. ეს ბრძოლა ყოველი მიმართულებით და ყოველ ფრონტზე მიმდინარეობს, მათ შორის ხელოვნებაში, მხატვრულ მწერლობაში. ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგები დღეს გარკვევით აყენებენ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ხელოვნების, მხატვრული შემოქმედების ორგანიულ მომენტს არ წარმოადგენს იდეა, რომ ასეთი რამ არ არსებობს მასში. მაგრამ ეს არ არის სწორი და მისაღები მოსაზრება. ამის ქადაგება ბურჟუაზიას გარკვეული კლასიური მიზნით უნდა. პროლეტარული, მარქსისტულ-ლენინური მიმართულება ლაპარაკობს, რომ არ არსებობს ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც სრულიად მოკლებული იყოს იდეიურ შინაარს. იდეია მხატვრულ ნაწარმოებში ორგანიულადაა დაკავშირებული მის მთელ სტრუქტურულ ელემენტებთან.

როგორ ესმის მარქსიზმს იდეია? — მარქსიზმისათვის იდეია არის აქტიური მსოფლ-ათვისება, აქტიური მიზან-მისწრაფება.

თვითეული ლიტერატურული ნაწარმოები გამოხატავს განსაზღვრულ იდეიას. ამ იდეიას ყოველთვის საფუძვლათ უდევს კლასიური შინაარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ნაწარმოებში იდეიურობა წარმოადგენს შინაარსის ძირითად, არსებით მომენტს. იდეის გარეშე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ლიტერატურული ფაქტის შინაარსი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია: როდესაც ლაპარაკობენ მხატვრული შემოქმედების იდეოლოგიურობაზე, გულისხმობენ, რომ მას ასეთად ხდის უსათუოდ მისი იდეიური მიმართულება.

როგორ გამოხატავს მწერალი იდეას თავის ნაწარმოებში? ან, რაში გამოსჭვივის ნაწარმოებში იდეა?

მხატვრულ ნაწარმოებში მწერალი იდეას მეტად მრავალფეროვან და რთულ „ფორმებში" იძლევა. უპირველეს ყოვლისა, იდეა მხატვრულ ნაწარმოებში სახეების საშუალებით გამოითქმის. ნაწარმოებში იდეა გამოსჭვივის არა მარტო იმაში თუ რას ლაპარაკობს ესა თუ ის გმირი, ან, ავტორი ჩართვებში, არამედ თვით ნაწარმოების გმირების განაწილებასა და დახასიათებაში, მათ მოქმედებასა და მდგომარეობაში, მწერლის მიერ დეტალების შერჩევაში, აღწერითი მომენტებში, ინტონაციების მიმდინარეობაში, ნაწარმოების ფონის წარმოდგენაში, (ე. წ. სინათლის და სიბნელის განაწილებაში) და თვით იმაშიაც კი, რასაც განზრახ არ ამბობს, გვერდს უვლის მწერალი ნაწარმოების მანძილზე.

თითოეულ მწერალს თავის ნაწარმოებში ჰყავს თავისი საყვარელი გმირი (ერთი ან, რამდენიმე). ამ გმირთან ახლოა თვით მწერლის სოციალ-ფსიქოლოგიური არსება. მწერალიც უმეტეს შემთხვევაში ამ გმირს (სულ ერთია ეს გმირი დადებითი თუ უარყოფითი სახით არის წარმოდგენილი) ალაპარაკებს თავის ძირითად იდეას, თავის ძირითად მსოფლ-ათვისებას.

საერთოდ იდეიურობა მხატვრულ ნაწარმოებში არ არის უარყოფითი მოვლენა, ნაკლოვანება, არამედ პირიქით — ღირსებაა (სხვა საკითხია თუ რა ხასიათისაა ეს იდეა).

მარქსისტული ლიტერატურათმეტყველება და კრიტიკა სხვა მხარეებთან ერთად ყოველ მწერალში, ყოველ ნაწარმოებში, ყოველ მხატვრულ ფაქტში ცოცხალი სახეების იქით ეძებს იდეას, მსოფლმხედველობას, შეხედულებას და სხვ.

მარქსისტული ესტეტის მამათმთავრისათვის — გ. პლეხანოვისათვის მთელი მწერლობის განვითარება, ლიტერატურის ისტორია ეს იყო ისტორია იდეების მხატვრული ასახვისა და გამოთქმისა.

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ თუ როგორ ესმოდა პლეხანოვს მხატვრული ნაწარმოების იდეიურობა და საერთოდ წარმოედგინა თუ არა მას, რომ იდეის გარეშე არსებობენ ნაწარმოებნი?

პლეხანოვს საკმაოდ მრავალჯერ გამოუთქვამს თავისი შეხედულება მხატვრული ნაწარმოების იდეიურობის შესახებ. მოუსმინოთ თუ რას სწერდა იგი:

„პოეტური და საერთოდ მხატვოული ნაწარმოებები ყოველთვის რაღაცას გვიამბობენ იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის რაღაცას გამოხატავენ. ცხადია, ისინი „გვიამბობენ" თავის განსაკუთრებული სახით. მხატვარი თავის იდეებს გამოხატავს სახეებით, მაშინ, როდესაც პუბლიცისტი თავის აზრს გვისაბუთებს ლოგიკური დასკვნებით (კურსივი ყველგან პლეხანოვისაა. შ. რ.). და თუ მწერალი სახეების მაგიერ იშველიებს ლოგიკურ დასაბუთებას, ან სახეებს იგონებს გარკვეული თემის დასასაბუთებლად, მაშინ იგი უკვე არის არა მხატვარი, არამედ პუბლიცისტია, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდ იგი სწერდეს არა გამოკვლევებს და წერილებს, არამედ რომანებს, მოთხრობებს ან თეატრალურ პიესებს... ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში იდეიას არ აქვს მნიშვნელობა. ვიტყვი მეტსაც: არ შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოები მოკლებული იდეიურ შინაარსს" (კურსივი ჩვენია. შ. რ.) (იხ. მისი ნაწერების მე-XIV ტ., გვ. 137).

როდესაც მწერლები და თეორეტიკოსები დაინტერესებული არიან მხატვრულ ნაწარმოებში მხოლოდ ფორმით, მაშინაც კი ამ ფორმალიზმის ქვეშ იმალება გარკვეული იდეია, გარკვეული მსოფლმხედველობა:

„თვით ის ნაწარმოებებიც, რომელთა ავტორებიც აფასებენ მხოლოდ ფორმას და არ ზრუნავენ შინაარსზე, მაინც გამოხატავენ ასე თუ ისე გარკვეულ იდეიას... განსაკუთრებული ზრუნვა ფორმაზე განისაზღვრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინდიფერენტიზმით. ნაწარმოებები, რომელთა ავტორებიც აფასებენ მხოლოდ ფორმას, ყოველთვის გამოხატავენ გარკვეულ, როგორც ეს ჩემს მიერ უკვე იყო ახსნილი, უიმედო-უარყოფით (კურსივი პლეხანოვისაა. შ. რ.) დამოკიდებულებას მათი ავტორებისა გარეშე საზოგადოებრივ წრესთან. ამაში მდგომარეობს იდეია, რომელიც საერთოა ყველასათვის და რომელსაც თითოეული ცალ-ცალკე თავისებურად გამოსთქვამს" (იქვე).

პლეხანოვის აზრით თვით მისტიური ხასიათის ნაწარმოებებიც კი არ არიან მოკლებული იდეიურ შინაარსს:

„ხელოვანი, რომელიც გახდა მისტიკოსი, გვერდს ვერ აუხვევს იდეიურ შინაარსს, არამედ აძლევს მას თავისებურ ხასიათს. მისტიციზმი — ასევე იდეიაა, მაგრამ ბნელი, უფორმო, როგორც ნისლი, რომელიც სასიკვდილო მტრობაშია გონებასთან. მისტიკოსი არ არის წინააღმდეგი არა მარტო იმის, რომ გვიამბოს, არამედ კიდეც — დაგვიმტკიცოს. მხოლოდ იგი გვიამბობს რაღაც „უჩვეულოს", ხოლო თავის დასაბუთებაში იგი გამოსავალ წერტილად ღებულობს ჯანსაღ გონების უარყოფას. გიუსმანის მაგალითი კვლავ გვიჩვენებს, რომ მხატვრულ ნაწარმოებს არ შეუძლია გვერდი აუხვიოს იდეიურ შინაარსს" (კურსივი ჩვენია. შ. რ. (იქვე).

როგორც ვხედავთ პლეხანოვი გარკვეულად და პირდაპირ ლაპარაკობდა, რომ არ შეიძლება არსებობდეს იდეიურ შინაარსს მოკლებული მხატვრული ნაწარმოები. მაგრამ ეს კიდევ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი იდეია შეიძლება იყოს მხატვრული შემოქმედების ობიექტი:

„ხელოვნება არის ადამიანთა შორის სულიერი ურთიერთობის ერთი საშუალებათაგანი. და რამდენათ მაღალია გრძნობა, რომელსაც გამოხატავს მოცემული მხატვრული ნაწარმოები, იმდენათ უფრო მეტად შეუძლია, სხვა თანასწორ პირობებში ამ ნაწარმოებმა შეასრულოს თავისი როლი, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ. რატომ არ შეუძლია ძუნწს იმღეროს დაკარგულ ფულებზე? — სრულიად უბრალოდ: იმიტომ, რომ თუ ის იმღერებდა თავის დანაკარგზე, მაშინ მისი სიმღერა არავიზე არ იმოქმედებდა, ე. ი. არ შეეძლო გამხდარიყო მასა და სხვა ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებად" (ტ. XIV, გვ. 138).

მაშ, პლეხანოვი მოითხოვდა, რომ მხატვრულ ნაწარმოებს საფუძვლად უნდა ედვას ისეთი იდეია, რომელსაც ფართო, მაქსიმალური საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მხატვრული ნაწარმოებისათვის არ გამოდგება ყოველი იდეია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უმეტეს ყალბი იდეია, ვინაიდან ამ უკანასკნელს ნაწარმოებში შეაქვს ისეთი შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლისაგანაც უსათუოდ ზიანდება მისი ესტეტიური ღირსება.

ლიტერატურულ ნაწარმოების მხატვრული ღირსება პლეხანოვის აზრით მტკიცეთ დაკავშირებულია იმასთან თუ რა დამოკიდებულებაშია მწერალი თავის დროის მოწინავე იდეებთან. რამდენათ მწერლები უსწორდებიან თავის დროის მოწინავე იდეებს, იმდენათ მაღლა დგას მათი ნაწარმოების ესტეტიური ღირებულებაც, და პირიქით: როდესაც მწერლები ბრმები ხდებიან თავის დროის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებისადმი, მაშინ მცირდება თავისი შინაგანი ღირებულებით ბუნება იმ იდეებისა, რომელთა შესახებაც ისინი სწერენ, ეს კი ამცირებს საერთოდ ნაწარმოების ღირსებას.

თუ მარქსიზმს, პლეხანოვი მხატვრული ნაწარმოების ძირითად შემადგენელ ნაწილად სთვლის მის იდეიურობას, რომელსაც ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება კვლევა-ძიების დროს, ასევე არ უყურებს ამ საკითხს ერთ დროს „მარქსისტად" ცნობილი პროფ. პერეველზევი. მისი წარმოდგენით იდეია, მსოფლმხედველობა არის რაღაც უცხო რამ მწერლისათვის, მისი მხატვრული ფაქტებისათვის. მისი აზრით, როდესაც მწერალი შედის ხელოვნების სამფლობელოში, მაშინ იგი მიჯნასთან სტოვებს თავის იდეიას, თავის მსოფლმხედველობას და ამიტომ მკვლევარმა, კრიტიკოსმა ამ უკანასკნელს არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოს. იგი ერთ-ერთ თავის მოხსენებაში შემდეგს ამბობდა: „...ლიტერეტურა, რომელიც სიტყვიერების ნაწარმოებია, არ წარმოადგენს იდეათა სისტემას, არ წარმოადგენს აზრთა სისტემას, არ წარმოადგენს ლოლიკურ სისტემას". ან კიდევ: არჩევდა რა პერეველზევი დოსტოევსკის შემოქმედებას, სწერდა: „მე არ ვფიქრობ დოსტოევსკის ნაწარმოებში ვეძიო მისი მსოფლმხედველობა, მისი პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებანი, ვინაიდან ყოველივე ამის ძებნა მწერალში იგივეა, ძეშაქარლამეს, რომ ფეხსაცმელები მოვსთხოვოთ. მწერალი ჰქმნის ცხოვრებას, და არა სისტემას, ის არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, არამედ ცხოვრობს, წარმოადგენს თავის თავს ამა თუ იმ ხასიათად, ამა თუ იმ მდგომარეობაში". ამავე შრომაში დოსტოევსკის შესახებ სხვა ადგილას იგი სწერდა: „ხელოვანი ქმნის ცოცხალ სახეებს, ხასიათებს და არა იდეათა სისტემას, და ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებში ანალიზი უნდა იყოს ცოცხალი სახეების ანალიზი და არა შეხედულებების და იდეების ძიება... ვინც ცდილობს ააშენოს ფილოსოფია, რომელიც თითქოს მოცემულია... ნაწარმოებში, იგი ეწევა უსარგებლო საქმეს, იმიტომ, რომ ხელოვანს აწერს ისეთ რამეს, რაც მას არ აქვს და იძლევა წარმოდგენას ისეთ საქმეზე, რაც არ არის".

პერეველზევი გარკვეულათ და გადაჭრით მოითხოვს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში შესწავლილი იქნას მხოლოდ ცოცხალი სახეები და არა იდეები, შეხედულებები, იგი ამ უკანასკნელთა შესწავლას მხოლოდ იდეალისტებს უთმობს: „იდეალისტი, როდესაც უდგებოდა მხატვრულ ნაწარმოებს, ეძებდა მასში ჩადებულ იდეიას"-ო, — სწერდა პერეველზევი ერთ-ერთ შრომაში.

პერეველზევის მიერ მხატვრული მწერლობის შემადგენელ და დამახასიათებელ ნაწილთაგან იდეის, მსოფლმხედველობის გამორიცხვა კატეგორიულათ ეწინააღმდეგება ლიტერატურულ მოვლენების მარქსისტულ, დიალექტიურ-მატერიალისტურ გაგებას. ჩვენ ზევით მრავლად მოვიყვანეთ პლეხანოვის შეხედულე-

ბები მხატვრული ნაწარმოების იდეიურობის შესახებ. პლეხანოვის შეხედულებები, რომლებიც ამ საკითხში უსათუოდ ორტოდოქსალური, მარქსისტულია, სრულიად ეწინააღმდეგება პერევერზევის შეხედულებებს.

მარქსიზმ-ლენინიზმი ლაპარაკობს, რომ ორგანიზაციულ საწყისს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოადგენს არა სახე, არამედ სოციალ-კლასიური იდეია. ეს უკანასკნელი საზღვრავს მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფერს, ნაწარმოების მთელ სტრუქტურას. იდეის საშუალებით ხდება მხატვრული ნაწარმოების სოციალური ფუნქციის გამომჟღავნება. ამის არ გაგება, ამის არ გათვალისწინება ნიშნავს — შეეცადო სინამდვილის დამახინჯებას. სწორედ ასე ემართება პერევერზევს. მისი შეხედულება ამ საკითხში ძირფესვიანათ შემცდარი და არა მარქსისტულია. ის ამ საკითხში ბრმათ მიჰყვება ბურჟუაზიულ-რეაქციონურ მიმართულებას.

შალვა რადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალისტური დიალექტიკა და ხელოვნების თეორია

გიორგი ნატროშვილი

დიალექტიკა როგორც რევოლიუციონური ლოგიკა სავსებით შეეფარდება პროლეტარიატის მსოფლმხედველობას. ამიტომ დიალექტიკა იმავე დროს პროლეტარიატის დიქტატურის მეთოდოლოგიაცაა. მეცნიერული კომუნიზმის ისტორიული აუცილებლობა ამ მეთოდის გამოყენებით იქნა აღმოჩენილი მარქსის მიერ. მაშასადამე პროლეტარიატის იდეიური ჰეგემონია შეუძლებელია წარმოდგენილ იქნეს დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისის ყველა მეცნიერულ სფეროში თანამიმდევრათ ჩატარების გარეშე. „ნათელია, რომ არავითარი ახსნა-განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულათ, თუ იგი არ მიდის ამ მეთოდის გზით და არ შეეფარდება მის უბრალო რიტმს, ეს უკანასკნელი კი არის თვით საქმის არსებითი სვლა“,[1] ეს დებულება ვრცელდება მეცნიერებათა ყველა სფეროზე, ვინაიდან პროლეტარიატის თვალსაზრისი, თვალსაზრისი იმ კლასისა, რომელმაც დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა, ყველაზე უკეთ დიალექტიკას შეუძლია გადმოგვცეს. ამ მეთოდის მთელი ღირსება ამაშია. „მთავრობამ არ ისურვა ჩასწვდომოდა ჰეგელის სისტემის ბნელი ფორმულებისა და რკინის სტილის აზრებს. როგორ შეეძლო მას სცოდნოდა, რომ თეორიის წყნარი ნავთსადგურიდან ეს ფილოსოფია შეჰბედავდა ცხოვრების ქარიშხლიან ზღვაში, იშიშვლებდა ხმალს, რომ აღეურვილიყო პრაქტიკის არსებითი წესრიგით“ (ენგელსი). მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა შეასრულეს დიდი ისტორიული ამოცანა, თვით მარქსი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ის არ ექცეოდა ჰეგელს ისე როგორც „მკვდარ ძაღლს“. ყირამალა მდგარი მეთოდი გადატრიალებულ იქნა და ამიერიდან შეიქმნა პროლეტარულ მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპად.

---

[1] იხ. Гегель—,,Наука логики'', ч. I, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიული ხელოვნების თეორია მთელი თავისი არსებობის მანძილზე ყოველდროს მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა იდეალისტურ ფილოსოფიასთან. უფრო მეტიც: ამ თეორიის ყველა პრინციპიალური საკითხი გადაჭრილი იყო შესაფერ ფილოსოფიურ მიმართულების მიერ. დღეს ამ უძველეს მეცნიერების ყველა „მიუვალ“ იდეალისტურ ციხე-სიმაგრეს შეუბრალებლათ ანგრევს მატერიალისტური დიალექტიკა. მარქსიზმის ფილოსოფიის ტრიუმფალური წინსვლა თანამედროვე კლასობრივი ბრძოლის პირობებში ლოგიკურად გულისხმობს ყოველ ცალკე მეცნიერულ სისტემიდან განდევნილ იქნეს უკანასკნელი ნაშთები ძველი მეტაფიზიკური აზროვნებისა და ამის შემდეგ განმტკიცებულ იქნეს მებრძოლი კლასის, პროლეტარიატის ისტორიულად აუცილებელი მეცნიერული მსოფლმხედველობა. მატერიალისტური დიალექტიკის შეტევა აზროვნების ყველა ფრონტზე თავის მხრივ იწვევს უკიდურეს წინააღმდეგობებს იდეალისტური და ეკლექტიკური სისტემებიდან, რომელთა რეაქციონური და მეტაფიზიკური სიძველე უკვე ყველასათვის თვალსაჩინოა. ამ შეხლა-შემოხლის სფეროშია მოქცეული ხელოვნების თეორიაც, როგორც კლასობრივი მეცნიერება და განსაზღვრულ მსოფლმხედველობის გადმოცემის სპეციფიური იარაღი. გამაბრუებელი ყვირილით და ხმაურით „ამტკიცებდა“ იდეალისტური ხელოვნების თეორია, რომ ის ზეკლასობრივი არსებაა, რომ მას არაფერი არა აქვს საერთო მიწიერ სინამდვილესთან: მას ჰსურს მხოლოთ „ხილული სინამდვილის“ „გარეშე მყოფ“ (?) აბსოლიუტური სილამაზის იდეიის ხილვა და ამდენადაც მას არაფერი ესაქმება იმ ამბავთან, რომ სადღაც დედამიწაზე კლასობრივ საზოგადოებაში იბრძვიან კლასები; იბრძვიან ყოველგვარი საშუალებებით: შიშველი ხელებით, პოლიტიკით, მეცნიერებით, ტეხნიკით, ჯარით, სახელმწიფოებრივი აპარატით და... ხელოვნების ესტეტიური და უტილიტარული თეორიებით. ბურჟუაზიულ ფარისევლებს თითქოს არ აინტერესებდათ ეს ამბავი, ისინი ყვიროდენ ხელოვნების თავისუფლებაზე, რომელიც ძალზე საეჭვო ამბავია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ხელოვნების მარქსისტულმა თეორიამ ამას მკვეთრად უნდა გაუსვას ხაზი: „იმ საზოგადოებაში — სწერდა ლენინი — სადაც ყველაფერი ფულის ხელისუფლებაზეა დაფუძნებული, სადაც სიმშილობენ მშრომელი მასები და მუქთახორობენ ერთი მუჭა მდიდრები არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი და რეალური „თავისუფლება“. თავისუფლება ბურჟუაზიული მწერლის, ხელოვანის, აქტიორის, არის მხოლოთ თვალთმაქცური დამოკიდებულება ფულის ტომარასთან“, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებული კლასის წარმომადგენლები ყველა დაინტერესებულნი არიან ხელოვნების ზეკლასიურობის მტკიცებით—დაწყებული პოლიციის მოხელეებით (ბენკენდორფის მაგალითი) და გათავებული იდეალისტური ფილოსოფიით, რომელიც არანაკლებ დაინტერესებულია რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. თითქოს „ვერ ამჩნევდა“ იდეალიზმი, რომ იგი სავსებით პარტიული იარაღი იყო პროლეტარულ რევოლუციამდე გაბატონებული არისტოკრატიული კლასებისა. „ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია—სწერდა ლენინი, როგორც ფილოსოფია ორი ათასი წლის წინათ. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია, მხოლოთ ეს ნათლათ არ სჩანს გელერტულ-შარლატა-

ნურ სახელწოდებებსა და გონება-ჩლუნგი უპარტიობის სამოსელში“ [1]. ამ ჭეშმარიტების დასანახათ საჭიროა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების საფუძვლიანი ცოდნა, რაიც არ გააჩნია უნაყოფო, მკვდრულ და სქოლასტიურ აზროვნების ისეთ ფრთას, რომელსაც ეკლექტიზმი ეწოდება და რომელიც უკანასკნელ ხანებში ფრიად აქტიური მტერი გახდა მარქსიზმისა. საერთოდ ფილოსოფიაც, ხელოვნების თეორიაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ კლასობრივი ბრძოლის გარეშე. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ყველა ჯურის იდეალისტებმა ჭეშმარიტების მიმდინარე ცხოვრებასთან დამოუკიდებლობის შესახებ, მაინც აშკარა იქნება ის ფაქტი, რომ ანტიურ ეპოქიდან დღემდე ფილოსოფიის ისტორია მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიაა. ამას ყოველთვის ხაზს უსვამდა ლენინი. მთელი ორი ათასი წლის განმავლობაში—ამბობდა იგი—არ დაბერებულა იდეალიზმის და მატერიალიზმის ბრძოლა, არ დაბერებულა პლატონისა და დემოკრიტის ტენდენციები და ხაზები ფილოსოფიაში, ზე-გრძნობად ცოდნის მომხრეების ბრძოლა მის მოწინააღმდეგეებთან. [2] ყოველგვარი მიჩქმალვა ამ ფაქტისა არის „ტერმინოლოგიური ოინბაზობა და გელერტული სქოლასტიკის ნაგავი“, ეს მდგომარეობა საგრძნობათ მოსჩანს ხელოვნების თეორიაშიც, რომლის მარქსისტული გადახალისება დაწყო თვით იმ დროიდან, როდესაც მარქსმა და ენგელსმა პირველათ ააფრიალეს დიალექტიური მატერიალიზმის დროშა. მიუხედავათ ამისა ხელოვნების მარქსისტული სისტემატიური თეორია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ხელოვნების თეორიაში ეკლექტიზმი ძალზე საშიშარი მტერია, საერთოდ ეკლექტიზმი, როგორც ლენინი ამბობდა, არის „შემარიგებელი შარლატანობა“. „ეკლექტიზმს არც თეორიაში და არც პრაქტიკაში არასოდეს არაფერი შეუქმნია ხეირიანი“ [3], ესაა რაღაც ნალექი მიმავალი აზროვნებისა. „იდეალიზმისა და მატერიალიზმის ბრძოლაზე“ მაღლა დადგომა რეალიზმის სახელით—აშკარა ეკლექტიზმის ნიშანია. „იდეალისტების სახელს ბნელეთის მოციქულები ირქმევენ, მატერიალისტები კი იმათ უნდა დაირქვან ვინც სცდილობს ადამიანის გონება გაანთავისუფლოს მეტაფიზიკური აბდაუბდისაგან... თუ ჩვენ ერთ პარტიას რაიმე მტკიცეს შევადარებთ, ხოლო მეორეს მიმდინარეს, მათ შუა რაღაც ფაფის მგზავსია“ (ი. დიცგენი).

და ამ ფაფის სახელით დიცგენი ყველა ჯურის ეკლექტიკებს ნათლავდა, რომელნიც ვითომ რეალიზმის ნიადაგზე თავს აშორებდენ მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლას, ხელოვნების თეორია გვერდს ვერ აუხვევს ძირითად ფილოსოფიურ საკითხებს, დღემდე იდეალისტური ხელოვნების თეორია დიალექტიკის იგნორაციის საშუალებით სცდილობდა კლასიურად ტენდენციური იდეოლოგია გამოეცხადებია თვითმიზნობრივ რაობათ და ამით იგი, რასაკვირველია, იდეალიზმის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ხელოვნების თეორიის ფრონტზე ეკლექტიზმის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს პროფ. შ. ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია“. თავისი ფილოსოფიური მსოფლ-მხედველობით ნუცუბიძე მოაზროვნეთა იმ წყებას ეკუთვნის, რო-

[1] იხ. ვ. ლენინი—თხზულებანი ტ. XIII გვ. 364.
[2] იქვე გვ. 131.
[3] იხ. გ. პლეხანოვი—წინასიტყვაობა ენგელსის წიგნის „ლუდ. ფეიერბახის“ გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც იმყოფებიან მარქსიზმის გარეთ. ქართული მეცნიერული აზროვნების ფრონტზე იდეალიზმი ჯერ კიდევ საკმაოდაა მოკალათებული. ამას ამტკიცებს არა მარტო გრ. წერეთლის, ვახ. კოტეტიშვილის, ს. დანელიას და სხვების „აზროვნება", არამედ ამავე ფრონტზე სდგას შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიური ფილოსოფიაც. უკანასკნელით ნუცუბიძემ თავისი ალეთოლოგია მოიმარჯვა ხელოვნების თეორიის საკითხების გადასაჭრელათ და ამ დარგში მან აშკარა დამარცხება განიცადა: მან ვერ შესძლო დაეძლია ტრადიციული ესტეტიკის თეორია, მოექცა ერთგვარ გამოუვალ ჩიხში და ყოველივე ამან აიძულა იგი მოეცა ხელოვნების თეორიის პრინციპების ეკლექტიკური დალაგება. ამას უფრო ნათლად ქვემოდ დავინახავთ, აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია" უფრო მეტად ლიტერატურის და პოეზიის სფეროს ეხება, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგებს. ავტორი სწერს:

„ხელოვნების თეორია თავდაპირველათ იმ პრინციპული საკითხების ძებნაში უნდა იყოს, რომელთაც ევალება ხელოვნების თეორიის საგანი და მეთოდი გაარკვიოს. უამისოდ ხელოვნების თეორია ისე როგორც ყოველი სხვა სამეცნიერო დისციპლინა ადგილიდან ვერ დაიძვრის. საგნის მეთოდის გარკვევა აყენებს რა თქმა უნდა ძირითად სოფლმხედველობით საკითხებს, როგორიცაა — ა) ქვეყნის და მასში მოცემული ღირებულებათა ერთობლიობის, გაორების თუ სხვა რაიმე თვალსაზრისით გაგება და შეფასება, ბ) ქვეყნის რეალი არსებობა და ამ სინამდვილის პრიმატი თუ ცნობიერების პრიმატი და მისგან ქვეყნის რეალობის გამოყვანა. ფილოსოფიურ ტერმინებში იგივე საკითხები შემდეგი რედაქციით დადგება: როგორ უნდა იყოს გაგებული ხელოვნების ძირითადი საკითხები—მონისტურ, დუალისტურ თუ სხვა სოფლგაგებით; უნდა დავემყაროთ რეალიზმს (მატერიალიზმს) თუ იდეალიზმს (სპირტუალიზმი)?" [1]. ამრიგად ნუცუბიძე სწორად აღნიშნავს, რომ ხელოვნების თეორია ადგილიდან ვერ დაიძვრება მსოფლმხედველობითი საკითხების გარკვევის გარეშე, ეს მხოლოთ საკითხის დაყენებაა, რომლის გადაჭრამდე ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი. ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებს ხელოვნების ძირითადი პრობლემების „ალეთოლოგიური" ტრაქტოვკა. როგორც სჩანს ამ კონტექსტში გვერდს ვერ აუხვევთ ძირითად ფილოსოფიურ საკითხებს.

საკითხი თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ხელოვნების ძირითადი პრობლემები — მონისტური თუ დუალისტური თვალსაზრისით — ასეთი დილემა მარქსისტისათვის არ არსებობს, რადგან ეს უკანასკნელი მტკიცედ სდგას მატერიალისტური მონიზმის სადარაჯოზე. ფრიად დამახასიათებელია ნუცუბიძის აზროვნებისათვის ასეთი „ძიება გზისა". რალაც ზღაპრულ გმირივით იბნევა ნუცუბიძე ამ აზროვნების ძველისძველ გზაჯვარედინზე. უნდა აღინიშნოს, რომ ნუცუბიძე ვერ დაშორდა იდეალიზმს, მისი თვალსაზრისი სრულებით ვერ ამაღლებულა დიალექტიურ მატერიალიზმის ფილოსოფიამდე. ასეთ პირობებში შ. ნუცუბიძე ჯერ კიდევ გზების ძიებაშია გართული. შალვა ნუცუბიძე ხელს არ აფარებს ამ ფაქტს. შეიძლება იგი სუბიექტიურად ამას ვერ ამჩნევს, მაგრამ სინამდვილეში

[1] შ. ნუცუბიძე—„ხელოვნების თეორია", ნაწილი პირველი, 1929 წ. გვ. 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ფილოსოფიურ მუშაობას საზღვრავს, როგორც ტიპიურ ეკლექტიზმს. „იგი[1] უფრო ძიებისა და კვლევის სფეროს ეკუთვნის და ამიტომაც მას მეტი ეპატიცება, ვიდრე იმ წიგნებს, რომლებიც გარკვეულ დებულებათა მქადაგებლათ და დამცველათ (?) გამოდიან. ისტორიული მატერიალიზმით დაწყებული, ავტორი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა ფილოსოფიურ პრობლემათა შესწავლას და გადასინჯვას, და ამდენათ მის მუშაობას ძებნისა და კვლევის ხასიათი ჰქონდა, ამდენადვე დიალექტიური მატერიალიზმის არსენალიდან ამ წიგნში გამოყენებულია ყოველივე ის რაც ამ ძებნის დროს მტკიცე და მძლე აღმოჩნდებოდა."[2] რა არის ეს თუ არა ეკლექტიზმის მკვეთრი და ნათელი ფორმულა? ავტორს არ ესმის ის გარემოება, რომ დიალექტიური მატერიალიზმი უნივერსალური მეთოდოლოგიაა და მისი შეერთება არავითარ უცხო ფილოსოფიურ სისტემასთან არ შეიძლება. ამაშია მთელი მისი დაბნეულობის სათავე. ეს გატაცება დაუსრულებელი „ძიებით" მეტად სამწუხარო შედეგით თავდება: მატერიალისტური დიალექტიკის ლანცეტით გარკვეული ხელოვნება და ამ ნიადაგზე განმტკიცებული თეორია პრინციპიალურათ სხვაგვარ მსოფლმხედველობით სისტემას წარმოადგენს. თეორეტიული აზრის შემდგომმა განვითარებამ და ხელოვნების პრობლემების მარქსისტულმა სისტემატიზაციამ საბოლოოდ უნდა გამოაცალოს ნიადაგი ნუცუბიძის ეკლექტიზმს, რომელიც ორგანიული შედეგია ავტორის „ალეთოლოგიურ" ფილოსოფიისა.

„მონისტური ესთეტიკის საფუძვლები" (ნუცუბიძის წიგნის ქვესათაურია) შეუძლებელია მონახულ იქნეს გარეშე ერთი მთავარი პირობისა: საჭიროა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისის თანამიმდევრათ ჩატარება, რასაც ნუცუბიძე, როგორც ქვემოდ დავინახავთ ვერ ახერხებს. ამდენადაც ნუცუბიძის მონიზმი ცარიელ სიტყვათ რჩება და ავტორის მეტს არავის არა სჯერა; ნუცუბიძეს არ ესმის ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ დიალექტიური მატერიალიზმის ისეთი ძირითადი დებულებები, როგორიცაა არსის და აზრის მთლიანობა, მატერიის ობიექტიური რეალობის სახით არსებობა და სხვა სრულებით არაა „სადისკუსიო" და „პრობლემატიური". ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი დებულებები მხოლოდ მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისით არის „სადისკუსიო". თვით ნუცუბიძეც მარქსიზმის მოპირისპირე ბანაკიდან ეწევა მარქსიზმის რევიზიას. „ხელოვნების თეორიაში" არ მოსჩანს ავტორის თანამიმდევრობა, ეს ფაქტიც მისი ეკლექტიზმით უნდა აიხსნას. ნუცუბიძის შეხედულებები იდეალისტურ და ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს არა მარტო ზოგად საკითხებში, ის ასევე ამახინჯებს სპეციფიურ და კონკრეტიულ მოვლენების გაგებას. ასეთია უმთავრესად ხელოვნების რაობის საკითხი, მშვენიერების პრობლემა, შემეცნებითი მომენტის მონაწილეობა მხატვრულ ფაქტში და სხვა. მარქსიზმს აქვს საკუთარი პასუხი ყველა ხსენებულ საკითხზე; ამასთანავე ერთად ნუცუბიძე მონისტურ თვალსაზრისს მხოლოდ ფორმალურად აღიარებს, ვერ ხმარობს მას კვლევა-ძიების სფეროში.

---

[1] ლაპარაკია ხსენებულ წიგნზე.

[2] იქვე გვ. III ხაზი ჩემია—გ. ნ.

ვიდრე უშუალოდ წერილის თემაზე გადავიდოდეთ აუცილებლად გარკვეული უნდა იქნეს ნუცუბიძის თვალსაზრისი ჭეშმარიტების რაობის საკითხში, რადგანაც, როგორც ავტორი არა-ერთ ადგილს აღნიშნავს, მშვენიერების ცნებას საზღვრავს ჭეშმარიტების ანალოგიით. „ამრიგად შემოქმედების ფენომენი მისაღები და გასაგებია მხოლოდ მაშინ და იმდენად როდესაც და რამდენადაც იგი აგებულია ჭეშმარიტების ფორმით, ჭეშმარატების ანალოგიით.“ [1]

ნუცუბიძის შეხედულებათა გარკვევა ჩვენც ამ სფეროდან უნდა დავიწყოთ.

* * *

დიალექტიური მატერიალიზმის მთავარი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის გვერდს უხვევს რეალურ ქვეყნის მჭვრეტელობითი ათვისებას, როგორც ვიცით თვით ფეიერბახმაც თავი ვერ დააღწია ამ დაბრკოლებას, მხოლოთ მარქსმა შესძლო „რევოლიუციონურ-კრიტიკული“ მოქმედების მნიშვნელობის გაგება. მარქსამდე ფილოსოფოსები მხოლოდ ხსნიდენ ქვეყანას, მარქსი ამით არ კმაყოფილდება და მოითხოვს ქვეყნის გარდაქმნას. მარქსიზმის თეორიული შენობის ეს მომენტი მკვიდრათ იყო დაყრდნობილი პრაქტიკაზე: ევროპაში უკვე ბორგავდა „აჩრდილი კომუნიზმისა“, რომლის წინააღმდეგ იმ თავითვე ამხედრდა ძველი ქვეყნის ყველა რეაქციონური ძალა. „ქვეყნის გარდაქმნა“ უბრალო სააგიტაციო ფრაზა კი არ ყოფილა, იგი მთელი სიცხადით გამომდინარეობდა მარქსიზმის ფილოსოფიიდან. „ჩვენ დავეუფლებით ქვეყანას ჩვენი აზრების დახმარებით“ [2] სწერდა მარქსი. ეს მოსაზრება პირველ ყოვლისა ხაზს უსვამდა თეორიის და პრაქტიკის მთლიანობას და გარკვევით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ მარქსის დიალექტიკის არსებითი მიზანი ქვეყნის რევოლუციონური გარდაქმნის აუცილებლობის აღიარება იყო. წინააღმდეგ იდეალიზმისა მატერიალიზმი დაუახლოვდა სინამდვილეს და მან ერთის მხრივ სავსებით სწორად გაარკვია არსის და აზრის დამოკიდებულება, მატერიის ფილოსოფიური რაობა, ხოლო მეორე მხრივ ამ ნიადაგზე საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ რაობის ამოხენის შემდეგ მივიდა ბურჟუაზიულ საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის აზრამდე. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის საშუალებით გახდა შესაძლებელი კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობათა მეცნიერული შესწავლა და ამ ნიადაგზე რევოლუციონურ მოძრაობის პერსპექტივების გათვალისწინება. ლენინის გენიალური აზრის და საქმის ვითარება ამ ფაქტის უშუალო დადასტურებაა. „საკითხი იმის შესახებ — სწერდა მარქსი — შეუძლია თუ არა ადამიანურ აზროვნებას საგნების შეცნობა იმ სახით, როგორც ისინი სინამდვილეში არსებობენ, სრულიად თეორიული საკითხი არ არის, არამედ პრაქტიკულია. ადამიანმა პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს თავის აზროვნების ჭეშმარიტება ე. ი. მისი რეალურობა და ძალა, მისი გამოლმურობა. ხოლო კამათი პრაქტიკიდან გამოთიშულ აზროვნების სისწორისა ან უსწორობის შესახებ წმინდა

[1] იქვე გვ. 132.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс—сочинения, т. I, გვ. 353.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქოლასტიური საკითხია.“ [1] ფრიად საყურადღებო და ღრმა-მნიშვნელოვანი აზრია: თეორიის და პრაქტიკის მთლიანობა აქ უკვე მიღებულია, როგორც გამოსავალი პრინციპი შემეცნების სისწორის საკითხში. გარეშე ამისა ჩვენ გადავიჩეხებით სქოლასტიციზმის მხარეზე. რატომ წარმოადგენს პრაქტიკა ჭეშმარიტების ერთად-ერთ კრიტერიუმს? რატომაა, რომ თეორიის სფეროში ამ კრიტერიუმის ძიება უნაყოფო საქმეა? ამ საკითხზე მარქსისტულმა ფილოსოფიამ და განსაკუთრებით ლენინმა ამომწურავი პასუხი გასცა.

თავის შესანიშნავ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იგი სწერდა: „აზროვნების „საგნობრივი ჭეშმარიტება“ (gegenständeiche wahreit) სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ არსებობენ საგნები („საგნები თავისთავად“), რომელთაც აზროვნება ჭეშმარიტად ასახავს [2] და აქ არის მთელი გასაღები ჭეშმარიტების რაობისა. ობიექტიური ჭეშმარიტების აღიარება ნიშნავს ყოველგვარი ლაპარაკის შეწყვეტას ობიექტის შეუცნობლობაზე. „საგნის თავისთავად“ გარდაქცევა „საგნათ ჩვენთვის“ არის შემეცნების პროცესი და აქედან მოდის ობიექტიური ჭეშმარიტება.

დიალექტიური მატერიალიზმი აღიარებს ობიექტიური ჭეშმარიტების არსებობას. ეს თვალსაზრისი სავალდებულოა ხელოვნების თეორიისათვისაც. შალვა ნუცუბიძე სცდილობს ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები მიუყენოს ხელოვნების თეორიას, მაგრამ სინამდვილეში იგი ფაქტებს ძალათი ახვევს თავზე ალეთოლოგიურ ფილოსოფიას, რომლის ობიექტიურ ჭეშმარიტებას არავითარი პრაქტიკა არ ამტკიცებს; ფილოსოფიური დასკვნები კი არ უნდა იქნეს შეტანილი ფაქტიურ სინამდვილეში მექანიკურად, ძალათი, არამედ მისგან ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს. პროფ. ნუცუბიძის ალეთოლოგია თავისი პრინციპიალური რაობით რეაქციონური ფილოსოფიაა. იგი ძირეულათ ეწინააღმდეგება მარქსის, ენგელსის და ლენინის დიალექტიურ მატერიალიზმს. ამ ფილოსოფიის გატარებას სცდილობს ნუცუბიძე „ხელოვნების თეორიაშიც“ ავტორი აცხადებს, რომ მისი წიგნი მთლიანად ემყარება „ალეთოლოგიური რეალიზმის ნიადაგზე მიღწეულ შედეგებს“ [3], ეს ალეთოლოგია სინამდვილეში წარმოადგენს ანტი-დიალექტიურ და ანტი-მატერიალისტურ თეორიას ჭეშმარიტების შესახებ. ჩვენ მით უფრო გვაინტერესებს ჭეშმარიტების პრობლემის ალეთოლოგიური გადაჭრა, რომ ნუცუბიძე მშვენიერების ცნებას ჭეშმარიტების ანალოგიით საზღვრავს.

ნუცუბიძე სწერდა: „შემეცნება უზოგადესი ბუნებისაა ფილოსოფიის საგანთა რიგში. ყოველი სხვა მოვლენა შეადგენს საგანს თვით შემეცნებისა და მაშასადამე პირველობა შემეცნებას ეკუთვნის; გარდა ამისა რამდენადაც შემეცნება მხოლოდ პროცესია თავის მიწვდომილობის მხრივ გამოურკვეველი... იმდენად მისი საგანი გაცილებით უფრო ვრცელია ვიდრე არე სინამდვილისა, რადგან იგი ხშირად სინამდვილის გარეშეც იმყოფება.[4]

---

[1] იხ. კ. მარქსის თეზისები ფეიერბახის შესახებ.

[2] ლენინი—თხზულებანი ტ. XIII გვ. 104.

[3] ნუცუბიძე—ხელოვნების თეორია გვ. IV.

[4] ნუცუბიძე—ფილოსოფიის შესავალი გვ. 23. ხაზი ჩემია—გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რიგად ნუცუბიძის აზრით შემეცნების საგანი უფრო ვრცელია ვიდრე თვით სინამდვილის არე. ამავე დროს თვით მისივე დებულების მიხედვით ხშირად, შემეცნების საგანი სინამდვილის გარეშეც იმყოფება. ამაშია ნუცუბიძის ალეთოლოგიური რეალიზმის მთელი დედააზრი. ნუცუბიძის აზრით ჰეშმარიტება საგნების კანონზომიერი მოძრაობის და განვითარების წინააღმდეგობათა მთლიანობის ასახვა კი არ არის, არამედ ერთგვარი სუბსტანციაა. იმ დროს, როდესაც მატერიალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით სუბსტანციას წარმოადგენს მხოლოთ მატერია.

უფრო შემდეგ ხანებში ნუცუბიძე სწერდა: „ეს თხზულება [1] მძიმე პოლიტიკურ პირობებში იწერებოდა, მაგრამ ჰეშმარიტების მარადიულ ბუნებისთვის წარმავალს და ცვალებადს მნიშვნელობა არა აქვს.“ [2] ჰეშმარიტება ნუცუბიძეს ესმის, როგორც რაღაც განყენებული იდეია, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება სინამდვილესთან („პოლიტიკა“ „წარმავალი“, „ცვალებადი“) არა აქვს. თუ „მშვენიერება“ ნუცუბიძეს ჰეშმარიტების ანალოგიურ მოვლენათ მიაჩნია მაშინ გამოდის, რომ მართალი ყოფილა იდეალისტური ესტეტიკა, რომელიც ამტკიცებდა სილამაზის მარადიული და აბსოლიუტური იდეიის არსებობას.

ამრიგად ნუცუბიძის თვალსაზრისი აშკარა მეტაფიზიკურია. მარქსიზმის თვალსაზრისით ჰეშმარიტება ობიექტიური რეალობის ასახვაა. „კრებადობა (совокупность) მოვლენისა და სინამდვილის ყველა მხარისა და იმათი (ურთიერთ) დამოკიდებულება—აი ის რისგანაც შესდგება ჰეშმარიტება. დამოკიდებულებანი (გადასვლები—წინააღმდეგობანი) ცნებებისა უმთავრესი შინაარსია ლოგიკისა, აგრეთვე ეს ცნებები (თავისი დამოკიდებულებებით, გადასვლებით, წინააღმდეგობით) ნაჩვენებია, როგორც ობიექტიური გამოხატულება ქვეყნისა. საგანთა დიალექტიკა ჰქმნის იდეათა დიალექტიკას და არა პირიქით“ [3] (ლენინი). ამრიგად როგორც ლენინი აღნიშნავს ჰეშმარიტება სინამდვილის გარეთ კი არ არის, არამედ წარმოადგენს ამ სინამდვილის ყველა მხარეების დიალექტიური მთლიანობის გამოხატულებას. შემდეგ ნუცუბიძე სწერს: „... ჩვენი თვალსაზრისი რეალისტურია რამდენადაც არსებული ჰეშმარიტებაა და ჰეშმარიტება არსებული, მაგრამ იგი არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ ანუ დოგმატიურ რეალიზმისაგან, რადგან ჩვენ ვამტკიცებთ არა არსებობას საზოგადოთ მის დაპირისპირებაში ცნობიერებასთან. არამედ ჰეშმარიტების არსებობას ე. ი. ჩვენ ვამტკიცებთ არსებულის არაჰეშმარიტათ, არამედ ჰეშმარიტებათ არსებობას“.[4] ალეთოლოგიურ ფილოსოფიის მიერ აღიარებული არსებულის არა ჰეშმარიტათ, არამედ ჰეშმარიტებათ არსებობა მთლიანად გამომდინარეობს ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობის, ამ ძირითადი ფილოსოფიური საკითხის, არა სწორი გაგებიდან. ობიექტი არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლათ, სუბიექტი კი არ არსებობს ობიექტის დამოუკიდებლათ. „შემეცნების პრობლემის სუბიექტ-

---

[1] ლაპარაკია „ალეთოლოგიის საფუძვლებზე“.

[2] ნუცუბიძე—ალეთოლოგიის საფუძვლები. წიგნი I, ჰეშმ. პრობლემა. გვ. II.

[3] Ленинский сборник, IX გვ. 228.

[4] „ალეთ. საფუძვლები“ გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტის გარეშე დაყენების უპირატესობა. ამ თავითვე ცხადია — სწერს ნუცუბიძე — ჭეშმარიტება თავისთავათ და ჭეშმარიტება ჩვენთვის ის ბუნებრივი საზღვრებია, რომლებშიაც იშლება შემეცნება"[1]. როგორც ვხედავთ ნუცუბიძე სცდილობს ობიექტ-სუბიექტის ურთიერთობის სრულ იგნორაციას. ეს ეკლექტიზმის დამახასიათებელია: ენგელსის ცნობილი ფორმულა ფილოსოფოსების ორ ბანაკად გაყოფის შესახებ ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც რომ ხსენებული ბანაკები ებრძვიან ერთი მეორეს ობიექტის და სუბიექტის ურთიერთობის პრობლემის ორგვარად გაგების საფუძველზე. იდეალიზმი „სულს" სთელის სამყაროს ამოსავალ წერტილათ, უარეს შემთხვევაში სუბიექტიური იდეალიზმის აზრით სამყარო მხოლოდ ადამიანის წარმოდგენაა. ობიექტიური რეალობის მხოლოდ ჭეშმარიტების ფორმით არსებობის მტკიცება ძალიან უახლოვდება იდეალიზმის ხსენებულ შეხედულებას. „ჭეშმარიტების თავისთავად გარდაქმნა, ჭეშმარიტებათ ჩვენთვის — სწერს ნუცუბიძე — აი შინაარსი შემეცნებისა",[2] ან კიდევ:

„მე" ერთი მხარეა „არამეს" და პირიქით. ამიტომ სრულებით შეუძლებელია მათი ერთი-მეორისაგან გათიშვა."[3] ნუცუბიძე, რომელიც ტიპიური წარმომადგენელია დაცემულობის ეპოქის ფილოსოფიური მიმდინარეობისა, ივიწყებს, რომ ობიექტი არსებობდა მანამდე ვიდრე მასზე გაჩნდებოდა „სულიერი" არსება. დედამიწის ისტორია ამტკიცებს, რომ მატერია არსებობდა ყოველგვარ ცოცხალი ორგანიზმის გაჩენამდე. ამის შემდეგ რასაკვირველია ყალბია და არამეცნიერული მტკიცება იმისი, რომ ობიექტი მხოლოდ ერთი მხარეა სუბიექტისა: ეს არის წმინდა წყლის სუბიექტური იდეალიზმი. „გადავიდეთ აზრით იმ ეპოქებში, როცა დედამიწაზე ადამიანის მხოლოდ ძალიან შორეული წინაპრები ცხოვრობდენ, მაგალითად მეორე გეოლოგიურ ეპოქაში. საკითხავია, როგორ იყო მაშინ სივრცის, დროს და მიზეზობრიობის საქმე? ვისი სუბიექტიური ფორმები იყვნენ ისინი? იქტიოზავრების?.. იდეალიზმი ამბობს: არ არის ობიექტი უსუბიექტოთ. დედამიწის ისტორია ამტკიცებს, რომ ობიექტი ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე სუბიექტი"[4]. ამის შემდეგ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ობიექტი დამოკიდებულია სუბიექტზეო — აშკარა იდეალიზმია. ამ იდეალიზმის ფარგლებშია მოქცეული ნუცუბიძე. მიუხედავათ იმისა, რომ ნუცუბიძე სცდილობს დააყენოს საკითხი ობიექტ-სუბიექტის მიმართების გარეშე, ჩვენთვის აშკარაა ის გარემოება, რომ ამით იგი არსებითად იძლევა სუბიექტ-ობიექტის იდეალისტურ გაგებას. ის აიგივებს ობიექტს და სუბიექტს ჭეშმარიტების იდეიის საფუძველზე. ეს კი იდეალიზმის დამახასიათებელი თვისებაა. მით უმეტეს, როგორც ვნახეთ ნუცუბიძე აღიარებს არსებობას არა მის დაპირისპირებაში ცნობიერებისთვის, არამედ აიგივებს ცნობიერებას და არსებობას. ეს თვალსაზრისი, რომელიც ცნობილია ალეთოლოგიის სახელწოდებით მთლიანად დამტკიცებულია ნუცუბიძის უკანასკნელ ნაშრომში, რომელსაც „ხელოვნების თეორია" ეწოდება. ამ წიგნში ნუცუბიძე სწერს:

[1] იქვე გვ. 85.
[2] იქვე გვ. 76.
[3] იქვე გვ. 59.
[4] პლეხანოვი — შენიშვნები ენგელსის წიგნზე „ლ. ფეიერბახი".

„ჩვენს ფილოსოფიურ პრეზუმფციას შეადგენს თეზა: რეალი ქვეყანა არსებობს, როგორც პირველადი გარემოება არა მარტო ჭეშმარიტათ, არამედ ჭეშმარიტებათ. ეს საერთო რეალისტური თეზაა, ხოლო უკანასკნელი დამატებითი განმარტება ანუ ნიშანი აძლევს მას იმ სახეს რომელსაც ჩვენ ალეთოლოგიურ რეალიზმს უწოდებთ“[1]. ამ ფილოსოფიური დებულებით იხსნება „ხელოვნების თეორიის“ პირველი ფურცლები. დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით საკითხის ასეთი მეტაფიზიკური დაყენება სავსებით გაუმართლებელია. ლენინის აზრით ჭეშმარიტება ობიექტიური რეალობის ასახვაა ცნობიერებაში—ნუცუბიძის თვალსაზრისით კი რეალური ქვეყნის ჭეშმარიტად არსებობის გარდა იგი არსებობს ჭეშმარიტებადაც, რომელსაც ობიექტიურათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განვითარების მიმდინარე ცოცხალ სინამდვილესთან.

ადამიანის აზროვნება გარეშე სამყაროს ჭეშმარიტად ასახავს, მაშასადამე ლაპარაკი ობიექტიური ჭეშმარიტების არ-არსებობის შესახებ სუბიექტივიზმის და აგნოსტიციზმის განმეორებაა, რომლის წინააღმდეგ ასე მკვეთრად იბრძოდა და იბრძვის მარქსიზმი. საკითხის საბოლოოდ გადაჭრისთვის უნდა აღნიშნულ იქნეს ის ფაქტი, რომ ნუცუბიძის მთელი ფილოსოფიური აბრუნდები გამომდინარეობს ობიექტის და სუბიექტის მიმართების არა სწორი გაგებისაგან. ეს საკითხი, როგორც უკვე ავღნიშნეთ ყოველგვარი ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპია: დიალექტიური მატერიალიზმი ამტკიცებს ობიექტისა და სუბიექტის მთლიანობას[2], იგი აღიარებს რომ, არსი პირველადია და აზრი მეორედი; აზროვნება უნარია, თვისებაა, პროდუქტია მოძრავი მატერიის; ობიექტის და სუბიექტის მიმართებას ონტოლოგიურად არავითარი აზრი არა აქვს, ის მხოლოდ შემეცნების პროცესში იჩენს თავს; ეს არის საკითხის მატერიალისტური გადაჭრა, რომელიც ხაზს უსვამს იმავე დროს, რომ აზროვნება და არსი არასდროს არ არიან იგივენი. ჩვენ ვამტკიცებთ ობიექტის დამოუკიდებელ არსებობას. „აზროვნება და ყოფა არასდროს არ არიან ურთიერთ შორის იგივენი, არ ჰფარავენ ერთი-მეორეს... ისინი დიალექტიურ მთლიანობაში იმყოფებიან“ (ფრ. ენგელსი). ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ მატერიალიზმისადმი მტრულად განწყობილი მიმდინარეობანი. იდეალიზმი ამტკიცებს ობიექტის და სუბიექტის იგივეობას. „იდეალიზმი აიგივებს სულიერ პროცესთან ფიზიკურს, ვულგარული მატერიალიზმი—ფიზიკურ პროცესთან სულიერს (შებრუნებული სახე იდეალიზმისა)“. ამრიგად იდეალიზმის თვალსაზრისით არსებობს მხოლოდ „სული“, გონება, აბსოლიუტური იდეა და სხვა ყველაფერი მისი გამოვლენის შედეგია, ვულგარული მატერიალიზმის თვალსაზრისით კი არსებობს მხოლოდ მკვდარი მატერია...

---

[1] ნუცუბიძე—ხელოვნების თეორია გვ. 2.

[2] მატერიის გადასვლა ცნობიერებისაკენ დიალექტიურია. აქედან სჩანს, რომ ობიექტ-სუბიექტის მთლიანობის ფორმულა მხოლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქის შემდეგ, როდესაც გაჩნდა შეგნებული არსება. მანამდე კი ობიექტი არსებობდა უსუბიექტოთ, ეს მატერიის მუდმივი თვისებაა, მატერია-ერთად ერთი სუბსტანციაა, რომელიც არსებობს დამოუკიდებლათ ყოველგვარი ცნობიერებისა. ასეთია მარქსიზმის თვალსაზრისი ამ საკითხში.

ორივე ხსენებული თვალსაზრისი სასტიკად შემცდარია. ობიექტის და სუბიექტის გაიგივება ობიექტის საფუძველზე, როგორც ეს ვულგარულ მატერიალიზმშია, წარმოადგენს უაღრეს შეცდომას, რადგან იგი იგნორაციას უწევს ობიექტის და სუბიექტის მთლიანობის ერთ წევრ—სუბიექტს. მარქსიზმის თვალსაზრისით ცნობიერება განსაკუთრებული სუბსტანცია კი არ არის, არამედ იგი შედეგია უაღრესად განვითარებულ ორგანიზაციულ მატერიისა. მეორე მხრივ იდეალიზმის თვალსაზრისით „მე"-ს და „არამეს" იგივეობა „იდეის" საფუძველზეა აშენებული. მისი აზრით სამყარო არსებობს მხოლოდ როგორც იდეა და ჭეშმარიტება. უკვე ნათელია წინამდებარე აზრთა მსვლელობისაგან, რომ ნუცუბიძე იზიარებს უკანასკნელ თვალსაზრისს, ნუცუბიძე „ხსნის" რა ობიექტის და სუბიექტის ურთიერთობას, ამავე დროს აიგივებს მათ იდეის („ჭეშმარიტების") საფუძველზე. როგორც ზემოდ დავინახეთ ნუცუბიძე აცხადებდა, რომ იგი ამტკიცებს არა სამყაროს არსებობას საერთოდ მისი ცნობიერებისთვის დასაპირისპირებლათ, არამედ აღიარებს მხოლოდ სამყაროს ჭეშმარიტებათ არსებობას. ობიექტიური ჭეშმარიტების აღიარება იმავე დროს გულისხმობს, რომ იგი წარმოადგენს ობიექტიური რეალობის ასახვის სისწორის მტკიცებას. ამ რიგად ნუცუბიძე ტიპიური წარმომადგენელია იდეალიზმისა და ეკლექტიზმისა, როგორიცაა მეთოდი ისეთივე იქნება სისტემაც. ასეა ამ შემთხვევაშიაც, ნუცუბიძის იდეალიზმი საესებით ამახინჯებს თავისი შესასწავლი ობიექტის ძირითად თვისებებს.

„ალეთოლოგია" რეაქციონური იდეალიზმის სპეციფიური სახეა, რომელიც მტრულადაა განწყობილი მატერიალისტურ აზროვნებასთან. ეს ნათლად ჩანს ობიექტის და სუბიექტის საკითხის დაყენების დროს. „ჰეგელმა მოსწყვიტა აზროვნება ყოფას და ამ სახით იგი წავიდა საკუთარ მეთოდის წინააღმდეგ".[1] ეს მარცხი ჰეგელის სისტემისა გენიალურად შეამჩნია ლენინმა. „დიალექტიკის მომხრე ჰეგელმა—სწერს ლენინი—ვერ შესძლო გაეგო დიალექტიური გადასვლა მატერიიდან მოძრაობისაკენ, მატერიიდან ცნობიერებისაკენ"[2]. მატერიის მოძრაობა მხოლოდ მექანიკური მოძრაობა არაა, ამაშია მატერიალისტური შემეცნების თეორიის მთავარი მნიშვნელობა. „დიალექტიურია არა მარტო მატერიის გადასვლა ცნობიერებისაკენ, არამედ შეგრძნების გადასვლა აზრისაკენაც" (ლენინი), „რით განსხვავდება დიალექტიური გადასვლა არა დიალექტიურისაგან? ნახტომებით, წინააღმდეგობით, თანდათანობის შეწყვეტით" (ლენინი).

აზროვნება ატრიბუტია მატერიისა. „არ შეიძლება აზრი გადავაქციოთ თვითმყობად სუბსტანციათ, მოვსწყვიტოთ ის ტვინს" (ადორატსკი). ნუცუბიძის თვალსაზრისით კი ჭეშმარიტება ძირითადი სუბსტანციაა, რომელიც არაა დამოკიდებული არავითარ „მატერიალურ" მიზეზებზე. „ჩვენი შეგნება მხოლოდ ასახვაა გარეგანი ქვეყნისა და თავისთავად იგულისხმება, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლათ იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ასახვის დამოუკიდებლათ"[3]. მაშასადამე ობიექტი არსებობს დამოუკიდებ-

[1] Вестник ком. академии, 1929 г. 32 (2) გვ. 200.

[2] ლენინის შენიშვნები „ფილოსოფიის ისტორიის" კითხვის დროს.

[3] ლენინი—თხზულებანი. ტ. XIII გვ. 68.

ლათ ცნობიერებისა, ეს უკანასკნელი კი დამოუკიდებლობის პრეტენზიას ვერავითარ შემთხვევაში ვერ განაცხადებს. თვით ლენინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ობიექტიური ჭეშმარიტების აღიარება ნიშნავს ჩვენი შეგრძნებების მიღებას გარეგანი ქვეყნიერების სახეებათ. „ჩვენი შეგრძნებების ჩათვლა გარეგანი ქვეყნიერების სახეებათ—ობიექტიური ჭეშმარიტების აღიარება—მატერიალისტური შემეცნების თეორიის თვალსაზრისზე დადგომა, — ერთი და იგივეა“ [1]. მაშასადამე თუ გარეგან ქვეყანას, ობიექტიურ რეალობას შემეცნებაში არ „გაუელია“ ის ობიექტიურ ჭეშმარიტების სახეს ვერ მიიღებდა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შემეცნება ანიჭებს მას ჭეშმარიტებას, არამედ იმას, რომ შემეცნება მხოლოდ „ამხელს“ ამ ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების ფორმით და სახით ობიექტიური სამყაროს არსებობის მტკიცება, როგორც ამას ნუცუბიძე ჩადის აშკარა წმინდა წყლის იდეალიზმია. ეს შეხედულება მიგვიყვანს იმამდე, რომ „არაფერი არ არსებობს ჩვენ მე-სთან დამოკიდებულების გარეშე“. საბოლოო ანგარიშში ნუცუბიძე მიდის ასეთ დასკვნებამდე.

„შეგნება მატერიის შინაგანი პროცესია“. ეს ძირეული ჭეშმარიტება არ არსებობს ნუცუბიძის აზროვნებისათვის. „აზროვნება და შეგნება ადამიანის ტვინის პროდუქტებია“ [2]. ასეთია დიალექტიური მატერიალიზმის მსოფლმხედველობა. ხოლო ნუცუბიძის ალეთოლოგიური იდეალიზმი ნალექია მიმავალი იდეალისტური ფილოსოფიის; ჩვენ გვაინტერესებდა სწორეთ ჭეშმარიტების საკითხის გარკვევა, რადგან ნუცუბიძე მთელი ხელოვნების თეორიას ჭეშმარიტების „ანალოგიით“ აშენებს. ნუცუბიძის თვალსაზრისი ერთგვარი „პროექტია იდეალიზმის და მატერიალიზმის შერიგებისა“, მაგრამ არსებითად ავტორი ეკლექტიზმის და იდეალიზმის გატკეპნილი გზებით „ამტკიცებს“ იმ „უახლეს“ ჭეშმარიტებას, რომელიც ათასი წლების წინ წამოყენებულ იქნა რეაქციონურ აზროვნების მიერ.

* * *

როგორც ვნახეთ ნუცუბიძის ალეთოლოგიური ფილოსოფია მთლიანად ეწინააღმდეგება დიალექტიურ მატერიალიზმს; ნუცუბიძის ხელოვნების თეორიაც წმინდა წყლის ბურჟუაზიული ესთეტიკაა. ბურჟუაზიული ესთეტიკა ყოველთვის „გაურბოდა“ ცხოვრებას, ის მაღალი პათოსით და სტილით ამტკიცებდა ხელოვნების „თავისუფლებას“. სინამდვილეში რას ნიშნავდა ეს „თავისუფლება“. ჩვენ უკვე ვიცით ლენინის სიტყვებიდან: ბურჟუაზიული ხელოვანის თავისუფლება არის ფარისევლური დამოკიდებულება ფულის ტომარასთან. ხელოვნების ყოველგვარ თვისებას ხსნის კლასობრივი ბრძოლა, მხოლოდ „ამასთანავე ერთად უნდა გარკვეულ იქნეს ხელოვნების ვითარების კანონზომიერება“, გარეშე ამისა ჩვენ მივიღებთ მარქსიზმის ვულგარიზაციას. უნდა მონახული იქნეს ხელოვნების ადგილი საერთო ისტორიულ კანონზომიერების დიალექტიურ პროცესში.

---

[1] იქვე გვ. 131.

[2] ფრ. ენგელსი—,,Анти Дюринг''.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუცუბიძე სხვათა შორის გრძნობს იმ გარემოებას, რომ მშვენიერების ცნების იდეალისტურ გაგებას ეწინააღმდეგება თვით საზოგადოებრივი ცხოვრება. მიუხედავად ამისა ნუცუბიძის ხელოვნების თეორია თავიდან ბოლომდე „მშვენიერების" ფეტიშიზაციაა; მას „მშვენიერება" რაღაც მეტაფიზიკურ სუბსტანციად წარმოუდგენია, რომელიც არ ემორჩილება დროს და სივრცის ფარგლებს. „არსებობს ისეთი შეხედულებები — ამბობს ნუცუბიძე — რომელთაც მშვენიერების და სილამაზის პრობლემა არამც თუ ძირითად და მთავარ საკითხად არ მიაჩნიათ ესთეტიკისთვის, არამედ სრულიად უიმისოდაც იოლათ წასვლა დასაშვებად და მისაღებად მიაჩნიათ. ჩვენ ვცადეთ დაგვენახა, რომ ასეთი შეხედულება შეცდომაა და ყოველ თითოეულ შემთხვევაში გამოწვეულია რაიმე, ესთეტიკასთან უშუალო კავშირის არმქონე გარემოებით. ასეთია ან მეტაფიზიკის შიში, ან ესთეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ან და ცხოვრების მოთხოვნილების პრინციპულ პოზიციად გამოცხადება".[1]

„მშვენიერება" არის თუ არა ხელოვნების თეორიის ერთად-ერთი საგანი — ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად დავტოვოთ.

ნუცუბიძე იცავს „სილამაზეს" ცხოვრების მოთხოვნილების პრინციპული პოზიციებისაგან. მას არ ეშინია მეტაფიზიკის და პირიქით აღნიშნავს, რომ ვიღაც ამ მეტაფიზიკასთან ბრძოლის მიზნით აყენებს ცხოვრების მოთხოვნილებას; სილამაზის ფეტიშიზაცია ამაზე შორს ვერ წავა.

სილამაზის ფეტიშიზაცია ბურჟუაზიულ ესთეტიკის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. როგორიც ხელოვნებაა, ისეთია ხელოვნების თეორიაც. ყოველი კლასი შესაფერ მსოფლმხედველობის მიხედვით იმუშავებს ხელოვნების თეორიას.

ვ. ფრიჩე, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა ხელოვნების დიალექტიურ-მატერიალისტურ თეორიის დასამუშავებლათ, სწერდა:

„ჩვენ ვსვამთ მხოლოდ პრინციპიალურ საკითხს: რა არის მხატვრულობა? მუშათა კლასი ძნელათ თუ დაინტერესდება „ესთეტიური" განცდებით. ხელოვნება, როგორც მხოლოდ „შემეცნება ცხოვრებისა" და თვით ხელოვნება, როგორც საშუალება „თვით შემეცნებისა" ძნელათ თუ დააკმაყოფილებს მას. განადგურება ძველის, რამდენადაც ის ღირსია განადგურებისა, შენება ახალის, აღზრდა ახალი სოციალისტური ადამიანისა — ასეთია მისი ამოცანა. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო მხატვრული ისეთი ლიტერატურაა... რომელსაც შეუძლია გახდეს მაქსიმალურად სასარგებლო, კლასის და მისი მსოფლიო საქმის გრძნობის, რომელიც გადადის შესაფერის მოქმედებაში. საკითხის მზგავსი დაყენება რასაკვირველია „ღირებულებათა გადაფასებაა", მაგრამ განა გაშლილი პროლეტარული კულტურა არაა მთლიანი გადაფასება ღირებულებათა?" [1]

ასეთია პროლეტარიატის თვალსაზრისი ხელოვნების შესახებ. ეს შეხედულება უდევს საფუძვლად ხელოვნების მატერიალისტურ თეორიას. რეალური ცხოვრების მოთხოვნილება ნუცუბიძეს ესთეტიკასთან უშუალო კავშირის არმქონე გარემოებათ მიაჩნია. მებრძოლი კლასის, პროლეტარიატის თვალსაზრი-

---

[1] „ხელოვნების თეორია" გვ. 183—184.

[2] ფრიჩე—„Л. Н. Толстой" (И. К. А.—1929 г.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სით ხელოვნება საზოგადოებრივი, სოციალური სარგებლობის გარეშე ვერ შეასრულებს თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას. ეს სარგებლობა რასაკვირველია არაა სუბიექტის სარგებლობა, არამედ ჩვენ საქმე გვაქვს მთელ კლასთან, რომელშიაც თითოეული ადამიანი მოქცეულია, როგორც წევრი საერთო სოციალური ორგანიზმისა.

ბურჟუაზიული ფენების დაცემის და გადაგვარების პროცესი ნუცუბიძის განყენებულ ხელოვნების თეორიის სოციოლოგიური ექვივალენტია. ნუცუბიძე არ არის ერთეული მოვლენა: საბჭოთა კავშირის ფარგლებში, როგორც ფილოსოფიის, ისე ხელოვნების თეორიის ფრონტზე ხანგამოშვებით იერიშებს აწარმოებს მომაკვდავი იდეალიზმი. იგი ხშირად თავს იჩენს, როგორც იდეალისტური ესთეტიკის რესტავრაციის ცდა. მათი ავტორები, ხან გალატეის ძიებაში არიან გართულნი, ხან ვენერა მილოსელის მარადიულ მშვენიერებაზე მსჯელობენ და ამით ხრწნიან ჯანსაღ ლიტერატურულ ატმოსფერას.

შ. ნუცუბიძის ფილოსოფია ხელოვნების თეორიის ფრონტზე იმავე იდეალისტურ დასკვნებამდე მიდის, რომელიც მთელი რიგი ესთეტიკოსების მიერ აღმოჩენილ იქნა წარსულ საუკუნეებში.

ამრიგად ნუცუბიძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და კერძოთ ჭეშმარიტების რაობის გაგება მთლიანად და სავსებით ეწინააღმდეგება მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისს. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ ჭეშმარიტება არის „მარადიულ ბუნების“ განყენებული იდეა და მას არაფერი საერთო არა აქვს სინამდვილესთან; ამ თვალსაზრისს ნუცუბიძე სავალდებულოთ ხდის ხელოვნების თეორიისათვისაც. „მშვენიერება და ჭეშმარიტება ერთ სფეროს ეკუთვნიან, მაგრამ ერთი და იგივე არ არიან. შეიძლება ითქვას, რომ მშვენიერება შემოქმედებისთვის იგივეა, რაც შემეცნებისათვის ჭეშმარიტება“ [1]. სადაა ეს „სფერო“ მოთავსებული? ამაზე ნუცუბიძე სავსებით მეტაფიზიკურ პასუხს იძლევა. იდეალისტური ესტეტიკა ამტკიცებდა, რომ მშვენიერება მარადიულია, რომ ის არაა დამოკიდებული ცხოვრებაზე და წარმოადგენს აბსოლიუტიური იდეის გამოვლენას. ნუცუბიძე არ გაურბის ასეთ დასკვნებს.

ხელოვნების რაობის მთლიანი ამოცნობა მეტად რთული საკითხია. ამავე დროს მისი გარკვევის პრაქტიკული და თეორიული საჭიროება უკვე ყველასათვის ცხადია. ხელოვნების თეორია გვერდს ვერ აუხვევს ამ ძირეულ პრობლემას. ვინ არ შეეცადა თავისებურათ განესაზღვრა ხელოვნების თეორიის ეს ძირითადი საკითხი; გარდა ესთეტიკოსებისა, თვით მთელი რიგი ფილოსოფოსებიც (ანტიურ ეპოქიდან პითაგორელები, ჰერაკლიტი, დემოკრიტი, სოკრატი, პლატონი, არისტოტელი; ანტიურ ეპოქის შემდეგ ჰიუმე, დიდრო, ჰელვეციუსი, კანტი, ჰეგელი, შელლინგი, შოპენჰაუერი, შპენგლერი და სხ.) ცდილობენ თავისი ფილოსოფიური სისტემების მიხედვით შესაფერი მიმართულება მიეცათ ხელოვნების თეორიისათვის. დღემდე არსებულ შეხედულებებს, რომ თავი მოვუყაროთ ერთგვარი სისტემატიზაციის ნიშნის ქვეშ, ხელთ შეგვრჩება იდეალიზმისა და მატერიალიზმის ბრძოლა. კლასობრივ ბრძოლის სტიმულით ამოძრავე-

[1] ნუცუბიძე—ხელოვნების თეორია გვ. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ხელოვნების თეორია ყოველ ეპოქაში მჭიდროთ უკავშირდება შესაფერის ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რაც ბუნებრივია.

იდეალიზმი პირველ რიგში აცხადებდა ხელოვნებას მეტაფიზიკური შინაარსის შემცველ ფენომენად და ამავე დროს ხაზს უსვამდა მის თვითმიზნობრიობას, ზეკლასიურობას. მისი თვალსაზრისით „ხელოვნება თავისთავად მიზანია და მაშასადამე შეუძლებელია იგი გარდაქმნილი იქნეს გარეშე მიზნების მისაღწევ საშუალებათ“.[1] ამ თვალსაზრისს სავსებით იზიარებს ნუცუბიძე, რომლის აზრით მიზნისეული მოქმედება იწყება იქ, სადაც თავდება ხელოვნება. ნუცუბიძის ალეთოლოგიური ესტეტიკის მიხედვით უშუალობის დარღვევა ნიშნავს ხელოვნების ლიკვიდაციას. ეს ფრიად ძველი თეორიაა, რომელსაც დღემდე იმეორებდენ ყველა ჯურის იდეალისტები და მეტაფიზიკოსები. აქაც ნუცუბიძე, ისე როგორც სხვაგან ერთგულად მისდევს თავისი წინაპრების, იდეალისტების გენერალურ ხაზს.

დასაწყისში ნუცუბიძე სცდილობს გადმოგვცეს პლეხანოვის თვალსაზრისი სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთობის შესახებ. „ცნობილია, რომ პლეხანოვი—სწერს ნუცუბიძე—ყოველგვარ ესტეტიურ ნორმატივიზმის წინააღმდეგი იყო. ხელოვნება მისთვის ერთი იმ ბუნებრივ მოვლენათაგანი იყო, რომელიც სხვა მოვლენებთან ერთად გარკვეულ სოციალურ გარემოში იყო მოთავსებული და იმავე წესებს და კანონებს ემორჩილებოდა, რასაც სხვა სოციალური მოვლენები. ხელოვნება ამ შემთხვევაში ისეთივე უკუფენაა რეფლექსიაში საზოგადოებრივ განვითარებისა, როგორც ყოველივე სხვა ფორმა იდეოლოგიისა“.[2] ამ რიგად ნუცუბიძე პლეხანოვის თვალსაზრისს გვაცნობს და შემდეგ დაასკვნის: „... დამოკიდებულება შემოქმედებისა და იდეოლოგიის მომენტს შუა არაა ისე მარტივი, როგორც ეს მაგ. პლეხანოვს წარმოუდგენია“.[3] ნუცუბიძის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ეს ასე მარტო „პლეხანოვს კი არ წარმოუდგენია“, არამედ ასევე ფიქრობს მთელი მარქსიზმი. როგორც ვხედავთ აქ ნუცუბიძე „ნაწილობრივ“ არ „ეთანხმება“ პლეხანოვს, სამაგიეროთ ეთანხმება შოპენჰაუერს, ნუცუბიძე სწერს:

---

[1] ასე ახასიათებს პლეხანოვი ხელოვნების იდეალისტურ თეორიას. იხ. Г. В. Плеханов—„Искусство“ გვ. 128.

[2] ნუცუბიძე—„ხელოვნების თეორია“ გვ. 5.

[3] იქვე, გვ 5. აქ მთელ გაუგებრობას აქვს ადგილი; ეს გაუგებრობა ბუნებრივი შედეგია ნუცუბიძის აზროვნებისა. ნუცუბიძეს არ აკმაყოფილებს პლეხანოვის თვალსაზრისი იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი აიგივებს ხელოვნებას და იდეოლოგიას. ამ მხრივ ნუცუბიძე იდეალიზმის ფრონტიდან ებრძვის მატერიალისტ პლეხანოვს. ხელოვნება თვით იდეოლოგიაა, მისი ერთ-ერთი დარგია, რომელიც განსხვავდება მეცნიერებისაგან არა შინაარსით, არამედ ფორმით. მარქსისტულმა ხელოვნების თეორიამ უნდა უარყოს პლეხანოვის ყველა იდეალისტური და ოპორტიუნისტული შეცდომა და არა მისი სწორი, ორტოდოქსალური აზრები. პლეხანოვის მრავალი აზრი მენშევიკურ იდეალიზმითაა გაჟღენთილი. ასე, მაგ. პლეხანოვი სწერდა: „ჩვენ ვერ დავეთანხმებით ჩერნიშევსკის, როდესაც ის უარყოფს შილლერის მიერ შეთვისებულ კანტის იდეას, რომ ხელოვნება არის თამაში“ (იხ. Г. Плеханов—„Н. Г. Чернышевский“ изд. „Шиповник“). — ეს აშკარა იდეალიზმია, რომელსაც არ ეთანხმება თვით მისივე ავტორის სხვა ადგილას გამოთქმული შეხედულებები. პლეხანოვის იდეალისტური შეცდომების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ხელოვნების მეტრეტელობათ აღიარება, ესტეტიურ განცდის უშუალობის და „უსარგებლობის“ მტკიცება.

„მართალი იყო შოპენჰაუერი, როდესაც ამბობდა, რომ მუსიკას სინამდვილეში არაფერი აქვს ასასახველი და ამიტომ იგი მეტაფიზიკურია“, [1] და სხვა... ამ რიგად ნუცუბიძე გარკვევით აღნიშნავს, რომ მუსიკა მეტაფიზიკური ხელოვნებაა, ქვემოდ დავინახავთ, რომ მას ასეთივე შეხედულება აქვს მთლიანად ხელოვნების შესახებ. ანალოგიურ მოსაზრებას იცავდა არჩილ ჯორჯაძეც:

„... მუსიკა ყოველთვის ფორმას მოკლებული, სულიერი განწყობილებაა, იგია ირაციონალი თავის ბუნებით და მასში ყოველთვის ისახება ადამიანის ბუნების მეტაფიზიკური ელემენტები“. [2]

სწორია თუ არა ეს? რასაკვირველია არა; „მუსიკას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც წმინდა ფორმალურ ხელოვნებას, როგორც რაღაც აბსოლიუტურ უსაგნობას. ასეთი შეხედულების თანახმად ყოველგვარი კითხვა მისი შინაარსის შესახებ უნაყოფოა... მეცნიერული თვალსაზრისით ასეთი მტკიცება სავსებით აბსურდულია: მთელი ადამიანის კულტურა—ხელოვნება არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს გამონაკლისს—გაჩენილია ცხოვრების ფაქტორებისგან, ცხოვრების მიერაა გამოწვეული, მითი იკვებება და არ არსებობს ისეთი ღირებულება და მოვლენა, რომელიც არ იყოს განსაზღვრული კაცობრიობის არსებობით“. [3] მაშასადამე იგი მეტაფიზიკური კი არა, წმინდა წყლის რეალური ხელოვნებაა, ისე როგორც პოეზია; მუსიკას ყოველთვის აქვს თავისი შინაარსი, რომელიც განისაზღვრება მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის პირობებით.

ნუცუბიძე არა მარტო ამ საკითხში აგრძელებს და ავსებს ჯორჯაძის „ფილოსოფიურ“ მემკვიდრეობას. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი გააფთრებული მტერი იყო ისტორიის მატერიალისტური გაგებისა, ის ფიქრობდა, რომ ხელოვნება „შეუცნობელი“ ბუნებისაა; „ხელოვნება ზედმეტია ვიდრე სინამდვილე—სწერდა იგი—ამიტომ ადვილად მისახვედრია ის თუ ხშირად რატომ სცილდება ხელოვნება ემპირიულ მოვლენათა ფარგალს და რატომ სცდილობს ესტეტიურ ხილვის ხაშუალებით დაგვანახოს ის რაც სინამდვილეში არ არის“. [4]

არ. ჯორჯაძეს სურდა სინამდვილის „გარეთ“ (?) მოენახა ხელოვნების საგანი. სხვა დასკვნამდე ვერ მივიდოდა მოაზროვნე, რომელიც მწერლის ვალათ „უხილავის ხილვას“ სთვლიდა. „ხელოვნების დეფინიციასათვის საჭიროა უფრო ფართო მცნება ვიდრე მცნება სინამდვილისა და ამ სინამდვილის სამსახურის“ [5] ეს ფართო ცნების ძიება უკვე მეტაფიზიკამდე მიდის, ასეთ შედეგებამდე მიდის, როგორც ჯორჯაძე, ისე თვით ნუცუბიძეც. „სინამდვილე მხოლოთ სტიმულია, იმპულსია შემოქმედებითი ნიჭისათვის, შემოქმედების ნაყოფი კი იდეალისტურ წყაროდან მომდინარეობს“ [6] ასეთია საბოლოო დასკვნა ჯორჯაძისა. ნუცუბიძეც ხელოვნების მთავარ დამახასიათებელ თვისებათ სინამდვილიდან დაცილებას სთვლის. როგორც ვიცით ხელოვნების უძველესი იდეალისტური თეორია აცხადებდა რომ შემოქმედების ერთადერთი მიზანია მშვენიერების მიწვდომა, ხილვა.

---

[1] ნუცუბიძე—„ხელოვნების თეორია“ გვ. 141.

[2] არჩილ ჯორჯაძე—„ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია“. ნაბრეკი, გვ. 36.

[3] А. Буцкой—,,Непосредственные данные музыки''.

[4] ჯორჯაძე—„ხელოვნება“... გვ. 38.

[5] იქვე, გვ. 39.

[6] იქვე, გვ. 40-41.

ჯერ კიდევ ბაუმგარტენი აცხადებდა, რომ ლოგიკური შემეცნების მიზანი ჭეშმარიტებაა, ხოლო ხელოვნების—მშვენიერება. ნუცუბიძე ბევრ ადგილზე სიტყვასიტყვით იმეორებს ამ აზრს. ნუცუბიძე ეხება ესტეტიური ფსიქოლოგიზმის პრობლემას. ფსიქოლოგისტური ესტეტიკა (ფეხნერი, ვუნდტი, ლიპპსი კონრად ლახგე და სხ.) წარმოადგენს ბურჟუაზიული ესტეტიკის ერთ-ერთ ფრთას. ამ მოვლენისათვის ხაზგასმა ავიწყდება ნუცუბიძეს. ნუცუბიძე ებრძვის ფსიქოლოგიზმს; საერთოდ ბრძოლა ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ აუცილებელია, მაგრამ ეს ბრძოლა მეტაფიზიკურ შეხედულებების აპოლოგიის ნიშნის ქვეშ კი არ უნდა ჩატარდეს, არამედ მან ერთგვარი საფუძველი უნდა გაუწმინდოს ხელოვნების დიალექტიურ-მატერიალისტურ თეორიას. „მთელი ფსიქოლოგისტური ესტეტიკა დღემდე ვერ წავიდა ესტეტიურ მდგომარეობის ელემენტარულ ფსიქო-ფიზიოლოგიურ საფუძვლების გამოკვლევის იქით“ [1]. ამ რიგად „ფსიქოლოგისტური ესტეტიკა თავის ბუნებით გედონისტური ესტეტიკაა“ [2]. ამავე დროს ამ თეორიის პირველი მამამთავარი ფეხნერი ყოველმხრივ ცდილობდა დაეკავშირებინა ესტეტიკა ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიასთან. ფსიქოლოგისტური ესტეტიკისათვის არაა უცხო „ღმერთის იდეა“, ამ მხრივ ის მედგრად იცავს იდეალიზმის საფუძველს.

ნუცუბიძე იბრძვის ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ; მიუხედავათ ამისა იგი ვერ ააშკარავებს ამ მიმართულების კლასიურ საფუძვლებს; თვით ფსიქოლოგიზმის დახასიათებისათვის ყველაზე უფრო სრულ სურათს იძლევა ფეხნერი; მისი აზრით ესტეტიური სიამოვნების პრინციპი ექვსია: ესტეტიური ზღურბლის, ესტეტიური წარმატების, მრავალსაგნიანობის, მთლიანობის, ჭეშმარიტების, ესტეტიური შთაბეჭდილების და ასოციაციის პრინციპები... „ყოველი აღქმა ანუ ათვისება ორი ელემენტისაგან შესდგება: პირდაპირისა და ასოციატიური ფაქტორისაგან. პირველია ის რაც უშუალოდ მოცემულია, როგორც აღქმის ანუ ათვისების მასალა“, ხოლო მეორე მის მიერ გამოწვეული მსგავსი წარმოდგენა ადამიანისა. ერთი სიტყვით ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით შემოქმედებითი აქტი ფრიად რთულ პროცესს წარმოადგენს. ფეხნერის აზრით ესტეტიური გრძნობის განვითარება ასოციაციების დაგროვებას ნიშნავს. საერთოდ ფსიქოლოგიზმი მეტაფიზიკური ესტეტიკაა, მისი ზოგიერთი წარმომადგენლები მშვენიერების მიზნათ „მარადიულ სიკეთეს“ სთვლიან.

ნუცუბიძე მშვენიერების ცნებას ჭეშმარიტების ანალოგიით საზღვრავს, მაშასადამე მისთვის სავსებით მიუღებელია ესტეტიური ფსიქოლოგიზმი. „ესტეტიურ განცდაში — სწერს ნუცუბიძე — არაფერია სუბიექტიური, რადგან მაშინ იგი დაცილებული იქნებოდა ჭეშმარიტების იმ „ანალოგიას“, რომელიც ერთად-ერთი გზაა შემოქმედების გაგებისაკენ“ [3].

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო ვრცლათ:

„სილამაზე“ არაა მეტაფიზიკური ფენომენი და იგი მაშასადამე არ სდგას ცხოვრების გარეთ. „სილამაზე“ ხალხის შეხედულებაა, ცხოვრებაზე და მას სა-

---

[1] Л. Зивельчинская—„Опыт Маркс. анализа истор. эстетики“. გვ. 229.

[2] იქვე, გვ. 229.

[3] ნუცუბიძე — „ხელოვნების თეორია“.

ფუძვლად უდევს სარგებლიანობა, საზოგადოებრივი უტილიტარობა. ხელოვნება სოციალური მოვლენაა, ის არ არის კერძო საქმე, მისი სარგებლობაც საზოგადოებრივი სარგებლობაა და იმავე დროს ეს სარგებლობა სუბიექტზე უშუალოთ კი არ გადადის, არამედ საზოგადოებრივი კლასის საშუალებით. მაშასადამე საზოგადოებრივი ადამიანისათვის ხელოვნება ინტერესის გარეშე არა სდგას და პირიქით იგი შუალობითი გზით ემსახურება მის ინტერესს, რადგან ყოველი ადამიანი, ხელოვნებასთან რაიმე დამოკიდებულებაში მყოფი, საზოგადოებრივ ცხოვრების მონაწილეა; ხელოვნების უტილიტარობა უშუალოთ კლასობრივ და არა სუბიექტიური ინტერესის სფეროზე ვრცელდება. ეს ავიწყდება ნუცუბიძეს, როდესაც იგი „სუბიექტის განცდაზე" მსჯელობს. მისი შეცდომის მიზეზი ისაა, რომ ავტორი ხელოვნებას, ამ სოციალურ მოვლენას იხილავს სოციალური და საზოგადოებრივი პირობების გარეშე.

ნუცუბიძეს ჰგონია, რომ ფსიქოლოგიზმის უარყოფა კანტის „სილამაზის" ინტერესის გარეშე დგომის თვალსაზრისამდე მიგვიყვანს, ამიტომ იგი წერს:

„გადახრა სუბიექტიურისაკენ ესთეტიური განცდის გაყალბებაა", მშვენიერების თეორია შესაძლოა ყოველგვარი სუბიექტივობის გარეშე დამუშავდეს", „ახალი ესთეტიკის საფუძველმდებელი კანტი ისეთ პირობებში აყენებდა სიამოვნების და მშვენიერების განცდის საკითხს, რომ ყოველივე ეჭვი ზედმეტათ უნდა ჩაითვალოს იმის შესახებ, რომ აქაც განცდის პრობლემა არ შეიძლება სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგისტურ ფარგლებში მოთავსებულიყო. კანტის ცნობილი დებულება — „მშვენიერია, რაც ყოველივე ინტერესის გარეშე მოსაწონია"-ო, საქმის ასეთი ვითარების უტყუარი გამოხატულებაა... სიამოვნების განცდა ყოველგვარი ინტერესის გარეშე — ეს ისეთი ფორმულაა, სადაც სუბიექტის, როგორც ასეთის განცდას ადგილი არა აქვს" [1].

ნუცუბიძე ფიქრობს, რომ კანტის „ინტერესის გარეშე დგომის" ფორმულა მისაღებია ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. (ამით იგი იღებს კანტის ესთეტიურ თვალსაზრისს). სავსებით მეტაფიზიკური და ანტიდიალექტიურია ესთეტიური „სიამოვნების" განცდის სოციალური ფარგლების გარეთ განსაზღვრის ცდა. ნუცუბიძის ბრძოლა ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ გზას უხსნის კანტის თვალსაზრისს. ეს რასაკვირველია ფსიქოლოგიზმის სასარგებლოთ არაფერს ლაპარაკობს.

კანტის ესთეტიური თვალსაზრისი სავსებით მიუღებელია მატერიალიზმისათვის. კანტის თვალსაზრისით „გემოვნების მსჯელობა" ერთგვარი გარდამავალი საფეხურია პრაქტიკულ გონებასა და წმინდა გონებას შორის. კანტის თვალსაზრისით „შემეცნებაში და ესთეტიკაში არის შემოქმედება. პირველ შემთხვევაში ის შესრულდება დადგენილ კანონების თანახმად, მეორეში კი ის მიმდინარეობს თავისუფლათ, თამაშის მზგავსად". გემოვნების მსჯელობას კანტის თვალსაზრისით ოთახი მომენტი ახასიათებს.

პირველი მომენტი არის ესთეტიურის ინტერესის გარეშე დგომა. კანტის თვალსაზრისით „ესთეტიური მდგომარეობა წინააღმდეგ შემეცნებითი მოქმედებისა არ შეიცავს თავისში აქტიურ ზედმოქმედებას ადამიანისა ობიექტზე, თუმცა სუბიექტი ამ დროს განიცდის უმაღლეს — უაქ-

[1] ნუცუბიძე — „ხელ. თეორია".

ტიურეს შემოქმედებითი პროცესს"... ამ თვალსაზრისს, რომელიც აღიარებს ესთეტიურს განცდას ყოველგვარი ინტერესის გარეშე აღიარებს ნუცუბიძეც. კანტის ფორმულის მიხედვით ხელოვნება დამოუკიდებელია ცხოვრებისაგან; რადგან იდეალისტები ხელოვნების მიზნათ „სილამაზეს" სთვლიან და ამავე დროს აღიარებენ სილამაზის არსებობას ყოველგვარ ინტერესის გარეშე, ამიტომ ისინი აღიარებენ ხელოვნების თვითმიზნობრივობასაც. კანტი საზოგადოებრივ ინტერესსა გულისხმობდა, როდესაც მშვენიერების ცნების განსაზღვრას ცდილობდა. კანტის თვალსაზრისით სილამაზე დამოკიდებულია ცხოვრებისაგან; კანტიანური ესთეტიკის ცნობილი წარმომადგენელი იონას კონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სილამაზის ინტერესის გარეშე არსებობის აღიარება იდეალიზმის საფუძველია. „ესთეტიური შთაბეჭდილება — სწერს ის — რამდენადაც ის ნამდვილათ ესთეტიურია არ შედის მოქმედების სამყაროში... თავისი წმინდა ინტენსიურობის წყალობით ესთეტიური განთავისუფლებულია ჩვენი ინტერესთა ხლართისაგან. ძნელი არაა იმის დანახვა თუ როგორ ადვილად გადადის ჩემი ფორმულა კანტის გამოთქმისაკენ, რომ სილამაზე მოგვწონს ინტერესის დაუკითხავათ"[1]. ამ აზრების განვითარებით კონი შემდეგ დასკვნამდე მიდის:

„სილამაზის ინტერესის გარეშე ყოფნის აზრი მჭიდროთ დაკავშირებულია მის გაგებასთან, როგორც თამაშთან. თანახმად წინა შენიშვნებისა შილლერი განსაზღვრავს ხელოვნების ინსტიქტს, როგორც თამაშის ინსტიქტს"[2]. ამრიგად ხელოვნებას, როგორც თამაშის განსაზღვრა ბუნებრივად მიიღება ესთეტიურის ინტერესის გარეშე ყოფნის თეორიიდან. ნუცუბიძე ობიექტიურად ამ თვალსაზრისზეა შერჩენილი.

„მშვენიერების" ინტერესის გარეშე ყოფნის თვალსაზრისი არის ხელოვნების ზეკლასიურობის ცნობილი თეორია. როგორც იგივე კონი აღნიშნავს ეს თვალსაზრისი პირველად კანტს არ წამოუყენებია. ამ მხრივ კანტზე ადრე ეს თვალსაზრისი წამოაყენა გეტჩესონმა, რომლის აზრით მშვენიერების გრძნობა „ღვთის მიერაა ნაბოძები". კანტმა მისცა ამ თვალსაზრისს ყველაზე უფრო დასაბუთებული სახე. და ამის შემდეგ ეს გაგება თითქმის გადაიქცა ბურჟუაზიულ სიმბოლიზმის, რომანტიზმის და სხვა დეკადენტურ სკოლების თეორიულ მრწამსად. „ადამიანი სრულყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თამაშობს" (შილლერი). ამ თვალსაზრისით ხელოვნება, მხოლოდ ჭვრეტაა სამყაროსი, პასიური ათვისება და უკუფენა სილამაზისა. „მე დიდი სიხარულით უარს ვიტყოდი ფრანგის და მოქალაქის უფლებებზე, ოღონდ ვიხილოთ რაფაელის ხელით შექმნილი სურათი და შიშველი ლამაზი ქალი" (გოტიე) ნამდვილი „ესტეტიზმის" თეორიაა. ამ თეორიათა ტრადიცია აწვალებს ნუცუბიძის აზროვნებასაც. ამ რიგად ნუცუბიძე იზიარებს კანტის ესთეტიკის პირველ მომენტს. კანტის ესთეტიკის ეს მომენტი არის საფუძველი ხელოვნების ზეკლასიურობის თეორიისა. კანტის ესთეტიკის მეორე მომენტი ესთეტიურობის უშუალობაა. „ლამაზი არის ის — ამბობს კანტი — რაც ყოველგვარ გაგების გარეშე წარმოგვიდგება, როგორც ობიექტი საერთო სიამოვნებისა". ესთეტიურობის უშუალობის უფრო

[1] И. Кон — „Общая эстетика".

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვეთრი გამოთქმა შეუძლებელია. აქ კანტი ერთის მხრივ აღიარებს, რომ ესთეტიური გრძნობის მთავარი თვისება ემოციონალურობაა, ხოლო მეორეს მხრივ ხაზს უსვამს მის უშუალობას. როგორია ამ შემთხვევაში ნუცუბიძის პოზიცია? ნუცუბიძე თავის წიგნის მეორე თავში („ესთეტიური, როგორც უშუალობა") სცდილობს დაამტკიცოს, რომ უშუალობა და ინტუიცია არ ეწინააღმდეგება დისკუსიულ აზროვნებას, მაგრამ ეს მხოლოდ ცდაა იდეალიზმის მიჩქმალვისა. საერთოდ ნუცუბიძის თვალსაზრისი ამ საკითხში არაფრით არ განსხვავდება იდეალიზმის თვალსაზრისისაგან, რომელიც ყველაზე უფრო მკვეთრად კანტმა გამოსთქვა. ესთეტიური განცდის უშუალობაზე მსჯელობდა გეტჩესონიც, რომლიდანაც კანტმა უშუალობის ცნების მთელი შინაარსი გადმოიტანა.

„იქ სადაც მიზანია — წერს ნუცუბიძე — ყოველგან რეფლექსია, რადგან მიზანს საშუალება ესაჭიროება და უკანასკნელს შედარება, შერჩევა და შეფასება. რეფლექსია და უშუალობა შეერთებული ცნებებია; კერძოთ შემოქმედების სფეროში უშუალობა გამორიცხავს ყოველგვარ რეფლექსიას"[1]. შემდეგ ნუცუბიძე წერს: „შემოქმედება სწორია მაშინ როდესაც იგი უშუალოა, შემცდარი ანუ უფრო სწორედ ყალბი — როდესაც მასსა და შემოქმედს შორის რეფლექსია ე. ი. მიზანშეწონილების მიზნის მიხედვით გზების და საშუალების ძებნა ხდება"[2]. ამის შემდეგ ნუცუბიძე ამბობს, რომ თუ შემოქმედება არაა „უშუალო აღტყინებაზე აგებული, მაშინ საქმე გვაქვს ხელოსანთან და არა ხელოვანთან"[3] „ყოველივე მიზნის გარეშე ყოფნა" ნუცუბიძის აზრით მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ხელოვნებისა. ნუცუბიძე ხელოვნების მთავარ თვისებას „უშუალო აღტყინებაში" ხედავს.

ესთეტიურის უშუალობა ნიშნავს ხელოვნების უაზრობის მტკიცებას. ამის გამო მრავალი მოაზროვნე ესხმოდა თავს კანტის სისტემას და უმტკიცებდენ, რომ გრძნობა, როგორც პირველი საფეხური შემოქმედებითი პროცესის უთუოდ გამოიწვევს სათანადო აზრთა მოძრაობას. ჩვენ განსაკუთრებით ხაზს უსვამთ იმ გარემოებას, რომ მარქსიზმი ვერ მიიღებს კანტის ესთეტიკის მტკიცებას ესთეტიურის უშუალობის შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. მეორე მომენტი მშვენიერებისა — უშუალობა — არაა დამახასიათებელი მხოლოდ კანტის აზროვნებისთვის. ჩვენ სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ იდეალისტი ნუცუბიძე იზიარებს ხელოვნების უშუალობას, მაგრამ საკვირველია რატომ იზიარებს ამავე თვალსაზრისს მარქსისტი და მატერიალისტი მოსე გოგიბერიძე; იგი წერს: „ხელოვნების და რელიგიის იარაღია გრძნობა, მოკლებული ლოგიკურ რეფლექსს, მისი ობიექტია ფანტაზია და მხატვრული სახე. ფილოსოფიურ თვალსაზრისისთვის საკმარისი არ არის გრძნობით მოცემული მასალის აღნუსხვა, არც მისი წარმოდგენა ფანტასტიურ სურათის სახით. ფილოსოფიამ გრძნობაში მოცემული მასალა რაციონალურად უნდა გადაამუშაოს,

[1] „ხელ. თეორია" გვ. 16.
[2] იქვე გვ. 75.
[3] იქვე გვ. 75.

ე. ი. მასალის სახით მოცემული ფაქტები იმგვარად დაალაგოს, რომ ერთს ფაქტს მეორე მოსდევს, მიზეზს — შედეგი, საფუძველს — დანასკვი. მოვლენათა შორის მან უნდა აღმოაჩინოს გარკვეული მიზეზობრივობა. მაგ. თუ ჩამავალი მზის სხივები იქნება მხატვრული შემოქმედების ობიექტი, ამის ნიადაგზე ჩვენ შევძლებთ განვიცადოთ ის სილამაზე და მშვენიერება, რაიც ჩამავალი მზის სხივებს მხატვარში გამოუწვევია. ფილოსოფოსს და მეცნიერს ეს გარემოება არც ეხება და არც აწუხებს„ [1]. სრულებით არაა სწორი ის გარემოება, თითქოს ხელოვნება მხოლოდ გრძნობების სფერო იყოს; ასეთ გაგების წინააღმდეგ იბრძოდა და იბრძვის მარქსისტული აზრი. ჩამავალი მზის სხივების უშუალო შთაბეჭდილება სრულებითაც არ განსაზღვრავს მწერლის შემოქმედებითი პროცესს; ამ შემთხვევაში არასწორ მიდგომასთან გვაქვს საქმე. ხელოვნებისათვის არა კმარა „უშუალო აღტყინება“ (ნუცუბიძე), საჭიროა რევოლუციონური მოქმედება. სუბიექტის აქტიური როლი, რომლის შესახებ ლაპარაკობდა მარქსი აქ უთუოდ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ქვეყნის გარდაქმნა და რევოლუციონური მოქმედება ხელოვნების სფეროსაც ეხება. ის არ შეიძლება იყოს გარეშე, ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი გადაჯგუფებისა.

ასეთივე შეცდომა იქნა დაშვებული ამხ. ბუხარინის მიერ, რომელმაც ხელოვნება გრძნობების სისტემატიზაციად გამოაცხადა; გრძნობითი მომენტის დაპირისპირება ინტლექტუალურ მომენტისადმი არავითარ შემთხვევაში არაა გამართლებელი.

კანტი ესთეტიურის უშუალობის ცნების აღიარებამდე თავისი ფილოსოფიის მეტაფიზიკურობამ მიიყვანა [2]. კანტმა დაიწყო გერმანული იდეალისტური დიალექტიკის კლასიკური ეპოქა, მაგრამ მან ვერ შესძლო დიალექტიკის გამოყენება ესთეტიკის სფეროში. ამიტომ მისი ესთეტიკა სავსებით მეტაფიზიკურია. ცნობილია, რომ ჰეგელი თანახმად იდეალისტურ-დიალექტიური მეთოდისა კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა კანტის ფორმულას ხელოვნების უშუალობის შესახებ. ჰეგელი კანტის ფორმულის წინააღმდეგ აყენებს უშუალობის და შუალობის დიალექტიურ მთლიანობას. კონკრეტიულ შემთხვევაში ეს ნიშნავს გრძნობის და აზრის მთლიანობას შემოქმედებითი პროცესში, რასაც ასე თავგამოდებით ამტკიცებდა პლეხანოვი, როდესაც ებრძოდა ტოლსტოის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ვითომ ხელოვნების სფერო მხოლოდ გრძნობების სფერო არის.

ლენინს თავის კონსპექტში ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ შესახებ მოჰყავს შემდეგი ადგილი ჰეგელის ხსენებულ ნაშრომიდან:

„არაფერი არ არის არც ზეცაში, არც ბუნებაში, არც სულში თუ სადაც არ უნდა იყოს, რაც არ შეიცავდეს უშუალობასთან ერთად შუალობას“ ჰეგელს აქ ლენინი შემდეგ შენიშვნას უკეთებს: „1) Небо — природа — дух. Небо — долой: Материализм. 2) Все опосредствовано — опосредственно, связано

---

[1] მოსე გოგიბერიძე — „მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“. ტფილისი, 1928 წ. გვ. 2.

[2] ჰერდერი ებრძოდა კანტის ესთეტიკას და ამბობდა, რომ ხელოვანი, როდესაც ჰქმნის ნაწარმოებს, ანხორციელებს მასში რაიმე იდეას. ამით ჰერდერი სცდილობდა დაერღვია კანტის გემოვნების მსჯელობის მეორე მომენტი. საერთოდ ჰერდერი კანტის ფილოსოფიას „სიტყვიერ თამაშს“ ეძახდა.

воедино, связано переходами. Долой небо — закономерная связь всего (процесса) мира"[1]. ეს ფორმულა დიალექტიური სისრულით გამოხატავს უშუალობის და შუალობის მთლიანობას.

კანტის ესთეტიკა და საერთოდ ფილოსოფია მეტაფიზიკური იყო, მას აკლდა დიალექტიკა; ეს დანაკლისი ჰეგელმა შეავსო, მაგრამ ჰეგელის სისტემას აკლდა მატერიალიზმი; მარქსმა და ლენინმა გამოიყენეს ჰეგელის დიალექტიური მემკვიდრეობა და შექმნეს მატერიალისტური დიალექტიკის მკვიდრი შენობა. ეს მოვლენა ნათლად მტკიცდება ხელოვნების თეორიის მაგალითზეც. უშუალობა და შუალობა დიალექტიურ მთლიანობაში იმყოფებიან. ამ აზრის მიღწევა შეუძლებელია ფორმალი ლოგიკის ფარგლებში. დიალექტიური ლოგიკა შეისწავლის მოვლენას მის განვითარებაში, მრავალმხრივობაში; წინააღმდეგობათა მთლიანობა ძირითადი პრინციპია დიალექტიური ლოგიკისა. უშუალობის მომენტისა და მოაზროვნე გონებას შორის გადაულახავი საზღვრების გავლება სავსებით მიუღებელია მატერიალისტური დიალექტიკისათვის, რომელიც განიხილავს ყოველ მოვლენას მთელი მისი დამოკიდებულებებით გარეშე ქვეყანასთან.

ნუცუბიძე სავსებით იდეალისტურ შეხედულებას იზიარებს ე. წ. ხელოვნების ტენდენციურობის შესახებ. ცნება „ტენდენციურობა" შემოღებულია იდეალისტ-ესთეტიკოსების მიერ, რომელნიც ამ სახელით ნათლავდენ ყოველი ეპოქის მოწინავე ლიტერატურას (მაგ. ნეკრასოვის პოეზია). „ტენდენციურ" ლიტერატურას უპირისპირდებოდა „წმინდა" ხელოვნება, „ხელოვნება — ხელოვნებისათვის"; ფაქტიურად ორივე ეს ფრთა ხელოვნებისა კლასიურად ტენდენციური იყო, მაგრამ განსხვავებას ქმნიდა ერთის მხრივ იდეოლოგიური სხვადასხვაობა, ხოლო მეორეს მხრივ ის გარემოება, რომ უტილიტარულ ხელოვნებას შეგნებული ჰქონდა თავისი ტენდენციურობა და გაბედულათ ებრძოდა ზე-ესთეტიზმს და ხელოვნებას კლასიურ ბრძოლის იარაღათ თვლიდა. და ამაზე შფოთავდენ რომანტიკოსები და პარნასელები. კლასიური ბრძოლა!! ეს ხომ ტენდენციურობაა? ნუ თუ პოეტი, რჩეული ცისა უნდა ემსახურებოდეს ულირსი ბრბოების ინტერესებს? — ასე ნერვიულობდენ „წმინდა" ხელოვნების აპოლოგეტები და „ვერ ხედავდენ" იმ ფაქტს, რომ სინამდვილეში ემსახურებოდენ ერთი მუჭა მდიდრების ინტერესს.

ჩვენ ვდგევართ კლასიურად ტენდენციური ხელოვნების პოზიციაზე, ნუცუბიძე წინააღმდეგ, ხელოვნების იდეალისტურ გაგებას იცავს. ნუცუბიძის აზრით „სილამაზე" „არსებულის იქითაა", ხოლო კლასიური ბრძოლა „მიწაზე" სწარმოებს. ნუცუბიძე წერს: „ყალბი პათოსი, ხელოვნური შეკოწიწება, ტენდენციურობა, დიდაქტიზმი, მორალიზმი — ყოველივე ეს ის სფეროა, სადაც შემოქმედების სიყალბე ნათლად ჩანს და ესთეტიურ უშუალობას და მიმზიდველობას არღვევს და ღალატობს".

„ყალბი პათოსისა" და „ხელოვნური შეკოწიწების" მომხრე არც ჩვენა ვართ, მაგრამ ამ ფორმულაში ეს კი არ არის მთავარი, არამედ მთავარია ის

[1] Ленин — конспект „Науки логики" Гегеля, зз. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოება, რომ შ. ნუცუბიძე ჩუმად გვაპარებს ხელოვნების მისტიურ თეორიას *.

როგორია მატერიალისტური თეორიის შეხედულება ხელოვნების ტენდენციურობის შესახებ?

„როდესაც ვამტკიცებთ, რომ ლიტერატურა ისწრაფვის გამოხატოს კლასიური ფსიქოლოგიის და იდეოლოგიის სრული წინასწორობა, ჩვენ ხაზს ვუსვამთ ყოველგვარი და ყველა ეპოქის ლიტერატურის ტენდენციურობას. ეს ტენდენციურობა იქმნება შემდეგი გზებით: თუ კლასიური წინააღმდეგობანი განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში ისე მწვავდებიან, რომ ხდება ისტორიული აუცილებლობით საზოგადოებრივი გადატრიალება, მაშინ ლიტერატურა ისე როგორც დანარჩენი სხვა მოვლენები საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამჟღავნებენ ყველაზე უფრო მწვავე ფორმებში თავის კლასობრივ განსაზღვრულობას. ლიტერატურაში იდეოლოგიური ელემენტები სძლევენ ფსიქოლოგიურს. მთელი მისწრაფება მწერლისა თავს იყრის იმ წერტილში, რომ რაც შეიძლება ნათლად გაუსვას ხაზი თავის იდეოლოგიურ პოზიციას, რომელიც შეეფარდება იდეალებს, პროგრამას და აქტუალურ პრობლემებს კლასისა. ტენდენცია — შეგნებულია. როდესაც გამარჯვებული კლასი უკვე მძლავრდება საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში... ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ელემენტები ლიტერატურაში თანაბარ უფლებით და ღირსებით სარგებლობენ. არის ტენდენცია შეგნებული“ (ი. მაცა).

მაშასადამე ხელოვნება არასდროს არაა თავისუფალი ცხოვრებისაგან და მისი ფერი ყოველ მომენტში იმეორებს ქალაქის ციხის დროშის ფერს.

ნუცუბიძეს ხელოვნების განსაზღვრულ მომენტებათ მიაჩნია: უ შ უ ა ლ ო ბ ა და ტ ე ნ დ ე ნ ც ი ი ს გ ა რ ე შ ე ყ ო ფ ნ ა, ა ნ უ ზ ე კ ლ ა ს ი უ რ ო ბ ა. ნუცუბიძის აზრით შემოქმედებითი პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ მწერალმა „პირველათ იხილა ის, რაც ჯერ არავის ენახა და ფაქტი უხილავისა იმაში განი-

---

* ნუცუბიძის თვალსაზრისი აშკარა არხი-რეაქციონური და იდეალისტურია. მისი აზრით ხელოვნებას და კერძოდ მუსიკას იდეებთან არაფერი აქვს საერთო. ამ შეხედულებას ებრძოდა თვით ილია ჭავჭავაძეც კი, იგი სწერდა: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვა და სხვა მასალებს ხმარობენ, როგორც მუსიკა ხმას, მხატვრობა ხაზს, პოეზია სიტყვას“ (იხ. ილია ჭავჭავაძე — „ნაწერების სრული კრებული“ ტომი IV, გვ. 31 - 32) ასე ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ხელოვნების ცნება. იგი პირველ რიგში ხაზს უსვამდა მის იდეურობას. ნუცუბიძე კი უფრო რეტროგრადულ-რეაქციონურ თვალსაზრისსაა შერჩენილი და მასთან შედარებით ილია საღ მოაზროვნეთ გამოიცქირება. ჭეშმარიტათ ასე „იზრდება“ „ქართული“ იდეალისტური აზროვნება!!! ილია ჭავჭავაძიდან შალვა ნუცუბიძემდე ასეთი „პროგრესი“ განა იოლი ამბავია?!!? იდეალიზმი მომაკვდავი ფილოსოფიაა, ამიტომ მისთვის ბუნებრივია ასეთი უკანდახევები შედარებით პროგრესიულ აზრებიდან რეტროგრადულ რეგვნობის პოზიციებზე გადასვლა. წარსულ საუკუნის მეორე ნახევრიდან რადიკალურად განწყობილ მწერალთა რიგებში უკვე აღარ ისმოდა ლაპარაკი მარადიულ სილამაზის შესახებ. თანამედროვე სოციალისტურ რეკონსტრუქციულ პერიოდში ხომ „უხილავი მშვენიერების ხილვაზე“ ლაპარაკი, როგორც ამას ნუცუბიძე სჩადის აშკარა „თეორიული“ უბედურებაა, სამაგალითო ჩამორჩენილობა, არხი-ბურჟუაზიულობა და იდეალისტური ესტეტიკის აღდგენის ცდა.

ბ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადა, რომ მან პირველმა მისცა სახილველს ის სახე, რომელშიაც მისი დანახვა პირველათ გახდა სხვებისთვის საწვდომი“ [1].

ეს იდეალიზმია. ნუცუბიძეს „მშვენიერება“ სინამდვილის „მიღმა“ (?) არსებულ ფენომენათ მიაჩნია. „მშვენიერების მიწვდომის, მისი ასახვის, მისი ხილვის სახეთ ჩამოქნისა და სხვა საიდუმლოება მაინც გაირკვეს“ [2]—აცხადებს „ხელოვნების თეორიის“ ავტორი. შემდეგ იგი სწერს: „ვინ არ იცის, რომ ერთია მკითხველი და მეორეა მწერალი... უხილავის ხილვა და ხილულის ხილვა, რომ ერთნაირი ამბავი არაა და იმას ვინც გზას ანათებს და იმას ვინც ამ განათებულ გზას მიჰყვება ხომ ერთნაირი პატივი არ შეჰშვენის. ბნელს და უხილავს, რომ განათება ესაჭიროება ეს ყველამ იცის ვისაც წინსვლის და მოძრაობის ჟინი და უნარი გააჩნია, მაგრამ აქედან შორსაა დასკვნამდე, რომ ეს ყველას შეუძლია“ [3].

რასაკვირველია ნუცუბიძე მართალია იმაში, რომ მწერალი მკითხველი არ არის და პირიქით. მაგრამ საქმის არსებითი შინაარსი აქ კი არის, არამედ იქ სადაც ნუცუბიძე აშკარათ ანვითარებს შემოქმედების იდეალისტურ თეორიას. „საქმე ის კი არაა — სწერს ნუცუბიძე — ისა სთქვა რასაც ყველა ხედავს: ამას ასრულებს ცნობიერება თავის ბიო-სოციალურ გამოვლენაში. არამედ ის, რომ შეამჩნიოთ ის რასაც მხოლოთ ზოგიერთები სწვდებიან... ამრიგად მშვენიერება ანუ სილამაზე იმაზე მეტია რაც არის და შემოქმედება ხელოვნება ანუ მაშინაა ნამდვილი თუ მას არსებულის იქით მივყევართ“.

ამრიგად ნუცუბიძის აზრით ხელოვნება არაა მარტო ზეკლასობრივი, არამედ ირრეალურიც. რა არის ეს თუ არა სილამაზის იდეალისტური ფეტიშიზაცია [4].

* * *

მხატვრულ ფაქტში უთუოდ ადგილი აქვს ობიექტისა და სუბიექტის თავისებურ ურთიერთობას, ამის უარყოფა შეუძლებელია. სინამდვილე, რომელშიც დიალექტიური განვითარებით მოძრაობენ სოციალურ ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დარგები, თავისებურ კალაპოტში აყენებს ხელოვნებას. ყოფა განსაზღვრავს შეგნებას, ობიექტ-სუბიექტის მთლიანობის ეს მატერიალისტური ფორმულა რასაკვირველია სავალდებულოა ხელოვნებისათვისაც, რამდენადაც ხელოვნება საზოგადოებრივი იდეოლოგიის ერთი დარგთაგანია. ხელოვნება როგორც რთული სოციალური მოვლენა და კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი იარაღი ყოველ ეპოქაში ლოგიური თანამიმდევრობით ექვემდებარება და განისაზღვრება საერთო სოციალურ-იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ცხოვრების კანონზომიერებით; ამიტომ

---

[1] „ხელ. თეორია“ გვ. 29.

[2] იქვე გვ. 26.

[3] იქვე გვ. 29 — 30.

[4] არც ამ საკითხში იჩენს ნუცუბიძე ორიგინალობას. ჯერ კიდევ აქტიურ ეპოქის ფილოლოსოფოსი პლატონი ფიქრობდა, რომ ყველაფერი რაც „არასებულიდან“ გადადის არსებულში ხდება შემოქმედების წყალობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების ცნების განსაზღვრა იცვლებოდა ყოველთვის ხელოვნების სოციალურ მიზნების ცვლასთან დაკავშირებით.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ნუცუბიძე ცდილობს განსაზღვროს ხელოვნების რაობა საზოგადოებრივი ცხოვრების „მაღლა" და „ზემოთ". იგი სავსებით მოითხოვს ობიექტისა და სუბიექტის მიმართების მოხსნას.

პროფ. პერევერზევმა მარქსიზმის ვულგარიზაცია ყველაზე უფრო მძაფრად ამ სფეროში მოახდინა. მან თავისი მატერიალისტობის დამტკიცება იმითი სცადა, რომ ყოფასა და შეგნებას შორის ყოველგვარი განსხვავება წაშალა და ამრიგად შემოქმედება მატერიად გამოაცხადა. სხვა დასკვნამდე ვერ მივიდოდა ობიექტისა და სუბიექტის იგივეობის ფორმულა: „იდეალური არის ადამიანის თავში გადამუშავებული მატერიალური" — სწერდა მარქსი. პერევერზევის აზრით კი იდეალური არის მხოლოდ უბრალო ნაწილი მატერიალურისა. აქაა პერევერზევის მეხანისტური თეორიის ღერძი: ამ შეცდომასთან დაკავშირებით ლოგიკურად დაკავშირებულია, როგორც მწერლის ბიოგრაფიის როლის უარყოფა, ისე ხელოვნების ეკონომიკიდან გამოყვანის ცდა და სხვა. „ყოფა იმიტომ ახდენს მხატვრულ ნაწარმოების ორგანიზაციას — სწერდა პერევერზევი -- რომ ის წარმოადგენს არა მარტო გამომხატველ ობიექტს, არამედ გამოსახატავ სუბიექტსაც". ამ რიგად პერევერზევი აშკარად აცხადებს, რომ ობიექტი იგივე სუბიექტია. ეს რასაკვირველია ძირეული შეცდომაა.

შ. ნუცუბიძის აზროვნება კი აშკარა იდეალისტურია[1].

ხელოვნება ერთის მხრივ ზედნაშენია საზოგადოების ფსიქოლოგიისა და სოციალურ პოლიტიკური წყობილებისა, ხოლო მეორეს მხრივ ის თვით ახდენს ზეგავლენას „საფუძველზე". ხელოვნება საზოგადოებრივ ფსიქოლოგიის და იდეოლოგიის ერთი დარგია და იგი განისაზღვრება სოციალ-პოლიტიკურ წყობილებით, რომელთაც თავის მხრივ განსაზღვრავს ეკონომიკა და საწარმოო ძალთა ურთიერთობა. ხელოვნება კლასიური ბრძოლის მკვეთრი იარაღია. „საზოგადოებრივი წარმოების დროს ადამიანები ამყარებენ განსაზღვრულ მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას — წარმოებითი ურთიერთობას, რომელიც შეეფერება

[1] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღემდე ნუცუბიძის „ხელოვნების თეორიას" არავინ მიაქცია შესაფერი ყურადღება და ამ წიგნმა არავითარი გამოხმაურება არ ჰპოვა. ა. დუდუჩავა დაკმაყოფილდა იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ ნუცუბიძის ნაშრომი „საინტერესო წიგნია" (იხ. А. Дудучава — „Грузинская живопись"). ამავე წიგნში ამბ. დუდუჩავა ანვითარებს ზოგიერთ ნაწილობრივ შემცდარ მოსაზრებებს. ხსენებულ წიგნის გვ. 130 დუდუჩავა წერს: „სულიერი სიმახინჯე კინტოსი გამოვლინდა ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მისი მთავარი ტენდენცია განისაზღვრა ფსიქოლოგიური ბრძოლით წინააღმდეგ კულტურისა და ყოველგვარ ცივილიზაციისა...: კინტო არ აკეთებს ისტორიას, ის მხოლოდ ძველი ტფილისის ბოჰემის ისტორიული „დოკუმენტია". და მხატვარი გუდიაშვილი მშვენივრად გრძნობს ყველაფერს ამას: ის ცხოვრობს ერთ და იმავე დროს ორნაირად განხორციელებული: ერთის მხრივ როგორც მხატვარი გუდიაშვილი, თუმცა ითვისებს წვრილბურჟუაზიულ და ფეოდალურ „რაინდობის" წრეს, „რომანტიულ რეტროსპექტიულ სიყვარულის" პრიზმით, მაგრამ როგორც მოქალაქე ის ხედავს, რომ კინტო არის ბნელი ლაქა ისტორიისა. მიდრეკილება მხატვრისა წარსულის იდეალიზაციისაკენ, ეს გადასვლა წარსულში აიხსნება განსაკუთრებული სურვილით გუდიაშვილისა მონახოს ისეთი თემატიკა, რომელსაც შეუძლია გაამართლოს

მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს, ეს წარმოებითი ურთიერთობათა ჯამი შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც შენდება უფლებრივი, პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამებიან საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული ფორმები. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი არის პირობა სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრებისა. ადამიანის შეგნება კი არ განსაზღვრავს მისი არსის ფორმებს, არამედ პირიქით, საზოგადოებრივი არსი განსაზღვრავს მისი შეგნების ფორმებს". ხელოვნება ამ შეგნების ერთი სახეთაგანი, ხელოვნების შინაარსი — ობიექტიური ცხოვრება და ამ ცხოვრებაზე მისი კლასის შეხედულებაა, ეს უკანასკნელი კი საბოლოოდ განისაზღვრება თვით კლასის მდგომარეობით.

ხელოვნებაში უშუალობა ლიკვიდაცია-ქმნილია, როგორც დაბრკოლება იმისა, რომ მხატვრული ფაქტი გადაიქცეს გაშლილ კლასიურ ბრძოლის მონაწილეთ. მოაზროვნე გონება და სუბიექტის აქტიური როლი თავისი მონაწილეობით შემოქმედებითი პროცესში მთლიანად სპობენ უშუალო აღტყინებით შემოფარგვლის შესაძლებლობას. ხელოვნება არ არის პასიური მჭვრეტელობა და მხლოდ ინსტიქტის სფერო. წინა თაობის მოაზროვნეებთან შედარებით ძლიერ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ ჰეგელმა, როდესაც კანტის ესთეტიკის უარყოფით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნებას და მეცნიერებას ერთი და იგივე მიზანი აქვთ — ჭეშმარიტება. ეს დიდი რევოლუციონური ნაბიჯი იყო ესთეტიკის სფეროში. რატომ? იმიტომ, რომ იგი ხელოვნებას აზროვნებისაკენ ეწეოდა და ამით ფაქტიურად ებრძოდა სილამაზის ფეტიშიზაციას. ამავე გზს მისდევდა ჰეგელის მოწაფე ბელინსკი: „ბაირონი, შილლერი და გიოტე — სწერდა ბელინსკი — ეს ფილოსოფოსები და კრიტიკოსები არიან პოეტურ ფორმაში" [1]. „ჭეშმარიტება არის შინაარსი პოეზიისა, ისე როგორც ფილოსოფიისა. შინაარსის მხრივ პოეტური ნაწარმოები იგივეა რაც ფილოსოფიური ტრაქტატი. ამ მიმართებით არ არსებობს არავითარი განსხვავება პოეზიას და აზროვნებას შორის. მაგრამ ისინი ყოველმხრივ ერთგვარი არ არიან: განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან თავის ფორმით, რომელიც წარმოადგენს თითოეულის არსებით თვისებას" [2].

ასეთია ჰეგელის და ბელინსკის დიალექტიური — იდეალისტური ხელოვნების თეორიის ერთი მომენტი. დღეს ჩვენთვის ეს თვალსაზრისი შედარებით უფრო პროგრესიულია, ვიდრე ნუცუბიძის ხელოვნების ეკლექტიური თეორია. სისულელეა იმის თქმა, რომ მეცნიერება და ფილოსოფია თითქოს პასიური შე-

---

და მიუყენოს ხერხები ქართული კედლის მხატვრების, (стенописцев რომელთა ზეგავლენის ქვეშ აღიზარდა მხატვარი გუდიაშვილი" (ხაზ) დუდუჩავასია). აქ მთელი სისრულით გადაშლილია ჩვენს წინაშე დუდუჩავას ფორმალისტური და „ესთეტიური" გადახრა. დუდუჩავას აზრით თურმე მხატვრის რეაქციონური იდეოლოგიის („წვრილბურჟუაზიულ-ფეოდალურ რაინდობის ცქერა რომანტიულ სიყვარულის პრიზმით") გამომწვევი მიზეზი ყოფილა არა კლასობრივი ბრძოლა და იდეურ-პოლიტიკური ატმოსფერა, არამედ... მხატვრული ხერხები წინათაობის მხატვრებისა უკარნახებს გუდიაშვილს ამ იდეოლოგიას. ამ რიგად იდეოლოგია შედეგი ყოფილა ასე ვსთქვათ მხატვრული ხერხებისა. ხელოვანის შემოქმედების ასეთი ფორმალისტური ინტერპრეტაცია. სავსებით მიუღებელია.

[1] ბელინსკი — «сочинения» ტ. VI, გვ. 208.

[2] ბელინსკი — «сочинения» ტ. VII გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნება იყოს სინამდვილისა, მაგრამ ასევე შემცდარია მათი სრული გაიგივება ხელოვნებასთან და ამავე დროს სამივეს დაყვანა პასიურ მჭვრეტელობამდე. შინაარსით და სოციალური ფუნქციით, როგორც ფილოსოფია, ისე ხელოვნება კლასიური ბრძოლის იარაღს წარმოადგენს, მაგრამ ხელოვნებისათვის შემეცნება მხოლოდ ერთი მომენტია, რომელიც სრულებით არაა სავალდებულო, რომ ხელოვნების განუყოელ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდეს. ასე განსაზღვრავდა ხელოვნების რაობას ფრიჩე.

ვახ. კოტეტიშვილი ფიქრობს, რომ ხელოვნება სარკეა ცხოვრებისა და მაშასადამე საზ. ცხოვრების ისტორიის აღდგენა შეიძლება მხატვრულ ლიტერატურის მიხედვით. ასევე აზროვნებს გარკვეული ფრთა იდეალისტებისა, ეს შეხედულება ძირშივე შემცდარია.

გამომდინარე მშვენიერების თვითმიზნობრივობის თვალსაზრისიდან ხელოვნება არაფერს არ იღებს ცხოვრებისაგან. იგი თვით ჰქმნის „სინამდვილის გარეშე" აღებულ მასალებიდან რაღაც მეტაფიზიკურ ფენომენს. ასეთია ნუცუბიძის თვალსაზრისი.

ფორმულა ვორონსკისა „ხელოვნება — ცხოვრების შემეცნებაა", და პოლონსკისა „ხელოვნება — იარაღია კლასიური თვითშემეცნებისა", როგორც ვ. ფრიჩე შენიშნავს მიუღებელია, რადგანაც შემეცნება არის ხელოვნებაში არა მთავარი, არამედ მეორე და ხშირად მესამე ხარისხოვანი მომენტი, მით უმეტეს პროლეტარული ხელოვნება შეიძლება სრულებით არ იყოს შემეცნება.

ნუცუბიძეც აღიარებს, რომ ხელოვნება არაა შემეცნება, მაგრამ აქ იგი მეორე მხარეზე ჰხრის ჯოხს. იგი ნიადაგს ამზადებს ხელოვნების თვითმიზნობრივობისათვის, ამიტომ ხელოვნების, როგორც შემეცნების უარყოფა მას სჭირდება, როგორც საბუთი ხელოვნების იდეალისტური თეორიისათვის. ის გარემოება, რომ ფრიჩე და სხვა წარმომადგენლები მარქსიზმისა არ იღებენ ხელოვნების პასიური მჭვრეტელობითი გაგებას („ხელოვნება — შემეცნებაა") ნუცუბიძის თეორიის სასარგებლოთ არაფერს ლაპარაკობს, რადგან ეს უკანასკნელი რეაქციონური თვალსაზრისით ებრძვის აღნიშნულ ფორმულას; ხოლო ფრიჩე მარქსიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს პასიური მჭვრეტელობის თეორიას. საქმე მარტო პასიურ მჭვრეტელობაში არაა, საგულისხმოა ისიც რომ „კლასები იბრძვიან არსებობისათვის და ხელისუფლებისათვის და ხელოვნება არის მონაწილე ამ ბრძოლისა და არა მისი უბრალო შემეცნების საშუალება".

რატომ არ მიაჩნია ნუცუბიძეს ხელოვნება შემეცნების საშუალებათ? იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნების საგანი არსებული უნდა ყოფილიყო, მისი თვალსაზრისით კი ხელოვნების მიზანი არსებულის იქით მყოფი სილამაზის მიწვდომაა. ამიტომ ნუცუბიძის აზრით ხელოვნება არ არის შემეცნება; ამ პუნქტში ფორმალურად თითქოს ნუცუბიძის იდეალიზმი და მარქსიზმი „ხვდებიან" ერთი-მეორეს, მაგრამ სინამდვილეში საკითხი სულ სხვაგვარათ დგას. „ხელოვნების შემეცნებითი გაგებას" ნუცუბიძე ებრძვის მემარჯვენე, რეაქციონური თვალსაზრისით, ხოლო ჩვენ ამ ფორმულას ვაკრიტიკებთ მარცხენა ფრთიდან. ტოლსტოი ებრძოდა თვითმპყრობელობას, მაგრამ აქედან არავის ის დასკვნა არ გამოუტანია, რომ იგი პროლეტარიატის მებრძოლ პოზიციაზე იდგა. ანალოგიურ მაგალითთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიაც: ნუცუბიძეს თა-

ვისი თვალსაზრისის თანამიმდევრად ჩატარებისთვის ეს-ჭიროება პირველ რიგში ხელოვნების რაობის ცნებას ჩამოაშოროს ყოველგვარი ელემენტი, რომელიც მას აახლოვებს სინამდვილესთან[1].

ხელოვნება სოციალური — იდეოლოგიური მოვლენაა. ამიტომ მისი განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ამ სფეროში. ნუცუბიძე კი ფიქრობს, რომ ხელოვნებას არაფერა არა აქვს საერთო მიმდინარე ცხოვრების მსვლელობასთან. „ფილოსოფია, როგორც ასეთი — წერს ნუცუბიძე — არ შეიცავს და ვერ შეიცავს იმას რითაც კოლექტივის ე. წ. სულიერი ანუ გონებრივი მიდრეკილება ხასიათდება. არც ხელოვნებაა ფილოსოფიასთან შედარებით მაინც და მაინც ხელსაყრელ პირობებში იმ მხრივ, თითქოს მას შეეძლოს იმ ნაკლის შევსება, რომელიც სოციალურ ზრახვათა უკუფენაში ფილოსოფიას წინ ეღობება. საქმე იმაში კი არაა რაზეა ლაპარაკი, რა შეადგენს ამა თუ იმ შემთხვევაში ესთეტიური სახვის ფენომენს, არამედ იმაში თუ როგორია მხატვრულ ინტუიციის გვარობა. ხელოვნების ეს ასახება სოციალი ვითარების არაა და მოვლენათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც სოციალ-ეკონომიურ ანატომიით არ დაიპირების“[2].

აქ მოცემულია მხოლოდ ნუცუბიძის თეორიის ასე ვსთქვათ წარნამძღვარი (предпосилок); მაგრამ ეს წინასწარი პირობა მისი თეორიისა მთლიანად ამხელს მისი ავტორის მსოფლმხედველობას. ნუცუბიძის თვალსაზრისით თურმე ხელოვნებას, მგზავსად ფილოსოფიისა, არ შეუძლია გადმოგვცეს კოლექტივის გონებრივი და „სულიერი“ მიდრეკილებანი, ე. ი. ხელოვნებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მასების სოციალურ ფსიქოლოგიასთან; ამგვარ აბსურდის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია.

ხელოვნების თეორია ისტორიული მატერიალიზმის ფარგლებში უნდა დამუშავდეს. ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის გარკვევის გარეშე ხელოვნების ცნების განმარტებაზე ლაპარაკი უნაყოფო სპეკულიაციაა, რომელიც არავის არ ესაჭიროება გარდა იმ ხალხისა, რომელნიც მოწამებრივი თავგამოდებით იცავენ კლასიკური იდეალიზმის ტრადიციებს. ამავე დროს ყოველ ნაბიჯზე ისინი გვერდს უვლიან იმავე კლასიკური იდეალიზმის უდიდეს მონაპოვარს — წინააღმდეგობათა ლოგიკას — რომელიც გენიალურად გადატრიალებული და რადიკალურათ გადამუშავებული იქნა მარქს-ენგელსისა და ლენინის მიერ.

რა არის ხელოვნება?

„მატერიალიზმი საზოგადოდ აღიარებს ობიექტიურად რეალურ არსებობას (მატერიას), რომელიც დამოკიდებულია კაცობრიობის შეგნებისა, შეგრძნებისა, გამოცდილებისაგან და სხ. ისტორიული მატერიალიზმი აღიარებს, რომ საზოგადოებრივი ყოფა დამოუკიდებელია კაცობრიობის საზოგადოებრივ შეგნებისაგან“ (ლენინი). ხელოვნება საზოგადოებრივი ყოფის და შეგნების ურთიერთობაში ტრიალებს. ამის შესახებ ფრიჩე წერდა:

---

[1] „ობიექტიური მხატვრული სიმართლე არის ადეკვატური შემეცნება სამყაროსი, რომელიც შეუძლია მხოლოდ ხელოვნებას“ (ა. ბერგსონი). ამრიგად ბერგსონის აზრით ხელოვნება ადეკვატური შემეცნებაა ცხოვრებისა. ბუნებრივია ამ თვალსაზრისს პროლეტარიატი ვერ მიიღებს, რადგან ეს თეორია უხმოდ აზვიადებს ქვეცნობიერის როლს.

[2] იხ. „მნათობი“ № 3 (23) 1926 წელი გვ. 214.

„საზოგადოებრივი სინამდვილის ყველა მხარე წარმოადგენს მარქსიზმის თვალსაზრისით ერთ მთლიანობას, ერთ ასე ვსთქვათ ორგანიზმს — ეკონომიკა და უფლება, პოლიტიკა და რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება, და ბოლოს ყველა სახე ხელოვნებისა — მთელი მატერიალური და ინტელექტუალურ ემოციონალური საქმიანობა ადამიანისა, შეკავშირებული საზოგადოებრივ კოლექტივად — ყველა ეს მხოლოთ სხვადასხვა მხარეებია ერთიანი სოციალური ორგანიზმისა... „იდეოლოგიური ზედნაშენი" არა მარტო გამოხატავს „შეგნებას" განსაზღვრული კლასისას (კლასის ჯგუფების), არა მარტო წარმოადგენს საშუალებას კლასის მდგომარეობის გასამაგრებლათ, არამედ იგი არის ერთი იარაღთაგანი განსაზღვრული კლასისათვის მის ბრძოლაში სხვა კლასებთან. აშ სახით კლასიურ საზოგადოებაში პირველი დანიშნულება ყოველგვარ ზედნაშენისა მდგომარეობს იმაში, ის წარმოადგენს კლასისათვის საშუალებას განამტკიცოს თავისი ყოფა და თავისი ბატონობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთივეა ბუნებრივად სოციალური აზრი და სოციალური დანიშნულება ხელოვნებისაც... ამიტომ შეიძლება ლიტერატურა განისაზღვროს, როგორც განსაკუთრებული სპეციფიური გამოთქმა ანუ გაფორმება კლასის ფსიქიკისა.

საზოგადოებრივი ფსიქოლოგია არის რეზერვუარი იდეოლოგიისთვის. იდეოლოგია არის მკვრივი ფსიქოლოგია... იდეოლოგიაა არაა გამოყოფილი ფსიხოლოგიისაგან მოსაზღვრე სვეტით, რომელზედაც სწერია: შესვლა სასტიკად აკრძალულია.

ლიტერატურა არის კლასიურ საზოგადოებაში სპეციფიური გამოთქმა ანუ გაფორმება კლასიური ფსიქოლოგიისა" [1].

სავსებით სწორი, თანამიმდევრათ მონისტური და მატერიალისტური განმარტებაა. თუ ჩვენ გადავხედავთ თანამედროვე (და წარსულსაც) ლიტერატურის პრაქტიკას უფრო მტკიცედ დავრწმუნდებით ფრიჩეს მოსაზრებათა უაღრეს სისწორეში: მაგ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი ს შემოქმედება — ეს არის არა მარტო შემეცნება მიმდინარე ცხოვრებისა, არამედ მკვეთრი გამოთქმა პროლეტარიატის კლასობრივი ფსიქო-იდეოლოგიისა. ამით აიხსნება ბრძოლის პათოსის სიძლიერე მაშაშვილის შემოქმედებაში. პროლეტარიატის, როგორც მებრძოლი კლასის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებები არის ბრძოლა ძველის წინააღმდეგ, ახალი ეპოქის შენება. მაშასადამე იგი შეუძლებელია პასიური ხედვით ითვისებდეს გარემოს. ასევე შეუძლებელია, რომ მისი კლასიური პოეზია ბრძოლის პათოსით არ იყოს გაჟღენთილი. ამ მხრივ მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლება.

„მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა", რ ო მ ე ლ ი ც რ ა ღ ა ც მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ კ ე რ პ ა დ წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ი ა ნ უ ც უ ბ ი ძ ე ს ს ხ ვ ა ა რ ა ფ ე რ ი ა გ ა რ დ ა კ ლ ა ს ი ს შ ე ხ ე დ ულ ებ ი ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა ზ ე, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე ი გ ი ც ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს ფ უ ნ ქ ც ი ა ა.

„მესა" და „არა-მეს" მიმართება, როგორც დაპირისპირების ერთერთი ფორმა არ არსებობს ესთეტიკისათვის, რადგან მას საქმე აქვს „არგადატანით" ფენომენთან. ეს როგორც ვიცით ნიშნავს, რომ ესთეტიური ღირებულება იქმნება უშუალოთ, თვით მისივე ფენომენში და არა შუალობით" [2].

[1] ვ. ფრიჩე — «Что такое искусство».
[2] ნუცუბიძე — ხელ. თეორია.

ასეთია ნუცუბიძის ხელოვნების თეორია. ის ვერ დასცილდა იდეალიზმის უძველეს „ჭეშმარიტებას“, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების სხვა ქვეყანაში არსებობის შესახებ. მშვენიერება ნუცუბიძეს სოციალურ ცხოვრების ყითარების გარეთ წარმოუდგენია. „იცვლება შინაარსი — წერს ის — რადგან იცვლება სოციალურობა... სოციალური შინაარსი იცვლება, ხოლო ამაღლებული როგორც მშვენიერების ერთი სახვათაგანი ახალ და ახალ ამოცანათ და საშუალებათ იშლება“. (გვ. 258) ასეთივე მოსაზრებას აყენებდა რეაქციონერი მწერალი გამსახურდიაც. „იცვლება სოციალური არე, მაგრამ არასოდეს ჩვენი ესთეტიური მიმღეობა“ [1].

ნუცუბიძის ხელოვნების თეორია იდეალისტური ესთეტიკის ახალი ფორმით აღდგენის ცდაა, მაგრამ ეს ცდა სასტიკი მარცხით მთავრდება. ნუცუბიძემ ახალი სიტყვა ვერ სთქვა, მან მხოლოდ ერთხელ კიდევ გამოამზეურა იდეალიზმის უძველესი საბუთები და სცადა მათი გამოყენება „მონისტური ესთეტიკის“ დასამუშავებლათ. ძველი ცხოვრების სიკვდილთან ერთად ჩაჰბარდა არქივს მისი ვენერა მილოსელები, „თეორიაც“, რომელიც ამ კერპების წინაშე მუხლმოყრილი ლოცულობდა.

ნუცუბიძის ხელოვნების თეორია თანამედროვეობისათვის აშკარა რეაქციაა, რომელსაც გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ნუცუბიძის ალეთოლოგია იგივე იდეალიზმია, ეს მხოლოთ ნათლად არა სჩანს „ტერმინოლოგიურ ოინბაზობის და გელერტული სქოლასტიკის ნაგავში“, რაც ფრიად დამახასიათებელია თვით ნუცუბიძისათვისაც, ნუცუბიძის ალეთოლოგიას „ახალი სისტემის“ პრეტენზია აქვს. ჭეშმარიტების გასარკვევად ჩვენ დავკმაყოფილდებით ლენინის სიტყვების ამოწერით:

„მარქსის და ენგელსის გენიოსობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ დიდი პერიოდის, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისინი მატერიალიზმს ანვითარებდენ, წინ უბიძგებდენ ერთ ძირითად მიმართულებას ფილოსოფიაში, არ ღეჭდენ უკვე გადაწყვეტილ გნოსეოლოგიურ კითხვებს, არამედ თანმიმდევრათ ატარებდენ მას. ულმობელათ სანაგვეყუთში ისროდენ მრავალრიცხოვან „ახალი“ მიმართულების გამოგონებისა და სხ. მარქსი და ენგელსი მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში სდევნიდენ ასეთ ცდების სიტყვიერ ხასიათს, ახალი ფილოსოფიური „იზმების“ სქოლასტიკურ თამაშობას, კითხვის დედარსის მიფუჩუჩებას მაღალფარდოვანი ფრაზებით, ორი ძირითადი გნოსეოლოგიური მიმართულების ბრძოლის გაუგებრობას [2].

ეს სიტყვები საესებით მკვეთრად ახასიათებს ნუცუბიძე და კომპ. „აზროვნებას“, რომელნიც ფრთხილად იღებენ იდეალიზმის არქივიდან უძველეს თეორიებს, გამოაქვთ მზის სინათლეზე და საჯაროთ გაჰყვირიან, რომ პირველად მით ახსნეს კაცობრიობის ისტორიის მანძილზე აუხსნელი არსებობა სამყაროსი.

---

[1] გიოტეს ვერტერის ვნებანი, წინასიტყვაობა.

[2] ლენინი — თხზულებანი — ტ. XIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილეში კი... ფაქტები არ ეთანხმებიან მათ თეორიას. „მით უარესი“... ვისთვის? ფაქტებისთვის? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. „ილიუზიები ჰქრებიან, ხოლო ფაქტები რჩებიან“.

ნუცუბიძის ფილოსოფია კლასიური მტრის ფილოსოფიაა. ალეთოლოგიური რეალიზმი წარსდგა ფილოსოფიის და ესტეტიკის ისტორიის სამსჯავროს წინაშე დატვირთული ყველა იმ იდეალისტურ და არხი-რეაქციონური „ცოდვით“, რომელიც იდეალიზმს „კისრად აწვა“ საუკუნეების მახძილზე. ნუცუბიძის იდეალიზმში ახალი არაფერი არ არის გარდა ფრაზების ჯამბაზური თამაშისა. ნუცუბიძე წარმომადგენელია ჰუსერლიანიზმისა. ბოლცანოსა და ჰუსერლის შემდეგ მას აღარაფერი დარჩენია გარდა „ახალი“ ეკლექტიკურ სისტემის შექმნისა. ალეთოლოგია მტრულადაა განწყობილი მატერიალიზმისადმი. ეს ჩვენ უკვე ვნახეთ. ნუცუბიძის ფილოსოფიის თვალსაზრისით ერთად-ერთი სუბსტანცია იდეაა, მარადული ჰეშმარიტება; ეს წმინდა წყლის იდეალიზმია. ნუცუბიძის თვალსაზრისი ამავე დროს საესებით ანტი-დიალექტიურია. იდეალიზმის ამ სახეობის პრინციპიალური საფუძვლები უკვე საკმაოდ ცნობილი იყო მანამდე ვიდრე ნუცუბიძე გააბედნიერებდა ქვეყანას თვისი „აღმოჩენებით“. ხუმრობა ხომ არ არის! ნუცუბიძემ იდეალიზმი „აღმოაჩინა“, ასეთი დამსახურებისათვის ის ღირსია სიცოცხლეშივე ძეგლის დადგმისა. თუმცა ის იდეალიზმი, რომელსაც ნუცუბიძე „ახალი“ სისტემად სთვლის და ალეთოლოგიას უწოდებს — ავტორზე ადრე დაიბადა, მაგრამ ამაში მისი ავტორი „სრულებით არაა დამნაშავე“. „დამნაშავე“ არის კლასიური ბრძოლა, რომელმაც აიძულა ძველი ინტელიგენციის წრეებიდან მოაზროვნე ხალხი ფეხზე „დაეყენებიათ“ მოხუცი იდეალიზმი. ნუცუბიძის ალეთოლოგიის „უკანასკნელი მიღწევა“ იმაში მდგომარეობს, რომ „ავტორი ალაგ-ალაგ „მატერიალისტური“ ფრაზებით „შეიარაღებულა“: ცდილობს შეარიგოს ორი მოწინააღმდეგე მიმართულება. „მარქსის ყ ვ ე ლ ა ფილოსოფიური შენიშვნა ამ ორი ძირითადი წინააღმდეგობის გარშემო ტრიალებს, და პროფესორული ფილოსოფიის თვალსაზრისით, მისი შეცდომა ამ „სივიწროვესა“ და „ცალმხრივობაში“ მდგომარეობს. ნამდვილად კი მარქსის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მას არ სურდა ანგარიში გაეწია მატერიალიზმის და იდეალიზმის შერიგების პროექტებისთვის და წ ი ნ მიდიოდა ნათლად გარკვეული ფილოსოფიური გზით.

ისევე როგორც მარქსი, მისი თანამებრძოლი ენგელსიც ყველა თავის თხზულებაში ნათლათ და მოკლეთ ერთი მეორეს უპირისპირდება იდეალისტურ და მატერიალისტურ ხაზს; არც 1878, არც 1888, არც 1891 წელს მას სერიოზულად არ მიუღია უთვალავი ცდა მატერიალიზმის და იდეალიზმის „ცალმხრივობის“ „გადალახვისა“, ა ხ ა ლ ი ხაზის გამონახვისა, „პოზიტივიზმი“ იქნებოდა იგი „რეალიზმი“ თუ სხვა რაიმე პროფესორული შარლატანიზმი. მთელი ბრძოლა დიურინგის წინააღმდეგ ენგელსმა ს ა ვ ს ე ბ ი თ გაატარა თანმიმდევარი მატერიალიზმის ლოზუნგის ქვეშ, იგი მატერიალისტ დიურინგს ბრალს სდებდა, სიტყვების კორიანტელში ახვევს საქმის ვითარებასო, ბევრ რასმე უთმობს იდეალიზმსო, იდეალიზმის პოზიციაზე გადადისო. ან ბოლომდე თანმიმდევარი მატერიალიზმი, ან ფილოსოფიური იდეალიზმის სიცრუე და არევ-დარევა, აი როგორაა დასმული კითხვა „ანტიდიურინგის“ თ ვ ი თ ე უ ლ პ ა რ ა გ რ ა ფ ში; ამის არ შემჩნევა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც ტვინი უკვე გა-

ფუჭებული აქვთ რეაქციონური პროფესორული ფილოსოფიის მიერ. 1894 წლამდე, როცა ენგელსმა თავის უკანასკნელათ გადასინჯულ და შევსებულ „ანტი-დიურინგს“ უკანასკნელი წინასიტყვაობა დაუწერა, იგი შეუჩერებლივ თვალყურს ადევნებდა ახალ ფილოსოფიას და ახალ ბუნებისმეტყველებას, წინანდელი გაბედულებით იდგა თავის ნათელ და მტკიცე პოზიციაზე, უკუაგდებდა ახალ სისტემების ნაგავს“. *

ნუცუბიძე დიალექტიკასაც ეარშიყება. მრავალ ადგილას იგი ხმარობს ცნებას: „ალეთოლოგიური დიალექტიკა“. ეს უკანასკნელი ნუცუბიძეს წარმოდგენილი აქვს როგორც მექანიკური შეერთება მოწინააღმდეგე აზრებისა. წინააღმდეგობათა მთლიანობა მას მექანიკურად წარმოუდგენია, რაც ფრიად დამახასიათებელია ეკლექტიზმისათვის.

ვნახოთ ნუცუბიძის „დიალექტიკა“, იგი სწერს: „უძლიერესი ფილოსოფიური მიმდინარეობანი „ისტორიულობის“ ცნების დადგინებაზე მუშაობენ. მართალია ჯერჯერობით ისინი მარქსისტული „იდეოლოგიაზე“ ლაპარაკს დ ი ლ ტ ა ი ს „სულიერ მეცნიერებაზე“ ლაპარაკს ამჯობინებენ, მაგრამ ფილოსოფიურმა კრიტიკამ უკვე შენიშნა და აღნიშნა კიდეც, რომ აქ არსებითად ისტორიული მატერიალიზმის ცნება „ისტორიულობისა“ დიდ როლს თამაშობს (იხ. Philosophische Hefte, Heft, I, 1928, Berlin, წერილი „ისტორიული მატერიალიზმის ფენომენოლოგიისათვის“ Herbert Marcuse-სი). იდეოლოგიურ თვალსაზრისს ის უპირატესობა აქვს, რომ პრობლემათა შინაარსეულ დაპირისპირებას იგი გამაერთიანებელ მომენტად გადაეკვრის და შეხედულებათა სხვაობასა და ჭიდილს ერთი მთლიანობის მომენტებად აქცევს. ეს თვალსაზრისი ჩვენ გამოვიყენეთ ფილოსოფიურ პრობლემათა გარჩევის დროს“. ამრიგად ნუცუბიძეს დიალექტიკა ესმის როგორც მოწინააღმდეგე აზრების (მაგ. იდეალიზმი და მატერიალიზმი) და თეორიების შერიგება. ესაა სრული გაყალბება საკითხისა. მოწინააღმდეგე აზრების შერიგების ცდა დიალექტიკური სინთეზი კი არაა, არამედ ეკლექტიზმია. ნუ თუ ასეთი ელემენტარული ამბების უცოდინარობის შემდეგ კიდევ შეიძლება „მონისტურ ესტეტიკაზე“ ლაპარაკი? დიალექტიკის ასეთი ეკლექტიკური გაგება ახასიათებს არა მარტო ნუცუბიძეს, არამედ ზოგიერთ „მარქსისტებსაც“, რომელნიც ნილაბის ქვეშ „ფარავენ“ თავის იდეალისტურ სიშიშვლეს. ასეთი „მარქსისტების“ რიგს ეკუთვნის დებორინი, ამ უკანასკნელსაც ნუცუბიძის მგზავსად ძალზე ეხერხება მოწინააღმდეგე აზრათა შერიგება; დებორინი სწერს:

„დიალექტიური მატერიალიზმი „დამორჩილებული მომენტების“ სახით შეიცავს თავისში ფენომენალიზმს, (მისი ფსიხოლოგისტური მეთოდით) ტრანსცენდენტალურ იდეალიზმს (მისი ტრანსცენდენტალურ მეთოდით)... და მეტაფიზიკურ იდეალიზმს (მისი მეტაფიზიკური მეთოდით). დიალექტიური მატერიალიზმი არიგებს და აერთებს უმაღლეს ფილოსოფიურ სინთეზში ყველა მიმდინარეობას ფილოსოფიური აზროვნებისა და წარმოადგენს მთელი ახალი ფილოსოფიის განვითარების „შედეგს“.

ასეთია დებორინის „მარქსიზმი“. დებორინის სკოლის მთელი მუშაობა აუარებელ შეცდომას შეიცავს. დებორინელებმა (დებორინი, კარევი, სტენი, გო-

* ლენინი ტ. XIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკმანი, ტიმიანსკი და სხვა) დასვეს იგივეობის ნიშანი ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის და მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის შორის, მოსწყვიტეს ფილოსოფია მიმდინარე მშენებლობას, გადაიფასეს პლეხანოვის როლი და სხვა. მათი ყველა შეცდომის და ფორმალისტური გადახვევის აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. დებორინშჩინა წავიდა რა ლენინის ხაზის წინააღმდეგ ფილოსოფიაში აშკარათ გადაეზარდა იდეალიზმს. ამის შემდეგ გასაგებია ჩვენთვის დიალექტიკის დებორინისებური გაგების სიყალბე. მისი „უმაღლესი ფილოსოფიური სინთეზის“ შესახებ «Большевик» № 5 სწერს:

«Умереть можно со смеху от такого «высшего синтеза» в «диалектическом материализме» Деборина и Рютина где всякой твари по паре, как в ноевом ковчаге, и притом еще «об'единенных и примиренных»! Порусски, это — каша, а не синтез» (გვ. 90). შემდეგ იქვე ვკითხულობთ: „დიალექტიურ მატერიალიზმს არაფერი აქვს საერთო სინთეზის ოპორტიუნისტულ, წვრილბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ გაგებასთან, რომლის მიხედვით იგი არის „შეერთება და შერიგება“ ყველა მოწინააღმდეგე მიმდინარეობის“ [1].

ეს დებულება შეიძლება პირდაპირ განმეორებული იქნას ნუცუბიძის ეკლექტიზმის შესახებ. ნუცუბიძე ამაყად აცხადებს, რომ მისი თვალსაზრისით შესაძლებელია აზრთა დაპირისპირებას გადაეკრას გამაერთიანებელი მომენტი და ამით „შერიგებული და შეერთებული“ იქნენ ისინი. საკითხის ასეთ გაგებას არაფერი აქვს საერთო მატერიალისტურ დიალექტიკასთან. «Марксизм — Ленинизм дает подлинный синтез, критикуя, преодолевая противоречеия, создавая новое, поднимая общество и науку на высшую ступень». საერთოდ ნუცუბიძემ მთლიანად ვერაფერი ვერ გაიგო დიალექტიური მატერიალიზმის ფილოსოფიიდან. წინააღმდეგობათა მთლიანობის ვულგარულ — გიმნაზისტური გაგება გამოწვეულია მთელი რიგი სოციალური და იდეიური მიზეზით.

ლენინი სავსებით სხვაგვარად უდგებოდა ამ საკითხს; იგი სწერდა:

„ერთიანის გაორება და მისი მოწინააღმდეგე ნაწილების შეცნობა (იხ. ციტატი ფილონიდან ჰერაკლიტის შესახებ ლასალის „ჰერაკლიტის“ III ნაწილის დასაწყისში „შემეცნების შესახებ“) დიალექტიკის დ ე დ ა ა რ ს ი ა (ერთი „რაობათაგანი“, ერთი ძირითადი, თუ არა ძირითადთაგანი, თავისებურება ანუ თვისება). ასე სვამს საკითხს ჰეგელიც (არისტოტელი თავის „მეტაფიზიკაში“ მუდამ თ ა ვ ს ი მ ტ ვ რ ე ვ ს ამის გარშემო და ებრძვის ჰერაკლიტსა ჰერაკლიტის იდეებთან ერთად).

დიალექტიკის შინაარსის ეს მხარე სისწორის მხრით უნდა შემოწმებულ იქნას მეცნიერების ისტორიის მიერ. დიალექტიკის ამ სიჩუმეს ჩვეულებრივ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ (მაგ. პლეხანოვი): წინააღმდეგობათა თანტოლობას ღებულობენ როგორც მ ა გ ა ლ ი თ ა დ ჯამს („მაგალითად, თესლი“, „მაგალითად, პირველყოფილი კომუნიზმი“. იგივეა ენგელსის ნაწერებში. მაგრამ ეს „პოპულარობისთვის ხდება“...) და არა როგორც შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ს (და ობიექტური ქვეყნიერების კანონსაც).

მათემატიკაში + და —. დიფერენციალი და ინტეგრალი.

მექანიკაში მოქმედება და წინააღმდეგობა.

---

[1] „Большевик“ № 5, 1931 წ. М. Каммари — „Проблемы ист. матер“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკაში დადებითი და უარყოფითი ელექტრობა.

ქიმიაში ატომთა შეერთება და დისოციაცია.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში კლასობრივი ბრძოლა.

წინააღმდეგობათა თანტოლობა (შეიძლება უფრო სწორი იყოს „იგივეობა"? თუმცა თანტოლობის და იგივეობის ტერმინების განსხვავებას აქ არსებითი მნიშვნელობა როდი აქვს. განსაზღვრული აზრით ორივე სწორია) წარმოადგენს საწინააღმდეგო, ერთი მეორის უარმყოფელი ტენდენციების აღიარებას ბუნების ყველა მოვლენასა და პროცესში (სხვათა შორის სულისა და საზოგადოებისაშიც). პირობას ქვეყნიერების ყველა პროცესის შეცნობისა მათს „თვითმოძრაობაში", მათს სპონტანურ განვითარებაში, მათს ცოცხალს ცხოვრებაში წარმოადგენს მათი შეცნობა, როგორც წინააღმდეგობათა ერთიანობისა.

ასეთივე უნდა იყოს დიალექტიკის გადმოცემის (resp. შესწავლის) მეთოდი საზოგადოთ (მიტომ რომ ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსის ნაწერებში მხოლოდ დიალექტიკის კერძო შემთხვევაა). უნდა დავიწყოთ ყველაზე მარტივი, ჩვეულებრივი, მასობრივი ect. წინადადებით: ხის ფოთლები მწვანეა; ივანე ადამიანია; ცუგა ძაღლია და სხ. აქ უკვე (როგორც ჰეგელმა გენიოსურათ აღნიშნა) დიალექტიკაა: განკერძოებული არის ზოგადი (შეად. Aristoteles, Metaphysik თარგმანი შვეგლერისა. Bd. II S. 40, 3 Buch, 4 Capitel 8—9: «denn natürlich kann man nicht der Meinung sein, dass es ein Haus — სახლი საზოგადოთ — gebe ausser den sichtbaren Häusern», „οὐ γὰρ ἂν θείημεν εἶναί τινα οἰκίαν παρὰ τὰς τινὰς οἰκίας". მაშასადამე წინააღმდეგობანი (განცალკევებული ეწინააღმდეგება ზოგადს) თანტოლნი არიან: განცალკევებული მხოლოდ იმ ურთიერთობაში, რომელსაც ზოგადისკენ მიეყევართ. ზოგადი მხოლოდ განცალკებულში, მხოლოდ განცალკევებულის შემწეობით არსებობს. ყოველი განცალკევებული (ასე თუ ისე) ზოგადია. ყოველი ზოგადის განცალკევებულის ნაწილი, მხარე ან დედაარსია. ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა განცალკევებულ საგანს, ყოველი განცალკევებული არასრულიად შედის ზოგადში და სხ. და სხ... ყოველი განცალკევებული ათასი ხიდითაა დაკავშირებული სხვა გვარ განცალკევებულთან (საგნებთან, მოვლენებთან, პროცესებთან) და სხ. უკვე აქ არის ელემენტები, ჩანასახები, ცნებები აუცილებლობისა, ბუნების ობიექტური კავშირისა etc. აქ უკვე არის შემთხვევითი და აუცილებელი, მოვლენა და დედაარსი, მიტომ რომ როცა ვამბობთ ივანე კაცია, ცუგა ძაღლია, ეს ხის ფოთოლია და სხ., ჩვენ უკუვაგდებთ ზოგიერთ ნიშანდობლივ თვისებას, როგორც შემთხვევითს, ჩვენ არსებითს ვთიშავთ მოვლინებულისაგან და ერთი მეორეს ვუპირდაპირებთ."[1]

ლენინმა გენიალურად განსაზღვა მატერიალისტური დიალექტიკის რაობა. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ეკლექტიზმის წიმააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას.

ნუცუბიძე მარტო არ არის. მას ჰყავს თავისი მიმდევრებიც, რომელნიც ვერ ხედავენ, რომ ნუცუბიძის სისტემა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ფილოსოფიის კრიზისის შედეგია და ამავე დროს ფიქრობენ, რომ ნუცუბიძის ფილოსოფია „ფილოსოფიის ახალი (??) ამოსავალი წერტილია, რო-

[1] ლენინი — ტ. XIII გვ. 371 — 373.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ფილოსოფიურ აზროვნებას გამოიყვანს (?) იმ ჩიხიდან, რომელშიაც შეიყვანა იგი კანტმა და კანტიანურმა სკოლებმა"...[1] თაგვისთვის კატაზე ლონიერი მხეცი არ არსებობს დედამიწის ზურგზე, ასე ემართებათ ნუცუბიძის მოწაფეებსაც. ისინი ფიქრობენ, რომ „ალეთელოგიური რეალიზმი მიმართულია ფილოსოფიის ნამდვილ (?) ამოსავალ წერტილის აღმოჩენისაკენ",[2] „პროფ. ნუცუბიძის აღძრული (?) საკითხები თანამედროვე ფილოსოფიურ ძიებათა ცენტრში სდგანან".[3] თურმე ნუცუბიძეს მოუცია „ახალი (?) გაგება აზროვნების პრინციპებისა". „პროფ. შ. ნუცუბიძე უფრო შორს მიდის და უფრო რადიკალურად (?) სვამს და სწყვეტს (?) პრობლემებს ვიდრე ეს თანამედროვე ევროპის ფილოსოფიაში არის მოცემული",[4] ნუცუბიძის მოწაფე ფიქრობს, რომ „ალეთოლოგიური რეალიზმის ძირითადი დებულებები აზრების სიახლის (?) გამოარაჩვეულებრივ (?) შთაბეჭდილებას ახდენს".[5]

ამ ხალხს არ ესმის, რომ მათი „სიახლე" სინამდვილეში უძველესი იდეალიზმის აღდგენის ცდებია. ნუცუბიძე და კომპ. ფიქრობს, რომ მხოლოდ ისინი არიან მოწოდებული გამოიყვანონ იდეალიზმი სასიკვდილო ჩიხიდან და ამავე დროს დარჩენ ამ იდეალიზმის ნიადაგზე. საჭიროა ბრძოლა ამ ხალხის წინააღმდეგ. ისინი რეაქციონურ იდეალიზმს „ახალ ფილოსოფიად" აცხადებენ, ეწევიან ყოველ ნაბიჯზე დიალექტიკისა და მატერიალიზმის იგნორაციას და ასე ერთგულად აგრძელებენ პროფესორული შარლატანიზმის ტრადიციებს.

გიორგი ნატროშვილი

---

[1] კ. ბაქრაძე — ჰეშმარიტების პრობლემა და შემეც. სტრუქტურა, „მნათობი" გვ. 219.
[2] იქვე გვ. 219.
[3] იქვე გვ. 219.
[4] იქვე გვ. 230.
[5] იქვე გვ. 230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე

[„ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. კ. კაპანელი]

სიმონ ხუნდაძე

წიგნი, რომლის შესახებ ამ წერილში გვინდა ვესაუბროთ მკითხველს, 1928 წ. გამოვიდა და მიზნად ისახავს გაარკვიოს ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: მისი „სოციალური გენეზისი“-ს პრობლემა. აღნიშნული წიგნის მეორე სათაური ასეთია: „კაპიტალიზმი და გლეხი ქართულ ლიტერატურაში“. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ თემა მეტად საინტერესოა და თეორიული და ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისითაც მეტად მიმზიდველი. ავტორი თავის ნაშრომში მთელ რიგ პრობლემებს ეხება: ამ ნაშრომის პატარა სივრცეზე განხილულია სოციოლოგიის პრობლემები, ლიტერატურისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი, ჩვენი ეკონომიური და სოციალური ცხოვრების განვითარების პერიოდები, ამასთან დაკავშირებით—ქართული ლიტერატურის განვითარება და ასახვა კაპიტალიზმისა და გლეხობისა შ. რუსთველის, გ. ერისთავის, ლ. არდაზიანის, გრ. რჩეულიშვილის, დ. ჭონქაძის, გ. წერეთლისა და ეგ. ნინოშვილის ნაწერებში. მაგრამ მკითხველი აქაც უნდა დაგვეთანხმოს, რომ პრობლემის წამოყენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის სათანადოდ გაშუქებას და სისწორით გადაწყვეტას. პრობლემის სირთულე და მრავალფეროვანება მოითხოვს ღრმა ერუდიციას, საკითხების ყოველმხრივ შესწავლას, სიდინჯესა და სისტემატიურ მუშაობას ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. აღნიშნული ნაშრომის ავტორი კ. კაპანელი გარკვეული პრეტენზიებით შედგომია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემის შესწავლის საქმეს; მისი აზრით,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დღემდე უდიდესი და უმშვენიერესი დარგი ქართული კულტურისა—ქართული ხელოვნება და ლიტერატურა — დილეტანტურ შენიშვნებსა და უბრალო კომენტარიებს ვერ გაშორებია... დღემდე საქართველოში ქართველი კლასიკოსების სერიოზულსა და სქელტონიან ნაშრომებს მეცნიერული განხილვის მაგიერ დართული აქვთ გათამამებული დილეტანტების მოსაზრებანი. შორეული წარსულიდან საქართველოში ისტორიულმა დეგენერაციამ შექმნა არენა ყარაჩოღელებისა, დილეტანტებისა, კომენტატორებისა და კნიჟნიკებისათვის; მეცნიერებისა და ლიტერატურის გათამამებული დალაილამები — ცუდი მემკვიდრეობის ჩვევათა გადანაშთებით რყვნიან საზოგადოებრივ აზრს, ავრცელებენ ახალგაზრდობაში ყალბ შეხედულებებს კულტურისა და ლიტერატურის შესახებ, ჰქმნიან ისეთ იდეოლოგიურ ატმოსფეროს, სადაც იხრჩობა ყოველგვარი ჭეშმარიტება და მეცნიერება, ყოველგვარი ცოდნა და კულტურა“ (იხ. გვ. 5—6).

მეტად სასტიკი და დაუნდობელი ბრალდებაა წამოყენებული ქართული ლიტერატურის მკვლევართა და ისტორიკოსთა წინააღმდეგ. არა გვგონია, რომ საქართველოში ვინმემ ხელი მოაწეროს ასეთ ბრალდებას! იგი აუცილებლად კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი ს „ორიგინალური“ აზროვნების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ჩვენ ძველ მკვლევარებსა და ისტორიკოსებს აუცილებლად ჰქონდათ დიდი შეცდომები და, რაც უმთავრესია, მათი მეცნიერული მ ე თ ო დ ი ყალბი იყო. მაგრამ აქედან იმის დასკვნა, რომ პროფ. ა. ცაგარელი, აკად. ნიკო მარი, პროფ. ალ. ხახანაშვილი დილეტანტები და „კნიჟნიკები“ იყვნენ და არამცოდნენი თავიანთი საგნისა, რომ მათ ღვაწლი არ დასდვეს ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეს—მხოლოდ ახალი მოდის „გათამამებულ დალაილამებს“ შეუძლიათ. კაპანელი თავისი ნარკვევის შესავალში სწერს ზემომოყვანილს ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა და ისტორიკოსთა შესახებ, მაგრამ წიგნის დასასრულში იგი უკვე თავის თავზე და თავისი მეცნიერული მუშაობის შესახებ აღნიშნულ დარგში შემდეგს ამბობს:

„მხოლოდ უსინდისო და აბსოლუტურად უკულტურო ადამიანი შეხვდება აზროვნებისა და მეტყველების ამდენ სიახლეს მტრულად... ვერავინ გაბედავს იმის თქმას, რომ ჩვენ (კ. კაპანელს—ს. ხ.) არ გვქონდეს წამოყენებული მთელი რიგი ახალი ორიგინალური პრინციპიალური საკითხებისა, რომელიც არა მარტო ჩვენში, არამედ არც რუსეთში და არც ევროპაში ჯერ განხილული არ არის: საქართველო იდეოლოგიურად ყოველთვის იყო ვასალურ დამოკიდებულებაში უცხოეთთან; ისტორიულად ჩვენ ყოველთვის სხვისი აზრებით და სისტემებით ვცხოვრობთ, ერთხელ მაინც მოვიხედოთ ჩვენი აზროვნებისა და მეტყველების შესაძლებლობაში, ჩვენი ჭკუისა, განცდისა და გააზრების პოტენციაში; ერთხელ მაინც მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო სიყვარულთ და ნდობით“ (გვ. 166).

ავტორს მეტად დიდი ლიტერატურულ-მეცნიერული ტვირთი უდვია თავზე: შესავალში დაასამარა და მიწასთან გაასწორა ჩვენი მკვლევარები, ბოლოთქმაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი კაპანელი უკვე დაბეჯითებით გვაუწყებს რომ „დილეტანტებისა“ და „კნიაზნიკების“ „გათამამებული“ „თავხედობა“ უკვე დაძლეულია, რომ საქართველო იდეოლოგიის სფეროში უკვე განთავისუფლებულია უცხოეთის ვასალური მდგომარეობიდან და უფრო მეტი—კაპანელის წიგნების გამოსვლის შემდეგ უცხოელებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ქართული „ორიგინალური“ აზრებითა და სისტემებით, იდეოლოგიურად დღეიდან მათაც განიცადონ ვასალური დამოკიდებულება საქართველოსაგან. როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენს ავტორს მეტისმეტად დიდი პრეტენზიებით დაუტვირთავს თავისი წიგნი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა თავიდანვე დაიზღვევა თავი და ავანსად „უსინდისო და აბსოლუტურ უკულტურო ადამიანად“ მონათლა ყველა ის, ვინც ეჭვს შეიტანდა მის დებულებათა ჭეშმარიტებაში,—ამ წერილის მიზანს სწორედ კაპანელის წიგნის კრიტიკულად განხილვა და მისი დებულების სიყალბის გარკვევა შეადგენს.

წერილის პირველ ნაწილში ჩვენ შევეხებით უმთავრესად თეორიულ პრობლემებს, განსაკუთრებით კ. კაპანელის „ორგანოტროპიზმს“ და მის შეხედულებებს ლიტერატურაზე; მეორეში—კაპანელის შეხედულებებს საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და მისგან დამოკიდებული სოციალური სტრუქტურისა და სოციალური კლასების ურთიერთობის საკითხებს; მესამეში—თუ რამდენად შესძლო ავტორმა მის მიერ დასმული თემის ა მ ო წ უ რ ვ ა მასალების მიხედვით და მეცნიერული თვალსაზრისით შ ე ფ ა ს ე ბ ა.

„სოციოლოგიური“ თვალსაზრისი

ავტორი თავისი წიგნის დასაწყისშივე წერს: „ჩვენი მიზანია იდეათა და ესთეტიურ სახეთა სოციალური წარმოშობის შესწავლა“ (გვ. 6). და ამ შესწავლის საქმეს იგი სოციოლოგიური თვალსაზრისით ცდილობს. მაგრამ კაპანელის წიგნში ყველაზე უფრო ძნელი ხდება ამ „სოციოლოგიური“ თვალსაზრისის შინაარსის ზუსტად გამორკვევა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თითქმის ყოველ თავის წიგნში ეხება ამ საკითხს, თითქმის ყოველ თავსა და გვერდზე არკვევს თავის „თეორიულ“ შეხედულებებს,—მკითხველი საზოგადოებისათვის მაინც ერთობ ძნელი ხდება კაპანელის თეორიული დებულების გაგება. ეს აიხსნება უმთავრესად არა საკითხის სირთულით, არამედ მისი ბუდოვანი განმარტებით, რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს ჩემი შეხედულება ამ საკითხში, მიეუთითებ შემდეგ მომენტებზე:

1) ავტორს არა აქვს მეცნიერულად ზუსტად გამოკვეთილი ტ ე რ მ ი ნ ო ლ ო გ ი ა. გარდა ამისა, ავტორი, ხშირად, წინადადებისა და გამოთქმების გარეგან ფორმებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე წინადადების მეცნიერულად დახვეწას; აქედან წარმოდგება ბუნდოვანება მის წიგნებში.

2) არის ხშირი შემთხვევა, როდესაც კაპანელის პირველ დებულებას არღვევს მისი მეორე დებულება, მეორეს—მესამე და ასე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს სათანადოდ არა აქვს მოფიქრებული და ლოლიკურად აწყობილი თავისი პრინციპები.

3) მაგრამ უმთავრესი უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ავტორის „ნააზრევი“ მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი „შ ე ე რ თ ე ბ ა ა“ სხვადასხვა საწინა-

ალმდეგო თეორიისა; ეს არის ეკლექტიზმი თავისი ყველაზე უფრო ცუდი შინაარსით. კაპანელის „სისტემაში“ თავმოყრილია და მექანიკურად გაერთიანებული სხვადასხვა მოძღვრების ელემენტები: ა) აქაიქ მარქსისტული აზროვნების ელემენტები, ბ) გეოგრაფიული სოციოლოგიის დებულებანი და განსაკუთრებით შპენგლერ-დანილევსკის შეხედულება ცალკე „კულტურული ტიპების“ შესახებ, გ) იდეალისტურ-მეტაფიზიკური შეხედულებანი და დ) რეფლექსოლოგიისა და ფრეიდიზმის დებულებანი.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ სისტემათა გაერთიანება შეუძლებელია, მით უფრო სიძნელეს წარმოადგენს იგი კაპანელისათვის, რომელმაც ეკლექტიზმის ყველაზე უფრო ცუდი სახე მოგვცა თავის ნაწერებში. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ პ. ლავროვი ეკლექტიური მოაზროვნეა, ჩვენთვის გარკვეულია, თუ რაში გამოიხატება ლავროვის ეკლექტიზმი. მას ცალკეულად აღებული მარქსიზმი და სუბიექტური სოციოლოგიის სისტემა შესწავლილი ჰქონდა მთელი თავისი სიღრმით; მაგრამ ამ მეცნიერმაც ვერ მოახერხა შეუთანხმებელის შეთანხმება და მისმა აზროვნებამ ეკლექტიური ხასიათი მიიღო. კაპანელს არა აქვს არცერთი ზემოაღნიშნული სისტემა სათანადოდ შესწავლილი და, თავისთავად ცხადია, როდესაც იგი ამ სისტემებიდან იღებს ცალკეულ ელემენტებს და მათ გაერთიანებას, შედუღებას ცდილობს ერთს „ნააზრევში“, — აქ ყველაზე უფრო ცუდ მექანიკურ გაერთიანებასთან გვაქვს საქმე.

კაპანელი ცდილობს მარქსიზმთან ახლოს იყოს, მაგრამ როდესაც რომელიმე საკითხის შესწავლას იწყებს, იგი ყველაზე უფრო შორს დგება მარქსიზმიდან. ავიღოთ ლიტერატურისა და იდეოლოგიის საკითხი. კაპანელი ერთ ადგილს წერს:

> „თითოეული ლიტერატურული ნაწარმოები გამოწვეულია ყოველთვის რომელიმე საზოგადოებრივ-კლასობრივი განცდით და ამიტომ შინაარსში გარკვევით იხედება სოციალური სულის კლასობრივი ინტერესებით შეკუმშული ფორმა“ (გვ. 13).

მეორე ალაგას კაპინელი უკვე სცილდება ამ თვალსაზრისს და წერს:

> „ამ იდეებსა და იდეალებში სახიერდებიან სოციალური არეები თავიანთი სოციალ-გენეტიური და ბიოსფერიული განცდებით, თავიანთი საჭიროებათა და ინტერესებით შერჩეული სურვილებით. თვითოეული იდეოლოგიური ფორმა გამომდინარეობს ადგილობრივ, ტერიტორიალურ-ისტორიულ და გეოგრაფიულ-სოციალური თავისებურობიდან... ადამიანები ჰქმნიან თავიანთ ისტორიას, იდეოლოგიას, ხელოვნებას, მეცნიერებას არა ზეისტორიულად და ზეტერიტორიულად, არამედ ბიოსფერულ აზღუდემაში—შემკვიდრეობისა და რეალურ პირობათა შემოქმედებით ურთიერთობაში“ (გვ. 23).

მკითხველი უკვე ხედავს, რომ კაპანელის ამ ორ ციტატაში „კლასიური“ და „კუთხებრივობის“ პრინციპები ერთმანეთს უპირისპირდება. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველმა რომ ნათლად გაიგოს კაპანელის შეხედულება, შემდეგ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება: იგი ხშირად ხმარობს ტერმინს — „ბიოსფერო", „სოციალური არე", „კუთხებრივობის პრინციპები" და სხვ. რას გულისხმობს ავტორი ამ ტერმინებში? მოვუსმინოთ:

> „ლიტერატურაში ლაპარაკობს სოციალური არე, მისი გენეტიური და ისტორიული განცდა, მისი ჰაერი, მიწაწყალი, მისი ბუნება და წარმოების პროცესი — ერთი სიტყვით, „ბიოსფერო". ცოტა ქვემოთ ავტორი წერს—ადამიანთა „ბიოლოგიური პროცესის მთავარი მომენტები, რომელნიც შეადგენენ არსებობის საფუძველს, ვითარდებიან და იღუპებიან ბიოსფერობაში, ხოლო ბიოსფერო საზოგადოებრივობის ორგანიზაციასთან და ისტორიის წარმოშობასთან ერთად იქცევა სოციალურ არედ" (გვ. 15—16).

ავტორი ხან ბიოსფეროში ათავსებს სოციალურ არეს, როგორც მის შემადგენელს ნაწილს, მეორე შემთხვევაში — ბიოსფერო იქცევა სოციალურ არედ. ეს გაურკვევლობაა, მაგრამ აქ საინტერესოა არა ეს წინააღმდეგობა, არამედ მისი შემდეგი მოსაზრებანი:

> „ორგანოტროპიზმის იდეოლოგიური პრინციპი კუთხებრივობის პრინციპია, მაგრამ კუთხებრივობა შეიცავს ცნებას არა მარტო ჯგუფობრივს, კლასობრივს, ისტორიულ-ტერიტორიულს, არამედ კოსმიურსაც: რაც ჩვენ სამყაროდ მიგვაჩნია, ის მხოლოდ ერთი ბიოსფეროა, მხოლოდ ერთი კუთხეა უსაზღვროებისა. ამ კუთხეში არე მით უფრო ფართეა, რაც უფრო აქტიურია ადამიანთა ურთიერთობის შემოქმედება და ბრძოლა ბუნებასთან: რაოდენად ბიოსფერო გამოსახავს ტერიტორიალურ-გეოგრაფიულ ცნებას, იმდენად სოციალური არე გამოსახავს კულტურისა და ადამიანთა აქტივობის ცნებას" (გვ. 20).

ახლა მკითხველისათვის გასაგებია ზემოაღნიშნული ტერმინების შინაარსი. კაპანელის აზროვნებაში ბიოსფეროს ან კუთხებრივობის პრინციპს — გეოგრაფიულ-ტერიტორიალურ არეს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს; მის აზრით, კაცობრიობა, როგორც ასეთი და მსოფლიო ისტორია არ არსებობს: არის ტერიტორიალურ-გეოგრაფიული ერთეულები, რომლის ერთიანობა ფარავს განსაზღვრულ არეს და რომლის ფარგლებშიაც თავისებური სახით მიმდინარეობს ისტორია. მოვუსმინოთ ავტორს:

> „ისტორია ჩვეულებრივი გაგებით — ისტორია კაცობრიობისა არ არსებობს; არის ბიოსფერული ისტორიები; თითოეულ ბიოსფეროს, თითოეულ სოციალურ არეს აქვს თავისი ისტორია, თავისი ფორმები საზოგადოებრივი ევოლუციისა... არ არსებობს მსოფლიო კულტურა და არც მისი ისტორია; არსებობენ კულტურული არეები,

ერთეულები, რომელთა შორის კავშირი იმდენად რეალური და მტკიცეა, რაოდენად ერთნაირია ამ კულტურული არეების ორგანიზაციული პროცესები — ბუნების ექსპლოატაციის ფორმები... ჩვენი პლანეტის ოღრო-ჩოღრო და ჭუჭყიან (?) ფართობზე სხვადასხვა კუთხეებში ეწყობიან სხვადასხვა სახის ადამიანთა ურთიერთობანი და ასეთი ურთიერთობანი მრავალ მოდგმათა განმავლობაში ჰქმნიან ტრადიციისა და ისტორიის ფორმებს: სხვადასხვა მატერიკის სხვადასხვა კუთხეში მოძრაობენ სოციალური არეები თავიანთი ტრადიციებით, გენეტიურ წვალებათა მღელვარე ენერგიებით, ინდუსტრიულ-ტეხნიკური და იდეოლოგიური მიღწევებით...“ (გვ. 17—18).

მეორე ადგილას ავტორი წერს:

„ისტორიული პერიოდი დაკუთხულია სოციალურ და ბიოსფერულ რგოლებად. თითოეულ რგოლში არის თავისებური არსებობის სტრუქტურა, თავისებური აპერცეპცია რეალობისა, თავისებური მიმღეობა სინამდვილისა, თავისებური ლოლიკა, სული და განცდა“ (გვ. 26).

ასეთია კაპანელის „სოციოლოგიური“ დებულება; ჩვენ განგებ ამოვწერეთ ასე ვრცლად ციტატები, რომ მკითხველს ეჭვი არ დაებადოს რამეში და თვით კაპანელის ენით გაიცნოს მისი აზრი. როგორც მკითხველმა დაინახა ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს გეოგრაფიულ-ტერიტორიალურ გარემოს, რომლის ბიოსფერულ არეშიაც ყალიბდება თავისებური სოციალური არე, თავისებური კულტურა და თავისებური ისტორია და იდეოლოგია. „ჩვენი პლანეტის ოღრო-ჩოღრო და ჭუჭყიან (?) ფართობზე... სხვადასხვა მატერიკის სხვადასხვა კუთხეებში მოძრაობენ სოციალური არეები“. ჩვენ უბრალოდ არა ვთქვით, რომ ეს ბიოსფერული, გეოგრაფიულ-ტერიტორიალური არეები — ერთადერთი ძირითადი გამოსავალი „არეა“ კ. კაპანელის ორგანო-ტროპიული „თეორიისა“.

უწინარეს ყოვლისა, ვიკითხოთ რა არის ამ „თეორიაში“ ახალი და რა საერთო აქვს მას მარქსიზმთან? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ „თეორიაში“ არაფერი ახალი არ არის და მას არავითარი საერთო არა აქვს მარქსისტულ სოციოლოგიასთან. კ. კაპანელმა ამ შემთხვევაში შეაერთა შპენგლერ-დანილევსკის უკვე საკმაოდ ცნობილი და რეაქციონური თეორია „კულტურულ-ისტორიული ტიპების“ შესახებ და გეოგრაფიული სოციოლოგიის წარმომადგენელთა (რატცელი, რეკლიუ და სხვ.) დებულება გეოგრაფიული პირობების გავლენის შესახებ ადამიანზე. მაგრამ ეს შეერთება ხდება მეტის-მეტად მყვირალა ფრაზებით, რომელიც დატვირთულია მძიმე და უცხო სიტყვებითა და გარეგანი ფორმის გალამაზების ცდებით. მაგრამ გადაფხიკეთ ეს გარეგანი გაზვიადებული ფორმები და ხელში შეგრჩებათ ის, რაც დიდი ხანია წამოაყენა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ბურჟუაზიულ-რეაქციონურმა აზროვნებამ. მართლაც, ჯერ კიდევ 1869 წ. დანილევსკიმ თავის დიდტანიან წიგნში „Россия и Европа“ ეჭვი შეიტანა მსოფლიო ისტორიისა და მსოფლიო კულტურის არსებობაში და ცალკეული „ისტორიულ-კულტურული ტიპები“ დასახა რეალურ მოვლენებად. შემდგომ შპენგლერმა ეს დებულება თავისებურად განავითარა. დანილევსკი წერდა... „Естественная система истории должна за-

ключаться в различии культурно-исторических типов развития"... შემდეგ ჩამოთვლის რა ასეთს „ისტორიულ-კულტურულ ტიპს", იგი განაგრძობს: „Только народы, составлявшие эти культурно-исторические типы, были положительными деятелями в истории человечества; каждый развивал самостоятельным путем начало, заключавшиеся как в особенностях его духовной природы, так и в особенных высших условиях жизни, в котором он был поставлен, и этим вносил свой вклад в общую сокровищницу" (Н. Данилевский: „Россия и Европа" გვ. 91, 1895 წ.).

დანილევსკის თეორია თავისებური დასაბუთება იყო იმ რეაქციონურ-სლავიანოფილური მიმართულებისა, რომელსაც სურდა რუსეთი გადაერჩინა კაპიტალიზმის განვითარებისაგან და შეენარჩუნებია ძველი დახავსებული სოციალ-პოლიტიკური წყობილება. ამ რეაქციონურმა თეორიამ დიდი დახმარება გაუწია კ. კაპანელს.

როგორც მკითხველიც დაინახავდა დანილევსკის „კულტურულ-ისტორიული ტიპები" კ. კაპანელის წიგნში ბიოსფერული არეების სოციალური და კუთხებრივი კულტურული არეების სახელწოდებით არის შეცვლილი. მაგრამ განსხვავება სხვა მხრივაც არსებობს. დანილევსკი როდესაც „ისტორიულ-კულტურული ტიპების" ცნებას აშუქებდა, გამოსავალ „არედ" უმთავრესად ნაციონალური და ეტნოგრაფიული საფუძვლები ჰქონდა. კაპანელი ასეთს ფართო სფეროს აღარ იღებს: მისი „კულტურული არეები" და „სოციალური არეები" შემოფარგლულია ვიწრო გეოგრაფიულ-ტერიტორიალური თავისებურობით, კუთხეებით, იგი კუთხებრივობის პრინციპს ეყრდნობა, და სწორედ აქ გამოიყენა კ. კაპანელმა გეოგრაფ-სოციოლოგის დასკვნები ნიადაგის, ჰავის, ბუნების, შრომის საშუალებათა და საზრდოს და სხვათა გავლენის შესახებ ადამიანთა და საზოგადოების ცხოვრებაზე. ამ გზით მივიდა იგი იმ დასკვნამდე, რომ „სხვადასხვა მატერიკის სხვადასხვა კუთხეში მოძრაობენ სოციალური არეები". კ. კაპანელის მთელი შეცდომა მისი მეთოდოლოგიური შეცდომების ნაყოფია. ავტორს არ ესმის საზოგადოების, როგორც სოციოლოგიური მოვლენის ბუნება, არ ესმის საზოგადოების განვითარების კანონები, არ აქვს შემუშავებული სწორი მეცნიერული მეთოდი. აქედან ცხადია, რომ მისი ცდები, შეაერთოს სხვადასხვა თეორიები—მექანიკური ხასიათისაა და მოკლებულია რაიმე მეცნიერულ დასაბუთებას.

ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით „პლანეტის ოლრო-ჩოლრო და ჭუჭყიანი კუთხეები" კი არ ჰქმნიან საზოგადოებას, არამედ საწარმოო საშუალებანი და წარმოების წესი. მარქსიზმისათვის საზოგადოება წარმოადგენს ადამიანთა საწარმოო ურთიერთობათა ერთობლივობას, „ყველა საწარმოო ურთიერთობა ჰქმნის იმას, რასაც ეწოდება საზოგადოებრივი ურთიერთობანი—საზოგადოება და ამასთანავე საზოგადოება, რომელიც იმყოფება თავისი განვითარების გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე—განსაზღვრული ხასიათის საზოგადოება", (მარქსი). საზოგადოება პიროვნებათა უბრალო მათემატიკურ ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი რეალური მთელია, რომლის შემადგენელი ელემენტები, ადამიანები, საწარმოო დამოკიდებულებაში იმყოფებიან ურთიერთისადმი. მაგრამ საზოგადოება მუდმივ მოძრაობაშია, მისი საზოგადო-

ებრივი ურთიერთობანი იცვლება გარკვეული სოციალური კანონების მიხედვით. მარქსიზმისათვის გეოგრაფიულ-ტერიტორიალური „არე“ მხოლოდ ბუნებრივი სარბიელია, რომელზედაც შენდება საზოგადოება, როგორც საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა. აქ გადამჭრელ როლს თამაშობს არა ბუნება და „გეოგრაფიული არეები“, არა „ტერიტორიალურ-კუთხობრივი პრინციპები“, არამედ საწარმოო ძალთა განვითარება, ამ ნიადაგზე აღმოცენებული ეკონომიური სტრუქტურა და სოციალური ურთიერთობანი. „პლანეტის ოღრო-ჩოღრო და ჭუჭყიანი ფართობები, სხვადასხვა მატერიკის სხვადასხვა კუთხეები“ საუკუნეთა განმავლობაში უცვლელი არ რჩება, საზოგადოება კი მ უ დ მ ი ვ ც ვ ა ლ ე ბ ა დ ო ბ ა შ ი ა — ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან გადადის მეორეში, მეორედან მესამეში და ასე. ამრიგად, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა უცვლელი არ არის; ამ ურთიერთობათა სტრუქტურა იცვლება საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად; მარქსი ამბობდა: „საწარმოო საშუალებათა ხასიათის მიხედვით იცვლება მწარმოებელთა საზოგადოებრივი ურთიერთობა, იცვლება მათი ერთად მუშაობის ურთიერთობა და მათი მონაწილეობა წარმოების მთელს მსვლელობაში... მწარმოებელთა საზოგადოებრივი ურთიერთ-დამოკიდებულება, წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობა იცვლება წარმოების მატერიალურ საშუალებათა, ე. ი. საწარმოო ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად“.

ვისაც მარქსისტული სოციოლოგიის ეს ძირითადი დებულებანი არ ესმის, მისთვის, რასაკვირველია, „ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი დ ა კ უ თ ხ უ ლ ი ა ს ო ც ი ა ლ უ რ ბ ი ო ს ფ ე რ უ ლ რ გ ო ლ ე ბ ა დ “. მას არ ესმის, რომ საწარმოო ძალთა განვითარება და საწარმოო ურთიერთობა გარკვეულ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ფ ო რ მ ა ც ი ა ს ჰქმნის და რომ ეს უკანასკნელი განისაზღვრება საწარმოო ძალებითა და საწარმოო ურთიერთობათა თავისებურობით და ასეთი საზოგადოებრივი ფორმაციები წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების თავისებურ პერიოდს. მარქსი წერდა: „საწარმოო ურთიერთობათა ასეთ თავისებურ ერთობლივობას წარმოადგენს ანტიური, ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება და ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თითოეული სახე თავის მხრივ შეესაბამება კაცობრიობის ისტორიის განვითარების განსაზღვრულ საფეხურებს“. ორგანოტროპიზმის „თეორეტიკოსს“ კი ჰგონია: „საზოგადოებრივ ფორმათა ევოლუცია სოციალური არეების შეფარდებათა გენეტიური ცვლილებაა: ისტორიული პერიოდი დაკუთხულია სოციალურ და ბიოსფერულ რგოლებათ; თვითეულ რგოლში არის თავისებური არსებობის სტრუქტურა“ (გვ. 26). ავტორი ვერ ხედავს, რომ თითოეული ამ „დაკუთხული რგოლების“ სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა თავისი შინაარსით სავსებით შეესაბამება მეორე „რგოლის“ სტრუქტურას მათი განვითარების ისტორიული საფეხურის მიხედვით, რომ თავისებურობა აქ შეიძლება გამოიხატოს არა შინაარსში, არამედ ამ შინაარსის გარეგან გამოხატულებაში, ფორმაში. ავტორი ვერ ხედავს, რომ თითქმის ყოველმა „კუთხემ“ განვლო განვითარების ის საფეხურები, რომელიც ისტორიულ-საზოგადოებრივ ფორმაციებში გამოიხატებოდა და რომელიც აღმოცენებული იყო საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა ისტორიულად მოცემულ თავისებურობაზე. ამრიგად ერთნაირი წარმოების წესი, ერთნაირი საწარმოო ურთი-

ერთობა ყველგან, განურჩევლად გეოგრაფიულ-ტერიტორიალური პირობებისა ერთნაირ საზოგადოებას ჰქმნის.

მკითხველი უკვე ხედავს, რომ „კუთხებრივობის თეორია“ ისტორიულად გაუმართლებელია, ხოლო თეორიულ-მეცნიერული საზომით ყალბ ნიადაგზე არის აღმოცენებული. როგორც „ისტორიულ-კულტურული ტიპების“ თეორია, ისე ორგანოტროპიზმის „კუთხებრივობის პრინციპები“ თავისი სოციალური შინაარსით რეაქციონური აზროვნების ნაყოფია. თუ დანილევსკის თეორია სლავიანოფილთა მოძღვრების დასაბუთება იყო რუსეთის ძველი წყობილების თავისებურების დაცვის შესახებ და გამოწვეული რეაქციონურ-პოლიტიკური მიზნებით, „კუთხებრივობის თეორია“ ჩამორჩენილი წვრილი ბურჟუაზიის ნატურალურ-რეაქციონური „გადანაშთების“ ანარეკლს წარმოადგენს თანამედროვე საბჭოთა სოციალისტურს პირობებში. შეიძლება ავტორის შეუგნებლადაც, ამ თეორიაში ნათლად გამოიხატა სოციალისტური ინდუსტრიითა და დიდი რევოლუციონური შემოქმედებით დამფრთხალი ჩამორჩენილი წვრილი ბურჟუაზიის მისწრაფება „თავისებურობის“ შენარჩუნების შესახებ. წვრილი ბურჟუას რეაქციონური ნაწილი ვერ ეგუება იმ დიდ გარდატეხას, რომელიც გამოიწვია სოციალისტურმა მშენებლობამ არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში: ყოფა-ცხოვრების გადასხვაფერება, ძველი, მეშჩანური დამოუკიდებლობის დაკარგვა, ძველი ოჯახური წესების დარღვევა და ახალ მორალისა და ახალ ყოფის გამომუშავება ბუნებრივად იწვევს წვრილი ბურჟუაზიის მეშჩანურ ნაწილში, მის ინტელიგენტურ წრეებში პროცესს სოციალისტური გადასხვაფერებისა და „გაერთიანების“ წინააღმდეგ. „კუთხებრივობის თეორია“ ამ სულიერი განაწყობილების ანარეკლია საბჭოთა პირობებში. დასაბუთება იმისა, რომ ყოველი „კუთხე“ თავისებურობისა დი სხვა სახის კულტურული ცხოვრების მატარებელია, თეორიულად მიმართულია იმ დიდი კ ულ ტ ურ ული რ ე ვ ოლ უ ც ი ი ს წინააღმდეგ, რომლის მთავარი მიზანი სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებაში გამოიხატება. კაპანელი შეიძლება ამას ვერ გრძნობს, მაგრამ მისი „თეორია“ გარკვეულ კლასიურ შინაარს შეიცავს და გარკვეულ კლასიურ როლსაც თამაშობს.

ჩვენ განგებ ვაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ასე ვრცლად კ. კაპანელის „კუთხებრივობის“ თეორიაზე. ამ „თეორიას“ გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს კაპანელის შეხედულების გამოსარკვევად იდეოლოგიური და ლიტერატურული საკითხების შესახებ: ავტორი პირდაპირ უკავშირებს იდეოლოგიასა და ლიტერატურის პრობლემებს „კუთხებრივობის ფართობს“: „თვითეული ბიოსფერო, თვითეული სოციალური არე თავისებურად მეტყველებს კულტურისა და აზროვნების დარგში... თვითოეული იდეოლოგიური ფორმა გამომდინარეობს ადგილობრივი ტერიტორიალურ-ისტორიული და გეოგრაფიულ-სოციალური თავისებურობიდან“ (გვ. 22-23).

კითხვა იბადება: როგორ გამოჰყავს ავტორს „კუთხებრივობიდან“ იდეოლოგია და აზროვნების ფორმები. რატომ მეტყველებს აზროვნებაში „კუთხე“ და არა კლასი? ავტორი დიდად დაინტერესებულია „მ დ გ ომ ა რ ე ო ბ ი ს ა დ ა ა რ ს ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს“ პრობლემით, რასაც იგი ორგანოტროპიზმით ნათლავს. მაგრამ მისი დასკვნები სხვადასხვა მეცნიერული დებულების უბრალო ეკლექტიური ხასიათის შეერთებაა. უხვად იყენებს აქ ჩვენი ავტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე რეფლექსოლოგიის დასკვნებს. როგორც ცნობილია, ვ. ბეხტერევი, იხილავდა რა ადამიანს, როგორც ბიოსოციალურ მოვლენას, რეფლექსოლოგიის პირდაპირ ამოცანად სახავდა—შეესწავლა პიროვნების უმაღლესი ნერვიული გამოსახვა არა მარტო ფიზიოლოგიურად, არამედ ბიო-სოციოლოგიურადაც. კაპანელი იღებს, რასაკვირველია, მიკიბულ-მოკიბულად და თავისებურად რეფლექსოლოგიის დასკვნებს. იგი „ნერვიული სისტემის საშუალებით" აკავშირებს გარემოს ადამიანის შინაგან ცხოვრებასთან: „სხეულის ცენტრალური სადგურების შეტყობისთანავე ამოქმედებენ სხეულს იმის საპასუხოდ, რაც სხეულის გარეთ ხდება". ამრიგად „ცნობიერებაში ნერვიული განცდებით ერთი მხრით შემოდის რაც გარემოშია, ხოლო მეორე მხრით — რაც ოდესღაც შეძენილია წინაპრებში" (გვ. 21). ჩვენ არ გვაინტერესებს ამჟამად ამ დებულების არსებითი განხილვა, ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის, რომ ავტორმა „გარემოდან" გამოიყვანა „აზროვნება". მისი განმარტებით „გარემო", რომელშიაც მომწყვდეულია ადამიანი, განისაზღვრება ტერიტორიალურ-ისტორიული და გეოგრაფიულ-სოციალური არეებით: აქედან გამომდინარეობს მისი დასკვნაც: „ამ იდეებსა და იდეალებში სახიერდებიან სოციალური არეები თავიანთი საჭიროებათა და ინტერესებით შერჩეული სურვილებით" (გვ. 23), ე. ი. „კუთხეების" შეგნება და იდეოლოგია. ეს არის კუთხებრივობის იდეოლოგია. „ორგანოტროპიზმის იდეოლოგიური პრინციპები კუთხებრივობის პრინციპებია"—დაბეჯითებით გვიმტკიცებს ავტორი, (გვ. 20). მეტის-მეტად მოხდენილად ვადასწყვიტა ჩვენმა ავტორმა მეტად დიდი და რთული პრობლემა. მარქსი ამბობს: გარემოება ჰქმნის შეგნებას; კაპანელიც ამას იმეორებს და რეფლექსოლოგიის საშვალებას პირდაპირ უკავშირებს ადამიანის აზროვნებსა და იდეოლოგიას „ბიოსფერიულ არეებსა", და კუთხეებს. აუცილებლად ასპროცენტიან მარქსისტთან გვაქვს საქმე, მხოლოდ ასიე პროცენტის გამოკლებით. კაპანელს თავის მექანიკურ და ეკლექტიურ ვარჯიშობის დროს დაავიწყდა, რომ მარქსიზმისათვის იდეოლოგია კლასიური შინაარსისაა, რომ ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია და როგორც ასეთი იგი გარკვეული კლასის თანაწევრს წარმოადგენს და მისი იდეოლოგიაც კლასის შინაარსისაა, რომ აქ „კლასი" მეტყველებს და არა „კუთხე".

მაგრამ მკითხველი შეცდება, თუ იფიქრებს, რომ ამ „კუთხებრივობის პრინციპს" ბოლომდე დასწორი ხაზით იცავს თავის წიგნში კაპანელი. როგორც ვწერდით, მისი წიგნი ბოლომდე არ არის სავსებით „გააზრებული" და ლოლიკურ მთლიანობაზე აგებული. ავტორს არა აქვს ბოლომდე შესწავლილი ის თეორიული დებულებანი, რომელთა მექანიკურ შეერთებას იგი ცდილობს თავის წიგნში; ამიტომ მის წიგნში ერთი დებულება დარღვეულია და განადგურებული მეორე დებულებით. აბა ყური ვათხოვოთ ავტორის შემდეგ დებულებას:

> „ისტორიული და სოციალურ კუთხებრივი სული თითქო ითხოვს განთავისუფლებას, ემანაციას და შინაგანი სისავსის ტევა გადადის უნივერსალობაში, მსოფლიოში მთელი თავისი წარსულის მეხსიერებით და ენერგიით, განცდებით და აზრებით. იდეოლოგია თითოეული ეპოქის, არის განსახიერება ისტორიული სულის იმ მომენტებში, როდესაც ბიოსფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

> რული სისავსე ცხოვრებისა გადადის ყოვლადობაში, შედის ცივილიზაციის საერთო დენაში, ერთვის პირველ დასაწყისს მოვლენებისას: აქ არის კავშირი, ალიანსი ცალკეულისა და ინდივიდუალურისა საერთოსთან, უნივერსალურთან, ეროვნულ-ისტორიულისა ზოგადკაცობრიულთან. „ვეფხისტყაოსანი“ იდეოლოგიური მონუმენტია ქართული სულის ბიოსფერიული სისავსის შეგრძნობისა და ამ შეგრძნობის უსაზღვროებაში ემანაციისა, გაშლისა“ (გვ. 50).

ეს პირწავარდნილი მეტაფიზიკურ-იდეალისტური შეხედულებაა; ასეთი ენით მხოლოდ მეტაფიზიკოს-იდეალისტები სწერდენ და ლაპარაკობდენ. კაპანელი გარკვევით მეტყველებს ამ რეაქციონური ფილოსოფიის ენით; მაგრამ საინტერესოა: საიდან გაჩნდა კაპანელის თეორიაში ეს „ისტორიული სული“ და რატომ ხდება ამ „ეროვნულ-ისტორიული სულის“ გადასვლა უნივერსალობაში, მსოფლიოში? ავტორის განმარტებით არ არსებობს არც მსოფლიო კულტურა და არც მისი ისტორია. თუ ავტორის მსჯელობას გავყვებით, არ უნდა არსებობდეს არც ეროვნული სული და არც მსოფლიო სული ისე, როგორც არ არსებობს მათი ისტორიები. მართლაც, ავტორის განმარტებით ყოველი ერი „დაკუთხულია“ თავისი „ბიოსფერული“ და ბიოსოციალური „არეებით“. თუ არ არის გაერთიანება ამ არეებისა ობიექტიურ სინამდვილეში, გეოგრაფიულ-ტერიტორიალური და ისტორიულ-სოციალური ერთსახეობა, შეუძლებელიც უნდა იყოს მათი გაერთიანება სულიერ სფეროშიაც. არსებობს ცალკეული ბიოსფერული კუთხეები, მაგრამ არ არსებობს ეროვნული ბიოსფერული არეები. ასეთი უნდა იყოს კაპანელის „დაკუთხული“ თეორიის“ ლოგიკური დასკვნა. მაგრამ, როგორც ვიცით, კაპანელის „თეორია“ ასეთი, ლოგიკური მთლიანობიდან ძალიან შორს დგას და მან კონტრაბანდად უკვე შემოიტანა თავის „ნარკვევში“ მეტაფიზიკურ-იდეალისტური შეხედულება, რომლის მიხედვითაც არსებობს დამოუკიდებელი ისტორიულ-ეროვნული და უნივერსალური სულები. აკი კაპანელი გარკვევით წერს: ისტორიული და სოციალური კუთხებრივი სული ითხოვს ემანაციას და შინაგანი სისავსის ტევა გადადის უნივერსალობაში, მსოფლიოში მთელი თავისი წარსული მეხსიერებით და ენერგიის გახცდებით და აზრებით. მეორე ადგილას „ბიოსფერული სისავსე ცხოვრებისა გადადის ყოვლადობაში, ერთვის პირველ დასაწყისს მოვლენებისას“. ამრიგად ლოგიკური დასკვნა ამ მსვლელობისა ასეთია: ერთის მხრივ არსებობს ისტორიულ-კუთხებრივი სული, მეორეს მხრივ—„ყოვლადობა“ „პირველ დასაწყისი“—მსოფლიოს სული. აქედან არსებობს ნაციონალურ კუთხებრივი სულის ემანაცია ყოვლადობისადმი, მსოფლიო სულისადმი. „კუთხებრივობისა“ და „ეროვნული“ სულების გასაგებად მკითხველს შეგვიძლია გავახსენოთ ის, რომ კაპანელი თავის მეორე წიგნში („ქართული სული ესთეტიურ სახეებში“) წერდა: ქართული სული ხან მთებში მყლავნდება, ხან ბარში, ხან სხვა გეოგრაფიულ-ტერიტორიალურ არეებშიო. ამრიგად წინასწარ არსებობს დამოუკიდებელი ქართული ეროვნული სული, რომელიც სხვადასხვა „კუთხეებში“ ამჟღავნებს თავის არსებობას. ამაზე შორს იდეალისტურ-მეტაფიზიკური მიდგომა საკითხისადმი ველარსად წავა. რომ კაპანელის ამ „დამოუკიდებელი“

„სულების“ და „ყოვლადობის“ შესახებ მსჯელობაში არავითარი ორგანიულობის ნატამალი არ არის, ამას მკითხველი ყოველგვარ განმარტების გარეშეც დაინახავდა, რომ იგი გადმოწერილი არის მეტაფიზიკოს-იდეალისტთა „კოდექსებიდან“.

მაგრამ აქ საინტერესო მარტო ეს კი არ არის, არამედ ისიც, რომ კ. კაპანელი იმდენად გათამამდა, რომ ცდილობს თავისი ეკლექტიური ჭკუის ნაყოფი მარქსიზმის გვერდით დააყენოს და წერს: „სოციალური მეთოდოლოგია მხოლოდ მარქსიზმისა და ორგანოტროპიზმის გაგებითაა მისაღები და მეცნიერული“ (გვ. 26). გამოდის, რომ მარქსიზმსა და ორგანოტროპიზმს შორის ან სრული იგივეობა არსებობს, ან ისინი არასრული არიან და ავსებენ ერთმანეთს. კაპანელი მეორე ვარიაციის მომხრეა, უკეთ რომ ვსთქვათ, ის ცდილობს მარქსისტული ელემენტები შეიტანოს თავისი „ორგანოტროპიზმის“ სალაროში. მარქსიზმი მთლიანი მეცნიერული მოძღვრებაა და იგი არავის შესწორებასა და დამატებას არ თხოულობს. მაგრამ რა საერთო აქვს მარქსიზმს კაპანელის „დაკუთხული“ თეორიის საცოდავ ცდებთან, რომელიც მეტაფიზიკურ-იდეალისტურ რეაქციონური „აზრების“ ნაყოფს აერთებს მექანიკურად, ულოლიკოდ, „გაუაზრებლად“ „რეფლექსოლოგიისა“ და გეოგრაფიული სოციოლოგიის დასკვნებთან? განა ეს დამახინჯება არ არის მთელი მარქსიზმისა? კაპანელი მოდისათვის ეარშიყება მარქსიზმს და „მოდერნისტულად“ ცდილობს თავისი ახალი მოდის „ორგანოტროპიზმის“ დაკავშირებას მარქსიზმთან. მაგრამ მოდა მოდად დარჩება და კაპანელის „მეცნიერული“ ცდები უნაყოფოდ ჩაივლის.

ლიტერატურული თეორიის გარშემო

კ. კაპანელის „თეორიული“ დებულების გარკვევის შემდეგ ადვილი გასაგები არის მისი ლიტერატურული შეხედულების გაგებაც. როგორც თავში დავინახეთ, იგი თითქმის მოწადინებულია ლიტერატურის საკითხი კლასიური თვალსაზრისით განიხილოს, მაგრამ ეს ცდა სრული დამარცხებით მთავრდება და მის ლიტერატურულ შეხედულებებს „კუთხებრივობის“ თეორია უდევს საფუძვლად. კაპანელს ბოლომდე ვერ შეუთვისებია ის ღრმა ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს კლასთა გარეშე და კლასთა ზევით მდგარი ლიტერატურა. ყოველი ლიტერატურა გარკვეული კლასის იდეოლოგიას გამოხატავს და ლიტერატურული პრობლემებიც ამ კლასიური თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული. რასაც მეცნიერული ნაწერები და პუბლიცისტური წერილები ლოლიკური არგუმენტაციებითა და მსჯელობით გადმოგვცემს, მხატვრულ ლიტერატურაში იგი სახეებშია მოცემული. ამიტომ ლიტერატურა სახეებში მოცემული იდეოლოგიაა: აქაც, ამ იდეოლოგიის მასაზრდოებელი წყარო გარკვეული კლასი და მისი სოციალური ფენებია. კაპანელისათვის კლასის ზევით სდგას „კუთხებრივობის“ პრინციპი. ამიტომ ლიტერატურაშიაც ამ „კუთხებრივობის არე“ ისახება უწინარეს ყოვლისა. ავტორის აზრით ლიტერატურა ბიოსფეროლოგიისა და ორგანოტროპიზმის საუკეთესო დამადასტურებელია. კაპანელის განმარტებით: „ეპოქის იდეოლოგიას თხზავენ სოცია-

ლური არეები საჭიროებასა და ინტერესთა ლაბორატორიებით" (გვ. 28)*. ლიტერატურა, როგორც „ავტონომიური და ინდივიდუალური ფორმა იდეოლოგიის" მთელი თავისი სიმძიმით დაკავშირებულია ბიოსფერულ და კუთხებრივ არეებთან. „რას წარმოადგენს ლიტერატურული ევოლუცია, თუ არა სოციალური არეების რეფლექსოლოგიას, — სწერს ავტორი. — რა არის ესთეტიური სახე, თუ არა ბიოსფერული საჭიროებისა და ინტერესების ფორმა" (გვ. 27).

ასეთია კაპანელის შეხედულება იდეოლოგიის და ლიტერატურის „კუთხებრივობასთან" დაკავშირების შესახებ. ქვემოთ მკითხველს ქართული ლიტერატურის მაგალითებით დავანახებთ, თუ კაპანელმა თავისი „თეორიებით" როგორ გააყალბა ქართული ლიტერატურის სოციალური საფუძვლების პრობლემა და როგორ დაამახინჯა მთელი რიგი ლიტერატურული ფაქტები. აქ ჩვენ მივუთითებთ მკითხველს ერთ ფაქტზე, რომელიც ნათლად და გარკვევით ააშკარავებს კაპანელის „თეორიის" სიყალბეს. რომ დაამტკიცოს თავისი დებულება, რომ „სოციოლოგიური მეთოდოლოგია ბიოსფეროლოგიის გარეშე სქოლასტიკაა", ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი, რომელსაც ჩვენ სავსებით ამოვწერთ:

> „მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთში წარმოიშვა ორი დიდი იდეოლოგია: იდეოლოგია სლავიანოფილებისა და ზაპადნიკების. ორივე იდეოლოგია ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდში წარმოიშვა. მაგრამ ორივე წარმოადგენს ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმდინარეობებს: თითოეული მათგანი არის განსახიერება სოციალური ფსიხოლოგიის თავისებურობის, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოშობის პროცესი და მიზეზი ერთი ქრონოლოგიური ფაქტია (??). აბა სცადეთ და ახსენით: რატომ ერთსადაიმავე დროს ერთსადაიმავე კულტურიდან მომდინარეობს ცალ-ცალკეულად ორი სხვადასხვა შინაარსის და მიზნების მატარებელი იდეოლოგია? ახსნა შეიძლება მხოლოდ ბიოსფერიული რეფლექსებით და ორგანოტროპიზმით, მხოლოდ კუთხებრივ განცდათა და რჩევათა ეროსით: სლავიანოფილები ცხოვრებდენ განსაკუთრებით სოფლებში, მათი ფსიქოლოგია იყო სოფლური იდეალებისა და პატრიარქალურ რჩევათა (?) ფსიქოლოგია, ხოლო ზაპადნიკები იყვნენ ქალაქური კულტურისა და განცდების მატარებელნი; მათი სული დამძიმებული იყო ქალაქის დინამიზმით; სხვადასხვა ბიოსფერომ წარმოშვა სოციალურ განცდათა სხვადასხვაობა ერთსადაიმავე ისტორიულ პერიოდში" (გვ. 26—7).

ეს ვრცლად მოყვანილი ციტატა მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ მართლაც დაკუთხულ თეორიას გვაწვდის კაპანელი. გადაჭრით უნდა განვიმეოროთ, რომ ჩვენი ავტორი ნაკლებად ეცნობა ისტორიულ ფაქტებს, ნაკლებად ცდილობს

---

* მეორე ადგილას კაპანელი სწერს: „ცივილიზაციის ისტორია შეიცავს სფერიულ კუთხეებს და სხვადასხვა კუთხეებს ერთდაიმავე დროს აქვს სხვადასხვა (ხაზი კაპანელისაა. ს. ხ.) წყობისა და განცდის გავლენათა ორგანიზაცია და იდეოლოგია" (გვ. 48). ამრიგად „კუთხე" აქვს თავისი იდეოლოგია.

129
ბ-3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლილი და ზუსტად გარკვეული ისტორიული ფაქტები შეუფარდოს თავის „თეორიას". მისთვის, რომ გაამართლოს და ფაქტებით დაასაბუთოს თავისი ბიოსფერული და კუთხებრივი თეორია, ავტორი სლავიანოფილებს დენის სოფლებისაკენ საცხოვრებლად, ხოლო ზაპადნიკებს ქალაქში ამწყვდევს: რატომ ერეკება ჩვენი ავტორი რუს სლავიანოფილებს სოფლებისაკენ საცხოვრებლად? იმიტომ, რომ რუსი სლავიანოფილები თეორიულად იცავდენ რუსეთის სოფლის მეურნეობას, რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების თავისებურობას და სხვ. კაპანელის „თეორიებით" ამის „ახსნა შეიძლება მხოლოდ ბიოსფერული რეფლექსებით და ორგანოტროპიზმით, მხოლოდ კუთხებრივ განცდათა და რჩევათა ეროსით". მაშასადამე, სლავიანოფილების თეორია ახსნილ უნდა იყოს გეოგრაფიულ-ისტორიული და ტერიტორიალურ-სოციალური კუთხებრივობის თვალსაზრისით. რა ვუყოთ, რომ ისტორიას ეს ასე არ უნებებია და სლავიანოფილთა საუკეთესო წარმოადგენელნი (აკსაკოვები, სამარინი, დანილევსკი და სხვ.) ქალაქებში ცხოვრობდენ და მხურვალე საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდენ ამ „ბიოსფეროში". კაპანელს შეუძლია თავისი „ორგანოტროპიზმის" და „კუთხებრივობის" კვერთხით გადენოს ეს მოღალატენი სოფლად და ამით აღადგინოს თავისი შერყეული თეორია. მაგრამ მოწაფეებმაც დღეს კარგად იციან, რომ სლავიანოფილები და ზაპადნიკები 40—50-იან წლებში იყვნენ იმ ინტელიგენტთა ჯგუფები, რომელთა იდეოლოგია გამოსახავდა გარკვეული სოციალური კლასების სულისკვეთებას. ზაპადნიკების იდეოლოგია გამოსახავდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს: მათ სწამდათ, რომ რუსეთშიაც განვითარდებოდა კაპიტალიზმი, ევროპული კულტურა და ხაზგასმით აღნიშნავდენ ბურჟუაზიის პროგრესიულ მნიშვნელობას. ამ ზაპადნიკების მემარცხენე ფრთა (გერცენი, ბელინსკი, ოგარევი) იზიარებოდა ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის იდეას. სლავიანოფილთა იდეოლოგია თავისი ძირითადი საფუძვლებით გამოხატავდა თავად-აზნაურთა წოდების შიშს სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა და მისგან გამომდინარე კლასთა ბრძოლის წინაშე; ისტორიულ-სოციალებად სლავიანოფილები გამოხატავდენ მემამულეთა რეაქციონური ნაწილის სულისკვეთებას და მათი პროგრამა მიმართული იყო რუსეთში ძველი საზოგადოებრივი წყობილების დაცვისაკენ. რასაკვირველია, როგორც ზაპადნიკებს, ისე სლავიანოფილებს თავიანთი განშტოებანი ჰქონდათ, რომელნიც თავის მხრივ სხვადასხვა სოციალური ფენების იდეოლოგიას გამოხატავდენ; როგორც მკითხველი ხედავს, აქ ორგანოტროპიზმი და კუთხებრივობის თეორია არაფერ შუაშია: ზაპადნიკებისა და სლავიანოფილების იდეოლოგიას ჩვენ ვერ გავიგებთ, თუ არ მოვიმარჯვეთ კლასიური საზომი, ე. ი., უკეთ რომ ვთქვათ, დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისი.

ამ ფაქტებიდან მკითხველმა უკვე ნათლად დაინახა, თუ კაპანელის „კუთხებრივობის" თეორია როგორ ყალბსა და ფუყე ნიადაგზეა აშენებული ლიტერატურისა და იდეოლოგიის საკითხებში. ჩვენმა ავტორმა აქაც, ამ რთულსა და მნიშვნელოვან სფეროშიაც დააბნელა საკითხები. მაგრამ ლიტერატურის თეორიის სფეროში დამახინჯებულმა თვალსაზრისმა არა ნაკლები სიძლიერით დაამახინჯა ლიტერატურის ისტორიის საკითხები. „კუთხებრივობის" თეორიამ აქაც თავისი საქმე გააკეთა. გავეცნოთ ამ „საქმიანობასაც".

საქართველოს სოციალ-ეკონომიური ვითარების საკითხები

ლიტერატურის ისტორიის სოციოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა აუცილებლად მოითხოვს ფართო ერუდიციას მკვლევარისაგან. თუ წინასწარ შესწავლილი არა გაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება, საწარმოო ძალთა დონე, მასაზე აღმოცენებული ეკონომიური სტრუქტურა და სოციალურ კლასთა წინააღმდეგობანი, მაშინ ლიტერატურის ისტორიის საკითხებს ვერ გაარკვევ, ვერ გამოარკვევ იმ ღრმა კავშირს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურულ ფაქტს შორის არსებობს. უკეთ რომ ვთქვათ, ვერ გაიგებ ლიტერატურული ნაწარმოების სოციალურ-კლასიურსა და იდეოლოგიურ მხარეს. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. აუცილებელი საჭიროა თვით ლიტერატურის ისტორია სათანადოდ გქონდესთ შესწავლილი, მწერლები და მათი ნაწერები — ზედმიწევნით გაცნობილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორი ერთობ ზერელედ იცნობს ჩვენი ცხოვრების, როგორც პირველ ფაქტებს, ისე ლიტერატურის ისტორიასაც. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მწერლისა და მისი ნაწერების შესახებ მას ყურმოკრულად აქვს გაგონილი. რასაკვირველია, ყურმოკრული ცოდნით ქართული ლიტერატურის ისტორია არ დაიწერება.

დავიწყოთ პირველი წყების ფაქტებიდან და გავარკვიოთ — რამდენად აქვს ავტორს გაცნობილი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება და სოციალურ კლასთა დამოკიდებულება. სავაჭრო კაპიტალის არსებობა მე-12 საუკუნეში ავტორს ახალ აღმოჩენად მიაჩნია. მაგრამ ავტორი რომ ისტორიულ ნარკვევებს გაცნობოდა, სავაჭრო კაპიტალის არსებობას უფრო შორეულ ეპოქებშიაც დაინახავდა. ეს სხვათა შორის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორი ვერ არჩევს საერთოდ ერთმანეთისაგან სავაჭრო, ჩარჩულ და სამრეწველო კაპიტალს. მისი ეკონომიური ტერმინოლოგია ყოველგვარ ლიტერატურულ ღირებულებას არის მოკლებული. ხაზგასმით მისათითებელია სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენში სავაჭრო კაპიტალის განვითარებაში იგი „კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ პ რ ო ც ე ს ს“ ხედავს. სწორედ ამ სახელწოდებით აქვს მონათლული ავტორს ნეტარხსენებული ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა კ ი ჩ მ ე ჯ ღ ა ნ უ ა შ ვ ი ლ ი ს ჩარჩული საქმიანობა საქართველოში. „მეჯღანუაშვილმა ერთგვარად გარდაქმნა ცხოვრება თავისი ძლიერი ნებითა და სურვილებით“ (გვ. 113) — სწერს ავტორი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია: 60-იანი წლებიდან თურმე ჩვენში უკვე „მანქანური კულტურა“ იქმნება და „სამრეწველო კაპიტალის რეფლექსოლოგიაც“ მუშავდება. ფაქტები: 60-იანი წლების დასაწყისში ტფილისის გუბერნიაში ყოფილა 239 ფაბრიკა, რომელთა წარმოება 512,321 მან. უდრიდა, გაცხოველებულია ვაჭრობა, გამრავლებულია სახელოსნო დაწესებულებანი და სხვა, ხალხიც დაძრულია ქალაქისაკენ. ამ ფაქტებს ამოწმებს „კრებული“ და „გუთნის დედის“ წერილებით*. მკითხველი ნათლად შეამჩნევს, რომ ეს ფაქტები

---

* უნდა აქვე შევნიშნოთ, რომ ეს ცნობები და „კრებულისა“ და „გუთნის დედას“ ციტატები ავტორს გადმოწერილი აქვს სხვისი ნარკვევებიდან. რასაკვირველია, უშუალო წყაროებს იგი არ გასცნობია და არც მის მიერ ნასარგებლებ ნარკვევებზეა მითითება. როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ეს ხშირად ემართება ჩვენს ავტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში დაიწყო სამრეწველო კაპიტალის განვითარება. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მანქანური კულტურის განმტკიცებასა და კაპიტალიზმის ჰეგემონიის დამკვიდრებას, როგორც კაპანელი მეათე თავის დასაწყისში წერს (გვ. 148). ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმი ვერ განვითარდა იმდენად, რომ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ ქვეყნად გადაექცია. საქართველო კვლავ დარჩა უმთავრესად აგრარულ ქვეყნად, ეკონომიურად ჩამორჩენილ და განუვითარებელ მხარედ: კაპანელი კი 60-80-იან წლებში კაპიტალიზმსა და მანქანური კულტურის ჰეგემონიას ხედავს ჩვენში. რა არის ეს, თუ არა მთელი ჩვენი ცხოვრებისა და მისი ეკონომიური სინამდვილის ისტორიული წარსულის დამახინჯება? განა შეიძლება „თეორიის" გასამართლებლად ისტორია „გადაატრიალო" თავდაყირა?

ახლა მივაქციოთ ყურადღება სოციალური ცხოვრების ცვლილებების ფაქტებს. „ქართული სულის (?) ისტორიული ენერგია, — წერს ავტორი იმავე ეპოქის შესახებ, — მიიმართებოდა კაპიტალიზაციისა და ევროპიული იდეოლოგიის ამყოლეობით, ხოლო საქართველოს რეალური ყოფის — ბატონყმობის — დაშლით განთავისუფლებულ გლეხს ეპატრონებოდა ფეოდალური არისტოკრატიის ისტორიული მემკვიდრე ბურჟუაზია, შეთანხმებით მონარქიულ წესწყობილებასთან... მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში რეალურად შეიცავს სამ მთავარ სოციალურ ძალას: სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალს, ღარიბ გლეხობასა და რუსეთის ჩინოვნიკურ პოლიციურ მართვა-გამგეობას. მეოთხე სოციალური ძალა ფეოდალური არისტოკრატია. მართალია, საქართველო ზოგიერთ კუთხეში კიდევ უწრუპუნებს ქორებს და მიმინოებს, მაგრამ მისი სოციალური მნიშვნელობა თანდათან იკარგება ისტორიის უფსკრულში... დიდი ლატიფუნდიები დადიანებისა და ამილახვრებისა, რომელთაც ოდესღაც ამშვენებდენ მრავალრიცხოვანი ყმები, ბატონყმობის შემდეგ კარგავს ეკონომიურ მნიშვნელობას და რჩება მხოლოდ გეოგრაფიულ სივრცეებად. მიწა დარჩა თავად-აზნაურობას, მაგრამ განთავისუფლებული ყმები გადმოიდენ ქალაქებში, და სოფლის მეურნეობა შეჩერდა. გლეხობის ნაწილი, რომელმაც მოახერხა პატარა ნაკერი მიწის შეძენა ბატონისაგან, ისევ რჩება ძველებურ მდგომარეობაში. ერთი მხრით მას აწუხებს იმპერატორული მთავრობის გადასახადი, მეორე მხრით — ფულის მიმოქცევის ძალა" (გვ. 127). „ოთხმოციან წლებში ქართულ სოფლებში კაპიტალიზმი უკვე შესულია მძლავრი მოძრაობით და შეტევით... მანქანა ასხვაფერებს ადამიანს ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად" (გვ. 148-9).

თქვენზე არ ვიცი, მკითხველო, და ჩემზე კი ამ ციტატამ და მსგავსმა ადგილებმა, რომელიც ძლიერ უხვად არის გაბნეული კაპანელის წიგნში, ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. როგორც ჩანს, კაპანელი ისტორიას თავისი ფანტაზიის მიხედვით სთხზავს. განვიხილოთ მუხლობრივად.

1. ქართული სულის ისტორიული ენერგიისა და რეალური ყოფის — ბატონ-ყმობის — დაპირისპირებით ავტორმა ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა თავისი იდეალისტური და მეტაფიზიკური შეხედულებანი.

2. ავტორი აღნიშნავს სამს სოციალურ ძალას. ჯერ ერთი — მთავრობის, თვითმპყრობელობის პოლიტიკური აპარატის, კლასიური ორგანიზაციის შეტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ-კლასიურ კატეგორიაში — შეცდომაა, მეორე: თავად-აზნაურობის გამორიცხვა სოციალური კლასებიდან აშკარა დამახინჯებაა ისტორიული სინამდვილისა. რომელ წყაროში ამოიკითხა ავტორმა, რომ „მემამულეები მხოლოდ ქორებს და მეძებრებს უწრუწუნებდენ“ და არავითარ ეკონომიურ-სოციალურ ძალას არ წარმოადგენდენ? ისტორიული ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მთელ ამიერ-კავკასიაში 172.926 კომლ გლეხობას ჰქონდა 871.377 დესიატინა მიწა, ხოლო ამასთან შედარებით სრულიად უმნიშვნელო მემამულეებს — 2.524.650 დესიატინა. განა ეს სტატისტიკური ცნობა იმას ამტკიცებს, რომ თავად-აზნაურთა მამულები „კარგავენ ეკონომიურ მნიშვნელობას და რჩებიან გეოგრაფიულ სივრცეებად?“ როგორ შეიძლება ასეთი ზღაპრების თხზვა? რასაკვირველია, ახალ სამეურნეო პერიოდში თავად-აზნაურობის როლი და მისი ეკონომიური წონა ეცემოდა; მაგრამ ეკონომიურად და სოციალურად იგი მაინც ყველაზე ძლიერი კლასი იყო და იმ ხანებში მას ეპყრა ხელში ჩვენი ცხოვრების სადავეები. ეს გარემოება არ ესმის ავტორს და მემამულეები სრულიად გამოურიცხავს ჩვენი მაშინდელი სოციალური ურთიერთობის რგოლიდან.

3. სრულიად ყალბად და არასრულად განმარტავს გლეხობის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას ავტორი რეფორმის მომდევნო პერიოდში. იგი ვერ ხედავს იმ მძიმე ტვირთს, რომელიც გლეხობას დააწვა კისერზე რეფორმის მომდევნო პერიოდში. განსაკუთრებით ვერ ამჩნევს იმ ანტაგონიზმს, რომელიც აღმოცენდა მემამულესა და გლეხობას შორის აგრარულ ნიადაგზე. ავტორი წერს, რომ, გლეხობას აწუხებს მთავრობის გადასახადები და ფულის მიმოქცევის (?) ძალა“. მაგრამ რად გამოეპარა ავტორს მემამულეების ეკონომიური ბატონობა სოფლად და მათ მიერ გლეხობის ექსპლოატაცია და დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი საქართველოში? კაპანელი ფიქრობს, რომ ჩვენში უკვე განმტკიცდა კაპიტალისტური წყობილების უმაღლესი ფორმა და სრულიად ვერ ამჩნევს ბატონ-ყმობის წყობილების ნაშთებს ჩვენს მაშინდელს რეალურ სინამდვილეში. ვერ ხედავს, რომ ქართველი გლეხი კვლავ მემამულის საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა, არ იცის მაგ., რომ ქუთაისის გუბერნიაში 74.673 კომლ გლეხს ჰქონდა 210.771 დეს. მიწა, ხოლო მემამულეებს 815.321 დეს., ე. ი. ოთხჯერ მეტი. ტფილისის გუბ. 27.635 — კომლს ჰქონდა — 134.796 დეს., ხოლო მემამულეებს — 961.502 დეს., ე. ი. 7-ჯერ მეტი. ეს მშრალი სტატისტიკური ცნობები უფრო მეტის მეტყველია, ვიდრე კ. კაპანელის დაუსრულებელი და მოსაბეზრებელი „ბიოსფერული“ „ორგანოტროპიული“ ვარჯიშობანი. როგორ შეუძლია ადამიანს, რომელსაც ასეთი ყალბი წარმოდგენა აქვს ჩვენი ცხოვრების წარსული სოციალ-ეკონომიური ვითარების შესახებ, ნათლად გაიგოს ქართველი გლეხის ყოფა ქართულს ლიტერატურაში ასახული?

4. რა უყო ავტორმა ის ახალი სოციალური კლასი, რომელიც რეფორმის მომდევნო პერიოდში ჩამოყალიბდა უმთავრესად გაღატაკებული გლეხობის ფენებიდან? ნუთუ პროლეტარიატი არ წარმოადგენდა საგრძნობ სოციალურ ძალას და ნუთუ მის ნიადაგზე არ აღმოცენდა მარქსიზმი? განა ამ კლასმა მთელი რიგი სტიქიურ-ეკონომიური ხასიათის გაფიცვები არ მოახდინა (1866 წ., 1872 წ., 1878 წ. და შემდეგ უფრო გახშირებით), განა იგი 90-იანი წლების მეორე ნახევარში არ გადაიქცა კლასად თავისთვის და არ გამოიწვია მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის მოძრაობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ჩვენ ავტორს სრულიად დააკლდა ქალაქის მრავალრიცხოვანი წვრილბურჟუაზიული ფენები (ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და სხვ.) და მათი კავშირი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის განვითარებასთან. რასაკვირველია, 1865 წ. აჯანყების აჯანყებაზე მას წარმოდგენაც არა აქვს. განა საერთოდ წვრილბურჟუაზიული ფენები თავის კლასიურ გამოხატულებას არ პოულობენ ჩვენს ლიტერატურაში?

6. სრულიად გაუგებარია ჩვენთვის, თუ საიდან გამოიყვანა ავტორმა დასკვნა, რომ „სოფლის მეურნეობა შეჩერდა". ან მეორე დასკვნა: „ოთხმოციან წლებში ქართულ სოფლებში კაპიტალიზმი უკვე შესულია მძლავრი მოძრაობით და შეტევით". არსებითად ეს ორი დებულება რადიკალურად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს, მაგრამ ეს ხომ საერთოდ ახასიათებს კაპანელს. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ კაპიტალიზმი ვერ შეიჭრა „მძლავრი შეტევით" ჩვენი სოფლის ეკონომიკაში და ამის ერთ-ერთი მიზეზი ბატონ-ყმური წყობილების ნაშთები იყო. და სწორედ ეს ობიექტიურ-ეკონომიური გარემოება აწვებოდა ჩვენ გლეხობას მძიმე ტვირთად. ამას ვერ ხედავს ჩვენი ავტორი.

მაგრამ კმარა ამ მიმართულებით წერა: ყველაფერს ხომ ვერ აღნიშნავ კაცი. მოყვანილი ფაქტები ნათლად ამტკიცებს, თუ როგორი ყალბი წარმოდგენა აქვს ავტორს ჩვენი ახლო წარსულის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. იგი ობიექტურად კი არ იხილავს ისტორიულ ცხოვრებას, არამედ თავის მიერ ზეპირად შეთხზულ ყალბ სქემებს ძალით ათავსებს ისტორიული ცხოვრების სინამდვილეში. მაგრამ ისტორიული წარსული უფრო მძლავრია, ვიდრე დაკუთხული „ორგანოტროპიზმის" თეორეტიკოსი, და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისტორიული წარსული უვნებლად გადარჩება „ბიოსფეროლოგიის" ზღაპრული სქემებისაგან.

ქართული ლიტერატურის საკითხები

კაპანელის მთავარი მიზანი იყო „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი გამოერკვია. კონკრეტულად იგი ისახავდა მიზნად „კაპიტალიზმისა და გლეხის ქართულ ლიტერატურაში" ასახვის საკითხის გაშუქებას.

როგორც დავინახეთ, თეორიულად ავტორი ერთობ ყალბ პოზიციაზე დადგა და ამიტომ თავიდანვე ცხადი იყო, რომ კაპანელი საკითხს სისწორით ვერ გააშუქებდა. როგორც ვიცით, ქართული ლიტერატურის პრობლემების მარქსისტული თვალსაზრისით სისწორით შესწავლისათვის აუცილებელია, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიური ვითარებისა და სოციალ-კლასიური ურთიერთობის სათანადოდ შესწავლა და მეორე მხრივ — თვით ლიტერატურული მასალებისა და დოკუმენტების სათანადო ცოდნა. პირველ საკითხში კაპანელი სავსებით დამარცხდა. მეორე საკითხშიაც იგი ვერ დგას შესაფერის სიმაღლეზე.

დავიწყოთ მასალების მოცულობის საკითხებიდან. შესძლო კაპანელმა სავსებით ამოწურვა იმ მასალებისა, რომელსაც იძლევა ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურის ისტორია? რასაკვირველია, ვერ შესძლო. ავტორი შეეხო იმ მწერლებს, რომელნიც ასე თუ ისე ცნობილნი არიან ჩვენი ლიტერატურის ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიაში, მაგრამ მისი განხილვის არედან სრულიად ამოშლილი არიან ის მწერალნი, რომლებზედაც აღნიშნული საკითხების, ე. ი. კაპიტალიზმისა და გლეხის ლიტერატურაში ასახვის საკითხის შესწავლის დროს მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული. რეფორმის მომდევნო პერიოდში, როდესაც ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ გაამწვავა კლასიური ურთიერთობანი და როდესაც ქართველი გლეხი „ყოველმხრივ" საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა გაბატონებული წრეებისათვის, ეს პროცესი თავისებურად „აისახა" ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და ქართველი ნაროდნიკები ამ თავისებურობის გამომხატველნი იყვნენ ჩვენ საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაში. ანტონ ფურცელაძე, სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომაური, ეკ. გაბაშვილი, რ. ერისთავი, ჟურნ. „იმედის" ჯგუფის (1881-82 წლ.) მწერლები, მაჩხანელი, მელანია და სხვანი იყვნენ ის მწერლები, რომელთა ნაწერები სწორედ ჩვენი ცხოვრების ახალ პერიოდს ეხებოდა, და ისინი გვისურათებდენ კაპიტალისტური წყობილებისა და ურთიერთობის გავლენას გლეხობაზე. ისინი ეხებოდენ ქართველი გლეხის „ყოფას" სავახშო-სავაჭრო კაპიტალის ბატონობისა და სამრეწველო კაპიტალიზმის მშობიარობის მძიმე პირობებში. ეს ლიტერატურული სკოლა თავისებურ იდეოლოგიურ მიმდინარეობასაც წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ეს იყო წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოხატულება; ამ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის განვითარებას, მისი აყვავებისა და დეკადანსის მაჩვენებელი სწორედ ეს ნაროდნიკული ლიტერატურა იყო. ავტორს ამ მთავარი და საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ჩვენი ცხოვრების და აზროვნების ამ მნიშვნელოვანმა პრობლემამ კაპანელის წიგნში ვერავითარი გამოხმაურება ვერ ჰპოვა. სამაგიეროდ გრ. რჩეულიშვილს ცალკე თავს უთმობს ავტორი. მაგრამ აღნიშნულ მწერალს არავითარი კავშირი არა აქვს საკითხთან. მეორე მხრივ, განა ალ. ყაზბეგის ნაწერების განხილვა საუცხოვო სურათს არ გადაუშლიდა მკითხველს გლეხობის შესახებ ნატურალური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირველადი დაგროვების პერიოდში, როდესაც ცარიზმის ხიშტებზე დაყრდნობილი საავაჭრო კაპიტალი გზას იკაფავდა მთებში და ამით ამსხვრევდა ძველი წყობილების დახავსებულ საფუძვლებს? საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ ის მასალა, რომელსაც ავტორი თავის წიგნში იძლევა, არ არის შესაფერისად დამუშავებული. ხშირად ავტორი სხვის მასალებსა და დებულებებს იყენებს და თავისებურ ფრაზეოლოგიაში ხვევს. რასაკვირველია, საკითხი უფრო მეტი სიღრმით შესწავლასა და მასალების დაგროვებას და გაშუქებას მოითხოვდა, ვიდრე ეს კაპანელმა მოგვცა,

ამასთან ერთად არ შეიძლება არ შევეხოთ აქ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საკითხსა და „დასების" წარმოშობის იმ კლასიფიკაციას, რომელსაც იძლევა ავტორი თავის წიგნში. კაპანელი წერს:

„სოციალური ფსიქოლოგიის მიმდინარე ინტერესები იწვევენ ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეთა დაჯგუფებებს აუცილებლად: 1861 წ. გამოდის ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, 1866 წელს — მეორე ჯგუფი ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით, 1893 წ. — მესამე ჯგუფი. პირველი და მეორე დაჯგუფება უმეშვეოდ გამომდინარეობს ისტორიულ-ნაციო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალურ განცდათა დომინანტებიდან. ამ დაჯგუფებათათვის მომენტი ისტორიულ-ნაციონალური, ტერიტორიალურ-კულტურული ფარავს სოციალურ-ეკონომიურ მომენტს. ქართული ყოფის რეფლექსებში კიდევ სჭარბობენ წარსულის—idée force—სული გავლილი ეპოქის. სოციალური და ეკონომიური საკითხები აქ რეალურად ისახებიან. მაგრამ მაინც ვასალურ დამოკიდებულებაში არიან ისტორიულ ინდივიდუალიზმთან. (?) მესამე დაჯგუფების სოციალურმა არემ უკვე გახლიჩა ტრადიციის ჩვენთა ისტორიულ-რომანტიული კოორდინატები ეკონომიური ინტერესებით და კლასთა წინააღმდეგობებით... პირველი დაჯგუფება იყო ფეოდალურ-არისტოკრატიული; მეორე—ისტორიულ-დემოკრატიული, მესამე — სოციალისტური; პირველი დაჯგუფება გამომდინარეობდა ფეოდალური არისტოკრატიის სოციალური ფსიქოლოგიიდან და მიემართებოდა დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმისაკენ, მეორე დაჯგუფება ცდილობდა ქართული კულტურის ევროპიიზაციას ახალი იდეებით: მესამე დაჯგუფება ისახავდა რევოლუციასა და ბრომის კულტურას" (გვ. 128, 150).

რასაკვირველია, ასეთი კლასიფიკაცია და პერიოდიზაცია დღეს ვერავის დააკმაყოფილებს. ავტორს, როგორც ჩანს, არა აქვს შესაფერისად შესწავლილი და „გააზრებული" ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორია მე-19 საუკუნეს მეორე ნახევარში.

1. დავიწყოთ იქედან, რომ კაპანელის წიგნში აღნიშნული პერიოდიზაცია ქართული დასების განვითარებისა ავტორის ორიგინალური კვლევის ნაყოფს არ წარმოადგენს: იგი მექანიკურად გადმოწერილია პროფ. ა. ხახანაშვილის წიგნიდან (იხ. რუსულად მისი „სიტყვიერების ისტორია" გვ. 120-22). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ალ. ხახანაშვილს ეს სქემა მთელი თავისი ფაქტიური მასალებით გადაწერილი ჰქონდა გ. წერეთლის წერილებიდან (იხ. „კვალი", № 46. 1897 წ). კაპანელმა, რასაკვირველია, წყარობის დაუსახელებლად გადმოსწერა და საზოგადოებას მიაწოდა იგი, როგორც თავისი ორიგინალური კვლევის ნაყოფი.

2. 1866 წ. გაზ, „დროების" დაარსება იკისრა სხვა ჯგუფმა და ნ. ნიკოლაძეს მასში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, იგი მაშინ საზღვარგარეთ იყო. მხოლოდ 1869 წ. შედგა „ახალი ჯგუფი" გ. წერეთლის, ს. მესხისა და ნ. ნიკოლაძის მეთაურობით, რომელიც „ახალი ახალგაზრდობის" სახელწოდებით არის ცნობილი ჩვენს ლიტერატურაში (მისი სამოღვაწეო პროგრამა ვრცლად არის გარჩეული ნ. სკანდელის წერილში „ახალი ახალგაზრდობა", იხ. „კრებული", № 1, 1873 წ.).

3. მთლიანად აღებული ეს „სქემა" არ არის სრული და არც სწორი. აქ არ არის მიღებული მხედველობაში 60-იან წლებამდე არსებული ჯგუფები. მაგ. 30-იანი წლების ჯგუფი (ს. დოდაშვილი, დ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი და სხვ.); თვით „ცისკრის" ჯგუფი, როგორც კონსერვატიული თავადაზნაურობის ინტერესების გამომხატველი, ამ სქემიდან ამოშლილია. სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო გამოტოვებულია ნაროდნიკული ჯგუფები, რომელთაც საკმაო რევოლუციონური როლი ითამაშეს ჩვენი ახროვნების განვითარების საქმეში და რომელნიც არსებითად გამოხატავდენ წვრილი ბურჟუაზიის — გლეხურა ფენების იდეოლოგიას. ამ ცნობიდანაც მკითხველი ნათლად ხედავს, რომ კაპანელი სხვა მკვლევარებიდან მექანიკურად ითვისებს დებულე-

ბებს და შემდეგ ცდილობს თავისი ბუნდოვანი „კუთხებრივი“ თეორიათ ჩადვას შიგ. მაგრამ შეუძლებელია ლიტერატურის ისტორიის სათანადო შესწავლა, თუ არა გაქვს გამორკვეული და შესწავლილი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორია, რადგან ლიტერატურა საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი თავისებური ფორმათაგანია.

4. არ შეიძლება არ მივუთითოთ აქ ერთ აშკარა გაუგებრობაზე: 1861 წლის ჯგუფს იგი არისტოკრატიულ-ფეოდალურად ნათლავს, ხოლო მისი მეთაური ი. ჭავჭავაძე სხვა თავის ნაწერებში კაპანელს რევოლუციონერად და სოციალისტათაც კი ჰყავს გამოყვანილი. მეორე მხრივ, „ცისკრის“ შესახებ წერს: „ვორონცოვი და მისი დახმარებით გამოსული ჟურნალი „ცისკარი“ ცდილობდენ ამ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას“ (გვ. 87). „ჩაგვრისა და შეურაცხყოფის გრძნობა (??) ქართველ ინტელიგენციას ამუშავებს მასიური მიმართულებით: „ცისკარი“ ამ მასიური და დემოკრატიული ტენდენციის პირველი ფორმაა“ (გვ. 105). კონსერვატორულ მემამულეთა ორგანო „ცისკარი“, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მზრუნველობით დაარსდა, დემოკრატიულ-ლიბერალურ მიმდინარეობად არის გასაღებული, ხოლო მისი მოწინააღმდეგე ახალი თაობის ჯგუფი—არისტოკრატიულ-ფეოდალურად. ეს, რასაკვირველია, ისეთი შეცდომაა და წინააღმდეგობა, რომელიც მხოლოდ კაპანელს შეიძლებოდა მოსვლოდა, რომელსაც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია ზერელეთაც არ შეუსწავლია.

5. ზემოდაღნიშნულ დაჯგუფებათა შესახებ არსებითად უნდა ითქვას შემდეგი: 1861 წლის ახალი ჯგუფი თავისი კლასიურ-სოციალური საფუძვლებითა და მიზნებით ბურჟუაზიული აზროვნების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა ჩვენში და მისი პროგრამა რადიკალურ და ლიბერალურ-დემოკრატიული შინაარსის იყო. ამ ჯგუფის შემდგომმა განვითარებამ და დიფერენციაციამ, რომელიც გამოიწვია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და ეკონომიური ურთიერთობის შემდეგმა განვითარებამ და კლასიურ-სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავებამ, მოგვცა, ერთი მხრივ, „ი ვ ე რ ი ი ს“ თ ა ვ ა დ - ა ზ ნ ა უ რ უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი და მეორე მხრივ—1869 წლის „ა ხ ა ლ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს“ რადიკალურ-დემოკრატიული ბურჟუაზიული პროგრამა.* ნ ა რ ო დ ნ ი კ უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი და ო რ გ ა ნ ო ე ბ ი („იმედი“, 1881-83 წ.) გამოხატავდა წვრილბურჟუაზიული ფენების რადიკალურ-სოციალისტურ და დემოკრატიულ იდეოლოგიას, ხოლო „კვალის“ გარშემო 90-იან წლებში, ასე ვთქვათ, მოხდა ბლოკი სამ მიმდინარეობას შორის: რ ა დ ი კ ა ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს (გ. წერეთელი და სხვ.), წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ - რ ა დ ი კ ა ლ უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს (ნ. ჟორდანია და სხვ.)—აქედან შემდგომ განვითარდა ქართული მენშევიზმი—და პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ - მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი ს (ფ. მახარაძე, ე. ნინოშვილი, ალ. წულუკიძე და სხვ.). -აქედან შემდგომ წარმოიშვა საქართველოს ბოლშევიზმი. სწორედ ამ კლასიურ-სოციალური თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ქარ-

* როგორ დიდსა და საინტერესო მასალას იძლევა, კაპანელმა რომ იცოდეს გ. წერეთელი თავის „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ს ა“ და „გ უ ლ ქ ა ნ შ ი“ 60-იანი წლების ქართველ ინტელიგენციის დაჯგუფებათა შესახებ და „თერგდალეულთა“ და „ახალ ახალგაზრდობის“ შორის წარბული ბრძოლის შესასწავლად?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუცია ჩვენში. დიფერენციაცია საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კლასთა ბრძოლის გამწვავება ბუნებრივად იწვევს გამოძახილს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი დაინტერესებულიყო, ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი გამოეძებნა და გამოემეღავნებია ჩვენი მწერლების კლასიური სახე, იგი არსებითად თავისი „კუთხებრივი" თეორიის თვალსაზრისით იხილავს პრობლემებს. მოვუსმინოთ კაპანელს: „კაპიტალიზმის იდეოლოგია საქართველოში ვითარდებოდა უმთავრესად ცენტრებში და შავი ზღვის გარშემო; სხვა კუთხეებში დარჩა სხვა სახის სოციალური არე, სხვა სახის შეხედულება და იდეოლოგია" (გვ. 163-4). ასე ტერიტორიალურად დაკუთხვა იდეოლოგიისა, მართლაც, კაპანელის „ორიგინალური" ნიჭის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ავტორი ბეჯითად დარწმუნებულია, რომ „თითოეულ მიწა-წყალზე თავისებურია ყოფა ადამიანთა, თავისებურია წარმოება, ბუნების ძალების გარდაქმნა, თავისებურია ჩვევა მოდგმათა" (გვ. 14). კაპანელი დაჟინებით აღნიშნავს, რომ „დღევანდელ პირობებშიაც არის საქართველოს ტერიტორიაზე მთელი რიგი კულტურულ-ეტნოგრაფიული თავისებურობა: სვანეთი, სამეგრელო, რაჭა, მთიულეთი, წარმოადგენენ ისეთ ბიოსფერულ ერთეულებს, რომელთაც აქვთ თავიანთი შინაგანი ეტნოგრაფიულ-კულტურული ღირსებანი და რომელნიც მეტად განსხვავდებიან ზოგადი ქართული კულტურის ინტერესების თავისებურობისაგან" (გვ. 86). რასაკვირველია, კაპანელის „კუთხებრივი" თეორიით „ზოგად ქართულ კულტურაზე" ლაპარაკი შეუძლებელია, მაგრამ საინტერესოა ის საკითხი, თუ როგორ უკავშირებს ავტორი ლიტერატურულ იდეოლოგიას ამ ბიოსფეროებს. ავტორი წერს: „აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა ისტორიულად ცხოვრობდენ თითქმის ერთ და იმავე დროს, მაგრამ განა თითოეული მათგანის ლიტერატურულ-ესთეტიური მიღწევები არ არის მოქცეული გარკვეულ ბიოსფეროში? განა ლიტერატურული კომპოზიცია აკაკი წერეთლისა მისი მსუბუქი თქმებით, პატრიოტული რომანტიზმით, დენადი და ცქრიალა სახეებით არ წარმოადგენს იმერეთის ბიოსოციალურ დეტერმინიზმს? განა ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი სიბრძნით, სიმბოლიზმით და სიტყვათა წყობით არ არის ფშავ-ხევსურეთის ფსიქო-გენეტიურ ლტოლვათა განსახიერება" (გვ. 15). აღნიშნავს რა „ბიოსფერულ" განსხვავებას რუსეთის სლავიანოფილებსა და ზაპადნიკებს შორის, ავტორი განაგრძობს: „განა ასეთივე მოვლენა არ იყო საქართველოში" (გვ. 27). ავტორი სრულიად დარწმუნებულია, რომ საქართველოშიაც „ლიტერატურული ევოლუცია სოციალური არეების რეფლექსოლოგიაა". ამრიგად კაპანელის გადაჭრილი ცდა არის — თითოეული მწერალი „დაკუთხოს" და „ბიოსფეროლოგიის" საზომით განიხილოს. მაგრამ რადგან ეს მოუხერხებელი და შეუძლებელია, თავის თავად ცხადია, ეს ცდა სასტიკი მარცხით თავდება.

მოვიყვანოთ ერთი საინტერესო ნიმუში ასეთი „გაუგებრობისა". კაპანელი წერს: „მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კულტურა თვით ცენტრშიაც დანაწილებული იყო ბიოსფერულად: გრიგოლ ორბელიანი თავისებური არგუმენტაციებით ებრძოდა სავაჭრო კაპიტალის იდეოლოგიას და ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეებს. ვორონცოვი და მისი დახმარებით გამოსული ჟურნალი „ცისკარი" ცდილობდენ ამ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას" (გვ. 87). დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ „ცისკარი" ლიბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალურ-დემოკრატიული აზრების მქადაგებელი არ იყო, რომ გრ. ორბელიანი ერთ-ერთი თანამშრომელი და სულის ჩამდგმელი იყო „ცისკრის"-ა, რომ მათ შორის არავითარ „ბიოსფერულ" განსხვავებას არ ჰქონია ადგილი. მაგრამ ავტორი მარტო ამით არ კმაყოფილდება და მეორე ადგილას იგი წერს: „აოხრებულსა და ეკონომიურად დაუძლურებულ საქართველოში ცინიკური და ყარაჩოღული სოფლშეგრძნობა აერთებდა ერთმანეთთან ფეოდალსა და გლეხს. რ ა ო დ ე ნ ა დ უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ე რ თ ნ ა ი რ ა დ ა ვ ი წ ყ ო ე ბ დ ა დ ა ა წ უ ხ ე ბ დ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ფ ე ო დ ა ლ ს ა დ ა ქ ა რ თ ვ ე ლ გ ლ ე ხ ს, ი მ დ ე ნ ა დ მ ა თ ჰ ქ ო ნ დ ა თ ე რ თ ნ ა ი რ ი ს უ ლ ი ე რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა (ხაზი ჩემია ს. ხ.). სწორედ აქედან გამომდინარეობს ფსიქოლოგიურად გრიგოლ ორბელიანის ყარაჩოღული ქცევა, მისი ეპიზოდური და ექსპრომტული დემოკრატიზმი: ქართველი ფეოდალი ხედავს რა თავის საბრძანებელს სხვის ხელთ, დემოკრატიულ-ბუნტარულ სერზე დგება და ქადაგებს: carpe diem" (გვ. 98).

განა ვინმესათვის დღეს სადაო არის ის, რომ „უცხო ქვეყანა" ა/კავკასიაში ეყრდნობოდა მემამულეებს, რომ ქართველი თავად-აზნაურობა" ტახტში ხედავდა თავის დამცველ ძალას, და გრ. ორბელიანი ამ პოლიტიკური პროგრამის გამტარებელი არ იყო? განა ზღაპრული ამბავი არ არის „ფეოდალობისა და გლეხობის ერთნაირი სულიერი ცხოვრების" შესახებ ლაპარაკი, განა ამავე გაუგებრობის ნაყოფი არ არის რეაქციონერ გრიგოლ ორბელიანის დემოკრატიულ ბუნტარულ ეპიზოდებზე წერა?

ასეთი ბუნდოვანებით და წინააღმდეგობებით არის აღსავსე კაპანელის წიგნი. მისმა „კუთხებრივობის" თეორიამ გლეხი და ფეოდალი, ეს ორი მოწინააღმდეგე სოციალური კლასი, გააერთიანა სულიერად და ერთმანეთს დაუკავშირა მეგობრულად. აქ ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული, რომ კაპანელის კუთხებრივობის თეორიას ბუნებრივად და ლოგიკურად მივყავართ კლასთა თანამშრომლობამდე და მშვიდობიანობის ღიარებამდე. იქ, სადაც თეორიული მოსაზრების გამოსავალი წერტილი „კუთხეა" და არა „კლასი", აუცილებლად ასეთს გაუგებრობებთან გვექნება საქმე.

ქართული ლიტერატურის ისტორია და საერთოდ ქართული ლიტერატურის პრობლემები მეცნიერულად მაშინ იქნება დამოწმებული, როდესაც მისი კვლევის საქმე მარქსისტული თვალსაზრისით იქნება განხილული. ეს თვალსაზრისი კი მოითხოვს ლიტერატურის პრობლემების კლასთა ბრძოლასთან დაკავშირებას, ლიტერატურულ ნაწარმოებებში სოციალური ურთიერთობის აღმოჩენასა და მასში გატარებული კლასიური იდეოლოგიის გამორკვევას. „კუთხებრივობის" თეორია, თავისი შინაარსით დაბნეული და არამეცნიერული, უძლურია გაერკვეს ქართული ლიტერატურის ისედაც რთულსა და დაუმუშავებელს საკითხებში.

კაპანელი თავის წიგნს იწყებს „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს" განხილვით. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ მასალის დამუშავებაზე კაპანელის „კუთხებრივობის" თეორიამ საკმაოდ დიდი მარცხი განიცადა. ავტორს „სოციალურ არედ" აღებული აქვს მეტად ფართო მასშტაბი და რუსთველის შემოქმედება მას მიაჩნია მთელი მაშინდელი მსოფლიო კულტურის ნაყოფად. „დამასკიდან საქართველოშიაც შემოდიოდა მსოფლიო კულტურის თვალსაჩინო ფორმები", — ამბობს კაპანელი ერთ ადგილას და იმ დროს ავიწყდება თავისი ნათქვამი: „არ არსებობს მსოფლიო კულტურა" (გვ. 19). „საქართველოც ისტორიულად ვერ დარჩე-

ბოდა კულტურული მსოფლიოს გარეშე" — განაგრძობს ავტორი და აქ კი იგი სრულ სიმართლეს აღნიშნავს, რადგან მაშინდელი საქართველო თავისი ეკონომიური პირობებით მოქცეული იყო მაშინდელი მსოფლიო კულტურის დიდი გავლენის ქვეშ.

სრულიად სამართლიანად მიაქცია ყურადღება ავტორმა იმ მსოციალურ კლასებს, რომელიც ასახულია რუსთველის შემოქმედებაში. „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი გადაშლილია უკვე საკმაოდ მომწიფებული ფეოდალური უთიერთობის ფონზე, რომელშიაც შეჭრილია სავაჭრო კაპიტალი თავისი შინაარსით. კაპანელს შეეძლო უფრო მეტი სავაჭრო კაპიტალისათვის დამახასიათებელი მომენტები მოეყვანა „ვეფხისტყაოსნიდან", თუგინდ ეს ტაეპი რად ღირს სავაჭრო კაპიტალისტური ურთიერთობის დასახასიათებლად:

> დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოებენ:
> იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ:
> გლახა თვე-ერთ გამდიდრდების, სავაჭროთა ყოველგნით ჰკრეფენ,
> უქონელნი წელიწლამდის საქონელსა დაიდებენ...

უდავოა, და ამაში კაპანელი სრულიად მართალი, რომ რუსთველმა თავის ნაწარმოებში ასახა ის სოციალური ურთიერთობა, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ საქართველოს. მაგრამ ძირითადი საკითხი, თუ რომელი კლასის იდეოლოგიასა და ინტერესებს გამოხატავდა შ. რუსთველი, ვერ გადაწყდება იმის აღნიშვნით, თუ როგორი სოციალური მასალები გამოიყენა მან თავის ნაწარმოებში, როგორც ფონი თავისი მიზნების გასაშლელად. რუსთველი მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგია, იგი იმ სოციალ-პოლიტიკურ სისტემას შესტრფოდა, რომელიც ფეოდალურ წყობილებაში გამოიხატებოდა. რუსთაველის თქმა:

> რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
> მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს...

არსებითად გამომხატველია მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის მსოფლმხედველობის და მიზნების მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვის საქმეში. აი, ამ ფეოდალური თვალსაზრისით განსჭვრიტა რუსთველმა მაშინდელი ყოფა და ასახა იგი მხატვრული მხრივ მეტის-მეტად მიმზიდველ ნაწარმოებში. იმ საზოგადოებრივი წყობილებისათვის, რომელსაც შესტრფოდა და აქებდა რუსთველი, ვაჭართა ფენები დამორჩილებულ სოციალურ ძალას წარმოადგენდენ და იგი საჭირო იყო ფეოდალის არსებობისა და მისი ეკონომიური კეთილდღეობისათვის. დიდი ვაჭრების დაბეგვრა და „დარბაზს მიღება ძღვნითა" ნათლად გამოხატავს იმ სოციალ-ეკონომიურ ფუნქციას, რომელსაც ვაჭართა ფენები ასრულებდენ ფეოდალური წყობილების სისტემაში თვით რუსთველის გაგებით. ისე, როგორც მონისა და ყმის, „მუშის მიწყივ მუშაკობა" წარმოადგენდა ეკონომიურ აუცილებლობას „მეომარის გულოვნობისათვის", აგრეთვე რუსთველისავე შეხედულებით ვაჭარი და ვაჭართა ფენები წარმოადგენენ იმავე „მეომართა" არსებობისა და ფუფუნების დაუშრეტელ წყაროს. კაპანელმა სრულიად არ გამოარკვია რუსთველის მსოფლმხედველობის იდეოლოგიურ-კლასიური ბუნება და ამიტომ ვერც იმის გამოარკვევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესძლო, თუ როგორს სოციალურ-ეკონომიურ ფუნქციას ასრულებდენ ვაჭართა ფენები რუსთველის გაგებით. რუსთველის გაგებით, ვაჭრობდა მომწყვდეული არის ფეოდალური სისტემის რკალში და ვაჭართა ფენებიც ერთ-ერთ მორჩილ საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენს გაბატონებული წოდებისათვის.

მიუხედავად ამ შეცდომებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპანელს ეს თავი შედარებით უფრო დაუმუშავებია, ვიდრე რომელიმე სხვა ნაწილი თავისი წიგნისა.

კაპანელმა ვერ გამოარკვია და ვერ მოგვცა იმ დიდი ისტორიული პროცესის შინაარსი, რომელიც გ. ერისთავის მოღვაწეობის პერიოდში ხდებოდა საქართველოში და რომელმაც მდიდარი მასალა მისცა გ. ერისთავს თავისი შემოქმედების გასაშლელად. რუსეთის თვითმპყრობელობის განმტკიცებით საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში დაიწყო, ერთი მხრივ, რღვევა ნატურალური მეურნეობის ფორმებისა და მეორე მხრივ, სავაჭრო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება; ამას შედეგად მოჰყვა ღრმა ცვლილება სოციალურ ურთიერთობაში: თავად-აზნაურობის დაცემის პროცესი, წოდებათა შორის დამოკიდებულების გამწვავება, „მოქალაქე"—ბურჟუაზიული ფენების განვითარება. ამ ისტორიულ პერიოდში ამეტყველდა გ. ერისთავის რეალიზმი. მაგრამ გ. ერისთავი თავად-აზნაურობის იდეოლოგია, იგი მემამულის თვალსაზრისით იხილავს მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას, იგი მომხრეა საზოგადოებრივი პიროებების გაუმჯობესებისა, მაგრამ ბატონყმურ წყობილების დაურღვევლად. ეს არ ესმის კაპანელს და არც უნდა დაინახოს: ავტორი სრულიად არ ცდილობს გაარკვიოს ის სოციალ-კლასიური თვალსაზრისი, რომლის გამომხატველიც ერისთავი იყო. საინტერესოა კაპანელის შემდეგი ბუნდოვანი დებულება: „გიორგი ერისთავის სოციალური დიაგნოზი მართლდება, მაგრამ სანამ კაპიტალიზმი შექმნის ფეოდალურ სახელმწიფოებრივობისა და ზნეობის ნანგრევებზე თავის მტკიცე და გარკვეულ ყოფას, საზოგადოებაში დადიან (?) მრავლად საეკვო პირები, ნაძირალები, ლუმპენ-პროლეტარები" (გვ. 99).

ავტორს უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი კატეგორიის ხალხის არსებობა უმთავრესად კაპიტალისტური ურთიერთობის შედეგი იყო. მეორე მხრივ, გ. ერისთავის „სოციალური დიაგნოზი" სულ სხვა რამეში გამოიხატებობა. გ. წერეთელი ერთ თავის მოგონებაში წერდა: „გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი და დრამატურგი გ. ერისთავი სავსებით არ იყვნენ ეროვნული პრინციპებით გატაცებულნი, გ. ერისთავმა 1864 წ. სათავადაზნაურო კრებაზე სთქვა: რალა ვვეშველება? ხომ დავიღუპეთ, გლეხები რომ ყმებად მოგვეშალონო? მას ბანს აძლევდენ გრ. და ვახტ. ორბელიანები. მათი ეროვნული პრინციპები მარტო თავადაზნაურობის კეთილდღეობაში გამოიხატებოდა" (იხ. „კვალი, № 6, 1895 წ). როგორც ვხედავთ, კაპანელს სრულიად ვერ გაუგია გ. ერისთავის „სოციალური პროგნოზი" და, ცხადია, ვერ შესძლო მისი სოციალური მიზნების სისწორით დახასიათება*. როგორც აღვნიშნეთ, კაპანელმა თავის წიგნში სრულიად დაუ-

* პირდაპირ დაუშვებელია და მასთანვე აღსანიშნავი წიგნში ისეთი შეცდომები: „გ. ერისთავის სიკვდილის შემდეგ ანტონოვი დანიშნეს თეატრის დირექტორად, მაგრამ მალე გარდაიცვალა" (99—100). გ. ერისთავი გარდაიცვალა 1864 წ., ანტონოვი 1854 წ. ანდა ასეთი „ლაპსუსები": „1863-64 წ კარაკოზოვისა და ნეჩაევის რევოლუციონური აქტები არყევდენ მონარქიული რუსეთის მყუდროებას" (გვ. 126). კარაკოზოვის აქტი 1866 წ. მოხდა, ნეჩაევმა 1869 წ. მოჰკლა თავისი ამხანაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთებლად შეიტანა გრ. რჩეულიშვილი. ეს ამტკიცებს იმას, რომ ავტორს მასალების შერჩევის შესაძლებლობა არა აქვს.

ჩვენი ავტორი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ლ. არდაზიანის რომანს, რომელიც მისი თქმით „წარმოადგენს პირველი ქართველი კაპიტალისტის ავტობიოგრაფიას" (გვ. 106). „ეს მთელი ავტობიოგრაფიაა კაპიტალიზმის პროცესისა" (გვ. 109). „მეჯღანუაშვილმა ერთგვარად გარდაქმნა ცხოვრება თავისი ძლიერი ნებითა და სურვილებით" (გვ. 113). „სოლომონ მეჯღანუაშვილს ახასიათებს დიდი კაპიტალისტის თვისებები: თავის მოწინააღმდეგეს ისე მოხერხებულად ებრძვის, როგორც რომელიმე ამერიკელი ფორდი თავის მტრებს" (გვ. 109). ამრიგად, ჩვენი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრების ფონზე გამოსული ჩარჩი-ვაჭარი კაპანელს ამერიკელი დიდი კაპიტალისტის თვისებებით დაუჯილდოებია და ამ ჩარჩის საქმიანობა ჩვენი ცხოვრების გარდამქმნელ მთავარ ძალად წარმოუდგენია. საინტერესოა, — იქ, სადაც კაპიტალის პირველადი დაგროვების უხეშ, განუვითარებელ ფორმებთან გვაქვს საქმე, რომელიც ადვილად ეგუებოდა ბატონყმურ ურთიერთობას, კაპანელს უაღრესად განვითარებული კაპიტალიზმი ეჩვენება. „ამრიგად საქართველოში წარმოებს ჩქარი ტემპით ისტორიული კულტურის კაპიტალიზაცია და ამ კაპიტალიზაციის სოციალურ არეშია მოქცეული ყველა" (გვ. 106). ჩვენი ისტორიული ცხოვრების ასეთი ყალბი განმარტებით, რასაკვირველია, ქართული ლიტერატურის სოციალურ საფუძვლებს ვერ გამოვარკვევთ.

როგორც ზემოთ ვწერდით, ქართველი გლეხის სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობას რეფორმის მომდევნო პერიოდში განსაკუთრებული სიმძლავრით გადმოსცემენ ნაროდნიკი მწერლები, — რაც კაპანელს სრულიად არ გახსენებია თავის წიგნის წერის დროს — და ე. ნინოშვილი. უკანასკნელის შესახებ ავტორი იმეორებს რა ჩვენს ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ აზრებს, კაპანელს ქართველი გლეხის ეკონომიური მდგომარეობის დახასიათების დროს ისეთი დიდი შეცდომა აქვს დაშვებული, რომელიც არ შეიძლება არ აღინიშნოს. ავტორი ფიქრობს, როგორც ზემოთაც დავინახეთ, რომ ქართველი თავად-აზნაურობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღარ წარმოადგენს საგრძნობ სოციალურ ძალას. გატაცებული ამ ყალბი აზრით, იგი ვერ ხედავს იმ ღრმა წინააღმდეგობებს, რომელიც მემამულესა და გლეხს შორის არსებობდა. ეს ფაქტი ე. ნინოშვილის ნაწარმოების მიხედვით მტკიცდება. კაპანელი კი წერს: „ქართველ გლეხს არა მარტო მონარქიის ჩინოვნიკობა აწუხებს, არამედ მისი კლასობრივი მტერიც: კაპიტალიზმი შემოიჭრა ქართულ სოფელში და სოფლის მოსახლეობა ორ ახალ კატეგორიად იყოფა. წინად იყო ერთი მხრით თავად-აზნაურობა, მეორე მხრით — გლეხობა. ახლა — ერთი მხრით ბურჟუაზია. ახალი კლასი, ხოლო მეორე მხრით — დაღარიბებული გლეხობა თავისი ოჯახით" (გვ. 154). კაპანელს რომ დაკვირვებით წაეკითხა ე. ნინოშვილის ნაწერები, იგი ნათლად დაინახავდა სოფლის ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად მძლავრ მემამულეთა წოდებას, რომელიც გლეხობის ჯერ კიდევ საშინელ ექსპლოატაციას ეწეოდა, „პალიასტომის ტბა"-ში ივანე ეუბნება თავის შვილს: „ამ ხეების ფასით მებატონისაგან მიწას დავიხსნიდი თავს გავითავისუფლებდი, ჰეი, ერთი იმ ნადელის გადასახადს მომაშორა და მომკლა, აღარ ვჩივი... ერთი იი ბატონი მეეშორო თავიდან. მენადელე კაცი ბატონის ყმაია, იფიქრე, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უცბათ ფეხი გაგეშალოს, ჩემს ობლებს ნადელის გადასახადში დააწინდრებენ: მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს,—ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის ბედი" (ტ. II გვ. 60—61). კაპანელს წარმოუდგენია, რომ ჩვენს სოფელში წმინდა კაპიტალისტური წყობილებაა განმტკიცებული და სრულიად ვერ დაინახა ის, რაც ახასიათებდა ე. ნინოშვილის შემოქმედებას გლეხთა მდგომარეობის დასურათების საქმეში.

ასევე ზერელე და დაუსაბუთებელია თავი დანიელ ჭონქაძის შესახებ, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „ფეოდალური კულტურის გადანაშთები და კლასთა ბრძოლის იდეა". ავტორმა ვერ შესძლო დაეკავშირებია დ. ჭონქაძის შემოქმედება იმ ღრმა შინაარსის ეკონომიურ-სოციალური ხასიათის კრიზისთან, რომელიც მაშინდელ საქართველოში სწარმოებდა. ეკონომიურად ეს კრიზისი გამოიხატებოდა ნატურალურ მეურნეობის რღვევასა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებაში; სოციალურად—მთელი ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის შერყევაში, სოციალური კლასების დაჯახებაში—მემამულეთა და გლეხთა იარაღით ხელში დაპირისპირებაში. დანიელ ჭონქაძეც გამომხატველი იყო სწორედ იმ გარდამავალი პერიოდისა, როდესაც ძველი დახავსებული საზოგადოებრივ წყობილებიდან ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის მშობიარობის მძიმე პროცესი ხდებოდა და დ. ჭონქაძე ამ პროცესს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით ასახავდა; იმ ფენის თვალსაზრისით, რომელიც ვეღარ ეტეოდა ბატონყმური ურთიერთობის ჩარჩოებში და ყოველის გზით ცდილობდა მის დანგრევას. ასეთი განუყრელი რგოლებით არის გადაბმული ერთიმეორეზე მაშინდელი სოციალური პირობები და დ. ჭონქაძის შემოქმედება.

სოციალურ პრობლემათა გამოსარკვევად, ჩვენი ცხოვრების ისტორიული ვითარების გასაგებად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იშვიათ მასალას იძლეოდა თავისი ლიტერატურული შემოქმედებით გ. წერეთელი. ამ მრავალფეროვანმა და ნიჭიერმა ბელეტრისტმა თავისი შემოქმედების ტილოზე ასახა, ერთი მხრივ ძველი ბატონყმური ურთიერთობის რღვევის პროცესი და მეორე მხრივ. ახალი საზოგადოებრივი წყობილების გინვითარება მთელი თავისი ეკონომიური, სოციალური და იდეოლოგიური ფორმაციებით. თუ „ჩვენი ცხოვრების უკვალილის", „გულქანს" და სხვ. ფონზე გადატანილია ბატონყმური ურთიერთობის სურათები, სამაგიეროდ „მგზავრის წიგნი", იგივე „გულქანი" გვიშლის 60-70-იანი წლების პერიოდს, ხოლო „პირველი ნაბიჯის" ფურცლებზე ისახება შემდეგი პერიოდი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა. აღსანიშნავია სწორედ ის, რომ „მგზავრის წიგნსა" და „გულქანში" გ. წერეთელი შეეხო ქართველი ახალი თაობის ინტელიგენციის ჩამოყალიბების პროცესსა და გადმოგვცა მათი ბრძოლის შინაარსი („თერგდალეულნი" და „ახალი ახალგაზრდობა"). და ამ მხრივ ავტორს პირდაპირ წამოყენებული აქვს თავის რომანში ისტორიული ფაქტები. ამ ფონის შესწავლა მკვლევარს საშუალებას აძლევს გამოარკვიოს, თუ როგორ ისახებოდა ინტელიგენციის აზროვნებასა და საქმიანობაში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ზეგავლენა, მისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. კაპანელს ამ მიმართულებით არ უცდია საკითხის შესწავლა. იგი დაკმაყოფილებულა რამდენიმე მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოღებით და თავის ჩვეულებრივი მომაბეზრებელი „კუთხებრივი—

ორგანოტროპიული“ ვარჯიშობით. წარმოიდგინეთ, ორიოდე ფაქტს გადმოგვცემს გ. წერეთლის ცხოვრებიდან და ისიც დომხალივით არეულია ერთმანეთში და შეცდომებით სავსე. გარდა ამისა, კაპანელი წერს: „მისი რომანი „გულქანი“... წარმოადგენს „პირველი ნაბიჯის“ გაგრძელებას. სოციალური ფენები და წრეები, დახასიათებული „გულქანში“, ნამდვილი მემკვიდრეა იმ სოციალური ფენებისა და წრეების, რომელიც დახასიათებულია და გამოყვანილი „პირველ ნაბიჯში“ (გვ. 188). ავტორი რომ საფუძვლიანად გასცნობოდა საკითხს, მაშინ წინააღმდეგს იტყოდა; „პირველი ნაბიჯი“ გაგრძელებაა „გულქანის“; მართლაც, „გულქანის“ პირველი თავები პირველად დაიბეჭდა 1868 წელს „დროება“-სა და „სასოფლო გაზეთში“, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. „გულქან“-ში გაშლილია ბატონყმური პერიოდის ფონი და 60—70-იანი წლები (ბრძოლა საბანკო არჩევნებზე, თავად-აზნაურობის კრებები, „თერგდალეულთა“ თაობა, „ახალი ახალთაობა“ და სხვ.)—„პირველი ნაბიჯი“ სწორედ ამის გაგრძელებაა თავისი თემატიკითა და ფაქტიური მასალით. ეს უნდა იცოდეს ლიტერატურის მკვლევარმა.

გ. წერეთელი რადიკალ-დემოკრატიული მოაზროვნე იყო და სწორედ ამ თვალსაზრისით უდგებოდა იგი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეს. მისი მსოფლმხედველობა არსებითად გამოხატავდა ბურჟუაზიულ მისწრაფებებსა და ბრძოლას ბურჟუაზიული ურთიერთობის განმტკიცებისათვის დემოკრატიულ ფორმებში. ასეთ მოაზროვნედ დარჩა იგი იმ პერიოდშიაც, როდესაც მარქსიზმს დაუახლოვდა და „მესამე დასთან“ დაიჭირა კავშირი. კაპანელი ზოგან სწორ -აზრს გამოსთქვამს გ. წერეთლის შესახებ; უკეთ — გადმოსწერს სხვისი ნარკვევებიდან: მაგრამ მისი დასაბუთება ამ დებულებებისა ძირშივე ყალბია. კაპანელი წერს: „გ. წერეთლის იდეალია წვრილბურჟუაზიული და უბრალო დემოკრატიული სოციალ-რეფორმიზმი. სოციოლოგიურად ასეც უნდა ყოფილიყო: ისტორიულ ტრადიციას არ ჰქონდა ამოწურული ინდივიდუალისტური კულტურის პოტენცია და საზოგადოებრივი ცხოვრება ერთგვარად მაგრდებოდა ძველი სოციალური ყოფის რეფლექსებზე: რევოლუციის სოციალური ბაზა მთლიანად არ იყო განთავისუფლებული ფეოდალური და ბურჟუაზიული ინტერესების ზღუდეებიდან“ (გვ. 131). მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს საკითხის ახსნა კი არ არის, არამედ მისი დაბნელება, რაც საერთოდ ახასიათებს კაპანელის წიგნს. განა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება „ინდივიდუალური კულტურის“ გაშლას არ ნიშნავს, წინააღმდეგ კაპანელის მტკიცებისა, ეს „პოტენცია“ ვერ ახერხებდა სათანადო ბურჟუაზიულ ფორმებში გაშლას „ფეოდალური ზღუდეების“ არსებობის გამო. მეორე მხრივ, თუ რევოლუციის სოციალური ბაზა მთლიანად იქნებოდა განთავისუფლებული „ფეოდალური და ბურჟუაზიული ინტერესების ზღუდეებიდან“, მაშინ რევოლუციაც კარგავს თავის მნიშვნელობას: იგი სწორედ ამ ზღუდეების დასანგრევად არის „მოგონილი“. „კლასთა ბრძოლის იდეას ანელებს ტერიტორიალური და ისტორიულ-რომანტიული ინდივიდუალიზმი“ (131)—წერს კაპანელი. ისტორიულად ამ იდეების „შენელება სურდა ბურჟუაზიას თავისი ჰეგემონიის გასამტკიცებლად, მაგრამ ისტორიულმა სინამდვილემ ეს სურვილი საპნის ბუშტივით დაამსხვრია. გ. წერეთელის პირით „ისტორიული ტრადიცია“ და „რეფლექსები“ კი არ მეტყველებდენ ჩვენს ლიტერატურაში, არამედ გარკვეული სოციალური კლასი, რომლის ინტერესებისათვის გ. წერეთელმა 90-იან წლებში მარქსიზმის და მუშათა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობის გამოყენება მოინდომა. ამ კლასიური თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული გ. წერეთლის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების ევოლუცია და მისი ლიტერატურული შემოქმედებაც.

მაგრამ დროა გავათავოთ. უნდა გულახდილად მოვახსენოთ მკითხველს, რომ კაპანელის წიგნის გარჩევა ერთობ ძნელი საქმე არის იმ წინააღმდეგობათა და ბუნდოვანების გამო, რომლითაც უხვად არის დატვირთული ეს შრომა. ჩვენ შევეცადეთ უმთავრეს და დამახასიათებელ მომენტებზე შევჩერებულიყავით; ამიტომ გვერდი აუხვიეთ კაპანელის წიგნის მრავალ სადაო და ყალბ დებულებას. როგორც სოციოლოგიურ და ლიტერატურის თეორიის საკითხებში, ისე ქართული ლიტერატურის ფაქტიური მასალების გაშუქების საქმეშიაც კაპანელის წიგნი მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას. ავტორის ცდა თითქმის იქითკენ იყო მიმართული, რომ მარქსიზმის მეთოდოლოგიაც გამოეყენებია „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისის" გაშუქების დროს. მართლაც, მარქსისტული ელემენტები კანტი-კუნტად გაბნეულია მისი წიგნის ზოგიერთ გვერდებზე, მაგრამ საერთოდ იგი გათქვეფილი და გალესილია „კუთხებრივობის" თეორიის ბუნდოვან ზღვაში. ერთ დროს ვფიქრობდი, რომ კაპანელი თავს გაინთავისუფლებდა ყოველგვარი სახის ეკლექტიზმისაგან და მარქსისტულ გზას დაადგებოდა. სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა. მისმა უკანასკნელმა წიგნმა ნათლად დაამტკიცა, რომ არც ისე, ადვილი ყოფილა ელექტიზმიდან თავის დაღწევა.

დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს მიერ კაპანელის შრომა მიღებული ყოფილა დამხმარე წიგნად მასწავლებელთათვის. ჩვენ ერთი რამ გვაინტერესებს გავარკვიოთ: „დახმარებაში" რას გულისხმობდა სამეცნიერო საბჭო,—ალბათ მასწავლებელთა დაბნევას, როდესაც ასე ანტიმარქსისტულ წიგნს აწვდიდა.

სიმონ ხუნდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ფილიპე მახარაძე—„ეგნატე ნინოშვილი“. 1930 წელი.

საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მთელ მანძილზე ნაციონალისტური ინტელიგენცია მტრულად იყო განწყობილი რადიკალურად და სოციალისტურად მოაზროვნე მწერლების მიმართ; ეს ფაქტები კლასობრივი ბრძოლით აიხსნება. კერძოდ ქართული ნაციონალისტური ინტელიგენცია ერთის მხრივ ებრძოდა რევოლუციონურად განწყობილ მწერლებს, ხოლო მეორე მხრივ — ცალკეულ ფეოდალური მწერლებს ფეტიშიზაციას ეწეოდა. ნაციონალისტური ინტელიგენციის ამ ტრადიციებს ერთგულად იცავს თანამედროვე რეაქციონური მწერლობაც (ვ. კოტეტიშვილი, ს. დანელია და სხ.).

რევოლუციონური მარქსიზმის პირველი წარმომადგენელი საქართველოში — ამბ. ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე — თავიდანვე შეებრძოლა ინტელიგენციის ამ რეტროგრადულ ტრადიციებს. ჯერ კიდევ 1904 წელს გამოვიდა ამბ. მახარაძის წიგნი: „დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე დ ა მ ი ს ი დ რ ო“, რომელშიაც ავტორმა ქართული სინამდვილის სოციოლოგიური ანალიზის შემდეგ განიხილა ლიტერატურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები. ამ წიგნს უდიდესი პოლიტიკური, ლიტერატურული და თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. დანიელ ჭონქაძეს, რომლის სახელის ხსენებაც კი ეზარებოდა ნაციონალისტურ ინტელიგენციას, ავტორმა სამართლიანად მიუჩინა შესაფერი ადგილი ლიტერატურის ისტორიაში, და ეს აუცილებელიც იყო. ჭონქაძე არ იყო დავიწყების ღირსი, მან თავის დროზე უდიდესი რევოლუციონური სიტყვა სთქვა; ჭონქაძემ აღიმაღლა ხმა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, — ამაშია მისი ისტორიული დანიშნულება.

ეგნატე ნინოშვილი უკვე გარკვეული მსოფლმხედველობის, რევოლუციონური მარქსიზმის მატარებელი მწერალი იყო. ის ამავე დროს პრაქტიკულადაც იბრძოდა ძველი წყობილების წინააღმდეგ. ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების მთავარი თემა კლასობრივი ბრძოლაა, ხოლო მისი მთავარი პერსპექტივი — რევოლუცია. აქედან სრულიად ბუნებრივი და ნათელია ის გარემოება, რომ ეგნატეს არა სწამდა ნაციონალისტური ინტელიგენციის ლაყბობა ეროვნულ იდეებზე, „თამარის დროზე“ და სხვა... პირიქით, ის მთელ სიცოცხლეში ებრძოდა ფეოდალურ და ნაციონალისტურ იდეოლოგიას, ამიტომ ხვდა მასაც ჭონქაძის „მწარე ბედი“.

უკანასკნელ ხანებში გამოვიდა ამბ. ფილიპე მახარაძის წიგნი „ეგნატე ნინოშვილი“; ეს წიგნი მიზნად ისახავს ნინოშვილის დროს, შემოქმედების და ცხოვრების გამოკვლევას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ავტორი აღწევს მიზანს, — ეს ნაშრომი მკითხველს მისცემს ნათელ წარმოდგენას ნინოშვილის იდეოლოგიისა და მხატვრობის შესახებ.

დასაწყისში ავტორი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ნინოშვილი „რევოლუციონერი — მარქსისტი იყო, რომელიც ფიქრობდა უკვე პროლეტარულ რევოლუციის მოხდენაზე“. „ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მარქსიზმის ისტორია ჩვენში“. ამრიგად, ნინოშვილი არა მარტო პროლეტარული ლიტერატურის, არამედ კომუნისტური პარტიის წინამორბედიც იყო ჩვენში. ამბ. ფ. მახარაძე ეხება მეცხრამეტე საუკუნის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ეტაპებს და აღნიშნავს ნინოშვილის პიროვნების ისტორიულ დანიშნულებას გლეხთა ზევიდან „განთავისუფლებამ„ დააჩქარა გლეხობის პროლეტარიზაციის პროცესი. იმავე დროს თანდათან იზრდებოდა სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი, რომელნიც ძირს

უთხრიდენ ნატურალურ მეურნეობას. „გასული მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან ვითარდება ჩვენში რკინის გზა, ქალაქის მსხვილი მრეწველობა, განსაკუთრებით ბაქოს ნავთის წარმოების ზეგავლენით იწყება აგრეთვე ჰიათურის მარგანეცის წარმოება და სხ... კაპიტალიზმს მოსდევდა მუშათა კლასის წარმოშობა და განვითარება. მაშინდელი ინტელიგენცია სულ ერთთავად მაღალ წოდებას, ე. ი. თავადაზნაურობას, ეკუთვნოდა“.

ავტორი იხილავს ინტელიგენციის მდგომარეობას, იგი პრაქტიკულად ეხება მესამოცე წლების მოღვაწეების, ნაროდნიკების და სხ. საქმიანობას. აქ განსაკუთრებით საინტერესოა „იბერიის“ პროგრამა, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ებრძოდა ყოველგვარ სიახლეს. მაშინდელი ეპოქის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის, ინტელიგენციის კლასობრივი დაყოფის და იდეოლოგიური დიფერენციაციის გარკვევის შემდეგ ავტორი ეხება ეგნატეს ბიოგრაფიას.

ეგნატე, როგორც უკვე ცნობილია, ძალზე ცუდ ნივთიერ მდგომარეობას განიცდიდა. ის იყო ღარიბესი გლეხის შვილი, ეგნატეს ბიოგრაფია ფაქტიურად თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ისტორიაა; ეგნატე მთელი თავისი არსებით იბრძოდა ძველი წყობილების წინააღმდეგ; ეს გარემოება ნათლადაა ნაჩვენები ამხ. ფილიპეს ხსენებულ წიგნში.

ავტორი იხილავს ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებას. როგორც ვიცით, ძირითად მომენტებში ეგ. ნინოშვილის შემოქმედება განვითარდა, როგორც მშრომელ გლეხკაცობის პროტესტანტული ფსიქოლოგიის მხატვრული ასახვა. მან რეალიზმის ჩარჩოებში გადმოგვცა ღარიბი გლეხობის მდგომარეობის მთელი სიდუხჭირე. თავისი ლიტერატურული ნაშრომების მთავარ თემად მან აირჩია კლასთა ბრძოლის მიმდინარე პროცესები. ამით მან უარჰყო ერის ფეტიშური წარმოდგენის და და „სამშობლოს სიყვარულის“ გაცვეთილი შაბლონი. ამიტომ შეშფოთდა „ქალბატონი ინტელიგენცია“ (ლენინი), თამარ მეფის იდეალიზაციაზე აღზრდილ მის მხატვრულ გემოვნებას არ ესიამოვნა ნინოშვილის რევოლუციონური გამოსვლები.

ეგნ. ნინოშვილი პირველ რიგში დაინტერესებულია სოციალური პრობლემებით და ყოფის იმ საკითხებით, სადაც ყველაზე უფრო მკვეთრად მოჩანს ეპოქის ზეგავლენა. სწორედ ამიტომ აქვს ნინოშვილის თემატიკას ძლიერ აქტუალური საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ნინოშვილის „მოთხრობებს დიდი მხატვრული ნიჭის ბეჭედი ასვია“ (გვ. 61). სავსებით ყალბია ის აზრი, რომლის მიხედვით ნინოშვილი ნატურალისტი და უფერული მწერალი გამოჰყავთ. ეს აბსურდია. ნატურალიზმი უპერსპექტივობის და სტატიურობის განმტკიცების ცდაა, ხოლო ნინოშვილი, პირიქით, მხატვრული რეალიზმის სიმაღლეზე იდგა. ამხ. მახარაძე სწორედ ამტკიცებს, რომ ნინოშვილი „დიდი მხატვარი და დიდი რეალისტი იყო“. გომართელი ფიქრობდა, რომ ეგნატეს ზოგიერთ ნაწარმოებში სინამდვილე ყალბი კუთხითაა ნაჩვენები. ეს არაა სწორი. არაა სწორი აგრეთვე გომართელის ის აზრი, რომლის მიხედვით ნინოშვილი მხოლოდ პუბლიცისტია და არა მხატვარი. გომართელის ამ მოსაზრებებს ამხ. მახარაძე მთელი რიგი ფაქტიური საბუთებით არღვევს.

შემდეგ ამხ. მახარაძე პრაქტიკულად ეხება ნინოშვილის მხატვრულ მოთხრობებს. მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ ნინოშვილის მთავარი თემა იყო კლასობრივი ბრძოლა, ეს ნაჩვენებია მხატვრულად ისეთ ძლიერ მოთხრობებში, როგორიცაა „გოგია უიშვილი“, „სიმონა“, „ქრისტინე“, „პალიასტომის ტბა“, „განკარგულება“, „პარტახი“, „ჯანყი გურიაში“ და სხვა.

დასასრულ ამხ. მახარაძე ეხება იმ საკითხს თუ რა ადგილი უჭირავს ნინოშვილს ქართულ მწერლობაში. აქ ავტორი ეკამათება კოტეტიშვილს და სხვებს.

საერთოდ ამხ. ფ. მახარაძის ნაშრომი— „ეგნატე ნინოშვილი“—ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა პროლეტარული აზროვნების ფრონტზე. ავტორი მკვეთრი მარქსისტული თვალსაზრისით იხილავს ყველა წამოყენებულ ლიტერატურულ და სოციალ-ეკონომიურ საკითხებს.

ამხ. ფ. მახარაძის წიგნი უნდა წაიკითხოს ყველამ, ვისაც კი აქვს სურვილი ქართული ლიტერატურის ისტორიის საფუძვლიანი გაცნობისა; ნინოშვილი მარტო ისტორიული მოვლენა არ არის, მას დღესაც აქვს აქტუალური მნიშვნელობა. ამ ფაქტზეც სამართლიანად მიუთითებს მკითხველს სარეცენზიო წიგნის ავტორი.

გ. ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე — „სართულები“ 1931 წელი. „ქართული წიგნი“.

პროლეტარული მწერლობა განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა. დღეს უკვე ყველასათვის თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ პროლეტარული ლიტერატურა წარსულ წლებთან შედარებით თვისებრივი ზრდის პროცესში იმყოფება. როგორც პოეზია, ისე პროზა იწყებს გადახალისებას, რომ შეეფარდოს რეკონსტრუქციის დამკვრელ ტემპებს. ამჟამად მთელი ამოცანა რეკონსტრუქციის ტემპებისაგან ჩამორჩენილობის ლიკვიდაციაში მდგომარეობს.

პროლეტარული ლიტერატურის მთავარი თემატიკა რეკონსტრუქციის პერიოდში, რასაკვირველია უნდა იყოს — აქტუალური კითხვები ჩვენი ეპოქისა: ხუთწლედი, სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, უდიდესი შრომითი ენტუზიაზმი, ახალი კომუნისტური სოფლის მშენებლობა, სოციალისტური ქალაქები და სხ. ასეთი უნდა იყოს მთავარი თემატიური ხაზები პროლეტარული ლიტერატურისა.

პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი მთავარი თემა არის კლასიური ბრძოლა და სოციალისტური მშენებლობა. ამ თემას ეხება პ. ჩხიკვაძის რომანი „სართულები“, რომელიც გასულ წელს იბეჭდებოდა „პროლეტარულ მწერლობის“ ფურცლებზე; „სართულები“ თემატიურად ფრიად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია უახლეს ქართულ მწერლობაში.

რა მთავარ ხაზებში იშლება ეს რომანი?

ავტორი ეხება ერთის მხრივ ყოფაცხოვრების, კერძოდ ოჯახის საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ რომანის ცენტრი სოციალ-პოლიტიკური მოვლენების სფეროში სძევს. ყოფაცხოვრების რეკონსტრუქციის საკითხები უთუოდ აქტუალური საკითხებია დღევანდელობისა. ამიტომ პროლეტარული მწერალი გვერდს ვერ აუხვევს ხსენებულ თემას. „სართულები“ ამ მხრივ უფრო ძველი ყოფის ნაშთების გარშემო აჩერებს მკითხველის ყურადღებას. რომანის მთავარი გმირი — გრიგოლ გიგაური — კომუნისტია, მაგრამ ოჯახურ ყოფაცხოვრებაში მეშჩანობის ჭაობშია ჩაფლული თავისი ცოლის წყალობით. გიგაურის ცოლი ლუარა თავისი კომუნისტი ქმრის თვალწინ მეშჩანურ ყოფაცხოვრებას ეწევა, ბავშს ზრდის შოვინისტურათ, მისდევს რელიგიურ დღესასწაულებს. გიგაური აღშენებლობის ფრონტზე აქტიურ მუშაობას ეწევა, მაგრამ მაინც არაა ყოველმხრივად მტკიცე ნებისყოფის ადამიანი. გიგაური უცქერის რა მუშკოოპის ვიტრინებს, ფიქრობს: „... ამდენი კოსმეტიკა, ამდენი საღებავი და რაღაც ფხვნილები... ეს ხომ მეშჩანური სულისკვეთების განმტკიცებას უდრის? ეს ხომ თავისებური ჭაობია და ყოფაცხოვრების აჭოთებული მორევი, რომელიაც ხშირად სუსტინების ზოგიერთი ჩვენი ამხანაგიც კი ადვილათ იძირება“.

გიგაურის ოჯახი ძველი ყოფის ბუდეა. ამიტომ იგი ადვილად ხდება თავშესაფარათ კონტრრევოლუციონური ელემენტებისთვის (გიგაურის ძმა ლევანი).

„სართულების“ დადებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მთავარი ხაზი ყოფაცხოვრების (და ისიც ობივატელური ჭაობის) ასახვის გზით კი არ მიდის, არამედ ეხება უმნიშვნელოვანეს საწარმოო და პოლიტიკურ საკითხებს. აქ უკვე მთლიანად იგრძნობა პროლეტარული მწერალი, რომელიც გარკვეულია მიმდინარე ცხოვრების პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებში. რომანში კარგადაა ნაჩვენები კლასობრივი ბრძოლა: ერთის მხრივ მავნებლობა, უბადრუკი ნაშთები მენშევიკური პარტიისა, კლასიური მტერი, მომაკვდავი, მიმავალი და გახწნილი კლასის უკანასკნელი ნაშთები, ხოლო მეორეს მხრივ ამომავალი კლასი, უდიდესი შრომითი ენტუზიაზმით და გატაცებით აშენებს სოციალიზმს. აი ეს არის რომანის მთავარი ხაზი. მენშევიკური „მუშაობა“, რომელსაც აწარმოებენ ამ პარტიის ნაშთები მიმართულია იქითკენ რომ ხელი შეუშალონ ფაბრიკის აგების საქმეს. ამ მხრივ მავნებლები კავშირს იჭერენ ხსენებულ მენშევიკებთან და „საერთო ძალით“ აწარმოებენ მავნებლურ მოქმედებას. ბოლოს ყველაფერი ეს საქმე ირკვევა. მთავარი ინჟენერი მელიქოვის და მისი დამხმარე „კომუნისტის“ შავი რეაქციონური წარსული აშკარავდება და მშრომელთა მასები საკადრის პასუხს აძლევენ მათ მოქმედებას.

კონტრრევოლუციონური პარტიის ნარჩენებში უთანხმოება იჩენს თავს და ისინი თვითონ ანადგურებენ ერთი-მეორეს.

„სართულებში“ კარგადაა ნაჩვენები მთელი რიგი საწარმოო მომენტები, წარმოებითი ცხოვრება.

თანამედროვე პროლეტარულ პროზის ფრონტზე „სართულები“ უთუოდ მნიშვნე-

ლოვან ადგილს დაიკავებს. ჩვენ დღემდე არა გვაქვს ინდუსტრიალურ თემებზე დაწერილი მხატვრული მოთხრობები და რომანები. „სართულები“ ამ მხრივ უთუოდ ნაბიჯია წინ.

ჟანრის მხრივ სართულები პოლიტიკურ-ყოფაცხოვრებითი რომანია.

შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლა პროლეტარულ მწერლობის თემატიური მარაგის რადიკალური გადახალისებით უნდა დაიწყოს. ამ ახალ ამოცანას უნდა მიექცეს მთელი ყურადღება. რეკონსტრუქციის პერიოდის ლიტერატურა რეკონსტრუქციის თემებზე უნდა მუშაობდეს. ამ მხრივ „სართულები“ ქართულ პროლეტარულ მწერლობაში ნაბიჯია წინ. „სართულები“ მხატვრულად დაძლეულია.

გ. ნ.

გარეგ ბიბინეიშვილი: „ბოლთსევიკი საქართველოს მანძილზე“ (ბესარიონ გაბოლაია), სახელგამი — 1931 წ.

რევოლუციონური მოძრაობის ეპიზოდების სისტემატიური და ქრონოლოგიური სახით თხრობა ამ წიგნის მთელი შინაარსია, მაგრამ ავტორი აქ არა მარტო ნახულით, გაგონილით ან უშუალო შთაბეჭდილებებით სარგებლობს, არამედ ერთგვარ დოკუმენტალობასაც მიმართავს, ცდილობს ყოველი მოყვანილი ეპიზოდის, ისტორიული დოკუმენტებით დამტკიცებას; ეს ხერხი კი წიგნს კიდევ უფრო საინტერესოდ ხდის, რადგან მკითხველი ისტორიული დოკუმენტებით რწმუნდება მოთხრობილისა და მოყოლილის შესახებ. რამდენადაც მეოთხედი საუკუნის მანძილზე მუშათა კლასმა დიდი ბრძოლები გადაიხადა — იმდენად აქ გაშუქებას პოულობს მუშათა მოძრაობის ძირითადი მოვლენები; რამდენად ავტორი რევოლუციის მსვლელობის გზებს ეხება, იმდენად სარეცენზიო წიგნი — ბოლშევიზმის ისტორიაცაა, მით უმეტეს როცა ჯერ კიდევ არაა დაწერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის სათანადო ისტორია, რაც უსათუოდ დიდი დანაკლისია ჩვენი პარტიული ლიტერატურისათვის; მემუარი, როგორიც არ უნდა იყოს ის, მართალია, ვერ შეასრულებს პარტიის ისტორიის როლს, მაგრამ მას ის მნიშვნელობა აქვს მაინც, რომ დაახლოებით მოხაზავს მსვლელობის ზოგიერთ მოვლენას.

ბევრ შემთხვევაში მემუარი შეიძლება შეიცავდეს ავტორის სუბიექტიურ მოსაზრებებსაც და ფაქტების თავისებურ ინტერპრეტაციასაც, მაგრამ თუ მემუარის ავტორი ძირითადში სწორად იცავს ისტორიულ ფაქტებს და სწორ გაგებას აძლევს მას — ის უთუოდ პარტიულად საჭირო საქმეს აკეთებს.

ბოლშევიკური მემუარული ლიტერატურა მკითხველზე ზემოქმედების ისეთ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რომ კლასიურ ბრძოლაში, სოციალიზმისათვის ყოველ მებრძოლს ბოლშევიკური სიმხნეევე და ნებისყოფა შემატოს.

მემუარის თვისებაა, თუ ის რამდენიმედ მხატვრულადაა დაწერილი — საინტერესოდ იკითხება; ამით აიხსნება უსათუოდ ამხ ბ. ბიბინეიშვილის წიგნის პოპულიარობა; დაწერილია საინტერესოდ.

განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის სი თავები, რომლებიც საზოგადოებრივ აზროვნების მომენტებს ეხება (მაგ. „ქართული სოფელი 80-ან წლებში, „კვალი და კამათი ი. ჭავჭავაძესთან“, და ბრძოლის ეპიზოდები: „სოსო ჯუღაშვილი“, „არალეგალური სტამბა ქუთაისში“, „ხვრელი ქუთაისის საპყრობილეში და დიდ პოლიტიკურ პატიმართა გაქცევა“). წიგნის უკანასკნელი ნაწილი საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდს ეხება.

ეს წიგნი მუშათა კლასის მეოთხედი საუკუნის მანძილზე წარმოებული გმირული ბრძოლების მატიანეა.

მესამე გამოცემა ავტორის მიერ შევსებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს წიგნი მოსკოვში რუსულადაც გამოვიდა, რაც რუს მკითხველს საშვალებას მისცემს გაეცნოს საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის ფურცლებს.

ა. — ხ.

ფრიდონ ნარეშვილი. „პლანეტები“, სახელგამი — 1930 წელი.

პროლეტარული მწერლობა ჰეგემონიისათვის ბრძოლის ახალ ეტაპში შევიდა. დღევანდელი დღე, როგორც კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების პერიოდი, ყოველი პროლეტარული მწერლისაგან მოითხოვს

კლასობრივი ალღის უაღრესად გამახვილებას. დღეს ყოველი პროლეტარული მწერალი უნდა ცდილობდეს მხატვრულ ტილოებზე გვიჩვენოს ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს სოციალ-ეკონომიურ ფორმაციაში.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესი არ ხდება უმტკივნეულოდ, უბრძოლოდ, — კლასობრივი მტერი იკრებს მთელ თავის ძალებს და ყოველ წუთს ემზადება სალაშქროდ. იგი მზადაა ხელი შეგვიშალოს სოციალისტურ მშენებლობაში, იგი მზადაა მახვილი ჩასცეს კოლმეურნეებს და სხვ. მიმდინარე პროცესებს ესაჭიროება მხატვრულ ტილოებზე გადატანა.

დღეს პროლეტარულმა მწერალმა უნდა იმუშაოს იმ თემაზე, რომელიც ისტორიულად წინა პლანზეა წამოწეული. ის მწერალი, რომელიც გაურბის თანამედროვე თემებს და თავს მხოლოდ წარსულის თემატიკას აფარებს, არც არის პროლეტარული მწერალი. იმისათვის, რომ პროლეტარულმა მწერალმა შესძლოს დღევანდელი დღის თემატიკის დამუშავება, აუცილებლად საჭიროა პარტიის პოლიტიკის საფუძვლიანი ცოდნა და ნაბიჯის გასწორება მიმდინარე პოლიტიკაზე. ყოველი ლატერატურული ფაქტი პოლიტიკური მომენტების გარეშე, არაფერს არ წარმოადგენს.

ფ რ ი დ ო ნ ნ ა რ ო უ შ ვ ი ლ ი ს პოემების სარეცენზიო წიგნი უმთავრესად მით არის საინტერესო, რომ ყოველი პოემა აქტუალ საკითხს ეხება და პოლიტიკურად გამახვილებულია.

ფრიდონ ნაროუშვილმა თავის შემოქმედებით გზად აირჩია ეპოსი და ოდა. აი, ჟანრები, რომელთა ფარგლებშიც იშლება ფრ. ნაროუშვილის შემოქმედება. ფრ. ნაროუშვილი უდაოდ ჯანსაღი პროლეტარული პოეტია, რომელიც ეხება მხოლოდ და მხოლოდ იმ თემებს, რომლებიც მიმდინარე მომენტთან შეფარდებით წინა პლანზეა წამოწეული. ფრ. ნაროუშვილი თავის შემოქმედებაში უმღერს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის კოლექტივიზაციას, მაგრამ ეს მდგომარეობა არავის არ აძლევს იმის უფლებას, რომ შეგნებულად გვერდი აუხვიოს იმ შეცდომებს და ნაკლს, რომელიც ფრ. ნაროუშვილის შემოქმედებას ახასიათებს. მარქსისტული კრიტიკის დანიშნულებაა — ებრძოლოს ყოველგვარ გადახრას თავის რიგებში, რომელსაც კი შეუძლია ხელი შეუშალოს პროლეტარულ მწერლობას ჰეგემონიისათვის ბრძოლაში.

ამ უკანასკნელ ხანებში პროლეტარული მწერლობის ზრდა არავისათვის სადაო არაა. ამ ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია ფრ. ნაროუშვილის პოემების წიგნი, სახელგამის მიერ გამოცემული.

აღნიშნულ წიგნში ავტორმა შესძლო თანამედროვე თემების დამუშავება. ნაროუშვილის მთავარ თემას შეადგენს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა. იგი დორონინივით მღერის:

„მე ეუმღერ გლეხებს, არა გლეხურად,
გლეხურ ბუნების უარმყოფელი—
ისპობა ძველი კერა და ეზო,
ახლად შენდება ჩვენი სოფელი“.

სწორედ ამ ოთხ სტრიქონშია მოცემული მწერლის მთელი შემოქმედებითი პროგრამა. ნაროუშვილი უმღერს არა ძველ სოფელს, არამედ ახალს, რომელიც სოციალიზმის რელსებზე შედგა. ფრ. ნაროუშვილმა თავის პოემებში შესძლო კლასობრივი ბრძოლის მომენტების გადმოშლა. ნაროუშვილმა კარგად იცის, რომ არ არის ადვილი გლეხს დაათმობინო კერძო მესაკუთრის ძველი განწყობილება, ნაროუშვილმა კი შეეჯახება ძველსა და ახალ „ინსტინქტებს“ შორის უდავოდ პროლეტარულად გადაჭრა.

ფრ. ნაროუშვილმა შესძლო კულაკის კლასიური ბუნების დანახვა, რომელიც გაბოროტებით ეძებს მოხერხებულ დროს, რომ შემოგვიტიოს. ფრ. ნაროუშვილმა აღნიშნული პოემებით უდავოდ ჯანსაღი პოეტის სახელი დაიმკვიდრა, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს გარემოება იმას, რომ ჩვენ ნაროუშვილის შემოქმედებაში შეცდომები მივჩქმალოთ?!

მთავარი, რასაც ახლავე უნდა გავუსვათ ხაზი ნაროუშვილის შემოქმედებაში—ეს არის ზოგჯერ ისტერიული კვილი, რასაც არ შეიძლება რაიმე გამართლება ჰქონდეს. ასე, მაგალითად: ნაროუშვილი თავის პოემა „კორღან“-ში წერს:

„ყვიროდა ცეკა და ჯუღაშვილი
კულაკურ კლასის ლიკვიდაციას“.

რას ნიშნავს „ყვირილი“. ადამიანი ყვირის მაშინ, როდესაც უგეგმოდ აკეთებს რაიმეს ან კატასტროფიული მდგომარეობის წინაშეა. ჩვენ არ ვყვირით კულაკურ კლასის ლიკვიდაციას, არამედ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას პარტია ახდენს გეგმიანი შეტევის პოლიტიკით, მ თ ლ ი ა ნ ი

კოლექტივიზაციის საფუძველზე, ეს კი, რაც მთავარია, ნაროუშვილს „დაავიწყდა“. ვფიქრობ, ეს პოლიტიკური სახის შეცდომა არამც და არამც არ უნდა იქნას მიჩქმალული.

ნაროუშვილმა პოემაში „სხვადასხვა საკითხზე“ ვერ გამოამეღავნა კლასიური სიმტკიცე, როდესაც წერდა:

„მაშინ მეც გახლდით კაცი ისეთი,
კაცი იმ ტიპის მრავალთაგანი,
როცა ბერქვეშელ,
კომკავშირელმა
ყუთში ჩაგეტე შავი ნაგანი“.

ყოველმა პროლეტარულმა მწერალმა თავისებურად აითვისა ნეპი. მაგ. კ. ლორთქიფანიძეს აზრით, ნეპის სახით მოვიდა მშვიდობიანი საღამო, როდესაც „აღარ გვჭირდება რომანტიკა ძველი ბრძოლების“. მე ვფიქრობ, ნაროუშვილი ნეპის საკითხში ლორთქიფანიძის გაგებამდე მივიდა; მან ყუთში ჩაკეტა „შავი ნაგანი“, ნეპის ასეთი გაგება ძირშივე შემცდარია. ამხანაგებს არ ესმით ის გარემოება, რომ ნეპი „ნაგანების ყუთში ჩაკეტის“, ბრძოლების რომანტიკის უარყოფის, მშვიდი საღამოს და კლასიური ბრძოლის შესუსტების პერიოდი კი არაა, არამედ იგი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდია თავისებურ ფორმაში. ამ ამხანაგებს ავიწყდებათ ნეპის ლენინური გაგება, მათ ავიწყდებათ ის ფაქტი, რომ ნეპი დროებითი მოვლენაა. ნაროუშვილმა აქ უსათუოდ ნეპის გაგებაში ზოგიერთ პროლეტარულ მწერალთან ერთად პოლიტიკური სახის შეცდომა დაუშვა. ნაროუშვილს ეს მოსდის სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ დავასრულეთ აღდგენითი პერიოდი და გადავედით რეკონსტრუქციის პერიოდში.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია მთელი რიგი პოემები, რომელნიც აქტუალურ საკითხებზეა დაწერილი, მაგალითად: პოემა, ორმისამართიანი ყოფის წინააღმდეგ, რომელიც ქართულ პროლეტმწერლობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკერს. დანაშაულად მიგვაჩნია გვერდის ავლა ისეთ საყოფაცხოვრებო პოემაზე, როგორიცაა „შავა ცხოია“. ახალი ყოფაცხოვრების საკითხი მეტად მწვავედ დგას. მთელ რიგმა პროლეტარულმა მწერლებმა ვერ შესძლეს ყოფის საკითხების ბოლშევიკურად გადაჭრა, კერძოდ პროლეტარულ მწერლობაში არაა გადაჭრილი საკითხი ახალი ოჯახის შესახებ. ნაროუშვილმა შედარებით სწორედ შესძლო ოჯახის პრობლემის გადაჭრა.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ნაროუშვილი სოციალისტური მშენებლობის ეპოქის ჯანსაღი მომღერალია. იგი ყველას მძლავრი მოწოდებით მიმართავს:

„როდესაც დგამენ ახალ გიგანტებს,
თქვი რა ცეცხლი გაქვს, ანდა რა გული,
თუ თვითონ ზურგით არ მიიტანე
სიტყვა კი არა, ნაღდი აგური“.

რა გვეთქმის ნაროუშვილის პროდუქციის მხატვრულ მხარეზე? ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნაროუშვილის პოემების შინაარსსა და ფორმას შორის ხშირად უთანასწორობაა. ნაროუშვილი ჯერ კიდევ არაა ასული სათანადო მხატვრულ სიმაღლეზე, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: მისი პოემების რიტმი ნაწილობრივ უთანხმდება ეპოქას. მართალია, ფორმალისტური სკოლის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ რიტმი არ იცვლება ეპოქის საპიროებასთან ერთად, მაგრამ ეგ ძირშივე მცდარი დებულებაა. ნაროუშვილის რიტმი ეპოქის რიტმს ნაწილობრივ შეესაბამება.

ნაროუშვილს უყვარს სახეების ვულგარიზაცია. ალბათ ახსოვსთ მკითხველებს, როდესაც ნაროუშვილმა და ამხანაგების ერთმა ჯგუფმა განგაში ასტეხეს მ ა შ ა შ ვ ი ლ ი ს შემდეგ პოეტურ სახეზე: „მზე გამურული ჰგავს მენახშირეს“. მე ვფიქრობ, სახეების წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლაა მექანისტურობისათვის პროლეტარულ მწერლობაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარული მწერლობაში დავუშვათ სახეების ვულგარიზაცია. სახეები კულტურული, კონკრეტული და ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მაგალითად, ყოველად გაუგებარია, როდესაც ნაროუშვილი წერს:

„დილით, როდესაც ოქროს ბავშვივით,
მზეს ხეობაში გაეცინება“.

არ მესმის, თუ რას ნიშნავს ეს. სანამდის ადამიანი გაიგებდე ამ „მხატვრული“ სახის შინაარსს, მანამ უნდა დაფიქრდე, თუ როგორია ოქროს ბავში (არ ვიცი, არსებობს თუ არა ასეთი ბავში. კ. მ.) და მერე კი უნდა იფიქრო მის ღიმილზე. ასეთი სახეების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია. როგორ შეიძლება მზეს ამოსვლის დროს ხეობაში „ოქროს ბავშვივით გაეცინოს!“ ბრძოლა რეა-

ლური სახეებისათვის ყოველი პროლეტარული მწერლის მოვალეობაა, ბრძოლა სახეების ვულგარიზაციის წინააღმდეგ — ჩვენი ამოცანაა. ნაროუშვილს ახასიათებს უკულტურო გამოთქმები და სუსტი ადგილები. მაგალითად, იგი ერთ პოემაში წერს:

„გასულ წლის ბოლოს მზიან ზეცის ქვეშ
სათემო კრება გამართულიყო,
და თავმჯდომარე ამავ სოფლისა
საანგარიშოდ გამოსულიყო.

როგორც ვხედავთ, აზრი მეტად ბუნდოვანადაა გამოთქმული და გაუგებარია.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნაროუშვილის პოემები პროლეტლიტერატურისათვის შემატებაა, იმ შეცდომების და ნაკლის გამოკლებით, რომელიც ჩვენს მიერ იყო აღნიშნული. ნაროუშვილი, როგორც პროლეტარული მწერალი, უნდა იბრძოდეს შეცდომათა და ნაკლთა დაძლევისათვის, უამისოდ ჩვენი წინსვლა ყოვლად შეუძლებელი იქნება. ზოგიერთ კრიტიკოსს უნდა მოვაგონოთ, რომ არაა საჭირო შეცდომების მიჩქმალვა, ეს ძალზე ვნებს პროლეტარული მწერლობის ჰეგემონიისათვის ბრძოლის საქმეს.

კ. მელაძე

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრონიკა

მაქსიმ გორკის პასუხი საბჭოთა კავშირის მშრომელთ

ჩემი დაბადებიდან 63 წლის შესრულების გამო მიღებულმა მოლოცვებმა დიდათ ამაღელვა, ძვირფასო ამხანაგებო, გულწრფელად გმადლობთ. მეგობრობისა და ყურადღებისათვის მადლობის გადახდა, მგონი, ძალიან ხშირად მიხდება, მაგრამ ამაში თქვენ ხართ დამნაშავე და არა მე. თავი დავანებოთ ამას, შევთანხმდეთ, რომ ერთეულის და მასის ურთიერთისადმი სიმპატიების ეს გიზიარება აუცილებელია ყველა იმ შემთხვევაში, როცა ერთეული ცოტად თუ ბევრად მოხერხებულად და გარკვეულად ისახავს იმ მასის აქტიურ განწყობილებას, რომელიც აწარმოებს ისტორიულად აუცილებელ რევოლუციონურ მუშაობას. შევთანხმდით რა ამაში, ჩვენ მასის და ერთეულის მეგობრული გამოძახების ამ ფაქტიდან უნდა გამოვიყვანოთ ძალიან უბრალო, ჩემის აზრით, დასკვნები, პირველი დასკვნაა მასის უდავო აღმზრდელობითი ძალა: იგი ენერგიას უნერგავს ერთეულს, ერთეული ამ ენერგიას უკანვე უბრუნებს მასას—ამის შესახებ არა ერთხელ მილაპარაკნია. შემდეგ: ერთეულის სოციალ-რევოლუციონური ღირებულება მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო მეტი უნარი აქვს მას ჩამოაყალიბოს იდეებსა და სახეებში მასის ემოციონალური ენერგია.

ბურჟუაზიული საზოგადოებები ზრდიან და აყალიბებენ პიროვნებას, როგორც თავიანთი მიზნების—კლასის მიზნების მსახურს, კლასის, რომლის ხელისუფლება და ძალა ემყარება უმრავლესობის ფიზიკური ენერგიის ექსპლოატაციას. პიროვნების თავისუფლად განვითარება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში შეზღუდულია რასის, ნაციის, კლასის და რელიგიის იდეებით, „ნაციონალური კულტურის თავისებურობის", არსებითად წმინდა გარეგნული თავისებურობის იდეით. ყოველივე ეს თქვენთვის უცხოა.

ჩვენი სახელმწიფო შენდება სოციალიზმის საფუძველზე. მასში შეშზღუდველი იდეები ისპობა და პიროვნებას ეძლევა მთელი თავისი ძალებისა და ნიჭის თავისუფალი განვითარების უფლება. აქ, რა თქმა უნდა, მეტყვიან: ეს არ არის მართალი, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება წინააღმდეგია სიტყვის თავისუფლების, პრესის თავისუფლების და ყველა სხვა „თავისუფლებისა" რომლებითაც ცრუდ ტრაბახობენ კაპიტალისტური წყობილების დამცველები და რომლებიც ნამდვილად არ არსებობენ. ჩვენი სახელმწიფო იცავს პიროვნების სრულ ფართო თავისუფლებას იმ იდეებისაგან, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე აძნელებდნენ და ზღუდავდნენ მის განვითარებას. იგი იბრძვის პიროვნების წინააღმდეგ, მაშინ, როცა ეს პიროვნება არის ამ იდეების მატარებელი და მქადაგებელი, რომლებიც ზღუდავენ თვით მისი ინტელექტუალური ძალის თავისუფალ განვითარებას. ეს სწორედ ის იდეებია, რომელთაც ეყრდნობა კაპიტალისტების ხელისუფლება: კლასის, რასის, ნაციის და რელიგიის იდეები. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მისი პარტიის სახით ეს იდეები აღიარა მავნე იდეებად და სცნო, რომ ისინი ამახინჯებენ ადამიანს და ეწინააღმდეგებიან მშრომელ მასას, მან უარჰყო ეს იდეები და აკრძალა მათი პროპაგანდა. ეს სავსებით სწორია. სასაცილო და უაზრო დონკიხოტობა იქნებოდა, რომ მუშების და გლეხების სახელმწიფოში იმ იდეების პროპაგანდა, რომლებიც გადაჭრით ეწინააღმდეგებიან მუშებს და გლეხებს, იმ იდეების, რომლებიც ცდილობენ დაუმტკიცონ მშრომელ ხალხს მისი მონობის კანონიერება და აუცილებლობა.

მოხდა იაე, ამხანაგები, რომ ვლაპარაკობ ისეთ რამეზე, რაც თქვენ ჩემზე უარესად გარ-
იცით, ეს მე მემართება ხშირად, თუ ყოველთვის არა. და ეს იმიტომ ხდება, რომ თქვენი სა-
შუალებით მე მივმართავ იმ „მესამე მებრძოლს", რომლის შესახებაც მე ამას წინად ვწერდი.
მე კვლავ მივიღე მისგან მთელი რიგი წერილი. ამ წერილებში იგი კვლავ იცავს თავისი პოზი-
ციის კანონიერებას კაპიტალისტებსა და მუშათა კლასს შორის. ამ „მებრძოლთან" დროს და-
ხარჯვა არა ღირს, ვინაიდან მისი სისულელე დაუძლეველია. იგი მას ძვალში აქვს გამჯდარი
სიკვდილამდე. მაგრამ მის ხურგს უკან არის ბევრი, რომელთაც მოსწონთ მისი პოზიცია, „მესა-
მეს" და „შორის" პოზიცია. რა თქმა უნდა, ეს პოზიცია არის არა „შორის", არამედ განზე
გადგომის პოზიცია. ეს არის იმ მარადიორის ლოდინის პოზიცია, რომელიც ეფარება თავის
უსირცხვილო სიტყვიერ სისულელეს და ელის ბრძოლის გათავებას იმისთვის, რომ ძარცვას
შეუდგეს. ამ ტიპის ადამიანები ცხოვრობენ სხვადასხვა პროვინციალურ კუთხეში და რაც უფრო
მოშორებული და მივარდნილი კუთხეა, მით უფრო მოხერხებულია მათთვის გაავრცელონ თავიანთ
გარშემო ანტისემიტიზმის, პაციფიზმის, მეშჩანური ანარქიზმის და სხვა „თავისუფალი აზრების"
სიმყრალე. წარმოდგენილი მაქვს პატარა მყუდრო ქალაქები და „მესამე მებრძოლთა" ჩურჩული
ეს ჩურჩული იმ ახალგაზრდობის ყურში, რომელიც მოჩურჩულეთა გარშემოა, აყრუებს ახალ-
გაზრდობას, უბადრუკი იდეების სიმყრალე კი სწამლავს მის ჯანმრთელობას და სიცოცხლის
აქტიურ გრძნობას. იდეებიც, როგორც ადამიანები, კვდებიან და იხრწნებიან. გახრწნილი იდე-
ების შხამი გადამდებია, როგორც ყოველგვარი გახრწნილის შხამი. მიყრუებულ დაბების და
მივარდნილი კუთხეების ახალგაზრდობას კი, რომელსაც სწყურია ცოდნის შეძენა, ჯერ კიდევ
არ მოეპოება საკმაო ძალა მოჩურჩულეთა საწამლავის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისთვის.
იმ უდიდესი მუშაობის ნათელ ფონზე, რომელსაც აწარმოებს ახალი ისტორიის შემ-
ქმნელთა სოციალისტური ენერგია, მეშჩანობის რუხი, შავი ლაქა განსაკუთრებით მკაფიოდ მო-
ჩანს. რა თქმა უნდა, იგი გაიფანტება და გაქრება, მაგრამ მაინც არ გინდა, რომ ახალგაზრდო-
ბის ხარჯზე მისი საბოლოოდ მოსპობა თუნდაც ერთი დღით შეჩერდეს.

მაქსიმ გორკი

✦

ჩვენი მხურვალე სალამი მაქსიმ გორკის!

მაისის რიცხვებში უდიდესი პროლეტარული მწერალი **მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი** საბჭოთა კავ-
შირში დაბრუნდება. წელს შესრულდა 63 წელი გორკის დაბადებიდან: მუშათა და გლეხთა მი-
ლიონები, პროლეტარული და საბჭოთა მწერლები, დამკვრელი მუშები, რომელნიც იწვევიან
მწერლობაში ესალმებიან უდიდეს პროლეტარულ მწერალს და საბჭოთა კავშირისათვის აქტიურ
მებრძოლს გორკის, დაბადებიდან 63 წლის შესრულების გამო და სიხარულით ელიან მის ჩამო-
სვლას საბჭოების ქვეყანაში.

✦

ტულის პროლეტარიატის მოწოდებას ვუპასუხებთ

ტულის № 1 ქარხნის მუშების მომართვამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია, როგორც მუშათა
ფართო მასებში, ისე მშრომელ ინტელიგენციაში.

კერძოდ, ტულის მოწინავე მუშების მოწოდებას აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს
პროლეტარულ და საბჭოთა მწერლობის საზოგადოებრივობა. 19 აპრილს, მწერალთა კლუბში
შესდგა პროლეტარულ და საბჭოთა მწერლების გაერთიანებული კრება, რომელზედაც დამუშა-
ვებული იქნა ტულის მუშების მომართვა. მომართვასთან დაკავშირებით მწერალთა ამოცანების
შესახებ გაკეთებული მოხსენების შემდეგ მწერლები სიტყვებით გამოვიდენ.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ ტულის მუშების მომართვა წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს. ტულის მოწინავე პროლეტარების ძახილი განსაკუთრებით იმიტომაც უფრო საყურადღებო, რომ ის უშუალოდ მოდის მუშათა წიაღიდან და გამოხატავს ყველა პატიოსან მშრომელის გულისთქმას.

ეს გარემოება პირველ რიგში საბჭოთა მწერლებს ავალებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წლის წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

საბჭოთა მწერალმა, ისე როგორც ყოველმა მუშამ უნდა გამოიყენოს მთელი შესაძლებლობა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრული გამარჯვების მოპოება სოციალისტურ მშენებლობის ყოველ დარგში.

მწერლებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ პროლეტარულ მასებში კულტურულ დონის ამაღლებას და ტეხნიკური უცოდინარობის აღმოფხვრას, შრომის სოციალისტური ფორმების გაშლას.

ამ მიზნით საქართველოს პროლეტარული და საბჭოთა მწერლების კრება, — ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში,—ტულის მუშების საპასუხოდ აგგენს:

მწერალთა კლუბთან გაიმართოს სოციალისტურ მშენებლობის ყოველი დარგის მიღწევათა გამოფენა დიაგრამების სახით; მოეწყოს სოცშეჯიბრების კაბინეტი; დაარსებული იქნეს „518" ქარხნის და „1040" სატრაქტორო სადგურის სახელობის მწერალთა ბრიგადები, რომლებიც იმუშავებენ საწარმოებში და კოლექტიეებში. ამ ბრიგადებს ევალებათ დღემდე არსებულ სუსტად მომუშავე მწერალთა ბრიგადების ბუქსირზე აყვანა; მწერლებს შორის გამოცხადდეს სოცშეჯიბრება სოციალისტური მშენებლობის პროცესების და მუშათა ახალი ყოფა-ცხოვრების საუკეთესოდ ასასახავად; გამოიცეს სქელტანიანი კრებული, რომელშიაც მხატვრულად გაშუქებული იქნება სოციალისტური მშენებლობის მიღწევები; კრება ვალათ იღებს აწარმოოს პრაქტიკული მუშაობა ამბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ლოზუნგის: „დავეუფლოთ ტექნიკას" განსახორციელებლად.

✦

ნაპოსტოველური სალამი ბოლშევიკური სალიტერატურო კრიტიკის მებრძოლი ორგანოს ჟურნალ «НА ЛИТЕРАТУРНОМ ПОСТУ»-ს!

ხუთი წელი შესრულდა, რაც ჟურნალი «НА ЛИТЕРАТУРНОМ ПОСТУ» გამოდის. ხუთი წელი, რაც ჟურნალი ხელოვნების სფეროში მარქსისტულ-ლენინური ხაზისათვის, პროლეტარული მწერლობის იდეურ-მხატვრული ჰეგემონიისათვის იბრძვის. აღნიშნული ჟურნალი ხელმძღვანელობდა რა კულტურული რევოლუციის ლენინური თეორიით, იბრძოდა რა ბოლშევიკური პარტიულობისათვის ლიტერატურის და ხელოვნების ფრონტზე, ნაპოსტოველობა იყო და არის პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის ავანგარდი.

იდეური ბრძოლა ბურჟუაზიულ-კულაკური ლიტერატურის, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, შეურიგებელი, ბოლშევიკური პირდაპირობით ბრძოლა ტროცკის, ვორონსკის, ბუხარინის და მათი სკოლების, რაპპ'ის წვრილ ბურჟუაზიული რადიკალების (ლელევიჩი, როდოვი, ვარდინი და სხ.), პროლეტკულტოვშჩინის და ლიტცეხოვშჩინის, ლიტერატურული მენშევიზმის (პერევერზევი და მისი „პარტიული მეგობრები"—ბესპალოვი, ზონინი და სხ.) წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტების უპრინციპო ჯგუფის — „ლიტფრონტ" — ლეფოვშჩინის, ფორმალიზმის, ხელოვნებაში ბოლშეეიკური ხაზის „დიდი" და „პატარა" მოწინააღმდეგეების, პროლეტლიტერატურული მოძრაობის ყველა და ყოველგვარ შემაფერხებელთა წინააღმდეგ და სხ.—ასეთია ჟურნალ „ნალიტ-პოსტუ"-ს მიერ განვლილი გზა.

სოციალიზმის პერიოდში შესვლა ახალ და რთულ ამოცანებს უყენებს პროლეტარულ მწერლობას, რასაც ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ უპასუხებს ჩვენი მოძრაობა; „ახალი პრაქტიკა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემებისადმი ახალ მიდგომას წარმოშობს. ახალი სახით ისმება ასევე საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის, კლასების, მშენებლობის ტემპების, მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირების, პარტიის პოლიტიკის შესახებ. რომ პრაქტიკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ჩამოვრჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ ყველა ამ პრობლემის ახალი გეგმა-რების თვალსაზრისით დამუშავებას“ (სტალინი).

დამკვრელი მუშების გაწვევა მწერლობაში, ჩვენი ორგანიზაციის გამუშურება და ბოლშევიზაცია, გაბედული ბოლშევიკური თვითკრიტიკა, შეცდომების და ნაკლის (რაც ჯერჯერობით საგრძნობლადაა ჩვენს მოძრაობაში) გამოსწორება—ასე მიაღწევს პროლეტარული მწერლობა ახალ საფეხურს და თანდათანობით, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, ბრძოლის უნარიან რაზმად გახდება.

ვოაპპ'ი, რაპპ'ი მათი წამყვანი რაზმი—საკავშირო ნაპოსტოველობა იბრძვის სოციალიზმის განმახორციელებელი ეპოქის ღირსეული ლიტერატურის შექმნისათვის. რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მილიონებისათვის, დგას მარქსისა და ლენინის იდეების სიმაღლეზე და თავისი მხატვრულობით წინამორბედი კლასების ლიტერატურების მაღლა დადგება.

«НА ЛИТЕРАТУРНОМ ПОСТУ» ხელოვნების ფრონტზე მებრძოლი ბოლშევიზმის ფორპოსტი უნდა იყოს მომავალშიც.

საქ. პრ. მწერალთა ახოციაციის სამდივნო.
ჟურ. „პროლეტარული მწერლობა“-ს სარედაქციო კოლეგია.

✦

ალიო მაშაშვილის პიესა „განგაში“

საუბარი ამხ. სანდრო ახმეტელთან

„რუსთაველის თეატრი პროლეტარული პოეტის ალიო მაშაშვილის პიესას განსაკუთრებულის ყურადღებით შეხვდა. მაშაშვილი სიტყვის კარგი ოსტატია ლექსში, მაგრამ ძნელია პოეტისათვის დრამატურგიაზე გადასვლა. თუ შევძელი მაშაშვილის პოეტური სიტყვის და დრამატურგიული ხერხების სინთეზი აუცილებლად დიად შედეგებს მივიღებთ: პიესამ სცენაზე გატანამდე ცვლილებები განიცადა, ეს იმიტომ რომ ავტორი არ იყო სცენის თავისურობასთან ახლოს გაცნობილი; მაგრამ პიესის ამ გადაკეთებაში თითონ ავტორი ხარჯავდა მთელს ენერგიას.

თეატრი ფიქრობს, რომ პროლეტარული მწერლის დადგმა რომელიმე ამხანაგის „გულის მოგებისათვის“ კი არ უნდა ხდებოდეს და ამიტომ ის გამოიყენოს თუნდაც სუსტი მასალით წარმოდგენილი, არამედ მას დავდგამთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი ხარისხი თეატრს არ გადმოაყენებს თავისი უკეთესი დადგმების საფეხურიდან.

მაინც პროლეტარულ მწერალს ჩვენ მეტს დახმარებას გავუწევთ. ახალგაზრდა მწერლის პირველი დამარცხება დრამატურგიაში არ ნიშნავს იმას, რომ მას ამ მხრივ მომავალში არაფრის გაკეთება არ შეუძლია. დრამატურგია, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელი საქმეა და საჭიროა სცენის დეტალური ცოდნა.

პროლეტარული მწერლის მუშაობა დრამატურგიაში უფრო მეტი საძნელო საქმეა. ძველ დრამატურგებს აქვთ თავისი დამახასიათებელი ჩვეული იდეა, ფორმა და სიუჟეტური ხერხებიც. პროლეტარულ მწერლისათვის ყველა ეს ახლად საძიებელია. მან უნდა მოგვცეს ახალი ქვეყნის მისწრაფებანი; ეს საქმე მძიმეა.

ა. მაშაშვილი დღემდე ნაკლებად იცნობდა სცენას. ხოლო დღეს როცა მას თეატრმა დაავალა ახალი პიესის „ნავთის შადრევანი“-ს დამუშავება ვიმოდევნებთ, რომ აქ მეტ გამარჯვებას მივაღწევთ.

რატომ ვდგამთ ჩვენ უმეტესად რუსული პიესების თარგმანს? სხვათა შორის იმიტომაც რომ ამით დავეხმაროთ ახალ დრამატურგიულ ძალებს. მომავალი წლისთვის კი, ჩვენ ვფიქრობთ, ხეზონს ორიგინალური პიესებით გავიტანთ.

თვით პიესა „განგაში“ მეტად აქტუალურ საკითხს ეხება. მაშაშვილმა თემად აიღო საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა — ბამბა. მეურნეობის ამ დარგის შესახებ არა ერთ სოფელშია გავრცელებული პროვოკაცია, თითქოს ბამბის კულტურა სპობს ხორბლეულის საქმეს. ამიტომ პიესის თემა ამ მხრივ პარტიის გენერალური ხაზის საბრძოლო ამოცანაზეა აგებული.

ა. მაშაშვილმა ამ პიესით პირველმა სცადა საბჭოთა დრამატურგიაში კოლექტივთა ურთიერთ ერთ დამოკიდებულების მოცემა. რუსეთის დრამატურგიაში ჩვენ გვაქვს სას. სამ. კოლექტივის შინაგანი ორგანიზაციის, შინაგანი ცხოვრების ასახვის ფაქტები; მხოლოდ ორ ან რამოდენიმე კოლექტივის ურთიერთობის შესახებ „განგაში" პირველი მოხიტყვეა. ამ საკითხს სათანადოდ სჭრის ამხ. მაშაშვილი. პიესაში მოცემულია საბჭოთა სოფლის თითქმის ყველა ორგანიზაცია: პარტიული, კომკავშირული, პროფესიონალური, სამეურნეო და სხვ. მოცემულია ამ ორგანიზაციების ჯანსაღი და მტკივნეული მხარეებიც.

ამ პიესას ერთი მეტად დამახასიათებელი მხარე აქვს: იგი თავიდან ბოლომდე მიმდინარეობს ენტუზიაზმისა და სიხარულის განცდის ქვეშ. თვით დრამატიულ და ტრაგიულ მომენტებშიაც კი იგრძნობა სიხარული და გატაცება, გჯერა რომ „ჩავარდნები" ახლო მომავალშივე აღმოფხვრილი იქნება. სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობა იბრძვის კულაკობის წინააღმდეგ, რომელიც ბამბის მოსავალს უწვავს და უნადგურებს მას, და ეს ბრძოლა არის იმედით აღსავსე ბრძოლა, ბრძოლა ენტუზიასტთა. სასურველია მაშაშვილის შემდეგი მუშაობა ამ ხაზით წარიმართოს.

სოფლის ახალგაზრდობა პიესაში ჯანსაღადაა მოცემული. ისინი უბრალო პროპაგანდისტები და პლაკატური მოწოდების რაზმები კი არ არიან, არამედ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული მონაწილენი.

რუსთაველის თეატრის სცენაზე ქართველი პროლეტარული მწერლის ნაწარმოებს პირველად ვდგამთ. ვფიქრობთ იგი დარჩება ჩვენი თეატრის საუკეთესო დადგმათა მოწინავე რიცხვში.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პროლეტარულ მწერალს იმუშაოს ჩვენთან! პიესა კაბინეტში არ იწერება, იგი კეთდება სცენასთან მჭიდრო კავშირში.

გაფორმების შესახებ ჩვენ არაფერს ვიტყვით. დაე მაყურებელმა გასაჯოს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პიესით იწყება ახალი ხანა სცენაზე ქართული სოფლის მოცემისა. საერთოდ ჩვენი სოფელი მთელი თავისი შინაგანი ბრძოლითა და ყოფაცხოვრებით ჯერ-ჯერობით ქართულ სცენაზე სრული სახით არ მოცემულა და მაშასადამე მით უმეტეს ახალი, კოლექტივიზაციის სოფელი.

მაშაშვილმა ამ პიესაში გამოიჭირა ეპოქის ძარღვი. „განგაშმა" უნდა მომცეს მე ახალი პიესებისათვის საფუძველი, უნდა დამიტოვოს გამოცდილება სოფლის ფონზე გაშლილი ახალი პიესების დადგმის საქმეში. პიესის დანარჩენ მხარეებზე დადგმის შემდეგ".

✦

კომაკადემიის ლიტერატურის, ხელოვნების და ენის („ლია") ინსტიტუტის სტრუქტურა და სექციების ხელმძღვანელი შემადგენლობა დამკიცებულია.

მეთოდოლოგიის სექცია მუშაობს დანილოვის თავმჯდომარეობით. ლიტერატურის სექცია ლუნაჩარსკის თავმჯდომარეობით (მოადგილე ნუსინოვი). სახვითი ხელოვნებათა სექცია მაცა'ს თავმჯდომარეობით, რომელიც ამავე დროს ხელოვნებათა მცოდნეობის კაბინეტის გამგეა. მუსიკის სექცია — ლიბედინსკის თავმჯდომარეობით. კინო სექცია — სუტირინი, მოადგილე — ანისიმოვი. თეატრის სექცია — აფინოგენოვი, მოადგილე — პოდოლსკი. თვითმოქმედი ხელოვნების სექცია — პელშე, მოადგილე — იანელ. მატერიალისტური ლინგვისტიკის სექცია — მარის თაყმჯდომარეობით, სწავლული მდივანი — ლომტევი. გაზეთის მცოდნეობსა და ჟურნალისტიკის სექცია — ლებედევ-პოლიანსკი. საბჭოთა კაკშირის ხალხთა ლიტერატურის და ხელოვნების სექცია — კოვალენკო. დამტკიცებულია კომისიები: ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურა — ხამდი-სელიამ. რადიო-ხელოვნება — ზაიცევი. დასავლეთის პროლეტარული და რევოლუციონური ლიტერატურის კაბინეტის გამგეთ გამოყოფილია — იან მატეიკა. მასიური მუშაობის სექტორის გამგეთ — ვასიუტინსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ЛИТГАЗЕТА»-ში (№ 17), კორნეი ჩუკოვსკი წერს: ნეკრასოვის კითხვის დროს ყოველთვის მიკვირდა, დეკაბრისტების ცოლებზე დაწერილ პოემას რატომ ქვია «Русские женщины». მე აქ მესმოდა ეროვნული სიამაყე: აი როგორი ქალები გვყავს რუსეთში! სიამაყე უსაფუძვლოა, ვინაიდან დეკაბრისტების ცოლები, ყველა რუსი როდი იყო: ერთი პოლონელი, რამდენიმე ფრანგი ქალი. ახლა ირკვევა, რომ ნეკრასოვის მიერ დასაბეჭდად გამზადებულ ხელნაწერში მისივე ხელით გარკვეულად მიწერილია სხვა სათაური «Декабристки», რაც ისე დარჩა წაუშლელი. პოეტი უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა ტექსტისათვის ეს სათაური შეენახა. «Русские женщины» გამოგონებულ იქნა ნეკრასოვის მიერ მხოლოდ პოემის რევოლუციონური ტენდენციების დაფარვის მიზნით. დღეიდან ნეკრასოვის ლექსთა კრებულებიდან უნდა ამოიშალოს პატრიოტული სათაური — «Русские женщины» და შეიცვალოს «ДЕКАБРИСТКИ»-თ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის 10 წლისთავი

წელს სრულდება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის არსებობის 10 წლის თავი.

პროლეტ. მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: 20 ივნისიდან 30 ივნისამდე ჩაატაროს პროლეტარული მწერლობის დეკადა.

ეურნ. „პროლეტარული მწერლობა"-ს მორიგი ნომერი (4-5) მიეძღვნება ასოციაციის არსებობის 10 წლის თავს. 20 ივნისისათვის გამოვა ერთდღიური „სალიტერატურო გაზეთი".

კლუბებსა და წარმოება-დაწესებულებებში მოეწყობა მასიური საღამო-მოხსენებები პროლეტარული მწერლობის განვლილი მუშაობისა და ახალი ამოცანების შესახებ. მოეწყობა პროლეტარული მწერლების წიგნების გამოფენა.

სარედაქციო კოლეგია: გენ. გუაჩიძე, ს. ეული,
კ. ლოლთქიფანიძე, ვ. ლუარსამიძე,
ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ა. სულავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◄► ახალი წიგნი ◄►

■■ დაიბეჭდა და გამოვიდა ■■

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

სარიელები

(ხაწარმოო რომანი)

გვ. 272. ფასი ყდით 2 მ. 50 კ.

●● „ქართული წიგნი"-ს გამოცემა ●●

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

„პროლეტ. მწერლობა“-ს 1 — 2 ნომერში დაბეჭდილ „ახალ აზვირთება“-ში გაიპარა შეცდომა: გვერდი 47 ზემოდან მე-7 სტრიქონიდან 22 სტრიქონამდე ნაცვლად დაბეჭდილისა ტექსტი შემდეგნაირად უნდა იქნეს წაკითხული:

„... სერბიელის მიერ მოკლული ავსტრიის ტახტის მემკვიდრე.

— საფრანგეთის მახინაციებია ყველაფერი ეს...

— სერბიელის ხელი მაშინ რა საჭირო იყო?

— სერბია საფრანგეთის მოკავშირეა და ერთად ზიდავენ პასუხისმგებლობას...

— და რატომ გაიხადეს ასე საპასუხისმგებლოდ საქმე?

— ომი სწყურიათ, ბატონებო, ომი... ევროპის სახელმწიფოებს არ ასვენებთ თავიანთი მუშტების სიძლიერე... ერთობ გაიზარდენ და გაძლიერდენ და უნდათ დაანახონ მსოფლიოს ეს თავიანთი სიძლიერე...

— მერე ავსტრიის ტახტის მემკვიდრის მოკვლით უნდათ დაანახონ?

— რა გულუბრყვილო ყოფილხარ. სამხედრო პირი და ასეთი გულუბრყვილობა!!? ავსტრიის მემკვიდრის მოკვლა მხოლოდ გამოსაკვნილი ფოკუსია ომის დასაწყებად.

— გაგვიხსენით, ბატონო, ეს ფოკუსი...

— ეს ფოკუსი იმას გვეუბნება, რომ სერბიის პასუხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი და ავსტრო-უნგრეთი ომს გამოუცხადებს; აქ სერბიას მიეხმარებიან“...

ჟურნალი აწყო
სახელგამის 1-ლი სტამბის
მესამე დამკვრელმა ბრიგადამ.
გვერდებად შეკრა — გ. მაისურაძემ
გამომშვები — გიორგი იაშვილი

სახელგამის პირველი სტამბა. პლეხანოვის გამზირი № 91.
შეკვეთის № 509. მთავარლიტი № 629. ტირაჟი 2500.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა

მიიღება ხელისმოწერა 1931 წ. ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალზე

პროლეტარული მწერლობა

საქ. პრ. მწერ. ასოციაციის ორგანო

● წელიწადი მეხუთე ●

გამოდის ყოველთვიურად, წელიწადში 12 წიგნი

სარედაქციო კოლეგია:

გენ. გუაჩიძე.
სანდრო ეული.
კ. ლორთქიფანიძე.
ვ. ლუარსამიძე [პ/მგ. რედაქტ.].
ალიო მაშაშვილი.
შალვა რადიანი.
ალ. ხულავა.

ჟურნალის განყოფილებები:

1. მხატვრული პროზა და პოეზია.
2. მეცნიერულ-პუბლიცისტური განყოფილება.
3. დამკვრელი მუშების გაწვევა ლიტერატურაში.
4. ხელოვნების ფრონტი.
5. სალიტერატურო კრიტიკა. მეთოდოლოგია, ბიბლიოგრაფია და ლიტერატურული ქრონიკა.

1931 წელს დაიბეჭდება:

ახალი რომანები, პიესები, ნარკვევები და რევოლუციონური მემუარები:

ნიკო ასლამაზაშვილის.
ს. ერთაწმინდელის.
ნოე ზომლეთელის.
გ. ბუხნიკაშვილის.
კარლო კალაძის.
კონსტ. ლორთქიფანიძის.
ალიო მაშაშვილის.
პ. მ. საყვარელიძის.
სევასტი თალაკვაძის.
პეტრე სამსონიძის.
სილვა თოდრიასი.
ელ. პოლუმორდვინოვის.
სიმონ წვერავასი.
პანტელეიმონ ჩხიკვაძის.
მიხ. ჩიქოვანის.
დემნა შენგელაიასი.
ა. ჩაჩიბაიასი.
ს. ყულაევის.
ბორის ჩხეიძის და სხვ.

პოემები და ლექსები:

ირაკლი აბაშიძის.
კალე ბოგოხიძის.
ა. გომიაშვილის.
სანდრო ეულის.
იონა ვაკელის.
ნოე ზომლეთელის.
კარლო კალაძის.
ალიო მაშაშვილის.
კონსტ. ლორთქიფანიძის.
ი. ლისაშვილის.
ფრიდონ ნაროუშვილის.
შაძრო ნავთლელის.
პეტრე სამსონიძის.
სიმონ ჩიქოვანის.
გალაქტიონ ტაბიძის.
გიორგი ძუჩიშვილის.
გიორგი კაჭახიძის.
გ. ხეჩუაშვილის და სხვ.

[-50]

ქ. 27/786

/216.

ფასი 1 მან.

ჟურნალის სამეცნიერო-პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ განყოფილებაში მოწაწილეობას მიიღებენ:

გენიტო გუაჩიძე, ივ. ვაშაყმაძე, აღასი ვართანიანი, კოტე გოგრდელაძე, გაიოზ დევდარიანი, შუშა დუდუჩავა, ფილიპე მახარაძე, აკ. მახათაძე, კ. მელაძე, გიორგი ნატროშვილი, ვ. იმედაძე, ვალერიან ლუარსამიძე, მამია ოგანელაშვილი, შალვა რადიანი, დავით რონდელი, ალ. ხულავა, გ. თავზარაშვილი, ს. ხუნდაძე, პ. შარია.

პროლეტარული მწერლობა

გათვალისწინებულია მოწინავე მუშა მკითხველისათვის, პარტიული და კომკავშირული აქტივისა და მშრომელი ინტელიგენციისათვის.

1931 წ. „პროლეტარულ მწერლობაში“ მოთავსდება: რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ხომხეთის, აზერბეიჯანის, ოსეთის და აფხაზეთის პროლეტარული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები მოძმე რესპუბლიკათა პროლეტლიტერატურულ მოძრაობაზე.

პ/მ. რედაქტორი: ვ. ლუარსა[illegible]ძე

ხელისმოწერა მიიღება: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 30, სახელგამის პერიოდხელმძღვანელი; პროვინცია — სახელგამის ყველა მაღაზიაში.

რედაქციის მისამართი: ტფილისი. ი. მაჩაბელის ქ. № 13. ხელოვნების სახახლე.